This is a file in the Digital South Caucasus Colletion (DSCC) project:

Author:
Title: IBERIA-COLCHIS Researches on the Archaeology and History of Georgia in the Classical and Early Medieval Period 3

The DSCC is part of the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library.

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from the Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http:/dcaa.hosting.nyu.edu/takedown-notice

DSCC DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION NYU | ISAW

ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი

The Journal Of the Otar Lordkipanidze Institute of Archaeology (OLIA)

იბერია - კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA-COLCHIS

**Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period**

3

Published by *OLIA*

თბილისი **2007** **Tbilisis**

ISSN 1512.4207
UDC 94(479.22)+902. ი-315.

მთ. რედაქტორი: **გელა გამყრელიძე.**
სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:
ზურაბ ბრაგვაძე, დევიდ ბრაუნდი, თემურ თოდუა,
დარეჯან კაჭარავა, გურამ კვირკველია, დავით მინდორაშვილი,
გოდერძი ნარიმანიშვილი, მაია ჩარკვიანი,
სავამომცემლო-ტექ. რედ. **გიორგი ორბელაძე**

EDITOR-IN-CHIEF: *Dr. Prof.* **Gela Gamkrelidze.**
EDITORIAL & REVIEWERS BOARD:
Dr. **Z. Bragvadze,** *Dr.* **D. Braund** (UK), *Dr. Prof.* **D. Kacharava,**
Dr. Prof. **G. Kvirkvelia,** *Dr.* **D. Mindorashvili,** *Dr.* **G. Narimanishvili,**
Dr. Prof. **T. Todua,** *Dr. Ph.* **M. Charkviani,**
Mr. **G. Orbeladze.**

Number 3 of the present serial journal *Iberia- Colchis* brings together fresh findings of the archaeological-historical study of Georgia's Classical period and the Early Medieval period. The previous numbers of this journal have been received favorably by the scholarly community. The journal was founded by G. Gamkrelidze in 2003. Formerly, the journal was issued as a Supplement to the collection *Dziebani* of the Centre for Archaeological Studies. Now the *Iberia- Colchis* is an independent periodical. Its chronological framework has also expanded. In particular, the Early Medieval period has been added. It is the desire of the Editorial Board of *Iberia- Colchis* to invite colleagues from foreign scholarly institutions, working on the same themes, to cooperate with our journal. In addition to scholarly papers, the journal will, in the future publish, express information on new archaeological discoveries; scholarly discussions; critique and reviews; bibliography of new editions; advanced scholarly novelties and trends in the world; chronicle of scholarly life, and so on. A Bibliography of the scholarly works published by the collaborators of the Archaeology Department of Georgia's Classical and Medieval period (2000- 2006) is appended. It is our wish to have the collected papers of the Department translated into English, provided a sponsor comes forth. Journal IBERIA-COLCHIS is a refereed publication.

address: Ot. Lordkipanidze Institute of Archaeology.
14, D. Uznadze str. Tbilisi, 0102.
GEORGIA.
e-mail: kart-archae@yahoo.com

© ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტი. 2007

შინაარსი
CONTENTS

გელა გამყრელიძე. საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიის პრობლემატიკა და პერსპექტივები (მოკლე მონახაზი) 5
Gela Gamkrelidze. Problems and Prospects of Georgias Classical and Early Medieval Archaeology

ზურაბ ბრაგვაძე. კლასიკური ხანის ყვირილის ხეობის არქეოლოგიურ კულტურათა ურთიერთობის ისტორიიდან 15
Zurab Bragvadze. On the History of the Relations of the Archaeological Cultures of the Qvirila Valley in the Classical Period

იულონ გაგოშიძე. ქართლის სამეფოს (იბერიის) საზღვრები ქ.წ. I საუკუნეში 20
Iulon Gagoshidze. The Boundaries of the Kingdom of Kartli (Iberia) in the 1st Century B.C.

მარიამ გველესიანი. არმაზი – ქართლის უზენაესი ღვთაება 33
Mariam Gvelesiani. Armaz – the Supreme Divinity of Kartli

გივი ინანიშვილი. ლითონდამუშავება ანტიკური ხანის საქართველოში 50
Givi Inanishvili. Metal-working in Classical-Period Georgia

დარეჯან კაჭარავა, დიმიტრი ახვლედიანი, გურამ კვირკველია. ვანი ძვ.წ. IV საუკუნესა და III საუკუნის პირველ ნახევარში 57
Darejan Kacharava, Dimitri Akhvlediani, Guram Kvirkvelia. Vani in the 4th and the first half of the 3rd century B.C.

ლეილა მაღრაძე. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები ფასისი-ფოთის შესახებ 63
Leila Maghradze. The Evidence of Frederic Dubois de Montpéreux on Phasis-Poti

გოდერძი ნარიმანიშვილი, ნუგზარ მგელაძე. აჭარისწყლის ხეობაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესახებ 70
Goderdzi Narimanishvili, Nugzar Mgeladze. On the Trade and Transit Routes Crossing the Acharistsqali Valley

ნოდარ ფოფორაძე, ნინო კალანდაძე. ვანში აღმოჩენილ ვერცხლის ნაკეთობათა ქიმიური შედგენილობა 81
Nodar Poporadze, Nino Kalandadze. The Chemical Composition of the Silverware Discovered in Vani

ვახტანგ შატბერაშვილი. მდიდრული სამარხი სოფელ ხოვლედან 87
Vakhtang Shatberashvili. A Rich Tomb From the Village of Khovle

თინათინ ჭანიშვილი. ზარაკების ტიპოლოგია-ქრონოლოგიის საკითხები დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით 97
Tinatin Chanishvili. The Question of the Typology and Chronology of Miniature Bells according to West-Georgian Archaeological Material

ნათელა ჯაბუა. სამნავიანი ბაზილიკები ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში 109
Natela Jabua. Three-nave Basilicas in Early Medieval Georgia

ლერი ჯიბლაძე, ნანა პაპუაშვილი. კლასიკურუ ხანის მასალები ანაკლია მეორედან 116
Leri Jibladze, Nana Papuashvili. Material of the Classical Period from Anaklia II

გურამ მირცხულავა, იროდიონ სონღულაშვილი. დიღმისთავის წინაქრისტიანული სამლოცველო (ძველი საქართველოს რელიგიის ისტორიისათვის) 120
Guram Mirtskhulava, Irodion Songhulashvili. Dighmistavi Pre-Christian Chapel (towards the religion of ancient Georgia)

მირანდა თურმანიძე. მძივ-საკიდები ფიჭვნარის ელინისტური პერიოდის სამაროვნიდან 131
Miranda Turmanidze. Beads and Pendants from the Pichvnari Necropolis of the Hellenistic Period

თემურ თოდუა. *რეცენზია* ნანა მათიაშვილის წიგნზე - "ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები" 140

ილუსტრაციების აღწერა 142
DESCRIPTIONS OF PLATES

ილუსტრაციები 148
ILLUSTRATIONS

SUMMARIES 190

საქართველოს კლასიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგიის სექტორის 2000-2006 წწ. სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია (მ. ჩარკვიანი) 202
BIBLIOGRAPHY 2002-2006 PUBLICATIONS (CLASSICAL AND MEDIEVAL DEPARTMENT)

გელა გამყრელიძე

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიის პრობლემატიკა და პერსპექტივები

(მოკლე მონახაზი)

თანამედროვე არქეოლოგია საისტორიო მეცნიერებაა, რომელსაც კვლევის საკუთარი მეთოდი აქვს. ნიადაგში არქეოლოგიის კვლევის საგანია „კულტურული ფენა", რომელიც ადამიანის, საზოგადოების მოქმედების ნივთიერ ნაკვალევს შეიცავს – ნამოსახლარი, სამაროვანი; კერამიკა, სამკაული, შეიარაღება, საკულტო ინვენტარი და სხვ. მათი სტატისტიკურ-ტიპოლოგიური შესწავლის საფუძველზე ხდება ისტორიულ-სოციოლოგიური ანალიზი და კაცობრიობის, ცალკეული საზოგადოების განვლილი ეტაპების რეკონსტრუქცია. ყველა ეპოქის კულტურულ ფენას შესაბამისი ისტორია აქვს. კლასიკური და ადრეშუა საუკუნეების (resp. ადრემედიევური – Early Medieval) ეპოქა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან, თითქმის თხუთმეტსაუკუნოვან ქრონოლოგიურ მონაკვეთს მოიცავს.

მე-19 საუკუნემდე საქართველოში სიძველეთა შესწავლას ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. პირველი არქეოლოგიური გათხრა, რომელიც მეცნიერულ მიზნებს ისახავდა, ჩატარდა 1852 წელს ქალაქ გორიდან თხუთმეტიოდე კილომეტრით დაცილებულ, ნაქალაქარ უფლისციხეში. აქ გათხრებს აწარმოებდა დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი. 1852 წლის ზაფხულში იგი უფლისციხის გათხრას შეუდგა. მას შეუძენია სათანადო აღჭურვილობა ძეგლის გათხრა-ფიქსაციისათვის. არქეოლოგიური გათხრების დროს დ. მეღვინეთუხუცესიშვილი აწარმოებდა საველე დღიურს. სამწუხაროდ, გათხრების შედეგების გამოქვეყნება ვერ მოხერხდა, ხოლო საველე დღიურები და მოპოვებული არქეოლოგიური მასალა დაიკარგა (ჯერჯერობით არ ხერხდება მათი მიკვლევა). ამიტომ ამ გათხრების შესახებ წარმოდგენას ძირითადად გაზეთ „კავკაზ"-ში (1852, №43, 66) დაბეჭდილი მოკლე ანგარიშები გვიქმნის. უფლისციხის არქეოლოგიური შესწავლა დ. მეღვინეთუხუცესიშვილს ზედაპირული დაზვერვით დაუწყია – აუგეგმავს ნაგებობები, აღმოუჩენია რამდენიმე წარწერა და გადმოუწერია. დ. მეღვინეთუხუცესიშვილს პირველად უფლისციხის დიდი დარბაზის გათხრა დაუწყია. გაუჭრია დაახლოებით ორი მეტრის სიგრძის თხრილი; აქ აღმოუჩენია სვეტის ფრაგმენტები და კერამიკის ნატეხები, დიდი დარბაზის გვერდზე ოთახში კი ქვევრები. მისი აზრით, დიდი დარბაზი და მიმდებარე ნაგებობები წარჩინებული პირის სასახლეს წარმოადგენდა. არქეოლოგიური თხრის დროს დ. მეღვინეთუხუცესიშვილს აღმოუჩენია სამარხებიც. უფლისციხის გარდა მან აღწერა არაერთი საყურადღებო ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი, შეაგროვა მნიშვნელოვანი ნივთები; მოიარა და არქეოლოგიურად შეისწავლა ქართლი, იმერეთი, გურია, მესხეთი, აჭარა.

იმხანად სიტყვა „არქეოლოგია" ფრიად მოდური სიტყვა იყო. მასში ძირითადად იგულისხმებოდა ყოველგვარ სიძველეთა (წიგნების, ეკლესია-მონასტრების, ხატების, ეპიგრაფიკული ძეგლების და სხვ.) აღწერა-შესწავლა, ხოლო მიწისქვეშა ძეგლების კვლევას კი უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა. იმ დროისათვის საყურადღებო ქართველოლოგიური გამოკვლევები შექმნა პლატონ იოსელიანმა. კერძოდ, ჩვენთვის ფრიად საინტერესოა მისი ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის შრომები, სადაც იგი ეხება საქართველოში ქალაქების გენეზისის საკითხებს. მისი მოსაზრებით, საქართველოში ქალაქები ძირითადად წარმოიქმნა მთავარ მდინარეთა ნაპირზე და მათ ძირითად შენაკადებთან, სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან პუნქტებთან, ზოგჯერ რელიგიურ ცენტრებთანაც, უფრო იშვიათად, წარმოების თავისუფალი კონცენტრაციის ან ვაჭრობის განვითარების შედეგად. თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად პ. იოსელიანს დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრები უწარმოებია დღევანდელ სოფ. ჟინვალთან ძველი ნაქალაქარის ადგილზე. მას აქ აღმოუჩენია და გაუთხრია ქვის ნაგებობის ნაშთები; მოუპოვებია კერამიკისა და ლითონის

ნივთების ნატეხები (სამწუხაროდ, უფრო დაწვრილებითი ცნობები ამ გათხრების შესახებ არ შემორჩენილა). ჯერ კიდევ 1844 წელს (ე.ი. გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მცხეთა მიიქცევდა საყოველთაო ყურადღებას) პ. იოსელიანი თავის ერთ-ერთ ნაშრომში წერდა, რომ მცხეთაში არის ბევრი ნანგრევი, რომელიც ჯერ არავის შეუსწავლიაო.

ჟურნალ „ცისკარში“ (№ 3-4) 1873 წელს დ. ბაქრაძის სტატია გამოქვეყნდა, რომლითაც ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა თავის სამშობლოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების პერსპექტივებს გასცნობოდა. სტატიის სათაურია – „შესახებ კავკასიის არქეოლოგიის მოსიყვარულე საზოგადოებისა, რომლის დაფუძნებასაც აპირებენ ტფილისში“. დასაწყისში საუბარია საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობაზე; საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობაზე ქვეყნის ისტორიული განვითარებისათვის; შეფასებულია ისტორიული ძეგლების წარწერების ადგილი ქვეყნის წარსულის შესწავლაში. ამ სტატიაში დასახულია, იმ დროისათვის, ფრიად პროგრესული პროგრამა: დასმულია საკითხი ძეგლთა გათხრის, აღწერის, გრაფიკული ფიქსაციის და დაცვის შესახებ. ამ საპროგრამო სტატიის ავტორი დიმიტრი ბაქრაძე საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობის მთავარ გზად საქართველოს ისტორიის წერილობითი და მატერიალური წყაროების ძიებას თვლიდა. მას მიაჩნდა, რომ საქართველოს ისტორიისათვის მასალების შეგროვება ძირითადად ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შემწეობით უნდა მომხდარიყო. ამიტომ დ. ბაქრაძე აწარმოებდა კვლევა-ძიებას სვანეთში, აჭარაში, გურიაში, მესხეთ-ჯავახეთში, სამეგრელოში, საინგილოში და სხვ. [9, გვ. 14-25; 13, გვ. 209-211].

1873 წლის 23 მარტს დამტკიცდა არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების წესდება. მისი მიზანი იყო ძველი ნაგებობებისა და, საერთოდ, სიძველეთა გადარჩენა დანგრევა-განადგურებისაგან. 1873 წელს არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების გახსნის დღეს, საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების პერსპექტივების შესახებ მიმოხილვითი მოხსენება გაკეთდა. აღინიშნა სოხუმის, ფოთისა და ბიჭვინთის მიდამოების არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობა, ჩამოთვალეს ისტორიული ძეგლები, რომელთა შესწავლაც სასურველად მიაჩნდათ. ესენია: დასავლეთ საქართველოში – ბედია, ნოქალაქევი, ფასის-ფოთი, ოზურგეთი, ქუთაისი, ვარციხე, ონი, ხონი, შორაპანი; აღმოსავლეთ საქართველოში – სურამი, ოძრხე, თმოგვი, ახალციხე, ახალგორი, კასპი, ბოლნისი, დმანისი, მცხეთა, ჟინვალი, გრემი, ნეკრესი, უჯარმა, ჭერემი და სხვ. აქვე იყო დასმული საკითხი არქეოლოგიური რუკის შედგენის შესახებ. არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების ერთ-ერთ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა დ. ბაქრაძე. მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების საქმე; ყურადღება გაამახვილა მომავალი გათხრების ობიექტებზე და იმაზე, თუ სად უნდა მოველოდეთ უკეთეს შედეგებს. ძველი წერილობითი წყაროების გამოყენებით მკვლევარმა მოგვცა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ისტორიულ-არქეოლოგიური მიმოხილვა. შემდეგ იგი საგანგებოდ აღნიშნავს ორ პუნქტს - მცხეთასა და ვაშნარს. ამ პუნქტებში, მისი აზრით, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ძალიან ნაყოფიერი და საქართველოს ისტორიისათვის ბევრის მომცემი იქნებოდა. 1874 წელს დ. ბაქრაძეს ამ მოსაზრების დასაბუთებლად სოფ. ვაშნართან (გურიაში) ჩაუტარებია არქეოლოგიური დაზვერვები. გათხრების შედეგად მას ადრეშუა საუკუნეების კერამიკის, მინის, რკინის ნივთები და ნაგებობის ნაშთები, კერძოდ, მარმარილოს სვეტების ნაწილები, აგური, კრამიტი მოუპოვებია [2, გვ. 4-6].

დ. ბაქრაძის ხანგრძლივი ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევის შედეგი იყო მისი მონოგრაფია – „კავკასიის ძველი ქრისტიანული ძეგლები”. ნაშრომში მოცემულია საქართველოს ქრისტიანული ძეგლების კვლევის შედეგები. თითოეული ძეგლის აღწერას წინ უძღვის მოკლე მხარეთმცოდნეობითი მიმოხილვა იმ რეგიონისა, სადაც ეს ძეგლი მდებარეობს. ამ ნაშრომში გამოტოვებული არ არის არცერთი მნიშვნელოვანი ძეგლი. დ. ბაქრაძე აღნუსხავდა და უყურადღებოდ არ ტოვებდა საქართველოს ტერიტორიაზე შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენათა არცერთ ფაქტს. ამგვარად აღინუსხა ახალციხისკენ მდ. კურცხანის და ოცხის

შესართავთან სახლის საძირკველის თხრის დროს აღმოჩენილი სამი მოთეთრო ფერის პატარა დოქი; სოფ. ნინოწმინდაში შემთხვევით ნაპოვნი სპილენძის მახვილი; არტანუჯის ციხესთან მოპოვებული ბრინჯაოს ზარი და თიხის ქოთანი. ზარს ასომთავრული წარწერა ჰქონდა; სოფ. საგურამოში და სოფ. ურბნისთან 1876 წელს შემთხვევით უპოვიათ თიხის სარკოფაგები. ურბნისშივე მონეტების აღმოჩენის შესახებ ცნობას გვაწვდის პ. იოსელიანი. თბილისში ქალთა გიმნაზიისათვის ფუნდამენტის გაჭრის დროს უპოვიათ მონეტების განძი.

ერთ-ერთი საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლი, რომელმაც ადრევე, კერძოდ, 1876 წელს მიიქცია ძველი ისტორიით დაინტერესებულ პირთა ყურადღება, არის ვანი. გაზეთ „დროებაში” (№52) აღნიშნულია სოფ. საჩინოს (ვანი) ახვლედიანების გორაზე სამარხებისა და ოქროს სხვადასხვა ნივთების ხშირი აღმოჩენების ფაქტები. ვანში ნაპოვნმა ცალკეულმა საგნებმა თავი იჩინა ჯერ კიდევ 1848 წელს, როცა ცნობილ ქართველოლოგს მ. ბროსეს ვანში ნაპოვნი ქანდაკება მიართვეს (ნივთი ამჟამად დაკარგულია).

1880 წელს გ. წერეთელს საჩხერესთან არქეოლოგიური დაზვერვები ჩაუტარებია, ციხე მოდინახეს გორის ფერდობზე უნახავს სამარხების ნაშთები. აქ ყოფილა კერამიკისა და ლითონის ნივთები; მდ. ყვირილას ხეობაში შორაპნის ციხესთან უნახავს თიხის ძველი წყალსადენის ნაშთები; სოფ. შორაპანთან, ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, რკინიგზის ხაზის გაყვანისას მუშებს შემთხვევით უპოვიათ სამარხები; ქ. ქუთაისში, მდ. რიონის ნაპირთან, ახლანდელი წითელი ხიდის ახლოს აღმოჩნდა ძველი აბანო; ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთით შემთხვევით უნახავთ სამარხის ნაშთები. ქუთაისშივე, ახლანდელი ბაზრის მიდამოებში, სადაც წინათ ბაღი ყოფილა გაშენებული, აღმოჩნდა კოლხური კერამიკის ნაშთები. სოფ. ციხისძირთან, კვირიკეს გორაზე, მშენებლობის დროს უპოვიათ მარმარილოს სარკოფაგი. 1880 წელს ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზზე სოფ. ჭოგნარსა და სადგურ ავჯამეთს შორის მიწის სამუშაოებისას აღმოჩნდა ორი ძველი ნამოსახლარი გორა (ადგილი ნასაჯვარევი). აქ, კულტურულ ფენებში დადასტურდა კერამიკა, ლითონის იარაღი – ცულები, დანები, ისრისპირები და სხვ.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში აფხაზეთის ზედაპირული მხარეთმცოდნეობითი გამოკვლევა ჩაუტარებიათ. უნახავთ ძველი სოხუმის და ბიჭვინთის ნანგრევები; აღუნიშნავთ არქეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო ადგილები. ესენია: ქ. სოხუმის სანაპირო დღევანდელი საზღვაო პორტის ჩრდილოეთით, სადაც ზღვის ნაპირზე პოულობდნენ ხოლმე ძვირფას ნივთებს; ინკიტის ტბის სანაპირო; ბიჭვინთის ტერიტორია; მდ. წებელდის ხეობა. 1886 წელს ქ. სოხუმში, ახლანდელი რუსთაველის ბაღის დასავლეთ ნაწილში ჩაუტარებიათ თხრა. აქ აღმოჩნდა კერამიკის ნაშთები, მათ შორის ამფორის, წითელლაკიანი ჭურჭლის ნატეხები და ქ. ამისოს მონეტა.

მცხეთაში, ბაგინეთთან (არმაზციხე) 1889 წელს უძველესი ნივთები აღმოჩნდა. აქ ნივთების აღმოჩენის ფაქტს ყურადღება მიაქცია დ. ბაქრაძემ. გათხრა დაევალა ექ. თაყაიშვილს. ბაგინეთთან გაითხარა ნაგებობა, სადაც დადასტურდა სამი სხვადასხვა ხანის ფენა. ნაგებობის ნანგრევებში აღმოჩნდა ქვათლილები, ალიზი, მარმარილოს ნატეხები, მინისა და თიხის ჭურჭლის ნაშთები. ნაგებობის შემორჩენილი კედლის შელესილობაზე გამოხატული ყოფილა მანდილოსანი (ამჟამად ინახება ხელოვნების მუზეუმში). ამ გათხრებიდან მოყოლებული საქართველოში არქეოლოგიურ კვლევას სათავეში ექ. თაყაიშვილი უდგება. კერძოდ, სადგურ მცხეთის დასავლეთით, არმაზისხევის მახლობლად, თხრის ფილაქვით ნაგებ სამარხებს, რომლებშიც აღმოჩნდა I-VI საუკუნეებით დათარიღებული ყელსაბამები, ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, მინის ნაშთები და ჭურჭლის ნატეხები. 1896 წელს ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიურ გათხრებს ატარებს მდ. სულორის ხეობაში, ვანის ახვლედიანების გორაზე და ამის შესახებ გვთავაზობს რამდენიმე საყურადღებო მოსაზრებას. ახვლედიანების გორაზე მან დაადასტურა თლილი ქვით აგებული ნაგებობების ნაშთები, თიხის ჭურჭლის ნატეხები, სხვადასხვა სახის სამკაულები, მონეტები, ლითონის იარაღი და სხვ. ექ. თაყაიშვილი ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური თხრის შედეგს განიხილავს ისტორიულ ფონზე (ითვალისწინებს აგრეთვე

აქ წინა წლებში ნაპოვნ მასალას) და უკვე იმ დროს აღნიშნავს, რომ ახვლედიანების გორაზე ანტიკური ხანის ნაქალაქარის ნაშთებთან უნდა გვქონდეს საქმე; იგი უცხოური ნაწარმის და მონეტების მიხედვით ვარაუდობს, რომ ეს ნაქალაქარი ძველ სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალთან მდებარეობდა; ხოლო ნაქალაქარზე ნაპოვნი ოქროს სამკაულები ადგილობრივი წარმოებისა იყო.

1896 წელს ექ. თაყაიშვილს დასავლეთ საქართველოშივე სოფ. საჯავახოსთან (მდ. რიონის მარცხენა მხარეს – ახლა სამტრედიის რ-ნი) და სოფ. ხუცუბანთან (მდ. კინტრიშის მარჯვენა ნაპირზე – ახლა ქობულეთის რ-ნი) ჩაუტარებია არქეოლოგიური დაზვერვები. სოფ. ხუცუბანის შემთხვევითმა არქეოლოგიურმა მონაპოვარმა ჯერ კიდევ 1879 წელს მიიქცია ყურადღება. დასახელებულ პუნქტში ექ. თაყაიშვილს მიუკვლევია კულტურული ფენებისათვის, სადაც აღმოჩენილა კერამიკის ნაშთები და ლითონის რამდენიმე ნივთი. სოფ. საჯავახოს დრანდაღელეს არქეოლოგიური დაზვერვისას აღმოჩნდა დიდი რაოდენობის კერამიკა, რის მიხედვითაც ექ. თაყაიშვილი აქ კერამიკული სახელოსნოს არსებობას ვარაუდობს. სოფ. ბორმა მდ. ბორიმელას მარჯვენა ნაპირზე 1902 წელს არქეოლოგიური თვალსაზრისით მიიქცია ყურადღება. აქ ადგილობრივი მცხოვრებლები მიწის ხვნის დროს შემთხვევით წააწყდნენ მდიდრულ სამარხებს, სადაც აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ჭურჭელი; განსაკუთრებით საინტერესოა ვერცხლის თასი საკურთხეველთან მდგომი ცხენის გამოსახულებით, მონეტები და სხვ. სოფ. ბორში შემთხვევით ნაპოვნი ძვირფასი ნივთები შეისყიდა „ერმიტაჟის" მუზეუმმა (ახლაც იქ ინახება). 1904 წელს ციხისძირთან (ახლა ქობულეთის რ-ნი) საძირკვლის გაჭრის დროს II საუკუნის მდიდრული ნივთები აღმოჩნდა. ესენია ოქროს და ვერცხლის სამკაულები, ჭურჭელი, მონეტები, ამოკვეთილ გამოსახულებიანი ქვები და სხვ. (ინახება „ერმიტაჟში") [8].

1908 წელს მდ. ქსნის ხეობაში სოფ. საძეგურთან მიწის სამუშაოების დროს იპოვეს მდიდრული ნივთები, რომლებიც ცნობილია „ახალგორის განძის" სახელით. ესენია ოქროს საყურეები, საკისრე რკალები, სასაფეთქლეები, სამაჯურები, ყელსაბამები, ბეჭდები, ვერცხლის ფიალები, ცხენის აღკაზმულობა და სხვ. ამავე წელს სოფ. ახალქალაქთან (კასპის რ-ნი) მიწის სამუშაოების დროს იპოვეს თიხის მილის ფრაგმენტები და ლითონის რამდენიმე ზოდი. ამ ნივთების აღმოჩენამ ექ. თაყაიშვილს აქ ლითონსადნობი სახელოსნოს არსებობა ავარაუდებინა. ექ. თაყაიშვილი ცდილობდა საქართველოს მიწის წიაღში შემთხვევით ნაპოვნი არცერთი ნივთი არ გამოჰპარვოდა მხედველობიდან. საქართველოს არქეოლოგიის განვითარების ამ ეტაპზე ექ. თაყაიშვილმა პირველმა გამოთქვა ზოგიერთი ფრიად საყურადღებო მოსაზრება. ესენია: არქეოლოგიური მონაპოვრის გააზრებისას ადგილობრივი ეთნოლოგიურ-ფოლკლორული ფაქტების მოშველიების აუცილებლობა; ოქროს და სხვა ლითონის იარაღის და სამკაულის ადგილობრივი წარმოშობის შესახებ; მიუთითა აუცილებლად შესასწავლ ძეგლებზე - ვანში, საჩხერეში, ბაგინეთში და სხვ. [9, გვ. 13-35; 13, გვ. 208-211].

1920-50-იან წლებში საქართველოში, დაგეგმილი მიზანმიმართული არქეოლოგიური კვლევა არ ტარდებოდა. მაშინ საველე-არქეოლოგიური ძიება მხოლოდ ფლავისმანში, თაგილონში, იყალთოში, ნოქალაქევში და წიწამურში ჩატარდა. მნიშვნელოვანი არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა რუსთაველის ეპოქის მუზეუმმა. ამ მუზეუმმა 1936-1939 წლებში გათხრები აწარმოა დმანისში, გუდარეხში, ბოლნისში, გეგუთში. აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა ბოლნისში აღმოჩენილი ქვაზე ამოკვეთილი ასომთავრული წარწერა, რომელიც 493 წლით თარიღდება.

1930 წლიდან ივ. ჯავახიშვილი ნოქალაქევის (არქეოპოლისის) არქეოლოგიური შესწავლის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. 1936 წლიდან კი ივ. ჯავახიშვილი უფრო აქტიურად ებმება საველე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში. იგი საერთო ხელმძღვანელობას უწევს დმანისის, გუდარეხის, გეგუთის და ბოლნისის არქეოლოგიურ გათხრებს. ივ. ჯავახიშვილმა პირველმა შეიმუშავა საქართველოში შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა. მასში საქართველოს ძველი კულტურის შესწავლის ერთ-ერთ საყურადღებო ამოცანად ძველი ნაქალაქარების შესწავლაა (გეგმარება, საშენი მასალა, სხვადასხვა დანიშნულების ნივთები და სხვ.) მიჩნეული. ამავე დროს იგი ყურადღებას ამახვილებს წყალსადენებისა და სარწყავი არხების შესწავლაზეც, რისი კვლევაც მაშინ სიახლე იყო.

1938 წელს ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობას შეუდგა „მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიცია". მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ყველა მუშაკის თავდადებული შრომის შედეგი იყო ამჟამად საყოველთაოდ ცნობილი, მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენები. ესენია ნაგებობები, სამარხები და სხვადასხვა დანიშნულების ნივთები, რომლებიც საქალაქო ცხოვრების მაღალ დონეზე მეტყველებს იმდროინდელ საქართველოში.

ფართო მასშტაბის გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევა საქართველოს ტერიტორიაზე გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან დაიწყო. გათხრები ჩატარდა კლასიკური და შუა საუკუნეების ძეგლებზე – დმანისში, გრემში, რუსთავში, უჯარმაში, ბაკურციხეში, ნადარბაზევში, თბილისში, საგარეჯოში, ბოლნისში, სამშვილდეში, ურბნისში, ვაშნარში, ეშერაში, გელათში, სკანდაში, შორაპანში, კლდეეთში, საჩხერეში, ანაკლიაში, დაბლაგომში, ქობულეთ-ფიჭვნარში, ურეკში, ყულევში, ბიჭვინთაში, გეგუთში, სოხუმში და სხვ.

შემდგომში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე ახალმშენებლობებთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნილება სასწრაფო გადარჩენით არქეოლოგიურ სამუშაოებზე. ამიტომ 1977 წელს ოთარ ლორთქიფანიძის ძალისხმევით ჩამოყალიბდა – არქეოლოგიური კვლევის ცენტრი [იხ. 13, გვ. 5-6]. ბატონი ოთარის გარდაცვალების შემდეგ მას ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტი ეწოდა. აქ, სხვასთან ერთად, საქართველოს კლასიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგიის კარდინალური პრობლემები მუშავდება. ეს ინსტიტუტი ამჟამად საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების მთავარ დაწესებულებას წარმოადგენს. მისი მეცნიერ-თანამშრომლები არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებენ საქართველოს ყველა კუთხეში. ამ გათხრების მოკლე ანგარიშები იბეჭდება კრებულში „საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება".

კლასიკურ ეპოქაში ძველი საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური ჰეგემონობა კოლხეთისა (ეგრისის) და იბერიის (ქართლის) სამეფოებმა მოიპოვეს. ეს ორივე სამეფო ბერძნულ-რომაული და ქართული წერილობითი წყაროებით კარგად არის ცნობილი. იბერია-კოლხეთის ადგილსა და საფუძველზე წარმოიქმნა ერთიანი სახელმწიფო – საქართველო (იხ. [4, გვ. 5-69; 5, გვ. 5-4]). სწორედ ამ სამეფოთა შესწავლის საქმეში ქართველმა არქეოლოგებმა მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს. დღესდღეობით არქეოლოგიურად შესწავლილია ქართულ და ბერძნულ წყაროებში არაერთგზის დაფიქსირებული ნაქალაქარები, კერძოდ: მცხეთა-არმაზციხე, ნასტაკისი, უფლისციხე, ძალისი, სარკინე და სხვ. ამავე პერიოდის ძეგლებია – სამადლო, ციხიაგორა, ვანი, ეშერა, ქობულეთი-ფიჭვნარი, საირხე, საქორქიო, სოხუმი-დიოსკურია, ოჩამჩირე და სხვ. ამ არქეოლოგიური ძეგლების უმეტესობას ურბანიზმისათვის დამახასიათებელი ნიშნები აქვთ. კერძოდ, თავდაცვითი კედლები, აკროპოლისი, კრამიტით გადახურული და თლილი ქვით ნაგები საზოგადოებრივი და საკულტო შენობები, აბანოები. არქეოლოგების მრავალწლიანი ძალისხმევით ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროების კოლხეთი და იბერია გამოჩნდა როგორც რეალობა თავისი სახელმწიფოებრიობით, განვითარებული მიწათმოქმედებით, ქალაქებით, მრავალმხრივი ხელოსნური წარმოებით, საომარი იარაღებით, თავისებური კერამიკით, ტორევტიკით, ოქრომჭედლობით, არქიტექტურით, მონეტებით და სხვ. [7, გვ 124-283; 10; 11; 15].

ზემოთ ნახსენები არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე არტეფაქტები ძირითად წყაროდ იქცა საქართველოს ისტორიის ისეთი პირველხარისხოვანი სამეცნიერო საკითხების შესწავლისას, როგორიცაა კლასიკური პერიოდის საქართველოს საზოგადოების სტრატიფიკაცია, სამოსახლოების და ქალაქების ტოპოლოგიურ-ფუნქციური კლასიფიკაცია, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები გარე სამყაროსთან, ხელოსნური წარმოება, მიწათმოქმედება, ფულადი მიმოქცევა, იდეოლოგია, არქიტექტურა, ხელოვნების ნატიფი ნიმუშების კვლევა და სხვ.

საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები სხვა პერიოდის ძეგლებთან

შედარებით უფრო მრავალრიცხოვანია. ქართველმა არქეოლოგებმა შეისწავლეს ადრეშუა საუკუნეების ნაქალაქარები, ნასოფლარები, ციხესიმაგრეები, წარმოების ნაშთები, საკულტო ხუროთმოძღვრება, სანიტარული სისტემები და სხვ. მიმდინარეობს კონკრეტული არტეფაქტების კვლევა – კერამიკა, ლითონი, მინა, სამკაულები, შეიარაღება, ნუმიზმატიკური მასალა და სხვ. გასული საუკუნის 60-70-იან წლებიდან მოყოლებული ფართო საველე კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს შუასაუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე: თბილისში, რუსთავში, უჯარმაში, ვარდციხეში, ჟინვალში, სოფ. კაზრეთში, სოფ. მთისძირში (ვანის რ-ნი), ბალიჭში, დმანისში, ახალქალაქში (ჯავახეთის), გავაზში, თელავში, ფოთში (პალიასტომის ტბასთან) და სხვ. [6].

საქართველოს არქეოლოგთა ყველა თაობის წვლილი და დამსახურებაა დღევანდელი ქართველოლოგიის ერთ-ერთი მიმართულების – საქართველოს არქეოლოგიის, კერძოდ, კლასიკური და შუა საუკუნეების – საყოველთაოდ ცნობილი წარმატებები. ამ წარმატებების თვალნათელი მოწმობაა რამდენიმე ათასი სამეცნიერო სტატია და წიგნი-მონოგრაფია, რომლებიც ქართველმა არქეოლოგებმა გამოაქვეყნეს (დაწვრილებით იხ. ბიბლიოგრაფიები – [1; 3, გვ. 186-192; 14, გვ.275-312] და სხვ.).

ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის კლასიკური და შუა საუკუნეების სექტორის კვლევის ძირითადი ობიექტი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაა. კლასიკური და შუა საუკუნეების შემსწავლელ მეცნიერთა ერთობა, ადამიანური რესურსების, მათი სამეცნიერო პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და ისტორიული პროცესების მიმდინარეობის თანმიმდევრული, სისტემური კვლევის მეტ შესაძლებლობას ქმნის. კლასიკური და ადრეული შუა საუკუნეების ეპოქის არქეოლოგიის კვლევა მჭიდრო კავშირშია საისტორიო წერილობით წყაროსმცოდნეობასთან.

კლასიკური და მედიევური არქეოლოგიის კვლევა ისტორია-არქეოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ჩვენში ამ ეპოქის მეცნიერ-მკვლევარები საქართველოს ისტორიის და ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს წარმატებით ემსახურებიან. მეცნიერების განვითარების დღევანდელი მოთხოვნების გათვალისწინებით, უთუოდ, საჭიროა სხვა მოწინავე ქვეყნების ამ მიმართულების სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობის პირობებში ახლებური სამეცნიერო მიდგომების ფორმირება. კლასიკური და მედიევური პერიოდის საქართველოს არქეოლოგია უნდა წარმოჩნდეს მსოფლიოში ამ მიმართულების მოწინავე კვლევის კონტექსტში.

კლასიკურ და შუა საუკუნეების შემსწავლელ მეცნიერ თანამშრომელთა ძალისხმევა იმთავითვე აღინიშნა მნიშვნელოვანი აღმოჩენებით არქეოლოგიაში, რაც საზოგადოებრიობისათვის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო სტატიების და ფუნდამენტური მონოგრაფიების სახით იყო მიწოდებული. ინსტიტუტის ექსპედიციები ახორციელებენ არქეოლოგიური ძეგლების საველე-არქეოლოგიურ კვლევას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. აღმოჩენილი და შესწავლილია მრავალი არქეოლოგიური ძეგლი.

საქართველოში მიმდინარე დიდი სტრუქტურული, საკანონმდებლო ცვლილება-რეფორმების პირობებში, შესაძლებელია ათწლეულების განმავლობაში მიღწეული წარმატებების ბაზაზე, ახლებური, თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისი ამოცანების დასახვა. არქეოლოგიის ინსტიტუტის უმთავრესი დანიშნულებაა განახორციელოს საქართველოს არქეოლოგიის დარგში ფუნდამენტური ხასიათის სამეცნიერო, თეორიული და საველე კვლევა-ძიებანი, რაც საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის ფაქტობრივ წყაროთმცოდნეობით მონაცემთა ბაზას ქმნის. კლასიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგიის სექტორმა, უნდა შეასრულოს არქეოლოგიურ ძეგლთა ექსპერტიზა; საველე-არქეოლოგიური კვლევა აწარმოოს საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე არქეოლოგიურ ძეგლებზე; შექმნას საქართველოში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლთა ნუსხა (ელექტრონული ვერსია); მოამზადოს სამეცნიერო კადრები (კერძოდ, მაგისტრანტები და დოქტორანტები); მეცნიერულ საექსპერტო კონსულტაციები გაუწიოს საქართველოს ხელისუფლებას არქეოლოგიის შესახებ საინფორმაციო მიმართულებით; გამოსცეს და ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში შეიტანოს საქართველოს კლასიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგიის ძველი და ახლად

გამოვლენილი ძეგლები; ჩაატაროს თემატური კონფერენციები და საველე მეთოდიკის სემინარები, თრეინინგები; შექმნას საქართველოს კლასიკური და მედიევური ეპოქის არქეოლოგიის სახელმძღვანელოები, საცნობარო და პოპულარული ლიტერატურა, საველე-მეთოდური ინსტრუქციები და ტოპოარქეოლოგიური რუკები.

კლასიკური და მედიევური არქეოლოგიის სექტორში, უნდა გაგრძელდეს ცალკეული არქეოლოგიური არტეფაქტების კომპლექსური შესწავლა. კერძოდ, კერამიკის, ოქროსა და ვერცხლის სამკაულების, ტორევტიკის ნიმუშების, მინის ნაწარმის, შეიარაღების, სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების, გლიპტიკური, ნუმიზმატიკური და სხვა ნიმუშების კვლევა.

არქეოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს კლასიკურ და მედიევურ პერიოდში მომუშავე მეცნიერ თანამშრომელთა სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიზანი და საგანია:

1. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი კლასიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლთა სტატისტიკურ-ტიპოლოგიური კლასიფიკაცია.

2. არქეოლოგიურ არტეფაქტთა ტიპოლოგიური შესწავლა.

3. ბიოგეოგარემო (ფლორა, ფაუნა, კლიმატი, ზღვის ტრანსგრესია და სხვ.) კლასიკურ და ადრემედიევურ საუკუნეებში არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.

4. პოლიტოგენეზი – საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება-განვითარების საკითხები არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.

5. საქართველოს ტერიტორიაზე კლასიკური და მედიევური ეპოქის სოციალური სტრატიფიკაციის კვლევა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.

6. ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდების გამოყენება კლასიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალის ინტერპრეტაციისათვის.

7. საქართველოს კლასიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების კარტოგრაფირება და ზუსტი კოორდინატების განსაზღვრა.

8. სამარხთა აღნაგობის, ტიპის, სამარხეული კომპლექსების ანალიზის; დაკრძალვის წესის და რიტუალის კვლევა კლასიკური და ადრეშუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.

9. ურბანიზმის გენეზისის პრობლემების კვლევა.

10. კლასიკური და შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურების კვლევა არქეოლოგიური თვალთახედვით.

11. ხელოსნური წარმოების კვლევა; ლითონის, კერამიკის, მინის, ქსოვილის, ტყავის საწარმოები.

12. ვაჭრობის ხასიათის; გზების, ხიდების, გადასასვლელების, საზღვაო და სამდინარო გზების, სატრანზიტო მაგისტრალის კვლევა.

13. სატრანსპორტო საშუალებების კვლევა (სახმელეთო, საზღვაო, სამდინარო და სხვ.).

14. სამონეტო მიმოქცევის და ვაჭრობის კვლევა.

15. დემოგრაფიული სიტუაცია და მოსახლეობის მიგრაციის კვლევა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.

16. სამოსახლოთა განლაგების ხასიათი და ტიპი.

17. ნაგებობათა მორფოლოგია და გეგმარების თავისებურებები.

18. სამშენებლო მასალების (ქვა, ხე, ალიზი, აგური, კრამიტი) და მშენებლობის ტექნიკის კვლევა.

19. რელიეფის მიხედვით სამოსახლოთა შედარებითი ანალიზი.

20. კლასიკური და შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების გეგმარების და არქიტექტურის კვლევა.

21. კლასიკური და შუა საუკუნეების სამეურნეო იარაღების კვლევა.

22. მცირე პლასტიკის კვლევა.

23. კლასიკური და ადრეშუა საუკუნეების ადგილობრივი და უცხოური ტარის (ამფორების) ტიპოლოგიური კვლევა.

24. კლასიკური საუკუნეების ტორევტიკის კვლევა.

25. კლასიკური საუკუნეების ტერაკოტების ნიმუშების კვლევა.

26. შავლაკიანი და წითელლაკიანი კერამიკის კვლევა.

27. გლიპტიკური მონაცემების კვლევა.

28. სამკაულების კვლევა.

29. იბერია-კოლხეთის ურთიერთობების კვლევა ანტიკურ და ირანულ სამყაროსთან

(ბერძნული, აქემენიდური, პონტოს, ბოსფორის, ალბანური, პართული, რომაული, სასანური და სხვ.).

30. საქართველოში აღმოჩენილი კლასიკური და შუა საუკუნეების უცხოური ნაწარმის კვლევა.

31. იბერია-კოლხეთი მახლობელი აღმოსავლეთის და კავკასიის არქეოლოგიურ კულტურათა სისტემაში.

32. მატერიალური კულტურის განვითარების დინამიკა კლასიკური და ადრეშუა საუკუნეების საქართველოში.

33. ქალაქის ეკონომიკური რადიაციის დონე სასოფლო დასახლებებთან მიმართებაში.

34. სარწყავი სისტემების კვლევა.

35. ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ურთიერთობების კვლევა გარე სამყაროსთან (ბიზანტია, ირანი, მახლობელი აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი, ევროპა).

36. შეიარაღებისა და საფორტიფიკაციო ნაგებობების არქეოლოგიური კვლევა.

37. ქალაქისა და სოფლის თავდაცვითი სისტემების ურთიერთმიმართებითი კვლევა.

38. ქრისტიანული კულტურის გენეზისი საქართველოში არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.

39. ქრისტიანული პერიოდის არქეოლოგიური მონაცემები საქართველოში.

40. წერილობითი წყაროების და არქეოლოგიური მონაცემების ურთიერთშეჯერება.

41. კლასიკური საუკუნეების საქართველოს საკრალური ნაგებობების და არტეფაქტების კვლევა.

ძირითადად ამ, და კიდევ სხვა, საკვლევი საკითხების მიხედვით კლასიკური და შუა საუკუნეების სექტორში მუშავდება მოცემული ეპოქის საქართველოს არქეოლოგიის კარდინალური პრობლემები. იმისთვის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემატიკა მაღალ მეცნიერულ დონეზე იყოს შესწავლილი საჭიროა თანამედროვე მეთოდოლოგიით მიმდინარე კვლევები.

მოწინავე მეთოდოლოგიის მიხედვით არტეფაქტები შეიცავენ მონაცემებს ზოგადად ძველი საზოგადოებების, ამ შემთხვევაში კლასიკურ-ადრემედიევური პერიოდის სოციუმების და კულტურულ-ეკონომიკური სისტემების შესახებ. არქეოლოგიური მონაცემების დედუქციური მეთოდით გაშიფრვა და გარკვეული ჰიპოთეზური მოსაზრებები წარმატებული კვლევის საწინდარია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სხვადასხვა ქრონოლოგიური მონაკვეთის კულტურულ ფენას მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური მახასიათებლები გააჩნია. მეცნიერ-არქეოლოგმა უნდა გაარკვიოს ესა თუ ის არტეფაქტი ან არტეფაქტთა კომპლექსი როგორ აღმოჩნდა ამ კულტურულ ფენაში და როგორი იყო წინათ მისი ფუნქცია საერთო კონტექსტში. საერთო ერთიანი სურათის შესაქმნელად მნიშვნელოვანია სინქრონული ძეგლების, გარკვეული ისტორიულ-კულტურული არეალების მიხედვით ერთობლივი არქეოლოგიური შესწავლა. მთელი არქეოლოგიური მონაცემები, წინასწარ, გარკვეული კითხვარის მიხედვით, უნდა მომზადდეს სტატისტიკურ-ტიპოლოგიური და სისტემურ-სტრუქტურული ანალიზისათვის. ეს შემდეგ, გაცილებით გააადვილებს, არქეოლოგიური კვლევის მთავარი მიზნის, მატერიალურ მონაცემებში ასახული ისტორიულ-კულტურული პროცესების კანონზომიერებათა რეკონსტრუქციას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არქეოლოგიური მონაცემების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მეთოდით ანალიზს და სისტემურ, თანმიმდევრულ აღწერას, რაც აპრობირებულია მოწინავე არქეოლოგიურ დაწესებულებებში და ნაწილობრივ ჩვენთანაც იყენებენ. ამ მეთოდიკაზე უნდა მოხდეს მთლიანად გადასვლა [12]. არტეფაქტების აღწერისას საჭიროა: 1. არტეფაქტის ზუსტი კოორდინატი და საერთო ტოპოგრაფია. 2. არტეფაქტების ორიენტაცია ანუ მათი აღწერა მუდამ ერთნაირი პოზიციიდან; ზომების, გეომეტრიული ფორმების, შემკულობის პლანიმეტრიის, კოლორიმეტრით განსაზღვრული ფერის, მორფოლოგიური მახასიათებლის, გაკეთების ტექნოლოგიის, დაცულობის და სხვ. მონაცემები. 3. არტეფაქტის დიფერენციაცია ანუ ცალკეული სეგმენტის ცალკე კლასიფიკაცია. 4. მომდევნო ეტაპზე განისაზღვრება – არტეფაქტების ტიპოლოგიური ევოლუცია; სინქრონული ტიპოლოგიური ჯგუფები; არტეფაქტების კულტურულ ფენასთან მიმართება; არტეფაქტების ტიპოლოგიის მიხედვით ცალკეული ტოპოარქეოლოგიური არეალების გამოყოფა და სხვ.

სექტორის მეცნიერ-თანამშრომელთა ძალისხმევის მოსალოდნელი შედეგი იქნება კლასიკური და მედიევური პერიოდის საქართველოს არქეოლოგიის მრავალტომეულის, საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლთა ნუსხის, საქართველოს არქეოლოგიური ატლასის, ბიბლიოგრაფიული ცნობარების, არქეოლოგიური არტეფაქტების ელექტრონული საძიებო სისტემების შექმნა; „ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონის" შედგენა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინტერდისციპლინარულ ლაბორატორიასთან ურთიერთთანამშრომლობას.

არქეოლოგიური ექსპედიციები განახორციელებენ პროგრამულ საველე-არქეოლოგიურ კვლევას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რათა აღმოაჩინონ და შეისწავლონ ახალი არქეოლოგიური ძეგლები – სამოსახლოები, საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობები, სამაროვნები, მეტალურგიული და კერამიკული წარმოების კერები, ხელოვნების უნიკალური ნიმუშები. მომავალში უნდა შემუშავდეს კლასიკური და მედიევური საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლთა კვლევა-ძიების ახალი ვრცელი პროგრამა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალშენებლობებზე საველე-გადარჩენით სამუშაოებს.

იმისათვის, რათა არქეოლოგიის ინსტიტუტში ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი, ფუნდამენტური შესასწავლი პრობლემატიკის მიზანმიმართული კვლევა განხორციელდეს, საჭიროა კლასიკური და შუა საუკუნეების სექტორში დაინერგოს სამეცნიერო მართვის ახალი, მოწინავე სამეცნიერო დაწესებულებებში აპრობირებული სტილი, რათა სრულად იყოს გამოყენებული ინტელექტუალური რესურსები. შესაბამისი სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირება გულისხმობს კარგად ორგანიზებულ, დაკისრებულ სამეცნიერო მიზანამოცანათა სრულფასოვან განხორციელებაზე ორიენტირებულ ქმედებებს, როდესაც დაცულია ახალი სამეცნიერო იდეების გენერირების, განხორციელების და ანგარიშვალდებულების პრინციპები.

ოთ. ღლონტიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო განიხილავს და განსაზღვრავს დაწესებულების სამეცნიერო მიზნებს. აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რომ კლასიკური და შუა საუკუნეების სექტორში შეიქმნას კონკურენტუნარიანი გარემო საუკეთესო პროექტების და ახალი იდეების განსახორციელებლად.

სამეცნიერო სექტორის მთავარი და უფროსი მეცნიერთანამშრომლები განიხილავენ და განსაზღვრავენ სამეცნიერო კვლევით პროგრამებს; საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების პროგრამებს; სექტორის სამეცნიერო ნაშრომების გამოცემის რეკომენდირების საკითხებს; სახელმწიფო, უცხოეთის და სხვა ფონდებში წარსადგენ პროგრამებს და პროექტებს; საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთობლივ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმებს; კლასიკურ და შუა საუკუნეების არქეოლოგიაში მეცნიერთა ახალი კადრების მომზადების (მაგისტრატურის, დოქტორანტურის) საკითხებს და სხვ.

ინსტიტუტის მოცემული სექტორის მეცნიერ თანამშრომელთა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამეცნიერო საქმიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა დაწესებულების ადმინისტრაციასთან მჭიდრო, კოლეგიალური თანამშრომლობა. კერძოდ, კერამიკის რესტავრაციის, სამხატვრო-არქიტექტურული და კარტოგრაფიაგეოდეზისტური შესწავლის, არქეოლოგიური ფონდების და კამერალური სამუშაოების, ფოტოგრაფიულ სამუშაოთა წარმოების ორგანიზებაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას (კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვას და სხვ.) და მეცნიერ-თანამშრომელთათვის სამუშაო ადგილზე კომფორტული გარემოს უზრუნველყოფას. ავგრეთვე საველე ექსპედიციებისათვის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მოპოვებას, რაც შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ადგილობრივი და უცხოური ფონდებიდან. მეცნიერ თანამშრომელს უნდა ჰქონდეს მუდმივი კონტაქტები უცხოელ სპეციალისტებთან, რომლებსაც გამოცდილება აქვთ არქეოლოგიური მემკვიდრეობის შესწავლა-მართვის საქმიანობაში.

სექტორში უნდა შემუშავდეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მეცნიერ თანამშრომელთა ვალდებულებების ნათლად გაწერილი განაწესი. ამისათვის უნდა დაინერგოს სექტორის თანამშრომელთა და ადმინისტრაციის კოორდინაციის მართვის ეფექტიანობის პრინციპები.

სექტორის საექსპედიციო საქმიანობისათვის უნდა მოვიზიდოთ თანხები სახელმწიფო, არასამთავრობო და უცხოური ფონდებიდან. მეცნიერული კვლევების დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს – სახ. ბიუჯეტიდან გამოყოფილი, კონკრეტული პროექტების და პროგრამების დასაფინანსებელი სახსრები; სახელშეკრულებო საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლები; კონკრეტული პროექტებისათვის სხვადასხვა ფონდებიდან მიღებული გრანტები; საგამომცემლო საქმიანობის (მათ შორის საცნობარო და სამეცნიერო-პოპულარული) შედეგად მოპოვებული სახსრები და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა, ნიჭიერი, პერსპექტიული სამეცნიერო კადრების მოზიდვას და მათ პროფესიულ აღზრდას.

ამგვარად, ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტში, სამეცნიერო-სტრუქტურული რეფორმის შედეგად, კლასიკური და შუა საუკუნეების სექტორში უნდა შეიქმნას არსებული სამეცნიერო პოტენციალის ეფექტური ამოქმედების პირობები. სამეცნიერო თემატიკის პრიორიტეტულობის პრინციპის გათვალისწინებით დაგეგმვა, პროგრამული ჯგუფების შექმნა, ახალი იდეების გენერაცია, რეგულარული კონტაქტები მსოფლიოს მოწინავე სამეცნიერო ცენტრებთან, თანამედროვე მოთხოვნების და ინოვაციების დროულად დანერგვა დასახული ამოცანების განხორციელებას მაქსიმალურად შეუწყობს ხელს. ამგვარია, საქართველოს კლასიკური და მედიევური პერიოდის არქეოლოგიის სექტორის სამოქმედო პროგრამის ძირითადი მონახაზი.

ლიტერატურა:

1. **არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოგრაფია** 1977-1996, (რედ. დ. კაჭარავა), თბ., 1997.
2. **ბაქრაძე დ.**, ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889.
3. **ბიბლიოგრაფია 1990-2002,** კრებ. **იბერია-კოლხეთი**, № 1, აკც-ს გამოცემა, თბ., 2003, გვ. 186- 192.
4. **გამყრელიძე გ.** კოლხეთი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), გამომც. „ლოგოსი", თბ., 2002.
5. **გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ.** ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (ანტიკური პერიოდი), გამომც. „არტანუჯი", თბ., 2005.
6. **ლომთათიძე გ.** საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I- XII სს., თბ., 1977.
7. **ლორთქიფანიძე ოთ.** ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.
8. **თაყაიშვილი ექ.** რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968.
9. **საქართველოს არქეოლოგია**, ტ. I, თბ., 1991. გვ. 12- 45.
10. **Гамкрелидзе Г.** К археологи долины Фасиса, изд. АНГ "Мецниереба", Тб., 1992.
11. **Braund D.** Georgia in Antiquity 550 BC – AD 562., Clarendon press, Oxford, 1994.
12. **Gardin J.-Claude,** Une Archeologie Theorique, Cambridge University Press, 1979.
13. **Journal of Georgian Archaeology,** Centre for Archaeological Studies press, Tb., 2004, №1, pp. 208- 217.
14. **Kacharava D.,** Georgian Archaeological Literature in 1976-1980, Dialogues d'historie ancienne, Paris, 1980, №13 , pp. 275-312.
15. **Lordkipanidze O.** Archäologie in Georgien von der Altsteinzeit bis zum Mittelalter, Weinheim, 1991.

ზურაბ ბრაგვაძე

კლასიკური ხანის ყვირილის ხეობის არქეოლოგიურ კულტურათა ურთიერთობის ისტორიიდან

ყვირილის ხეობა მოიცავს დღევანდელი იმერეთის მნიშვნელოვან ტერიტორიას. არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც სათაურში დასმული პრობლემის გადაწყვეტაში დაგვეხმარებოდა, უფრო ხელშესახებად ჭიათურა-საჩხერის რაიონებშია გამოვლენილი და ამიტომაც აღნიშნული საკითხის ირგვლივ სწორედ ამ ძეგლების მონაცემებითა და მათი მეცნიერული შესწავლის შედეგებით ვიმსჯელებთ.

ყვირილის ხეობის (და ზოგადად აღმოსავლეთ კოლხეთის) მოსახლეობის ეთნოკულტურის პრობლემის გარკვევა რთული საკითხების შეხება–გადაწყვეტას მოითხოვს. ამ რეგიონის ანტიკური პერიოდის ისტორიის შესახებ არც თანადროული წერილობითი წყაროები მოგვეპოვება და გვიანდელი ხანის ქართულ ნარატიულ ძეგლებში (მხედველობაში მაქვს ლეონტი მროველი, ჯუანშერი და „მატიანე ქართლისა") შემონახული ცნობებიც იმდენად მწირია, რომ თითქმის არაფერს გვეუბნება ჩვენთვის საინტერესო პრობლემასთან დაკავშირებით. ამიტომ ისევ და ისევ არქეოლოგია რჩება ერთადერთ ამოსავლად, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური ძეგლების კვლევა ზოგჯერ მაინც ვერ სცილდება ემპირიულ დონეს და აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, ამა თუ იმ არქეოლოგიური კულტურისა თუ ძეგლის შემქმნელი ხალხის ვინაობა საერთოდ უცნობი რჩება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური კვლევა ზოგჯერ ხარკს უხდის დამკვიდრებულ სტერეოტიპურ შეხედულებებს, რასაც, ბუნებრივია, სასურველ შედეგამდე ვერ მივყევართ. თუმცა, ეს გარემოება არც მოულოდნელია და არც, მით უმეტეს გასაკვირი, რადგან, როგორც უკვე ითქვა, თანადროული, თუნდაც მერმინდელი წერილობითი წყაროების სიმწირე საშუალებას არ იძლევა, მხოლოდ არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით დაისვას და გადაიჭრას ისეთი ურთულესი საკითხი, როგორიც არქეოლოგიური კულტურის შემქმნელი ხალხის წარმომავლობისა და ვინაობის პრობლემის გარკვევაა. თუმცა, ყვირილის ხეობის უძველესი ისტორიის სფეროში ყამირი, ასე თუ ისე, გატეხილია, რადგან მოგვეპოვება რამდენიმე ნაშრომი (იხ. ქვემოთ), რომელთა ერთ მთლიანობაში განზოგადება მოგვცემდა საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას.

არქეოლოგიური აღმოჩენებით დადგენილია, რომ ძვ.წ. III ათასწლეულიდან ყვირილის ხეობა ექცევა ადრე ბრინჯაოს კულტურის გავრცელების არეალში. საჩხერის ტერიტორიაზე აღმოჩენილია როგორც ამ კულტურისათვის დამახასიათებელი სამარხეული კომპლექსები [2, გვ. 20-28], ასევე – ნამოსახლარი ფენები [1, გვ. 15-23]. როგორც ცნობილია, ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურა მოიცავს საკმაოდ დიდ გეოგრაფიულ სივრცეს [8, გვ. 104–136], ამიტომ მისი შემქმნელი ხალხის ვინაობა დღემდე ბოლომდე დადგენილი არ არის. თუმცა, არის მცდელობა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურის ფორმირების პროცესში ხურიტულ, ინდოევროპულ და ნახურ ტომებთან ერთად მონაწილეობდნენ ქართველური ტომებიც [8, გვ. 136]. მაგრამ რომელი მათგანი ასრულებდა უპირატეს როლს, ეს კითხვა მაინც ბევრ საკამათო საკითხს ბადებს. რა თქმა უნდა, ძნელია ადრე ბრინჯაოს ხანაში ქართველთა დიფერენცირებულ ეთნიკურ კუთვნილებაზე მსჯელობა, მაგრამ ის კი ნათელი უნდა იყოს, რომ უკვე ამ დროიდან ქართული ტომები გამოირჩევიან საკმაო აქტიურობით და როგორც ჩანს, ითვისებენ დღევანდელი გაგებით არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალს.

ამჟამინდელი დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონში ძვ.წ. II ათასწლეულში დასავლურქართული კულტურისა და შესაბამისად, დასავლურქართველური გავლენაც მოკრძალებულია, ან საერთოდ არ ჩანს. ანალოგიური ვითარება გრძელდება გვიან ბრინჯაოს ხანის საწყის ეტაპზეც. მოდინახეს არქეოლოგიური ძეგლების ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რომ ძვ.წ. XVI–XV

საუკუნეებში ყვირილის ხეობა მოქცეული იყო აღმოსავლურქართული კულტურის გავრცელების სფეროში და დასავლეთიდან მომდინარე იმპულსები იმდენად სუსტი იყო, რომ ვერ აღწევდა აღნიშნულ რეგიონამდე. ამიტომ ამ პერიოდში ყვირილის ხეობა არ გვევლინება აღმოსავლური და დასავლურქართული კულტურების თანხვედრის ზონად და ასეთი რეგიონი მის დასავლეთითაა საძიებელი [6, გვ. 19–20].

ეს ვითარება გრძელდება თითქმის ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულამდე. როგორც შენიშნულია, გვიან ბრინჯაოს ხანის პირველ ეტაპზეც (ძვ.წ. XV–XII სს.) ეს რეგიონი კვლავ რჩება აღმოსავლურქართული კულტურის გავრცელების არეალში და მოდინახესა და ჯიეთის არქეოლოგიურ მასალაში არსებული სხვადასხვა იმპულსები ახალი ეთნოკულტურული ნაკადის ინფილტრაციის შედეგი უნდა იყოს [6, გვ. 19].

ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულიდან ჯიეთისა და მოდინახეს არქეოლოგიურ მასალაში ახალი იმპულსების გამოჩენას უკავშირებენ დასავლურქართული კულტურის გაძლიერებას, რადგან უკვე ძვ.წ. XI ს-დან ყვირილის ხეობის არქეოლოგიურ მონაპოვარში საკმაოდ ჩნდება ამ არქეოლოგიური კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რაც იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ამ პერიოდისთვის ეს რეგიონი გადაიქცა აღმოსავლურ და დასავლურქართული კულტურების შეხვედრისა და შერწყმის ზონად, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოს დაბლობიდან ცალკეული ჯგუფების მიგრაციით აღმოსავლეთის მიმართულებით [5, გვ. 23-24] და სწორედ ამ ვითარებას უნდა გამოეწვია კოლხური კულტურის დამკვიდრებაც ზემო იმერეთში. თუმცა, ძვ.წ. VIII-VII სს-ში აქ კვლავ ძლიერდება აღმოსავლურქართული ნაკადი [6, გვ. 26].

ყვირილის ხეობაში კოლხური კულტურის ელემენტების შემოტანა და დამკვიდრება არ უნდა იყოს იმის მომასწავებელი, რომ ეს კუთხე ეთნოკულტურული თვალსაზრისით ძირფესვიანად შეიცვალა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში არსებით როლს ასრულებდა პოლიტიკური მომენტიც. კოლხური კულტურის აღმავლობისა და კოლხეთის სახელმწიფოებრიობის ძლიერების ხანაში ეს მხარე მოექცა როგორც ამ კულტურის, ასევე – ამ სახელმწიფოს გავლენის არეალში. მაგრამ ეს მომენტი არ უნდა ნიშნავდეს იმას, თითქოს აქ მოხდა რაღაც დიდი ეთნოკულტურული ცვლილებები. თუმცა, ძვ.წ. I ათასწლეულის არქეოლოგიური მასალა საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ როგორც შერეული კულტურის, ასევე შერეული ეთნოსის არსებობაზეც. ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს მხარის ტოპონიმური მონაცემებიც. ყვირილის ხეობაში დღემდეა შემორჩენილი ისეთი ტოპონიმები, რომლებიც კარგად წარმოაჩენს აღმოსავლური და დასავლურქართული სინთეზის დანაშრევს (არგვეთი, საჩხერე, ჩიხა, კაცხი და სხვ.), მაგრამ ერთი შეხედვით განსხვავებულ სიტუაციას ადასტურებს ამ კუთხის ჰიდრონომიკა, რომლის მონაცემებიც იმ რეალობას უჭერს მხარს, რომ ეს რეგიონი მეტ სიახლოვეს უფრო აღმოსავლურქართულ (საკუთრივ ქართლურ) სიტუაციასთან იჩენს, რადგან ქართლიც (განსაკუთრებით შიდა ქართლი) და ზემო იმერეთიც ფრონეების მხარეა. თუმცა, შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში და კერძოდ, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში" დამკვიდრებული იყო შეხედულება, რომლის თანახმადაც, დასავლეთ საქართველოს ეს რეგიონი უძველესი დროიდანვე ეგროსის წილხვედრ მიწა-წყლად ითვლებოდა და შესაბამისად, დასახლებული უნდა ყოფილიყო მეგრელთა ეთნარქის, ეგროსის შთამომავლებით. ბუნებრივია, ლეონტი მროველთან ეგროსის წილი ქვეყანა გულისხმობს რაღაც პოლიტიკურ გაერთიანებას, თავისი ცალკე - ეთნოკულტურით. თითქოს ამასვე ადასტურებს სახელწოდება „მარგვეთიც". ეს ვითარება შეიძლება იყოს იმის პირდაპირი მოწმობა, რომ ეს მიწა დასავლურქართულ ეთნოკულტურულ წრეში ერთიანდებოდა. მაგრამ როდიდან როდემდე? როგორც ვნახეთ, არქეოლოგიურად, იგი ასეთ არ ჩანს ძვ.წ. II ათასწლეულში. საერთო ქართველური ერთობის დაშლის პერიოდიდან ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლომდე აქ აღმოსავლურქართული კულტურა დომინანტობს თავისი ეთნოფსიქოლოგიური გარემოთი. სავარაუდოა, რომ ამ მხარის აღმნიშვნელ სახელწოდებად **მარგვეთი** უნდა გაჩენილიყო ძვ.წ. I ათასწლეულის საწყის ხანაში, როცა ეს რეგიონი მოექცა დასავლურქართული კულტურის გავრცელების არეალში. მაგრამ იგივე ლეონტი მროველის თანახმად, ეს ტერიტორია ეგროსის კუთვნილად საკმაოდ ძველი დროიდანვე, ჯერ კიდევ მითიური თარგამოსის დროიდან განიხილება. ლეონტის გადმოცემით, თარგამოსმა „ეგროსს მისცა ქვეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი, აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვიან ლიხი. დასავლით ზღუა, (ჩრდილოთ) მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწოუების წუერი კავკასიისა" [7, გვ. 5]. ე.ი. მთელი დასავლეთ საქართველო ლიხის ქედიდან შავ ზღვამდე ფაქტიურად ეგროსის გამგებლობაში მოექცა. სხვათა შორის, ლეონტი მროველის თხზულების მიხედვით, ქართლოსის წილხვედრი ქვეყნის დასავლეთი საზღვარი ლიხის მთაზე გადის და ამ მხრივ ეგროსისა და ქართლოსის წილი მიწა-წყალი ერთმანეთს ესაზღვრება. ასე რომ, ამ წყაროს მიხედვით ქართლოსისა და ეგროსის წილი ქვეყნები სხვადასხვაა. მაგრამ უკვე ქართლოსის ძემ, მცხეთოსმა „დაიპყრა ქვეყანა ტფილისითგან და არაგვითგან დასავლით ვიფრე ზღუამდე სპერისა" [7, გვ. 9]. ხომ არ შეიძლება ეს ცნობა იყოს აღმოსავლურქართულის დასავლეთით გავლენის გავრცობის რეალური გამოძახილი? მით უფრო, რომ მცხეთოსის შემდგომაც სპერის ზღვა ქართლოსიანთა განკარგულებაშია და აქედან გამომდინარე, ეგროსის წილი მიწა-წყლის რაღაც ნაწილი მათ ხელშია [7, გვ. 9].

ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, ფარნავაზის მოღვაწეობის პერიოდში ეგრისის ორ საერისთაოდ გაყოფა ეთნო-ტერიტორიული წარმონაქმნობის პრინციპის დადასტურებაა. შიდა ეგრისი ტომობრივად განსხვავდებოდა არგვეთისაგან. მკვლევარი აქვე შენიშნავდა, რომ საერისთაოთა წარმოქმნას საფუძვლად ედო უფრო მტკიცე პრინციპი, ვიდრე ტერიტორიული მომენტი და ამიტომ შემოინახეს თავი ამ საერისთაოებმა ასე მყარად და ფარნავაზის და ვახტანგ გორგასლის დროსაც არსებობდნენ ერთსა და იმავე საზღვრებში [3, გვ. 152]. ყოველ შემთხვევაში, „ქართლის ცხოვრების" ტრადიციით ასე ჩანს. ძნელია, არ გავიზიაროთ ეს მოსაზრება. ტერიტორიულზე მნიშვნელოვან გარემოებად ამ შემთხვევაში უნდა გვევლინებოდეს ეთნო მომენტი. ამასვე ადასტურებს აღმოსავლეთ და შიდა ეგრისის არქეოლოგიური მონაცემებიც. ჩემს მიერ ადრე გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ აღმოსავლურქართული ნაკადის მომძლავრება აღმოსავლეთ კოლხეთში (ყვირილის ხეობაში) უნდა ახსნილიყო ამ მხარის ქართიზაციით, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა ძვ.წ. III-I სს-ში [2, გვ. 135–145]. ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით, დასავლეთ საქართველოს ქართიზაციის პრობლემა ფრიად მნიშვნელოვან საკითხთა რიგს მიეკუთვნება. არქეოლოგიური თუ ისტორიულ-ტოპონიმიკური მონაცემები და წერილობითი ცნობები თითქოს თანხმობით მოწმობენ, რომ გარკვეულ დროს (შუა და გვიან ბრინჯაოს ხანაში) აწინდელი ტაო-კლარჯეთის, სამცხისა და თვით შიდა ქართლის დიდი (დასავლეთი) ნაწილი წარმოადგენდა მეგრულ-ჭანური ტომების საცხოვრისს, აღმოსავლურ ქართული ტომების გვერდით. ბრინჯაოს ხანის ტომების ნარევობა ამ ადგილებში, რაც მეტნაკლები ინტენსივობით შეინიშნება, შედეგია არა ქვეყნობით გამიჯნული ტომების კულტურული ურთიერთობებისა, როგორც ეს დღემდე მეცნიერულ დებულებად ითვლება, არამედ ამ ტომთა (დასავლურ და აღმოსავლურ) ერთ ტერიტორიაზე თანაცხოვრებისა და ბრძოლისა [3, გვ. 366–367].

ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლების ბოლოდროინდელი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგების გათვალისწინებით, შეიძლებოდა იბერიიზაციის პარალელურად დაგვეყენებინა შედარებით ადრინდელ ხანაში (ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან) ამ ტერიტორიების კოლხიზაციის საკითხიც. ვფიქრობ, რომ ამ პრობლემაზე მსჯელობა მიზანშეწონილი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, არქეოლოგიური მონაცემებით აშკარად ჩანს, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან დასავლურქართული (კოლხური) კულტურა წამყვან პოზიციებს იკავებს და კოლხური (მეგრულ-ჭანური) სწორედ ამ პერიოდიდან იკვლევს აქ გზას, მაგრამ მაინც ვერ ახერხებს ამ რეგიონის „გაკოლხებას". თუმცა, ძვ.წ. VI-IV სს-ში ის აქ თითქოს მყარად ჯდება (ითხვისი და საირხეც რაღაც ამდაგვარზე უნდა მიანიშნებდეს), მაგრამ საბოლოო ჯამში აღმოსავლურქართული ნაკადი უფრო მძლავრი აღმოჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში ეს მიწა-წყალი დასავლურქართული სახელმწიფოს ფარგლებში იყო მოქცეული, რეგიონის შიგნით წარმართველი ძალა, მაინც ადგილობრივ, ძირძველ აღმოსავლურქართულ ეთნიკურ ერთობას უნდა ჰქონოდა.

სხვათაშორის, სახელწოდებაც **მარგვეთი** სწორედ ზემოთთქმულის დასტური უნდა იყოს, რადგან ეს ტოპონიმი კარგად წარმოაჩენს დასავლურქართული ერთობის სწრაფვას აღმოსავლეთ კოლხეთის (ყვირილის ხეობის) „კოლხიზაციისკენ". ამდენად, დასავლეთ საქართველოს ქართიზაცია, რა თქმა უნდა, რეალური მოვლენაა, მაგრამ აღმოსავლეთ კოლხეთში (ყვირილის ხეობაში) ეს პროცესი არ უნდა ყოფილიყო ისეთი მძაფრი, როგორც - დასავლეთ საქართველოს შიდა ოლქებში. ეს გარემოება, ჩემი აზრით, გამოწვეული იყო საკუთრივ ეთნიკური გარემოებით, რადგან აღმოსავლეთ კოლხეთი ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულიდან წარმოადგენდა აღმოსავლურქართული კულტურის გავლენისა და შესაბამისად, აღმოსავლურქართული ერთობის საცხოვრისს, ამ მხარეს ქართიზაციის პროცესი, ცხადია, ისეთი დოზით ვერ შეეხებოდა, როგორც უფრო დასავლეთით მდებარე რაიონებს. აქ ისედაც საგრძნობი იყო აღმოსავლურქართული ნაკადის გავლენა (კოლხეთის სახელმწიფოსა და კოლხური კულტურის არეალში ყოფნის პერიოდშიც კი). სამწუხაროდ, დღემდე უცნობია და, ბუნებრივია, რომ კიდევ დიდხანს გაგრძელდება ეს გარემოება, რომ ჩვენ არ ვიცით ვინ იყო აქ მოსახლე აღმოსავლურქართული ეთნოსი. თუ ქართი არ იყო, მაშინ ცხადია, უფრო დამაჯერებელი იქნებოდა ქართიზაციის შესახებ მსჯელობა, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ქართიზაციის პროცესმა შიდა ეგრისი (გურია, ვაკე–იმერეთი) უფრო მძლავრად მოიცვა, ვიდრე, ყვირილის ხეობის ზემო წელი. თუმცა, ეს გარემოება მაინც არ გამორიცხავს ამ კუთხეში ქართიზაციის პროცესის არ არსებობას, რადგან ძვ.წ. III საუკუნიდან კოლხეთის სამეფოს დასუსტებისა და ქართლის (იბერიის) სამეფოს გაძლიერების პარალელურად, აქ ისევ ძლიერდება აღმოსავლურქართული კულტურისა და აღმოსავლურქართული სახელმწიფოს გავლენა. მაგრამ ის ახალი იმპულსები, რომლებიც ჩნდება IV ს-ის II ნახევრიდან [5, გვ. 74-85] (მოხატული კერამიკა, მსხლისებურკორპუსიანი კერამიკა თუ ინოვაციები ოქრომჭედლობაში) ახალია როგორც კოლხეთისთვის, ისე – საკუთრივ ქართლისთვისაც. ამიტომ მათი დაკავშირება ეთნიკური მიგრაციების პროცესთან, ალბათ, არ უნდა იყოს მთლად გამართლებული. ყოველშემთხვევაში, საკითხის ასეთი კუთხით წარმოჩენა, ბუნებრივია, გაძნელდება.

საერთოდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში, განსაკუთრებით არქეოლოგებს შორის, ხშირად ფიგურირებდა შეხედულებები იმის შესახებ, რომ საუკუნეთა მანძილზე კულტურათა ცვლილება მაინცადამაინც ეთნიკურ ცვლილებებს, ან ეთნიკურ მიგრაციებს დაკავშირებოდა. პრობლემისადმი ასეთი მიდგომა კი ბოლომდე ვერ ხსნიდა რეალურ ვითარებას და შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა საკუთრივ კულტურათა ტრანსფორმაცია–ტრანსმისიის საკითხებს. როგორც არქეოლოგიური მონაცემები ცხადჰყოფს, მიუხედავად ძვ.წ. II-I ათასწლეულის ყვირილის ხეობაში კულტურათა რამდენიმეგზის შეცვლა მაინც არ უნდა ყოფილიყო კულტურათა ძირფესვიანი ცვლილების აუცილებელი პირობა, რადგან მოსული ეთნოსი და შესაბამისად, მის მიერ მოტანილი კულტურა ისე ვერ დაუპირისპირდებოდა ადგილობრივ, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ტრადიციებს, რომ ავტოხტონ მოსახლეობას ხელაღებით უარეყო საკუთარი მამა-პაპური კულტურა და მოსული ეთნოსის მიერ მოტანილი ახალი, უცხო ელემენტები სისხლხორცეულად შეეთვისებინა. აქ უფრო დროის, ეპოქის შესაფერისი აუცილებლობებიდან გამომდინარე მომენტთან უნდა გვქონდეს საქმე და ის არ უნდა იყოს ყოველთვის დაკავშირებული ეთნიკურ ცვლილებებთან. რა თქმა უნდა, არც არქეოლოგიური და ზოგადად კულტურათა ტრანსფორმაცია მოასწავებს ეთნოსთა ტრანსფორმაციასა და მათ ცვლილებას. ამიტომ ელინისტურ ხანაში ყვირილის ხეობაში მომხდარი კულტურული ძვრები (ისევე, როგორც ადრინდელ პერიოდში) უფრო კულტურათა ტრანსმისიის შედეგი უნდა იყოს და არა მაინცადამაინც ეთნიკური მიგრაციებისა. ალბათ, აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური კულტურის ხელაღებით მიკუთვნება ამა თუ იმ ეთნოსისადმი, უაღრესად პირობითია და ხშირ შემთხვევაში ზუსტად ვერ წარმოაჩენს არსებულ რეალურ სიტუაციას. მაგალითისთვის ასე კარგად ცნობილი კოლხური კულტურაც იკმარებდა. ცნობილია, რომ იგი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა და ისეთი სურათი იხატება, რომ მის შექმნაში თითქოს მხოლოდ ერთი ეთნოსი მონაწილეობდა. არადა, წერილობითი წყაროებით ისიც ირკვევა, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც, როგორც წესი, კოლხური კულტურაა ლოკალიზებული, სხვა ეთნიკური ჯგუფებიც სახლობენ და მათაც საკუთარი წვლილი შეაქვთ ამ კულტურის ფორმირების პროცესში. ამიტომ მხოლოდ არქეოლოგიური კულტურის გავრცელების არეალის მიხედვით უაღრესად ძნელია ამ კულტურის შემქმნელი ხალხის ეთნიკური კუთვნილების შესახებ კატეგორიული მსჯელობა.

ამრიგად, ყვირილის ხეობა ძვ.წ. II ათასწლეულიდან წარმოგვიდგება იმ რეგიონად, სადაც იმთავითვე ძლიერი იყო აღმოსავლურქართული ეთნონაკადის და აღმოსავლურქართული კულტურის გავლენა. მეტიც, კვლევის ამ ეტაპზე მივიჩნევ, რომ ამ მხარის თავდაპირველი მოსახლეობა სწორედ აღნიშნული ეთნოერთობა იყო და მიუხედავად ძვ.წ. II–I ათასწლეულების მიჯნიდან აქ კოლხური კულტურის გავრცელებისა, ამ ვითარებას არ გამოუწვევია მოსახლეობის ძირფესვიანი შეცვლა ანტიკურ ხანაში.

ლიტერატურა:

1. **ბერიკაშვილი დ.** ზემო იმერეთის ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები, VIII, 2003, გვ. 15–23.
2. **ბერიკაშვილი დ.** ზემო იმერეთის ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის სამარხთა პერიოდიზაცია, არქეოლოგიური ჟურნალი, III, 2004, გვ. 20-28.
3. **ბერძენიშვილი ნ.** საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII. თბ.1990.
4. **ბრაგვაძე ზ.** კოლხეთის აღმოსავლეთი რეგიონების (ყვირილის ხეობის) ქართიზაციის საკითხისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე", ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 4, თბ., 1990, გვ. 135–145.
5. **გამყრელიძე გ.** აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 3, 1985, გვ. 74–85.
6. **მახარაძე გ., ლომთაძე გ.** კოლხური კულტურის გავრცელება ყვირილის ხეობაში, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები, II, თბ., 1996, გვ. 15–29.
7. **ქართლის ცხოვრება,** I, თბ., 1955.
8. **ჯაფარიძე ო.** საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991.

იულონ გაგოშიძე

ქართლის სამეფოს (იბერიის) საზღვრები ქ.წ. I საუკუნეში

კლასიკური და ადრეელინისტური ხანის ბერძნულ წყაროებში იბერიისა და იბერიელთა თითოროლა მოხსენიების ანალიზი, თუკი ეს მოხსენიებები კავკასიის იბერიას ეხება და არა დასავლეთის ანუ პირენეის იბერიას, რაც თითქმის ყველა შემთხვევაში საეჭვოა, ცხადყოფს, რომ ძველ ბერძნებს ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონიათ კავკასიაზე [12, გვ. 425; 21, გვ. 67] და ეს გასაგებიცაა: ზღვის სანაპიროს მოწყვეტილი და ელინისტური სამყაროს შორეულ ჩრდილო პერიფერიაზე მდებარე ქართლის სამეფო ვერ მოხვდებოდა და, როგორც ჩანს, არც მოხვედრილა ბერძნულენოვან ავტორთა ინტერესების სფეროში. მაგრამ ეს გარემოება სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს იბერია სრულ იზოლაციაში იმყოფებოდა დასავლეთიდან: შიდა ქართლსა და ბორჯომის ხეობაში ამ ბოლო ხანს წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით გაირკვა, რომ ბერძნული იმპორტი, როგორც კერამიკა, ისე ლითონიც თავისუფლად აღწევდა აღმოსავლეთ საქართველოს უკვე კლასიკურ და ადრეულ ელინისტურ ხანაში [4; 47]. ირკვევა, აგრეთვე, რომ ქართლში იმ დროს უკვე გავრცელებული ყოფილა ბერძნული დამწერლობა [42, გვ. 88-89, სურ. 3; 27, გვ. 63-64, სურ. 5; 4, გვ 17] და ადგილობრივ მოსახლეებს შეთვისებული ჰქონიათ ზოგიერთი ისეთი წმინდა ბერძნული ჩვეულება, როგორიცაა, მაგალითად, მიცვალებულისათვის მონეტის – *ქარონის ობოლის* გატანება, რაც ქართლში დაიწყო დაახლოებით იმავე დროს, როგორც კოლხეთში – ქ.წ. IV-III ს-ში [29, გვ. 18, 21, 22, 27; 4, გვ. 17; 46, გვ. 34, 36]. თუ გავითვალისწინებთ დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა განსაკუთრებით კონსერვატულ ბუნებას, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ სიახლის – მონეტის საიქიოში გატანების წესის დანერგვა საქართველოში გულისხმობს ქართველების ბერძნებთან ხანგრძლივი და, რაც მთავარია, რეგულარული ურთიერთობების არსებობას. ამასვე გვაგულისხმებინებს ბერძნული დამწერლობის გავრცელებაც. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ურთიერთობები ისეთი ხასათისა ყოფილა, რომ, როგორც ვხედავთ, არ აისახა ძველ ბერძნულ წერილობით წყაროებში.

ქ.წ. I – ქ.შ. I საუკუნეების ქართლის სამეფოს ისტორია შედარებით უფრო უკეთაა გაშუქებული თანადროული, ამ მოვლენებთან ქრონოლოგიურად ახლოს მყოფი წერილობითი წყაროებით: მას შემდეგ, რაც მითრიდატესთან მესამე ომის დროს, რომაელები პირველად შეეჯახნენ ტიგრან II-ის ჯარში მყოფ იბერიელებს [Plut., Lucull, XXVI, XXXI] და განსაკუთრებით კი პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ იბერიაში (65 წ. ქ.წ.), ეს უკანასკნელი მოექცა რომაელთა ინტერესების სფეროში და, შესაბამისად, გახშირდა იბერიისა და იბერიელთა მოხსენიება ბერძნულ და ლათინურ წერილობით წყაროებში.

მემნონის, სტრაბონის, პლუტარქეს, იოსებ ფლავიუსის, პლინიუსის, ტაციტუსის, აპიანეს, დიონ კასიუსის და სხვათა ცნობებს ქ.წ. I – ქ.შ. I საუკუნის იბერიის შესახებ ავსებს ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემები. მათგან უმნიშვნელოვანესია მცხეთაში აღმოჩენილი რომის იმპერატორის ვესპასიანეს სახელით 75 წელს შესრულებული ბერძნული წარწერა [23], 70-იანი წლების ე.წ. შარაგასის სტელა არამეული (არმაზული) წარწერით [41] და ზევახ პიტიახშის ასულის სერაფიტას ორენოვანი, ბერძნულ-არამეული ეპიტაფია, ე.წ. არმაზის ბილინგვა, მეორე საუკუნისა [40], რომელთა ცნობები ფასდაუდებელია საქართველოს ადრეული ისტორიის კვლევისათვის.

ქ.წ. I საუკუნეში, როდესაც ჩნდება პირველი დოკუმენტური ცნობები იბერიისა და იბერიელთა შესახებ ბერძნულ და ლათინურ წყაროებში, ქართლის სამეფო ქ.წ. III საუკუნის მდგომარეობასთან შედარებით ტერიტორიულად დამცრობილი წარმოგვიდგება.

ქ.წ. III საუკუნე იყო ახლადშექმნილი ქართლის სამეფოს გაფურჩქვნისა და თანდათანობითი გაძლიერების ხანა, რისი უტყუარი მოწმეებია ამ პერიოდის ისეთი არქეოლოგიური ძეგლები, როგორიცაა უფლისციხე, ურბნისი, კავთისხევის ციხიაგორა, სამადლო-ნასტაგისი და სხვ. ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა და მისმა უშუალო მემკვიდრეებმა, რომლებიც, როგორც ჩანს, სარგებლობდნენ სელევკიდების მხარდაჭერით, შეძლეს გაევრცელებინათ თავისი ძალაუფლება საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავდა მდ. მტკვრის აუზს სათავიდან მდ. ალაზნის შესართავამდე, მდ. ჭოროხისა და მისი შენაკადის, აჭარისწყლის ხეობებს და დასავლეთი საქართველოს (კოლხეთის) აღმოსავლეთ ნაწილს; ქართლის მეფეებს ემორჩილებოდნენ კავკასიის მთიელებიც და, ამდენად, ისინი აკონტროლებდნენ კავკასიონის უღელტეხილებსაც [37, გვ. 290 და შმდ.; 12, გვ. 455 და შმდ.]. ქართლის სამეფოს შორს, სამხრეთისკენ ოდინდელი განფენილობის ამსახველი უნდა იყოს სტრაბონთან დაცული ქ.წ. II საუკუნის ავტორის, აპოლოდორის ცნობა, რომლის თანახმად, იბერებსა და არმენებს ერთმანეთისაგან მდინარე არაქსი ჰყოფს [Strabo, I, 3, 21; 12, გვ. 457]. იბერიის საზღვრები სამხრეთ-დასავლეთით რომ ევფრატის ხეობას აღწევდა, ამას გულისხმობს სტრაბონის სხვა ცნობა იმის შესახებ, რომ ტიგრან არმენიელმა „ქალაქი დააფუძნა იბერიის მახლობლად, იმასა (იბერიასა) და ევფრატზე მდებარე ზევგმას შორის და [ქალაქს] უწოდა ტიგრანაკერტი" [Strabo, XI, 14, 15]. მაგრამ, ქ.წ. II საუკუნეში საგარეო-პოლიტიკური ვითარება ქართლის სამეფოსათვის მკვეთრად გაუარესდა.

ქ.წ. 190 წელს მაგნესიასთან მომხდარ ბრძოლაში რომაელთა მიერ ანტიოქოს მესამის სასტიკი დამარცხებისა და ქ.წ. 188 წლის აპამეას ზავის შემდეგ სელევკიდების მორჩილებისაგან თავი დაიხსნა არმენიამ და იქ, ქართლის სამხრეთით შეიქმნა ორი სახელმწიფო არტაქსიასა [ქ.წ. 189-161 წწ.] და ზარიადრეს მეთაურობით. სტრაბონის ცნობით, არმენიის ამ პირველმავე მეფეებმა ჩამოაჭრეს მეზობელ იბერიას „პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა არის" [Strabo, XI, 14, 5]. პარიადრის მთიანეთს მკვლევარები აიგივებენ შემდგომი ხანის პარხალთან, ქედთან, რომელიც დღევანდელ თურქეთში მდებარეობს სატალიასა და ბაიბურთის ჩრდილოეთით და შავი ზღვის სანაპიროს პარალელურად არის მიმართული შებინ-ყარაჰისარიდან მდ. ჭოროხის შესართავისკენ; ხორძენე, რომელსაც აპიანე ხოტენედ მოიხსენიებს [Appian, Mithr., 101], ალბათ, ძველი ქართული წყაროების კლარჯეთია და ის მოიცავდა ისტორიული ზემო ქართლის ანუ მესხეთის დიდ ნაწილს მდ. ჭოროხის ხეობაში, რომელიც დღეს მთლიანად თურქეთშია; გოგარენე კი, ანუ ძველი სომხური წყაროების გუგარქი, სამხრეთი ნაწილია ისტორიული ქვემო ქართლისა, რომელიც მოიცავდა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას მდებარე ტერიტორიას თბილისიდან სამხრეთით, ბამბაკის ქედამდე (ჩრდილო სომხეთში) და სამხრეთ-დასავლეთით, მტკვრის გაყოლებით მდ. ძეგამჩაიმდე, დასავლეთ აზერბაიჯანში [12, გვ. 456-457; 2, გვ. 7, 16-23, სქემა 1].

ბუნებრივი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს სტრაბონის ზემოთ მოტანილი ცნობიდან, არის ის, რომ აღნიშნული ტერიტორიები (პარიადრის კალთები, ხორძენე და გოგარენე) არმენიის სახელმწიფოს შექმნამდე ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა და ისიც ცხადია, რომ იბერიის ხელისუფალნი უბრძოლველად არ დათმობდნენ თითქმის ნახევარ სამეფოს. საფიქრებელია, რომ არმენიელთა ჯარი მდ. მტკვრის ნაპირამდე მოსულიყო და, შესაძლებელია, სწორედ ამ ლაშქრობის შედეგი იყოს სამადლოს ციტადელის ნგრევა, რომელიც არქეოლოგიური მასალით თარიღდება არა უგვიანეს ქ.წ. II საუკუნის მეორე ოცწლეულისა; ყოველ შემთხვევაში, ქ.წ. II საუკუნის შუა ხანებში სამადლოს ნანგრევებზე უკვე ახალი სამოსახლოა გაჩენილი [27, გვ. 47, 99].

არავითარი საფუძველი არ არსებობს იმის გასაფიქრებლადაც კი, რომ იბერიის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა შეიძლებოდა უკეთესობისაკენ შეცვლილიყო ქ.წ. I საუკუნეში, რამდენადაც, არმენიის სამეფომ თავისი პოლიტიკური ძლიერების ზენიტს სწორედ ამ დროს, ტიგრან II (ქ.წ. 95-55 წწ.) ზეობისას მიაღწია და არმენია, ცხადია, არ დათმობდა მიტაცებულ ტერიტორიებს. ეს კარგად ჩანს წერილობითი წყაროებიდანაც. აპიანე მოგვითხრობს, რომ პომპეუსის მიერ დამარცხებული მითრიდატე ევპატორი რამდენიმე ცხენოსნისა და 3000 ფეხოსნის თანხლებით გაიქცა სინორეგას (სინორია) ციხეში, რომელიც მდებარეობდა მდ. ევფრატის სათავის, ყარა-სუს ხეობაში, კაპდაღის მთის ფერდობზე, თანამედროვე აშკალის ჩრდილო-დასავლეთით, 15 კმ-ის

მანძილზე. აქ მითრიდატეს განძი ჰქონია გადამალული. ამის შემდეგ, ოთხ დღეში მითრიდატემ გადალახა მდ. ევფრატი და შეიჭრა ხოტენეში, არმენიაში. აქ მან უკუაგდო ხოტენელები და იბერიელები, რომლებიც შურდულებით და ისრებით ცდილობდნენ მის შეფერხებას, გადალახა ჭოროხი და გადავიდა კოლხეთში, სადაც ქალაქ დიოსკურიაში მან გაატარა ზამთარი [App., Mithr., 101; 31, გვ. 183-184]. ამრიგად, აშკარად ჩანს, რომ ქ.წ. 66 წელს ხოტენე (იგივე ხორძენე), რომელიც მდებარეობს სადღაც მდ. ევფრატის სათავეებსა და მდ. ჭოროხის ხეობას შორის - არმენიაშია, თუმცა იქ იბერიელებიც ცხოვრობენ. მითრიდატეს წინააღმდეგობას უწევდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები და არა შეიარაღებული ძალები იბერიის მეფისა, რომელიც იმ დროს მითრიდატეს მოკავშირე იყო [31, გვ. 185].

ქ.წ. I საუკუნეში გოგარენე, ე.ი. ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი იბერიას რომ დაბრუნებოდა, სტრაბონი ვერ იტყოდა, არმენიის მხრიდან იბერიაში შესასვლელი მტკვრისა და არაგვის ვიწროებში გადისო [Strabo XI, 3, 5]. ქ.წ. 65 წლის გაზაფხულზე პომპეუსმა სწორედ ეს ვიწროები გაიარა და ქართლის სამეფოს დედაქალაქის აკროპოლისთან აღმოჩნდა ისე მოულოდნელად იბერიის მეფის არტოკესათვის, რომ ამ უკანასკნელმა ვერც საომრად მომზადება მოასწრო და ვერც ძნელად გასასვლელი ვიწროების გამაგრება [Cassii Dio, XXXVII, 1]. აშკარაა, რომ პომპეუსს, რომელმაც ქ.წ. 66/65 წლის ზამთარი გაატარა, როგორც ჩანს, გოგარენეში, მტკვრის პირას, ალბათ, სადღაც, დღევანდელ აზერბაიჯანში, ყაზახისა და თაუზის მიდამოებში [8, გვ. 94-100] დიდ ხანს არ დასჭირვებია მოწინააღმდეგის (იბერიის) ტერიტორიაზე მოძრაობა (მარში), სანამ ზემოხსენებულ ვიწროებს მიაღწევდა, თორემ არტოკე მოასწრებდა ამ ვიწროების გამაგრებას. მდ. მტკვარზე, მცხეთის სამხრეთ-დასავლეთით, ერთადერთი ვიწროები არსებობს იქ, სადაც დღეს ქ. თბილისია გაშენებული და აქედან მცხეთამდე სულ 20 კილომეტრია. უნდა ვიფიქროთ, რომ სახელმწიფო საზღვარი იბერიის სამეფოსა და არმენიის კუთვნილ გოგარენეს შორის გადიოდა მტკვრის ამ ვიწროებიდან სამხრეთით, არც თუ ძალიან შორს, დაახლოებით, ალბათ, იქ, სადაც დღეს საქართველოს და აზერბაიჯანის საზღვარია.

ამავე გასასვლელით შეჭრილა იბერიაში ცოტა უფრო მოგვიანებით (ქ.წ. 36 წელს) კანიდიუსიც [Strabo XI, 3, 5]. ვიწროებს ქვემოთ მდ. მტკვარი, სტრაბონისავე თქმით, ალბანეთში ჩადიოდა და ალბანიასა და არმენიას შორის მიედინებოდა საძოვრებით მდიდარ ველებზე, მაგრამ მდ. მტკვრის მთელი აუზი ხსენებულ ვიწროებს ზემოთ, იბერიის ფარგლებში ყოფილა მოქცეული, მდინარის სათავის გარდა, რომელიც არმენიაში იყო [Strabo XI, 3, 2]. ამრიგად, ირკვევა, რომ მტკვრის მარჯვენა ნაპირას მდებარე ქართული პროვინციები – თრიალეთი, ჯავახეთი და ერუშეთი, ისევე, როგორც არტაანი, რომელიც მტკვრის ორივე ნაპირზე მდებარეობს, ქართლის სამეფოს ფარგლებში იყო. მართალია, პლუტარქეს, მტკვრის სათავეებიც იბერიაში ეგულება (იგი წერს, რომ „მდინარე კირნოსი იბერიის მთებში იღებს სათავეს" [Plut., Pomp., XXXIV], ე.ი. ამდენად, საქართველოს ისტორიული პროვინცია კოლაც ქართლის სამეფოს შემადგენლობაში იგულისხმება), მაგრამ პლუტარქეს ამ ცნობაში, შესაძლებელია, ქ.შ. I საუკუნის ვითარება იყოს ასახული, როდესაც იბერიამ შესძლო სამხრეთისაკენ თავისი საზღვრების გაფართოება და, კერძოდ, არმენიელთა მეფის, არტაშეს I (არტაქსიას) მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნება.

ქ.წ. 111-110 წლებში პონტოს მეფემ მითრიდატე ევპატორმა ბოსფორში სალაშქროდ დიოფანტეს გაგზავნის წინ კოლხეთი დაიპყრო [32, გვ. 17-19; 31, გვ. 77] და, ამდენად, პოლიტიკური აღმავლობის გზაზე მდგარი პონტოს სამეფო იბერიის უშუალო მეზობელი გახდა. იბერიის მხრივ არ შეიძლებოდა ამას რაიმე რეაქცია არ მოჰყოლოდა, რადგან კოლხეთის აღმოსავლეთი ნაწილი – არგვეთის პროვინცია– იბერიის სამეფოს შემადგენლობაში იყო მოქცეული და იბერიას კოლხეთის უფრო დასავლეთ ტერიტორიებზეც უნდა ჰქონოდა პრეტენზიები [32, გვ. 21], მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ კოლხეთი პონტოსა და იბერიას გაენაწილებინოს [32, გვ. 21]. პირიქით, სავარაუდოა, რომ ამ დროს იბერიამაც დაკარგა კოლხეთში თავისი სამფლობელოების ნაწილი, კერძოდ, არმენიელთაგან ხორძენესა და პარიადრის მიტაცების შემდეგ იბერიის ხელთ დარჩენილი მესხეთის დასავლეთი, პონტოს სამეფოს მოსაზღვრე ნაწილი აჭარისწყლისა და, ნაწილობრივ, ჭოროხის ხეობებში, რომელიც სტრაბონის დროსაც კოლხეთის შემადგენლობაში რჩებოდა [Strabo XI, 2, 18; 33, gv. 22]. ამავე დროს უნდა დაეკარგა იბერიას კოლხეთისა და იბერიის საზღვარზე მდებარე ციხეები სკანდა და შორაპანი, რომლებიც ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ქართლის მეფის, ფარნავაზის აგებულია, მაშინ, როცა სტრაბონი შორაპანს (Σαραπανᾶ) მოიხსენიებს კოლხურ ციხესიმაგრედ, საიდანაც არის შესასვლელი იბერიაში და საიდანაც ოთხი დღის სავალია საურმე გზით მტკვრამდე [Strabo XI, 2, 17; XI, 3, 4].

შორაპნის ციხის ქართლთან (იბერიასთან) კავშირის საბუთად შეიძლება გამოდგეს ის ფაქტი, რომ შორაპნის ციხის ყველაზე ადრეულ სამშენებლო დონეზე საფორტიფიკაციო კედლის თლილი ქვები ისრისპირის ფორმის გამირებით (პირონებით) არის გადაბმული. ამ ფორმის პირონები კი ჯერჯერობით მხოლოდ ქართლის ქ.წ. IV-I საუკუნის ძეგლებიდანაა (სამადლო, წიწამური, დედოფლის გორა) ცნობილი [28, №№ 604, 804; 1, გვ. 192, სურ 101]. იმავე პერიოდის ვანში სხვა ტიპის, П-ს ფორმის პირონებია გამოყენებული [22, გვ. 14], ხოლო არმენიაში მერცხლის კუდის ფორმის პირონები იხმარებოდა [39, გვ. 100]. ჩემგან განსხვავებით გ. ლორთქიფანიძე თვლის, რომ შორაპანი იბერიის ფარგლებში მოხვდა ქ.წ. 111-110 წელს პონტოსა და იბერიას შორის კოლხეთის „გადანაწილების" შედეგად, იგი იბერიის შემადგენლობაში დარჩა პომპეუსამდე და დაუბრუნდა კოლხეთს პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ, როცა კოლხეთში პომპეუსმა მმართველად არისტარქე (64-48 ქ.წ.) დანიშნა [32, გვ. 17-38].

შორაპნის ციხის ნაშთები მდებარეობს იქ, სადაც აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს გამყოფი ლიხის ქედიდან გამომდინარე სამი უმთავრესი მდინარე – ყვირილა (სტრაბონისეული ფასისი), ძირულა და ჩხერიმელა ხეობებიდან კოლხეთის დაბლობში გამოდის და ერთმანეთს ერთვის. სტრაბონის ცნობით, მდ. ფასისი (დღევანდელი რიონი და ყვირილა) შორაპნამდე სანაოსნოა, ზემოთ კი სწრაფი და ხმაურიანი, რომელზედაც 120 ხიდით გადაისვლება მისი მიხვეულ-მოხვეულობის გამო. „ასეთია კოლხეთიდან იბერიაში შესასვლელი, დახშული კლდეებით, სიმაგრეებითა და ხეობიანი მდინარეებით" [Strabo XI, 3,4].

ამრიგად, ირკვევა, რომ კოლხეთის მთიანეთი შორაპნის აღმოსავლეთით, მდინარეების ყვირილას, ძირულასა და ჩხერიმელას ხეობები (დღევანდელი საჩხერის, ჭიათურისა და ხარაგაულის რაიონები) მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის ოკუპაციის შემდეგაც იბერიის (ქართლის სამეფოს) შემადგენლობაში დარჩენილა. სტრაბონი წერს, რომ აქ, „იბერიაში არის ერთი პატარა ქალაქი ფრიქსოპოლისი, ეხლანდელი იდეესა (Ἰδήεσσα), კარგად გამაგრებული ადგილი კოლხიდის საზღვარზე [Strabo XI, 2, 18]. ვფიქრობ, რომ ამ ქალაქის ნაშთები საძებნელია არა ჭოროხის ხეობაში [6, გვ. 438], არამედ ლიხის ქედის დასავლეთ ფერდობებზე, მდ. ჩხერიმელას ხეობაში, იქ, სადაც დღეს სოფელი დეისი მდებარეობს.

იბერიის ფარგლებში, სტრაბონის ცნობის თანახმად, შედიოდა მესხეთის (Μοσχική) ერთი ნაწილი, მაშინ როცა დანარჩენი ორი ნაწილი კოლხებსა და არმენებს ეკავათ [Strabo XI, 2, 18]. უფრო ადრე სტრაბონი მესხეთს მოიხსენიებს ისეთ კონტექსტში, საიდანაც ჩანს, რომ საუბარია მესხეთის იმ ნაწილზე, რომელიც იბერიის კუთვნილია: „მოხსენიებულ მდინარეებს ზემოთ, მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად" [Strabo XI, 2, 17]. „მოხსენიებული მდინარეები" კოლხეთის მდინარეებია, კერძოდ, ფასისის შენაკადები (ჰიპოსი და გლავკოსი) და თვით ფასისი, რომლის ზემო დინება, როგორც ზემოთ დავინახეთ, სტრაბონს იბერიაში ეგულება. სწორედ აქ, იბერიაში, კოლხეთის საზღვარზე ასახელებს იგი ფრიქსეს დაარსებულ ქალაქსაც [Strabo XI, 2, 18] და ლევკოთეას სამლოცველოც ზომ ფრიქსეს დაარსებულია.

ლევკოთეას სამლოცველო ტრადიციულად ლოკალიზდება მესხეთის ჩრდილოეთ პროვინციაში, სამცხეში, სოფ. აწყურთან, სადაც ცნობილი საეპისკოპოსო კათედრალი დგას [3, გვ. 261]. შუასაუკუნეების ქართული წერილობითი წყაროების თანახმად, აწყურში, რომელსაც ძველად სოსანგეთი ეწოდებოდა, წარმართული ტაძარი – „ტაძარი საკერპო" – მდგარა და აქ ქრისტიანობის საქადაგებლად მოსულა ანდრია მოცი-

ქული [19, გვ. 39]. სადღაც მტკვრის ხეობაში, ბორჯომის მახლობლად ეგულება ლევკოთეას სამლოცველო დ. ბრაუნდსაც [43, გვ. 149].

ოთ. ლორთქიფანიძე სტრასბონისეულ ლევკოთეას სამლოცველოს ვანის ნაქალაქართან აიგივებს [10; 11, გვ. 41; 34, გვ. 214-215; 35, გვ. 303-307. შეად.: 32, გვ. 35-36, 41 და 43, გვ. 148-149].

გ. ლორთქიფანიძის აზრით, ლევკოთეას სამლოცველო მდებარეობდა სადღაც მთებში, მოსხიკის (მესხეთის) კოლხურ ნაწილში [33, გვ. 22]. მაგრამ სტრაბონს ლევკოთეას სამლოცველო მაინცდამაინც კოლხურ ნაწილში სულაც არ ეგულება. მართალია, იგი ლევკოთეას სამლოცველოს და მოსხიკეს ახსენებს კოლხეთის აღწერის დროს, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ამთავრებს კოლხეთზე მსჯელობას და, ასე ვთქვათ, გადის მის ფარგლებს გარეთ. კოლხეთის მდინარეების ზემო დინებას იგი იბერიას უკავშირებს, და ლევკოთეას სამლოცველოს და სამისნოს დაარსების ფრიქსესათვის მიწერაც ამ სამლოცველოს იბერიასთანვე კავშირის მანიშნებელი უნდა იყოს: ფრიქსემ ხომ სწორედ იბერიაში დაარსა ქალაქი ფრიქსოპოლისიც [Strabo XI, 2, 18]. საყურადღებოა, რომ „ფრიქსეს ორაკულს", სადაც „არც ვინმე წირავს ვერძს, რადგან სჯერათ, რომ მან ჩამოიყვანა ფრიქსე" იბერიასთან და იბერიელებთან კავშირში იხსენიებს ტაციტუსიც [Tac., Ann., VI, 34] (საყურადღებოა, რომ ამავე კონტექსტში ტაციტუსი კოლხეთსაც იხსენიებს, რაც, შესაძლებელია, იმის მოწმობაა, რომ კლასიკური ავტორებისთვისაც ცნობილი იყო კოლხთა და იბერიელთა რეალურად არსებული ეთნიკური ერთობა).

სამცხე მესხეთის ის ნაწილია, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება კოლხეთს და ყოველთვის ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო. ქართლის გაქრისტიანების შემდგომ აწყურში დაფუძნდა სამცხის საეკლესიო ცენტრი – მაწყვერელი ეპისკოპოსის კათედრა. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, იქ, სადაც იგულისხმება წარმართული სამლოცველოს არსებობა, შემორჩენილია ღვთისმშობლის სახელობის კათედრალური საყდრისა და გრანდიოზული ციხის ნანგრევები. სამცხე და, კერძოდ, აწყურ-სოსანგეთის მიდამოები მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული კოლხეთთან სამიმოსვლო გზებით, რომლებითაც არა მარტო ბერძნული იმპორტი შემოდიოდა კლასიკურ ხანაში [47]. იბერიის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონზე – მესხეთზე გადიოდა ე.წ. „მეოტიდო-კოლხეთის მაგისტრალი", რომლითაც, როგორც ფიქრობენ, უკვე კიმერიელებმა ისარგებლეს [37, გვ. 222, 326], ხოლო თვით მესხეთი უღელტეხილებზე გამავალი გზებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ერთის მხრივ, არმენიასთან, მეორეს მხრივ – პონტოსთანაც. ამ უკანასკნელ გზას აქტიურად იყენებდნენ რომაელები, რომლებიც ტრაპეზუნდიდან ამარაგებდნენ არმენიაში განლაგებულ თავის ჯარებს [36, გვ. 77]. სირიული და ეგვიპტური იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი ქ.შ. I ს-ში მაინც სწორედ მესხეთის გავლით შემოდიოდა ქართლის სამეფოში. ცხადია, არ არის გამორიცხული, იმპორტი განხორციელებულიყო ძველი გზითაც: საქონელი არმენიის დედაქალაქის, არტაქსატას (არტაშატის) გავლით ჯერ გოგარენეში (ქვემო ქართლში) შეტანილიყო და იქიდან მცხეთაში [38, გვ. 126; 37, გვ. 442; 9, გვ. 68]. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციას, რომელიც სუფევდა I საუკუნის არმენიაში, უფრო სავარაუდოა, რომ სირიული საქონელი საქართველოში, ამ პერიოდში მაინც, შემოდიოდა არტაქსატას გვერდის ავლით, უფრო დასავლური გზით, რომელიც გადიოდა მთლიანად რომაულ პროვინციებზე, მდ. ევფრატის გაყოლებით მტკვრის ხეობაში და იქიდან შიდა ქართლში. პირველ საუკუნეში ამ გზის აქტიურობის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ ურბნისში, რომელიც შიდა ქართლის პირველი ქალაქი იყო სამხრეთ-დასავლეთიდან მტკვრის ხეობით მცხეთისაკენ მიმავალ გზაზე, ქ.შ. I საუკუნის უფრო მეტი და უფრო ფართო ასორტიმენტის სირიული მინის ჭურჭელია დალექილი, ვიდრე თვით მცხეთაში, იბერიის დედაქალაქში. იგივე ითქმის პალესტინის კესარიიდან შემოტანილი I საუკუნის გემების ჯგუფზე, რომელიც ასევე ურბნისის სამაროვანზე დაფიქსირდა [17, გვ. 44; 26, გვ. 9].

ხსენებული გზისაგან განსხვავებით, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ გამავალი გზა ძალიან მძიმე და ძნელად გასავლელი იყო [36, გვ. 281]: ევქსინის პონტოს სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო და იქ განლაგებული დასახლებები საკაბოტაჟო ნაოსნობაზე იყო ორიენტირებული (სწორედ ზღვით განახორციელა ფლავიუს არიანემ რომაული ციხე-სიმაგრეების ინსპექცია 131 წელს [Arriann., Peripl.]), ხოლო კოლხეთის ძირითადი სახმელეთო გზები სანაპიროს მოცილებული იყო კოლხეთის დაბლობის გაუვალი ჭაობებისა და უფრო სამხრეთით – ზღვისპირა კლდოვანი ქარაფების გამო, სადაც მხოლოდ საცალფეხო ბილიკები შეიძლებოდა ყოფილიყო. „საზოგადოდ, საქართველოს ჩრდილოეთს ნაწილში – ლიხთიმერეთსა და აფხაზეთში სამხრეთიდან გადასვლა თითქმის მხოლოდ სამცხის გზით შეიძლებოდა; ეს იყო ერთადერთი, თუმცა ძნელი, მაგრამ მაინც მოხერხებული გზა. ასეც მოგზაურობდნენ ძველად ყველანი", წერს ივ. ჯავახიშვილი [25, გვ. 67].

უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხეთისა და მესხეთის დამაკავშირებელი საუღელტეხილო გზით ისარგებლა პომპეუსმაც, როცა იგი კოლხეთის დალაშქრის შემდეგ ალბანეთისაკენ გაეშურა არა უმოკლესი გზით, რომლითაც იგი კოლხეთში შევიდა იბერიიდან, არამედ არმენიის გავლით [Cassii Dio, XXXVII, 3, 3]. პონტოდან გაქცეული მითრიდატე ევპატორიც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მესხეთის გავლით შევიდა კოლხეთში: ხოტენა (ხორძენე), სადაც იბერიელები ცდილობდნენ მითრიდატეს შეფერხებას, და ჭოროხის ხეობაც, მესხეთის (მოსხიკის) ნაწილებია. ფარნაკესა და მითრიდატე პერგამონელისთვისაც მესხეთზე (სამცხეზე) გამავალი გზა უნდა ყოფილიყო ყველაზე უფრო მოსახერხებელი. ფარნაკე კოლხეთში ბოსფორიდან შემოიჭრა და პონტოსკენ მიემართებოდა, მითრიდატე პერგამონელი კი, პირიქით, პონტოდან შემოვიდა კოლხეთში და შემდეგ აქედან ბოსფორში გადავიდა [31, გვ. 115-116; Cass. Dio, XLII, 45, 4-8; Appian, Mithr., 120], და გზად, მესხეთზე (სამცხეზე) გავლის დროს, ფარნაკესაც და მითრიდატე პერგამონელსაც, შესაბამისად, ქ.წ. 48 და ქ.წ. 47 წლებში, ლევკოთეას მდიდარი სამლოცველოც გაუძარცვავთ [Strabo XI, 2, 17]. ასე რომ, უცხოელთაგან კოლხეთის დაპყრობები არც იბერიისათვის უნდა ყოფილიყო უმტკივნეულო, მაგრამ ქ.წ. I საუკუნეში ჯერ არმენიელების, შემდეგ მითრიდატე პონტოელისა და ბოლოს, რომაელთა ლაშქრობების შემდეგ, ქართლის სამეფო საკმაოდ დასუსტებული ჩანს, რომ ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწია მომხდურთათვის. გ. მელიქიშვილიც თვლიდა, რომ ფარნაკესა და მითრიდატე პერგამონელის მიერ ლევკოთეას ტაძრის გაძარცვა იყო მათი მხრივ იბერიის წინააღმდეგ მიმართული აგრესია [37, გვ. 327, 335], მაგრამ უფრო გვიან გამოქვეყნებულ ნაშრომში იგი ლევკოთეას სამლოცველოს კოლხეთთან კავშირში იხსენიებს, თუმცა იქვე მოაქვს სტრაბონის ცნობა მოსხიკის ქვეყნის, სადაც იყო ლევკოთეას სამლოცველო, სამი ნაწილის შესახებ, რომელთაგანაც ერთი კოლხებს აქვთ, მეორე – იბერებს და მესამე არმენიელებს [13, გვ. 506-507; Strabo XI, 2, 18].

იბერიელები მითრიდატე პონტოელის (და ტიგრან არმენიელის) მოკავშირეები იყვნენ რომის წინააღმდეგ ომებში [Memnon, XV, 30, 4; Plut., Lucull., XXVI, XXXI; Plut., Pomp., XXXIV] და ეს მოკავშირეობა, წერილობითი წყაროების თანახმად, ნებაყოფლობითი ჩანს იბერიის მხრიდან [31, გვ. 183]. გ. მელიქიშვილიც კი, რომელიც არ გამორიცხავს ძლიერების ზენიტში მყოფი არმენიისაგან იბერიის ერთგვარი პოლიტიკური დამოკიდებულების შესაძლებლობას, თვლის, რომ იბერები, ეხმარებოდნენ რა არმენებს მათ ქვეყანაში შემოჭრილი რომაელების წინააღმდეგ ბრძოლაში, უპირველეს ყოვლისა, იცავდნენ თავის საკუთარ ქვეყანას, რომელსაც ასევე ემუქრებოდა რომაელთა ინტერვენცია [37, გვ. 323]. მაგრამ, მემნონის ცნობით, მითრიდატე პონტოელს თავის მოკავშირედ გაუხდია იბერიელთა მეფე ჯერ კიდევ რომის წინააღმდეგ პირველი ომის დაწყებამდე [Memnon, XV, 30, 4], როცა იბერიას რომაელთა შემოჭრის უშუალო საფრთხე არ ემუქრებოდა. ვფიქრობ, რომ არ არის გამორიცხული პონტოს ძლიერი ხელისუფლის მხრიდან იბერიის მეფის რაიმე ფორმით იძულება სამოკავშირეოდ, მით უმეტეს, რომ იბერიას უკვე ჰქონდა მითრიდატეს მიერ კოლხეთის დაპყრობის მაგალითი.

იბერიის შედარებითი სისუსტით ქ.წ. I საუკუნეში უნდა ესარგებლა მის აღმოსავლეთ მეზობელს, ალბანიასაც, რომელსაც, სტრაბონის ცნობით, იბერებზე მეტი ლაშქარი გამოჰყავდა [Strabo XI, 4, 5]. მართალია, ალბანეთის მხრივ იბერიის წინააღმდეგ მიმართული რაიმე აგრესიის შესახებ წერილობით წყაროებში პირდაპირი მითითება არ შემონახულა, მაგრამ წყაროთა

ზოგიერთი ჩვენებისა და ზოგიერთი არქეოლოგიური ფაქტის ანალიზი ოითქოს იძლევა ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლებას.

სტრაბონის ერთ-ერთი ცნობის თანახმად [Strabo XI, 14, 4], არმენიელთა ხელში უნდა ყოფილიყო მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას მდებარე კამბისენე ანუ ძველი ქართული წყაროებით ცნობილი კამბეჩანი (კამბეჩოვანი) – მტკვარსა და ალაზანს შორის მოქცეული ტერიტორია მდ. ივრის ორივე ნაპირას, მის ქვემო დინებაზე. სტრაბონი ერთად ახსენებს ხორძენეს და კამბისენეს, როგორც არმენიის უკიდურეს ჩრდილოეთ ოლქებს, რომლებიც ეკვრიან კავკასიის მთებს და ესაზღვრებიან იბერიასა და კოლხეთს; თანაც სტრაბონი ამატებს, რომ ამ მთების უღელტეხილებზე დიდი თოვლი იცის [Strabo XI, 14, 4]. სტრაბონი კიდევ ერთხელ ახსენებს კამბისენეს, როგორც არმენიის ნაწილს („მთაგორიან ნაწილს"), სადაც „იბერებსა და ალბანებს ესაზღვრებიან არმენიელები" [Strabo XI, 4, 1].

სხვა ცნობა კამბისენეს სომხეთის შემადგენლობაში ყოფნის შესახებ არ არსებობს. თვით სტრაბონი კი თავისი გეოგრაფიის სხვა ადგილას იმავე კამბისენეს განიხილავს იბერიის ნაწილად, რომელიც მდ. ალაზანთან არის და ალბანეთს ესაზღვრება. სტრაბონი ალბანეთის აღწერისას წერს, რომ „შესასვლელი იბერიიდან ალბანიაში არის უწყლო და ოღრო-ჩოღრო კამბისენეზე, რომელიც მდ. ალაზანიოსთან არის" [Strabo XI, 4, 4], რაც ზუსტად ასახავს კამბისენეს (კამბეჩანის) ბუნებას („უწყლო და ოღრო-ჩოღრო), ადრე მოტანილი ცნობებისაგან განსხვავებით: კამბისენეში (კამბეჩოვანში, დღევანდელ ქიზიყში) განსაკუთრებით მაღალი და, მით უმეტეს, დიდთოვლიანი მთები საერთოდ არ არის. თუ კი სტრაბონის ამ ცნობას შევაჯერებთ მისივე ცნობასთან, რომლის თანახმადაც, „ალბანიიდან შემოსასვლელი (იბერიაში) ჯერ კლდეებში არის გამოჭრილი, ხოლო შემდეგ გადის იმ ჭაობზე, რომელსაც ჰქმნის მდ. ალაზანიოსი [Strabo XI, 3, 4], დავრწმუნდებით, რომ სტრაბონს კამბისენე იბერიაში ეგულება: მდ. ალაზნის ჭაობებს შემდეგ (დასავლეთით) იბერიაა, მაგრამ კამბისენეც ხომ ალაზანს ეკვრის სამხრეთ-დასავლეთიდან. პლინიუსის ცნობითაც, ალბანელებსა და იბერებს მდ. ალაზანი („ოკაზანი") ჰყოფს [Plinii, NH, VI, 29] [5, გვ. 36]. ამდენად, კამბისენე პლინიუსის მიხედვითაც, იბერიაშია მოქცეული. მაგრამ Ptolemaeus Claudius-ის „გეოგრაფიის" თანახმად, ალბანეთი მდ. ალაზნის დასავლეთითაც ვრცელდება [Ptol. Claudii, XI, 3] [7, გვ. 58, 60], რაც დაუჯერებელია ქ.შ. II საუკუნისათვის, როცა იბერია თავისი ძლიერების ზენიტს აღწევს ფარსმან II მეფობის დროს. უნდა ვიფიქროთ, რომ პტოლემაიოსი აქ თავის თანამედროვე სიტუაციას კი არ ასახავს, არამედ უფრო ადრეული, ქ.წ. I საუკუნის წყაროების მონაცემებს ეყრდნობა (შეადარე: [7, გვ. 61; 8, გვ. 111]).

იბერია-ალბანეთის საზღვრის დასადგენად ქ.წ. I ს-ის შუა ხანებისათვის საყურადღებო ცნობას იძლევა კასიუს დიო „რომის ისტორიაში". მისი მონათხრობიდან ირკვევა, რომ ქ.წ. 66/65 წწ. ზამთარში არმენიის კუთვნილი ანაიტისის ოლქში, მდ. კირნოსის (მტკვრის) ნაპირას დაბანაკებულ რომაელებს [Cassii Dio, XXXVI, 57, 5] კრონოსის დღესასწაულის (17 დეკემბერი) წინ მოულოდნელად თავს დაესხა „ოროისე, მდ. კირნოსის (მტკვრის) ზევით (ჩრდილოეთით) მცხოვრებ ალბანელთა მეფე.., რადგანაც რომაელების ალბანიაში შეჭრისა ეშინოდა" [Cassii Dio, XXXVI, 54, 1].

პომპეუსის არმია ქ.წ. 66/65 წწ. ზამთარში დაბანაკებული იყო, როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, დღევანდელი აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სადღაც თაუზის და ყაზახის რაიონებში, რომლებსაც მტკვარი კამბისენეს ოლქიდან ჰყოფს. თუკი აქ, მტკვრის ჩრდილოეთით ალბანეთი იყო, გამოდის, რომ კამბისენე ალბანეთის კუთვნილი ყოფილა.

პლუტარქეს თუ ვერწმუნებით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროც, სადაც პომპეუსის არმია იყო საზამთროდ დაბანაკებული, ალბანეთის ტერიტორია იყო: „ალბანები თავდაპირველად დათანხმდნენ გაეტარებინათ (პომპეუსი) თავის ტერიტორიაზე, მაგრამ, როდესაც პომპეუსის მხედრობას ზამთარმა ამ ქვეყანაში მოუსწრო და როცა რომაელები კრონოსის დღესასწაულს იხდიდნენ, ალბანებმა სულ ცოტა 40000 მეომრის შემადგენლობით გადალახეს მდინარე კირნოსი (მტკვარი) და პომპეუსს თავს დაესხნენ" [Plut., Pomp., XXXIV].

ქ.წ. 65 წელს იბერიისა და კოლხეთის დალაშქვრის შემდეგ, პომპეუსმა მომდევნო, ქ.წ. 64 წლის ზაფხულში ალბანეთზეც გაილაშქრა. ამისათვის მას მოუხდა გადაელახა მდ. მტკვარი, ალბათ, იმ ადგილას, სადაც მტკვარი წინა ზამთარს გადმოლახა ოროისმა (შდრ. [8, გვ. 110]), და შემდეგ მდ. კამბისი (დღევანდელი მდ. იორი). გზად „მას არავითარი ვნება არ შეხვედრია მოწინააღმდეგისაგან, მაგრამ დიდად შეაწუხა სიცხემ და ამის გამო წყურვილმა მთელ მის ჯართან ერთად" (გაიხსენეთ სტრაბონის აღწერილობა: „უწყლო და ოღრო-ჩოღრო კამბისენე"! ი. გ.); მდ. კამბისიდან (მდ. იორი) მდ. აბანტამდე (მდ. ალაზანი) რომაელებს „არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. თან მიჰქონდათ მხოლოდ წყალი, რადგან დანარჩენს ნებაყოფლობით ღებულობდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან, რის გამოც არაფრით ავიწროვებდნენ მათ" [Cassii Dio, XXXVII, 3]. ალბანეთის მეფესთან, ოროისთან ბრძოლა მოხდა მდ. ალაზნის გადალახვის შემდეგ [Cassii Dio, XXXVII, 4].

Cassius Dio-ს ამ ცნობების კომენტარში ნ. ლომოური ასკვნის, რომ მდ. მტკვრის (კირნოსის) გადალახვისთანავე, პომპეუსის არმია ალბანეთში აღმოჩნდა, რასაც მოწმობს ავტორის მითითება იმაზე, რომ პომპეუსს აქ ალბანელები თავს არ დასხმიან, ხოლო ტყვე მეგზურები (როგორც ჩანს, ალბანელები), რომაელებს გზას ურევდნენ. მაშასადამე, იმ პერიოდში ალბანეთის სამეფოს ტერიტორია ვრცელდებოდა ნაწილობრივ მდ. ივრის (კამბისის) ქვემო დინების დასავლეთითაც [8, გვ. 110] და სტრაბონის მიხედვითაც, მდ. ალაზანი მტკვარს ალბანეთის ტერიტორიაზე ერთვის [Strabo XI, 3, 2]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კამბისენე (კამბეჩოვანი) მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ალბანეთის ფარგლებში ყოფილა მოქცეული.

Cassius Dio-ს ამავე ცნობის საფუძველზე, დ. მუსხელიშვილი გამოთქვამს სრულიად მოულოდნელ ვარაუდს, რომ „პომპეუსის ლაშქრობის მარშრუტის გაყოლებით კამბისენე/ /კამბეჩოვანის მონაკვეთზე მოსახლეობა სომხური იყო" [14, გვ. 43]. ის გარემოება, რომ კამბისენეს ადგილობრივი მოსახლეები რომაელებს „ნებაყოფლობით" ამარაგებდნენ სურსათით, სულაც არ იძლევა რაიმე საფუძველს მათი ეთნიკური ან, თუნდაც პოლიტიკური კუთვნილების განსასაზღვრავად. ისინი ისევე შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ქართველები, როგორც ალბანელები: მშვიდობიანი უიარაღო სოფლელები როგორ გაუწევდნენ წინააღმდეგობას რომაელთა რეგულარულ არმიას? ცხადია, დ. მუსხელიშვილი კამბისენეში სომხური მოსახლეობის არსებობას გულისხმობს იმის გამო, რომ კამბისენე მას სომხეთის პროვინციად მიაჩნია სტრაბონის ცნობაზე დაყრდნობით [Strabo XI, 4,1; XI, 4, 4]. მაგრამ სტრაბონის ეს ცნობა უტყუარიც რომ იყოს (რაშიც მე, პირადად, ეჭვი მეპარება, იხ. ზემოთ), თვით დ. მუსხელიშვილიც კი არმენიის კუთვნილად „კამბეჩოვანის იორ-მტკვრის შორის სივრცეს" მიიჩნევს [14, გვ. 44], მაგრამ Cassius Dio-ს ის ცნობა, რომელსაც დ. მუსხელიშვილი კამბისენეში ამ მოსახლეობის არსებობის სამტკიცებლად იყენებს, ეხება იორსა და ალაზანს შორის მოქცეულ ტერიტორიას, მტკვრისა და ივრის შუამდინარეთი კი, რომელიც პომპეუსმა ძირითადად ღამით გადალახა, საერთოდ დაუსახლებელი ჩანს. გარდა ამისა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამა თუ იმ ტერიტორიის პოლიტიკური კუთვნილების შეცვლა ეთნოსის ცვლილებას ყოველთვის არ იწვევდა: გავიხსენოთ ზემოთ მოტანილი მაგალითი ხოტენესი (ხორძენესი), რომელიც არმენიის კუთვნილია, თუმცა იქ არა არმენები, არამედ ხოტენელები და იბერები სახლობენ [Appian, Mithr., 101].

დღევანდელი კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის (ქიზიყის) ბერძნული სახელი Καμβυσηνή კანონზომიერი ძველ-ბერძნული ტრანსკრიპციაა ადგილობრივი ტოპონიმისა კამბეჩანი (კამბეჩოვანი), რომელიც საქართველოში XVIII საუკუნემდე ცოცხალი იყო და, რომელიც ეჭვს გარეშე ქართულენოვან გარემოშია წარმოშობილი [44, გვ. 310]. მართალია, ამ სახელის ძირი – შინაური კამეჩის (Bubalus aznee domesticus) ქართული სახელწოდება, „კამეჩი //კამბეჩი" სპარსულიდანაა ნასესხები, მაგრამ იგი ქართულ ნიადაგზეა გარდაქმნილი და ტოპონიმი ისეა ნაწარმოები. ამ ტიპის ტოპონიმები ფართოდაა გავრცელებული მთელ საქართველოში (წეროვანი, თელოვანი, გოროვანი, თელიანი და სხვ.) და, კერძოდ, კახეთშიც (გურჯაანი, მაჩხაანი, მირზაანი, ჯუგაანი და სხვ.). ძველი ალბანელების მემკვიდრეები, უდები კამეჩს

უწოდებენ gönish ან კალა (ცნობა მომაწოდა მ. ქურდიანმა, რისთვისაც მისი მადლობელი ვარ, ი.გ.), ასე რომ, სახელი კამბეჩანი//კამბეჩოვანი არც ალბანურით იხსნება და ვფიქრობთ, რომ ტოპონიმის ქართული წარმომავლობა საკმარისი საბუთია იმისა, რომ საკმაოდ ადრეული ხანიდან (ყოველ შემთხვევაში სტრაბონზე უფრო ადრეული ხანიდან) კამბისენეში ქართულ ენაზე მეტყველი მოსახლეობა ვიგულისხმოთ.

ალბანეთის დასავლეთი ნაწილი ქ.წ. III-II საუკუნეებში უნდა მოქცეულიყო იბერიის სახელმწიფოს ფარგლებში, რომლის ტერიტორია ვრცელდებოდა მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზეც კი, სადაც დღევანდელ ნეკრესთან ქართლის მეფეები ფარნავაზიდა და შემდეგ არშაკი ქალაქს აშენებენ [19, გვ. 29, 33; 37, გვ. 297-298]. ქ.შ. I საუკუნეშიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ეს ტერიტორია ისევ ქართლის სამეფოს ფარგლებში ივარაუდება, მაგრამ ასე არ იყო ქ.წ. I ს-ში. ვფიქრობთ, რომ მომძლავრებულმა ალბანეთმა, რომელიც სტრაბონის ცნობით სწორედ ამ დროს გაერთიანდა ერთი მეფის ხელისუფლების ქვეშ ([ალბანელების] „ბასილევსები გამოირჩევიან: ეხლა ერთი განაგებს ყველას, ხოლო უწინ ცალკეულები მეფობდნენ ცალკეული საკუთარი ენის მიხედვით. მათ აქვთ 26 ენა, იმიტომ, რომ ერთმანეთს არ ერევიან" [Strabo XI, 4,6; 37, გვ. 296]), ისარგებლა ქართლის სამეფოს შესუსტებით და გაავრცელა თავისი ძალაუფლება კამბეჩოვანზე. საყურადღებოა, რომ სწორედ ქ.წ. I საუკუნეში (როგორც ჩანს, უფრო ამ საუკუნის მეორე მეოთხედიდან) კახეთის ტერიტორიაზე ვრცელდება იალოილუ–თაფას არქეოლოგიური კულტურა, რომელიც, ეჭვს გარეშე, ალბანურ ტომთა კუთვნილია და რომლის გავრცელების ძირითადი არეალი დღევანდელ აზერბაიჯანშია.

რაც შეეხება დღევანდელ საქართველოს, იალოილუ-თაფას კულტურის ძეგლები შედარებით კომპაქტურად ჩანს გავრცელებული ივრისა და ალაზნის მხოლოდ ქვემო დინებაში; ამ მდინარეთა შუა წელზე იალოილუ–თაფას კულტურის ტიპიური მასალები კლებულობს და შიდა ქართლის აღმოსავლეთ ნაწილებამდე მხოლოდ მისი ელემენტები აღწევს. ამასთან, იორ-ალაზნის აუზშიც კი იალოილუ–თაფას კულტურა უეჭველად შემოტანილია, რაზეც, უმთავრესად, ის მიუთითებს, რომ ის გენეტიკურად არ უკავშირდება წინამორბედ ადგილობრივ კულტურას. იორ-ალაზნის აუზში არ არსებობს ქ.წ. I საუკუნეზე ადრეული ხანით დათარიღებული არც ერთი ძეგლი, რომელსაც რაიმე ნიშანი ჰქონდეს იალოილუ–თაფას კულტურისა [18, გვ. 201-202]. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ქრისტიანული წელთაღრიცხვის დასაწყისშივე იალოილუ–თაფას კულტურა ისევე უეცრად და, რაც მთავარია, უკვალოდ ქრება იორ-ალაზნის აუზიდან, როგორც ის გაჩნდა ქ.წ. I ს-ში. ქ.შ. პირველი საუკუნეების აღმოსავლეთი კახეთის კერამიკა კი ელინისტური ხანის კერამიკის ტრადიციებს აგრძელებს: აქ ისევ მზადდება თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული ჭურჭელი, რომელიც ქ.წ. III-II საუკუნეში ფართოდ იყო გავრცელებული კახეთში, და აქედან შიდა ქართლშიც გავრცელდა [18, გვ. 202-205; 27, გვ. 79-80].

იალოილუ–თაფას კულტურას მარტო კერამიკა არ განსაზღვრავს, თუმცა ის მართლაც თავისებურია, არამედ დაკრძალვის წესიც, რომელიც ასევე გარკვეული თავისებურებით ხასიათდება [15; 30], რაც გვავარაუდებინებს, რომ ამ კულტურის გავრცელება ახალი ეთნიკური ელემენტის შემოსვლის შედეგი უნდა იყოს. საიდან შემოიჭრა იორ-ალაზნის აუზში (კამბისენე//კამბეჩოვანში) ეს ელემენტი, ცალსახად გარკვეულია: ესაა დღევანდელი აზერბაიჯანის ანუ ისტორიული ალბანეთის ცენტრალური რეგიონები. მისი გავრცელების დროც გარკვეულია – ქ.წ. I საუკუნე და, ამდენად, იმის უარყოფა, რომ ეს ნამდვილად ალბანური ეთნიკური ელემენტი უნდა ყოფილიყო, ალბათ, შეუძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ იალოილუ–თაფას კულტურის ძეგლებმა საქართველოში მკვლევართა ყურადღება მიიპყრო გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოდან [15], უნდა აღინიშნოს, რომ ეს კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე მაინც არ არის სათანადო სიღრმით შესწავლილი. არ არის ბოლომდე გარკვეული მისი ხასიათი, მისი ურთიერთობა ადგილობრივ კულტურასთან, ბოლოსდაბოლოს არ არის დაზუსტებული მისი ქრონოლოგია, რადგანაც მიღებული დათარიღება ქ.წ. I – ქ.შ. I საუკუნეები, ძალიან ზოგადია იმ ეთნიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხების კვლევისათვის, რაც დღეს დგას ჩვენს წინაშე. ზემოთ ნათქვამია, რომ, ჩემის აზრით, იალოილუ–თაფას კულტურის გავრცელება კახეთის ტერიტორიაზე უფრო საგულისხმებელია ქ.წ. I საუკუნის მეორე მეოთხედიდან. ასეთი ვარაუდის უფლებას იძლევა 1969 წელს კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფ. ვაჩნაძიანთან გათხრილი სამაროვანი, სადაც რომაული რესპუბლიკური დენარით (ქ.წ. 73 წ., გ. დუნდუას განსაზღვრით) დათარიღებული სამარხი არ შეიცავდა იალოილუ–თაფას ტიპის კერამიკას, მაშინ, როცა იმავე სამაროვნის უფრო მოგვიანო სამარხებში ასეთი კერამიკა იყო აღგილობრივ ტრადიციულ კერამიკასთან ერთად. ვაჩნაძიანის ამ უაღრესად საინტერესო სამაროვნის მასალა ჯერ არ არის გამოქვეყნებული და ინახება გურჯაანის მუზეუმში.

მაგრამ აქვე არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ გუმბათში გამოვლენილი ზედა, A ფენა და შესატყვისი სამარხები, რომლებიც ქ.წ. I - ქ.შ. I საუკუნეებით არის დათარიღებული [48, გვ. 180], საერთოდ არ შეიცავდნენ იალოილუ–თაფას ტიპის კერამიკას. ამას ახსნა სჭირდება, რადგანაც გუმბათი მდებარეობს ქიზიყში, ისტორიულ კამბისენე–კამბეჩოვანში, და A ფენის ქრონოლოგიაც (ქ.წ. I - ქ.შ. I სს.) მოსალოდნელს ხდის აქ იალოილუ–თაფას კულტურის არსებობას.

ამავე დროს, ძნელი წარმოსადგენია, რომ ახალი მოსახლეობის ასეთი მასობრივი შემოსვლა მთლად მშვიდობიანი პროცესი ყოფილიყო. ერთ-ერთი იმ გარემოებათაგანი, რომელმაც ხელი შეუწყო ამ მოვლენას – იალოილუ–თაფას კულტურის გავრცელებას იორ-ალაზნის აუზში, შესაძლებელია, იბერიის სახელმწიფოს სისუსტეც იყო, მაგრამ ისმება კითხვა: სად გაქრა იორ-ალაზნის აუზის ძველი მოსახლეობა, რომელიც ეთნიკური წარმოშობით ან ქართველი, ან, შესაძლებელია, ალბანური იყო (გავიხსენოთ სტრაბონისეული ალბანელთა 26 ენა), თუმცა ძლიერ გაქართველებული? არსებობს იმის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ახალმოსულებს ამ ტერიტორიაზე საკმაოდ შეთხელებული მოსახლეობა დახვდა.

ქარელის რაიონში, დედოფლის გორაზე ანტიკური ხანის სასახლის გათხრისას მოპოვებულ მცენარეთა ნაშთების შესწავლის შედეგად (ნ. რუსიშვილი) გაირკვა, რომ ქ.შ. I საუკუნეში, იმ დროს, როცა დედოფლის გორის სასახლეში ხალხი ცხოვრობდა, შიდა ქართლში დღევანდელზე უფრო თბილი და უფრო მშრალი, გვალვიანი ჰავა ყოფილა. ეს დასკვნა სრულ შესაბამისობაშია ელ. ყვავაძის მიერ კახეთში ჩატარებული პალინოლოგიური კვლევით მიღებულ მონაცემებთან [45], რომელთა მიხედვით ქ.წ. VIII-VII საუკუნეებში შირაქში ტბა და მდინარე არსებობდა და ტირიფი და მურყანი წყლისპირა ჭალის ტყეს ქმნიდა, სადაც გვიმრა და შვიტა ხარობდა (და ეს საუბარია „უწყლო და ოღროჩოღრო კამბისენეზე", როგორიც იყო იგი სტრაბონის დროს [Strabo XI, 4, 5] და როგორიც არის იგი დღეს). შირაქის მცხოვრებლებს მოჰყავდათ ჭვავი და ხორბალი, ფეტვი და ქერი და მებაღეობასაც მისდევდნენ. განსაკუთრებით ბევრი იყო კაკალი და ლელვი. მაგრამ ქ.წ. VI ს-დან დაიწყო კლიმატის თანდათანობითი გაშრობის პროცესი, რასაც წელთაღრიცხვათა მიჯნაზე საშუალო წლიური და, განსაკუთრებით, ზაფხულის ტემპერატურის აწევა დაერთო, რის გამოც კიდევ უფრო მკვეთრად გამოიკვეთა კლიმატის სიმშრალე. ჰავის ცვლილებაზე, ცხადია, რეაგირება მოახდინა მცენარეულმა საფარმაც. შირაქსა და ალაზნის ველის აღმოსავლეთ ნაწილში უპირატესად მეზოფილური ნაირბალახოვნება შეცვალა ავშანმა, რაც მშრალი კლიმატის ყველაზე მკვეთრი მაჩვენებელია.

კლიმატის ცვლილებას არ შეიძლებოდა არ ემოქმედა ადამიანის საქმიანობაზე და მართლაც, მიწათმოქმედება, რომელიც ჰყვაოდა ქ.წ. VIII-VII საუკუნეების კამბისენეში (შირაქში), თანდათან ჩაკვდა და წელთაღრიცხვათა მიჯნაზე შეიცვალა სეზონური მესაქონლეობით. პალინოლოგიური მონაცემებით იმ პერიოდში ადამიანს იქ მუდმივად არ უცხოვრია.

არქეოლოგიური მონაცემებიც ანალოგიურ სურათს გვიხატავს: შირაქი პირველ საუკუნეში დაუსახლებელია, მაშინ როცა იქ ქ.წ. VIII-VII საუკუნეებში თხუთმეტამდე ნამოსახლარია აღნუსხული. ორი ამ ნამოსახლართაგანის – ციხკარაანთ გორის და უსახელო გორის – გათხრებით კარგად გამოჩნდა, თუ როგორ თანდათანობით კნინდება ცხოვრების ინტენსივობა ქ.წ. VI-IV საუკუნეებში და საერთოდ წყდება ქ.წ. I ათასწლეულის დასასრულს.

ქ.წ. I საუკუნეში, როცა შირაქისა და ალაზნის ველის გამყოფ ქედზე იალოილუ–თაფას კულტურის სამოსახლოები ჩნდება, შირაქში მოსახლეობა აღარ იყო. ვფიქრობთ, რომ კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული მოსახლეობის სიმჭიდროვის მკვეთრი შეთხელება, ქ.წ. I საუკუნის კამბისენეში გახდა ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანი, რომელმაც ხელი შეუწყო იალოილუ–თაფას კულტურის მატარებელი ეთნიკური ელემენტის აქ შემოღწევასა და გავრცელებას: ახალმოსულები სახლდებიან იქ, სადაც ძველი მოსახლეობა შემცირდა ან საერთოდ გაქრა.

იბერიის ჩრდილოეთ საზღვრად, ჩვეულებრივ, კავკასიონის ქედი იგულისხმება, მაგრამ, რეალურად, ქართლის სამეფოს სახელმწიფოს საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედს კი არ გასდევდა, არამედ რამდენიმე მონაკვეთზე მის ჩრდილოეთით გადიოდა: სამხრეთ კავკასიაში ჩრდილოეთიდან მთავარი შემოსასვლელები, მათ შორის დარიალის გასასვლელიც, რომლითაც სარგებლობდნენ აღმოსავლეთ ევროპის ტრამალების ნომადები, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს და ისინი ყოველთვის ქართული სახელმწიფოს ფარგლებში იყო მოქცეული. კავკასიონის მთავარი ქედის ამ მონაკვეთზე, ორივე ფერდობზე, როგორც წესი, ერთი და იგივე ხალხი ცხოვრობდა და რეალური ზღუდე სამხრეთ კავკასიასა და ტრამალებს შორის მიჰყვებოდა კავკასიონის ჩრდილოეთის გვერდით ქედს, რომელიც მთავარ ქედზე უფრო მაღალია და რომლის გადალახვაც მხოლოდ მდინარეების ხეობებით შეიძლება, მთავარი ქედისაგან განსხვავებით, სადაც ბევრი უღელტეხილია. ამრიგად, ქართლის სამეფოს ფარგლებში იყო მოქცეული დვალეთი, დღევანდელი არდონის ქვაბული ალანიაში, რომელიც ერთადერთი ხეობით უკავშირდება ჩრდილოეთს, მაშინ როცა სამხრეთით, საქართველოსკენ 11 გადმოსავალი აქვს [24, გვ. 6-9]. ქართლის სამეფოს ფარგლებში იყო მოქცეული ხევიც – თერგის ხეობის ზემოწელი დარიალის ცნობილი გასასვლელით [24, გვ. 9-10]. დარიალს Claudios Ptolemaios-ი სარმატიის კარად მოიხსენიებს: „შემდეგ [სარმატიის საზღვარი მიჰყვება] იბერიის მიჯნას. აქ მდებარეობს სარმატიის კარი" [Ptol. Claudii, V, 8, 11]. პლინიუსის ცნობით, „კავკასიის კარს აქეთ, რომელსაც ზოგიერთნი კასპიის კარსაც უწოდებენ, მდებარეობს [იბერიის] ციხე-სიმაგრე კუმანია, რომელიც აგებულია ურიცხვი ტომების გადასვლის დასაბრკოლებლად. ამ ადგილას, სწორედ იბერიის ქალაქ ჰერმატუსის გასწვრივ, კარით არის გაყოფილი სამყაროს ნაწილები" [Plinii, NH, VI, 30]. პლინიუსი კიდევ ერთხელ უბრუნდება კავკასიის კარის საკითხს და ამბობს, რომ თვით კორბულონის არმენიაში ლაშქრობის (57 წ. ქ.შ.) მონაწილენიც კი კასპიის კარს უწოდებენ იბერიაში არსებულ იმ კარს, რომელსაც კავკასიის კარი ეწოდება; ეს სახელი წერია იქიდან გამოგზავნილ რუკებზეც და ნერონის მუქარა კასპიის კარის ჩაკეტვის შესახებ, იმ კარს გულისხმობდა, რომელიც იბერიიდან სარმატეთში გადისო [Plinii, NH, VI, 40] [5, გვ. 38].

დარიალის გასასვლელის კასპიის კარად სახელდება, როგორც ჩანს, საკმაოდ დამკვიდრებული იყო რომაულ ლიტერატურაში. ამ სახელით ახსენებს ამ გასასვლელს ტაციტუსიც: იბერიელთა მეფე ფარსმანმა „მოუწოდა სარმატებს, რომელთა სკეპტუქოსები, იღებენ რა საჩუქრებს ორივე მხრიდან, მამაპაპური ჩვეულების თანახმად, ორივე მხარეს ემსრობიან. მაგრამ ადგილების მფლობელი იბერები კასპიის გზით სასწრაფოდ შეუშვებენ არმენიელების წინააღმდეგ სარმატებს: ხოლო მათ, ვინც პართებთან მიდიოდნენ, ადვილად აჩერებდნენ, რადგან სხვა გასასვლელები ჩაკეტილი ჰქონდათ" [Taciti, Annales, VI, 33].

კავკასიონის უღელტეხილებისა და გასასვლელების, განსაკუთრებით კი, დარიალის გასასვლელის ფლობა იყო ქართლის სამეფოს, იბერიის არა თუ სიძლიერის, თვით არსებობის გარანტიაც კი. და ეს გარემოება იყო რომაელთა მხრიდან იბერიით დაინტერესების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი. ამიტომაა, ალბათ, ნახსენები კასპიის კარიბჭე ქართველი უფლისწულის ამაზასპის ბერძნულენოვან ეპიტაფიაში, რომელიც რომში აღმოჩნდა: „მეფის სახელოვანი ძე ამაზასპი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მიწაც არის კასპიის კარიბჭესთან, იბერი იბერის ძე, აქ მარხია წმინდა ქალაქთან.." [20, გვ. 236].

ლიტერატურა:

1. **აფაქიძე ან.** ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.
2. **ბერძენიშვილი დ.** ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი, ნაკვეთი I, თბ., 1979.
3. **ბერძენიშვილი ნ.** საქართველოს ისტორიის საკითხები, I. ისტორიული გეოგრაფია, თბ., 1964.
4. **გაგოშიძე ი.** არქეოლოგიური გათხრები ტახტიძირში (ქარელის რაიონი). კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოკლე შინაარსები, თბ., 1997, გვ. 16-17.
5. **გამყრელიძე ალ.** ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ალ. გამყრელიძემ, თბ., 1973.
6. **ინგოროყვა პ.** გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, თბ., 1954.
7. **ლომოური ნ.** კლაუდიოს პტოლემაიოსი. „გეოგრაფიული სახელმძღვანელო". ცნობები საქართველოს შესახებ (ტექსტი თარგმანითურთ გამოსცა, წინასიტყვაობა და განმარტებები დაურთო ნ. ლომოურმა). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 32, 1955, გვ. 39-65.
8. **ლომოური ნ.** დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნოდარ ლომოურმა, თბ., 1966.
9. **ლორთქიფანიძე ოთ.** ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), თბ., 1968.
10. **ლორთქიფანიძე ოთ.** ვანის ქალაქი. ჟურ. ცისკარი 7, 1968, გვ. 133-142.
11. **ლორთქიფანიძე ოთ.** ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები). ვანი I. არქეოლოგიური გათხრები 1947-1969, თბ., 1972, გვ. 7-42.
12. **მელიქიშვილი გ.** ქართლი (იბერია) ძვ.წ.VI-IV საუკუნეებში. ქართლის სამეფოს წარმოქმნა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები I, თბ., 1970, გვ. 422-444.
13. **მელიქიშვილი გ.** საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები I, თბ., 1970, გვ. 500-568.
14. **მუსხელიშვილი დ.** ქიზიყის ძველი ისტორია, თბ., 1997.
15. **ნიორაძე გ.** ალაზნის ველის გათხრები, თბ., 1940.
16. **პაპუაშვილი თ.** ჰერეთის ისტორიის საკითხები. ნარკვევები სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1970.
17. **საგინაშვილი მ.** ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბ., 1970.
18. **ფიცხელაური კ.** აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს.) არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1973.
19. **ქართლის ცხოვრება.** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955.
20. **ყაუხჩიშვილი თ.** ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951.
21. **ყაუხჩიშვილი თ.** საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976
22. **ყიფიანი გ.** კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები, თბ., 2000.
23. **წერეთელი გ.** მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა, თბ., 1958.
24. **ჯავახიშვილი ივ.** საქართველოს საზღვრები, თბ., 1919.

25. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია II, თბ., 1948.

26. ჯავახიშვილი ქ. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, V, თბ., 1972.

27. Гагошидзе Ю.М. Самадло. Археологические раскопки, Тб., 1979.

28. Гагошидзе Ю.М. Самадло. Каталог археологического материала, Тб., 1981.

29. Гамбашидзе О.С., Квижинадзе Н.Д., Ткешелашвили О.В., Личели В.Т. Месхет-Джавахетская экспедиция. Полевые археологические исследования в 1981 г., Тб., 1984, გვ. 18-21.

30. Исмизаде О.Ш. Ялойлутепинская культура, Баку, 1956.

31. Ломоури Н.Ю. К истории Понтийского царства, Тб., 1979.

32. Лордкипанидзе Г.А. К истории древней Колхиды, Тб., 1970.

33. Лордкипанидзе Г.А Колхида в VI-I вв. до н.э., Тб., 1978.

34. Лордкипанидзе О.Д. Древняя Колхида, Тб., 1979.

35. Лордкипанидзе О.Д. Наследие древней Грузии, Тб., 1989.

36. Максимова М.И. Города Юго-восточного Причерноморья, М.-Лен., 1956.

37. Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, Тб., 1959.

38. Манандян Я.А. О торговле и городах Армении, Ереван, 1954.

39. Тирацян Г.А. Культура древней Армении. VI в. до н.э. - III в. н.э., Ереван, 1988.

40. Церетели Г.В. Армазская билингва, Тб., 1941.

41. Церетели Г.В. Армазская надпись эпохи Митридата Иверийского. Труды 25-го международного конгресса востоковедов, 1, М., 1962, გვ.374-378.

42. Цкитишвили Г.Г. Результаты работ на Цихиа-гора (1971-1974 гг.). Краткие сообщения 151, М., 1977, с. 87-93.

43. Braund D. Georgia in Antiquity. A History of Colchis and Transcaucasian Iberia 550 BC-AD 562, Oxford, 1994.

44. Gagošidze J. Geomorphologie, Klima und Geschichte von Širaki im Überblick. Archäologische Expedition in Kachetien 1997. Ausgrabungen in Širaki. Eurasia Antiqua, Band 4, 1998, გვ.309-311.

45. Kvavadze E. Vorläufige Ergebnisse der palinologischen Untersuehungen. Archäologische Expedition in Kachetien 1997. Ausgrabungen in Širaki. Eurasia Antiqua, Band 4, 1998, გვ. 354-357.

46. Licheli V. St. Andrew in Samtskhe – Archaelogical Proof? Ancient Christianity in the Caucasus. Iberia Caucasica, Volume One, Edited by T. Mgaloblishvili, Richmond, 1998, გვ. 25-37, 199-201.

47. Licheli V. Black Sea-Vani-Samtskhe: the Spreading Road of Black Glazed Pottery. La Mer Noire zone le contacts. Actes du VII simposium de Vani 1994, Paris, 1999, გვ. 101-107.

48. Furtwängler A.E. Gumbati. Archäologische Expedition in Kachetien 1994. 1Vorbericht. Eurasia Antiqua, 1, 1995, გვ. 177-211.

მარიამ გველესიანი

არმაზი – ქართლის უზენაესი ღვთაება

არმაზის კულტის შესწავლას საქართველოში საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, „ღმერთი ღმერთთა არმაზი“ წინაქრისტიანული ქართლის უზენაეს ღვთაებად გვევლინება და აქედან გამომდინარე, გასაგებია მისდამი ქართველ მეცნიერთა განსაკუთრებული ინტერესი. ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე მას მრავალრიცხოვანი გამოკვლევა მიეძღვნა. მკვლევართ ინტერესის გამოვლენაში ხელს არ უშლიდა არმაზზე არსებულ წყაროსეულ მონაცემთა სიმწირე და ფრაგმენტულობა, თუმცაღა სწორედ ეს გარემოება ქმნიდა სირთულეებს ამ ღვთაების რაობის დადგენის მცდელობაში. შესაბამისად, არსებობდა და დღესაც არსებობს მისი მრავალგვარი და ურთიერთგამომრიცხავი დეფინიცია; ზოგი მკვლევარი თუ არმაზის კერპს ირანულ ღვთაება აჰურა მაზდასთან აკავშირებს, სხვანი მას ხეთურ-მცირეაზიურ მთვარის ღვთაება არმად, მცირეაზიურ (ხურიტულ) ომისა და ტაროსის ღვთაება თეშუბად, სოლარული და აგრარული ბუნების მქონე ღვთაებად, ასევე მითრად, ან მზის ღვთაებად მიიჩნევენ. მეტ-ნაკლები დამაჯერებლობის მქონე ყველა ამ მოსაზრებათა შორის საბოლოოდ მიღებულ და დამკვიდრებულ იქნა თეორია არმაზის მთვარის ღვთაება არმასგან წარმომავლობის შესახებ (იხ. „არმაზი“, ქსე, თბ. 1975 ტ.1; «Армази», Мифы народов мира, М., 1980, т.1)[1], რომელიც, ვფიქრობთ, არც არსებულ კონცეფციათა შეჯერების შედეგად მიღებულ ლოგიკურ დასკვნას წარმოადგენს და არც განსაკუთრებული არგუმენტაციით გამყარებულ პრიორიტეტულ მოსაზრებას. თანამედროვე სამეცნიერო მიმოქცევაში კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უკრიტიკოდ ხდება აპელირება ამ დეფინიციისა, თუმცა აღნიშნული იდენტიფიკაცია არა მხოლოდ ღიად სტოვებს უამრავ პასუხგაუცემელ კითხვას წარმართული საქართველოს პოლიტიკური და რელიგიური ცხოვრებიდან, არამედ ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობაშიც კი მოდის მათთან.

ქართული სახელმწიფოებრიობის, რელიგიის, მწიგნობრობისა და დინასტიური მეფობის ფუძემდებელი მეფე ფარნავაზის მიერ „სახელსა ზედა თვისსა“ აღმართული კერპი ზღვარს უდებს ორ დიდ ეპოქას, ორ დიდ ხანას საქართველოში – წარმართულსა და ქრისტიანულს, რამდენადაც სწორედ მისი მსხვრევა ხდება საწინდარი ქართლში ახალი სარწმუნოების გამარჯვებისა. მეორე მხრივ, როგორც აღმოსავლურ და დასავლურ სამყაროთა მაერთებელი ქვეყნის, ქართლის მთავარი ღვთაება, არმაზი ამ ცივილიზაციათა გარკვეული ელემენტების მატარებელიც უნდა იყოს – მით უფრო, რომ ის ადრეელინისტური ხანის პირმშოა. ამდენად, იგი დროისა და სივრცისმიერ ზღვართა მღები და შესაბამისად, ურთიერთშეღწევად კულტურათა ამრეკლავია. შესაბამისად, არმაზის კერპის (კულტის) შესწავლა ამ სამყაროთა (წარმართული-ქრისტიანული; აღმოსავლეთი-დასავლეთი) სივრცეში, მოიცავს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ პრობლემათა უზარმაზარ სპექტრს. გამოვლენამ და გაანალიზებამ იმ პოლიტიკურ-ისტორიული პროცესებისა და კულტურულ-რელიგიური მოვლენებისა, რომელთაც მიმართებები აქვთ როგორც საკუთრივ არმაზის კულტთან, ასევე ადრეელინისტური და გვიანანტიკური ქართლის ისტორიულ და ზოგადკულტურულ ყოფასთან [5, გვ. 16-46], ვფიქრობთ, გარკვეულწილად ნათელჰყო ღვთაება არმაზის რაობაზე სადღეისოდ არსებული კონცეფციის სიმცდარე.

საკითხის კვლევის არსებულ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით აღვნიშნავდით, რომ ის ეფუძნებოდა არმაზის კერპის „ნინოს ცხოვრებისეულ“ აღწერილობასთან გარეგნული იერსახით შეჯერებულ-მისადაგებულ იკონოგრაფიულ პარალელებს და არა „ფარნავაზის ცხოვრების“ იმ რეალიებს, რომლებიც პირველმეფის ქმედებათა წიაღ მთლიან ერთობლიობად მოგვააზრებინებდა არმაზის კულტის წარმოშობის წინაპირობასა და მისი შესაბამისი განსახოვნების ფორმას; უფრო ნათლად რომ ვთქვათ, იკონოგრაფიულ ანალოგებს მივყავდით არმაზის რაობის განსაზ-

ღვრებისაკენ, მაშინ როცა უნდა ყოფილიყო პირუკუ: ფარნავაზზე არსებულ წყაროსეულ ინფორმაციას, მომცველს იმ მიზეზ-გარემოებისა, რის გამოც ფარნავაზმა „სახელსა ზედა თვისსა“ კერპი აღმართა, უნდა აეხსნა კერპ-ქანდაკების იკონოგრაფიის, როგორც ამ ინფორმაციის სასრული სახის თავისებურებანი. აღნიშნული უკუპროცესის შედეგად კი მოხდა უგულებელყოფა იმ მიმართულებისა, რომელიც უმთავრეს გზამკვლევად გვესახება არმაზის იკონოგრაფიულ პარალელთა მოძიებისა და საზოგადოდ, არმაზის რაობის დადგენის საქმეში: ესაა ელინისტურ ხანაში მეფის გაღმრთობის ანუ დეიფიკაციის უკვე ერთიან სისტემად ჩამოყალიბებული კონცეფცია, რასთანაც შესაბამისობას ჰპოვებს „ფარნავაზის ცხოვრების“ რეალიები. მართალია, საკითხის დასმის წესით ფარნავაზი ზოგ შემთხვევაში მეფე-ღმერთადაა წარმოდგენილი მკვლევართა მიერ, [11, გვ. 23; 19, გვ. 103-126; 17, გვ. 110-111], ამ მოვლენის სხვა ცივილიზაციათა სივრცეში კომპარატიული შესწავლა არ გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი. ვფიქრობთ, უპრიანია ამ მიმართებით მისი აქ მიმოხილვა.

მეფობის კონცეფცია, როგორც რელიგიურ მსოფლაღქმაზე დაფუძნებული მაორგანიზებელი სისტემა ქვეყნის პოლიტიკური ფილოსოფიისა, უძველესი დროიდანვე ჩამოყალიბდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში – ეგვიპტესა და მესოპოტამიაში და მოახდინა ზეგავლენა ძველბერძნულ და განსაკუთრებით, ელინისტურ პოლიტიკურ იდეოლოგიაზე, ხოლო მოგვიანებით – ადრექრისტიანულსა და ბიზანტიურზე. რაც შეეხება საქართველოს, მასში ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად დაშრევდა ამ სამყაროთა თეოკრატიული სისტემების კვალი, რისი ფიქრის საფუძველსაც „ფარნავაზის ცხოვრების“[2] ანალიზი იძლევა.

მეფობის კონცეფციის ძირითადი იდეის მიხედვით, მეფე არის ღმერთის ხატი დედამიწაზე, ზეციური მეუფის მიწიერი კორელატი ანუ მიწიერი ღმერთი. შესაბამისად, ღმერთის ფუნქციათა ანალოგიურია მეფის ფუნქციები, რომელთა მთლიანობა სამეფო თეოლოგიის ერთ მთლიან კონცეპტუალურ სისტემას ქმნის, რომლის თანახმადაც მეფე არის: ზებუნებრივი ან ღვთაებრივი ძალის მქონე; ღვთაებრივი ან ნახევრად ღვთაებრივი მეფე-მმართველი; ღმერთის გზავნილი ან მედიატორი; შუამავალი ღმერთსა და ხალხს შორის; სამყაროს, კოსმოსის მეუფე; უზენაესი მსაჯული; მწყემსი თავისი ქვეყნისა და ერისა; ქურუმი, უზენაესი სასულიერო პირი; ომთა გამრიგე, ქვეყნის მტრისაგან გამათავისუფლებელი ანუ სოტერი, მხსნელი; ღვთის გზავნილი, მაკურთხეველი თავისი ერისა, მისი კეთილდღეობის, სვიანობის უზრუნველმყოფელი.

„ფარნავაზის ცხოვრების“ რეალიათა გაანალიზება, აღნიშნულ პოსტულატებთან მათ შესაბამისობას ავლენს: ფარნავაზში, როგორც სახელმწიფო მოღვაწეში, თავს იჩენს იმ უნარ-თვისებათა ერთობლიობა, რაც აუცილებელია ქვეყნის აღმშენებლობისათვის; იგი გადაწყვეტს ქვაბულში ნაპოვნი განძი მამულის მტრისაგან („მაკედონელთაგან“) ხსნას მოახმაროს – განდევნის უცხო დამპყრობლებს თავისი მიწა-წყლიდან, ამის შემდგომ ხდება ყოვლისა ქართლისა მეფე-რეფორმატორი, აღაშენებს მტრისაგან დანგრეულს, ქმნის ერთიან სახელმწიფოს, მის საზოგადოებრივ წყობილებას, ქართულ მწიგნობრობას, აფუძნებს დინასტიურ მეფობასა და რელიგიას: „და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა“ – ასეთია ქართლის პირველი მეფის ქმედებათა სივრცე, რომელიც ფარნავაზის პირად თვისებებთან ერთად, ტექსტში გაცხადებულ სამეფო ატრიბუტიკასაც მოიცავს და მეფე-გმირის ქარიზმაზე მიგვანიშნებს.[3]

მეფეთა (მმართველთა) გაღმრთობას ელინისტურ სამყაროში მკვლევარნი პოლიტიკური რელიგიის სფეროს განაკუთვნებენ. თუ რელიგია, საზოგადოდ, ღვთაებათა ან ღმერთის რწმენას გულისხმობს, მეფეთა თაყვანისცემა განიხილება როგორც ამ რწმენის დაღმავლობის, დეგრადაციის საფუძველზე აღმოცენებული რელიგია, რაც იყო შედეგი ელინისტური ეპოქის ინტელექტუალთა წრეებში გაჩენილი სკეპტიციზმისა ტრადიციულ, ოლიმპოს ღვთაებათა მიმართ – ამ უკანასკნელთა ძალისა და სიდიადის მხოლოდ წარმოსახვა თუ შეიძლებოდა, მაშინ როცა დიადოხოსთა ძალა-სიადიადე თვალად სახილველი და გასაგონი იყო [53, გვ. 23; 51, გვ. 25-27][4]. ალექსანდრე მაკედონელი მაკედონიას თუ მემკვიდრეობითი უფლებით მართავდა, აზიას – საბრძოლო გამარჯვებების წყალობით. აზიას თანამედროვენი უწოდებდნენ *doructētos chōra*-ს („მახვილით მოპოვებული ქვეყანა“). სწორედ საბრძოლო გამარჯვებებია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმ მმართველთათვის, რომელთაც ტახტი მემკვიდრეობით არ ეკუთვნით. მეფობის კონცეფციის ეს წმინდად პრაგმატული ხასიათი *basilea*-ს ამ განსაზღვრებაშიც გამოიხატა: „არა ბუნება (*physis*) ან სამართალი (*dikaion*) აძლევს კაცთ სამეფოებს, არამედ უნარი სპათა წინამძღოლობისა და საქმეთა ვარგისად წარმართვისა“ – ასე განმარტავს *Suda*, X ს. ბიზანტიური ენციკლოპედია მეფობის წინაპირობას დიადოხოსთა ხანაში [56, გვ. 49]. ეს განმარტება რეალურ ისტორიულ ვითარებას სრულად ესადაგება:

პირველად სიცოცხლეშივე განიღმრთო სპარტელი გენერალი ლისანდრე (ძვ.წ. V-IV სს.), რომელიც იყო უძლიერესი ფიგურა მთელს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. მისი კულტი დაფუძნდა კ. სამოსზე ძვ.წ. 356-5 წწ-ში, მას მერე, რაც მან დაამარცხა სპარსელები და მისი მეტოქე ათენელთა კავშირიც დაშალა 405 წელს; სამოსის მფარველ ქალღვთაება ჰერას სახელს ლისანდრეს სახელი ჩაენაცვლა.

ალექსანდრე მაკედონელის მიერ ეგვიპტის სატრაპად დანიშნული პტოლემე I, ლაგოსის ვაჟი როდოსელთაგან თაყვანიცემოდა ძვ.წ. 304 წლიდან, მას შემდგომ, რაც კუნძული როდოსი მან დამპყრობელთაგან – მაკედონელთაგან გაათავისუფლა. ამონის ორაკულმა პტოლემე ღმერთად შერაცხა. მას მიეძღვნა ტემენოსი და ეწოდა ღვთაებრივი მეტსახელი „სოტერ“ [39, გვ. 627].

სიცოცხლეშივე გაიღმრთო პტოლემე II ფილადელფოსმა (ძვ.წ. 282-246 წწ.) როგორც საკუთარი თავი, ასევე მეუღლე არსინოე, რომელსაც აფროდიტე–არსინოე ეწოდა.

გაღმრთობილი მეფენი თაყვანიცემოდნენ როგორც ოლიმპიელი ღმერთები. მათ ჰქონდათ თავიანთი ტაძრები, საკურთხევლები, საკულტო ქანდაკებები და ჰყავდათ უზენაესი სასულიერო პირი [46, გვ. 5], ეძღვნებოდათ ჰიმნები (პეანები), მათ სახელზე ეწყობოდა ყოველწლიური თამაშობები, იმართებოდა სპეციალური მსხვერპლშეწირვები.

სამეფო თეოლოგიის ლეგიტიმიზაცია მოხდა ევჰემეროსის, ძვ.წ. III ს-ის ბერძენი ფილოსოფოსის მოძღვრებით, რომლის მიხედვითაც ოლიმპოს ღმერთები თავდაპირველად მოკვდავი დიდმეფენი ყოფილან, რომლებიც ადამიანებმა გააღმერთეს ქვეყნის წინაშე თავიანთი ღვაწლის გამო [25, გვ. 2][5]. ამ კონცეფციის შემუშავებას ბერძნულ სამყაროში პრაქტიკული საფუძვლები ჰქონდა ალექსანდრე მაკედონელის, მეფე-ღმერთის კულტის მყარი ინსტიტუტის დამკვიდრებით. დაიპყრო რა ეგვიპტე, ალექსანდრეს ადგილობრივი მოსახლეობა როგორც მხსნელს, ღმერთს შეხვდა სპარსთა უღლისაგან გათავისუფლების გამო. დიდი მეფე-მხედართმთავარი სივას ოაზისში, ამონის სამლოცველოში ქურუმთაგან ხელდასხმულ იქნა ამონის შვილად და შესაბამისად – ფარაონთა მემკვიდრედ. ამ აქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა – ამ სამლოცველოს ამონი ბერძენთაგან თაყვანიცემოდა როგორც სინკრეტული ღვთაება ზევს-ამონი. ალექსანდრე ზევსის შვილიც აღმოჩნდა, რის შედეგადაც მისი, როგორც მეფე-ღმერთის სახე ეგვიპტის საზღვრებს გასცდა. მაკედონელის გაღმრთობა, რომელიც მისი მსოფლიო ჰეგემონიის იდეოლოგიურ გაფორმებას წარმოადგენდა, სხვა ფაქტორითაც იყო განპირობებული – ეს იყო მისი ღვთაებრივი წარმომავლობა მითიური ჰერაკლედან [52, გვ. 26].

ელინისტურ სახელმწიფოთა წარმოქმნის წიაღ ჩამოყალიბდა გაღმრთობილი მეფის კულტი, რომელიც სამეცნიერო მიმოქცევაში ორ სახეობადაა კლასიფიცირებული – სამოქალაქო და სახელმწიფოებრივ კულტებად. ამათგან პირველის დაწესება თუ ცალკეული ქალაქების ინიციატივით ხდებოდა, მეორე შემთხვევაში თავად მეფე გამოდიოდა კულტის დამფუძნებლად, რომლის მიღება და აღიარება აუცილებელი ხდებოდა მთელი სახელმწიფოსათვის. მონარქნი ღებულობენ *isotheoi timai*-ს („ღმერთთა ფარდი თაყვანისცემა“).[6] ცალკეულ ტომებს მათი სახელები ერქმევათ (როგორც იყო, ვთქვათ, გაღმრთობილი ანტიგონესა და დემეტრიოსის პატივსაგებად წოდებული ანტიგონეს და დემეტრიას ტომები (ანტიგონიდები, დემეტრიადები). მეფეთა დაბადების თუ მათი ტახტზე აღსაყდრების დღე აღინიშნებოდა როგორც რელიგიური დღესასწაული; მეფეთ ენიჭებოდათ წოდებები, ასოცირებული მათ ღვთაებრივ ქმედებებთან: *ktistes*

(„ფუძემდებელი“, „დამაარსებელი“), *euergetes, benefactor* („კეთილისმყოფელი“, „მწყალობელი“), *soter* („მხსნელი“) და სხვ.

ბერძენი ისტორიკოსი დიოდორე სიცილიელი (ძვ.წ. I ს.) მოგვითხრობს: „მიიჩნიეს რა ანტიგონე და დემეტრიოსი თავიანთ გამათავისუფლებლად (*Liberator*), ათენელებმა ისინი ღმერთებად შერაცხეს. ათენელთა საბჭომ ერთხმად მისცა ხმა მათი ოქროს ქანდაკებების აღმართვას. ამ გვირგვინოსანი ქანდაკებების კურთხევისათვის ორასი ტალანტი გამოიყო“ [52, გვ. 266]. საგულისხმოა მათი და ფარნავაზის ეპოქის ქრონოლოგიური თანაფარდობა: ლეგენდარული დემეტრიოსი, ანტიგონეს ვაჟი ძვ.წ. 283 წ. გარდაიცვალა. 284-280 წლებითაა განსაზღვრული ფარნავაზის მეფობის დასაწყისი.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა რა ვითარებაა მეფეთა დეიფიკაციის მხრივ სელევკიდების სახელმწიფოში, რომელთანაც, წყაროს მიხედვით, ფარნავაზს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია. გაღმერთებული იყო თავად ანტიოქოს I (ანტიოქოს აპოლონ სოტერ), „მეფე ასურასტანისა“, რომელმაც ფარნავაზს „წარმოსცა გვირგვინი“, რითაც მოხდა მისი მეფობის ლეგიტიმაცია.

წერილობითი წყაროები გვაუწყებს, რომ სირიის მმართველის, ანტიოქოს III (ძვ.წ. 223-187 წწ.) მიერ ისოსის გათავისუფლებას ფილიპე V მაკედონელის დროებითი მმართველობიდან შედეგად მოჰყვა ანტიოქოსის გაღმრთობა, რაც გამოიხატა მის სახელზე საკურთხევლის აღმართვით. დაწესდა რეგულარული მსხვერპლშეწირვების ტრადიცია მეფისა და მისი წინაპრების მიმართ. ანტიოქოს III-ის ძალაუფლება განევრცო მცირე აზიის დასავლეთით მდებარე ქალაქებზე. ბერძნული ქალაქი თეოსი გადავიდა ანტიოქოს III-ის ხელში, რომლისგანაც ქალაქმა მიიღო პრივილეგიები ტერიტორიალური ურღვევობისა და ხარკისაგან გათავისუფლებისა, რის გამოც იქ 204/3 წწ. დაფუძნდა ანტიოქოს III-ისა და მისი მეუღლის, ლაოდიკეას კულტები. მათი საკულტო, მარმარილოს ქანდაკებები აღიმართა ქალაქის მთავარი ღმერთის დიონისეს საკულტო ქანდაკების გვერდით, მისსავე ტაძარში. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ანტიოქოსის პატივსაგებად გამოცემულ, *Annuario*-დ სახელდებულ დეკრეტში ვკითხულობთ: „...ამრიგად, სახელმწიფო და მისი მიწა-წყალი ხელშეუხებლად გამოცხადდა. აღგვეხადა დამპყრობთაგან ხარკი და რაკიღა ხალხს ეს წყალობა მათგან (ანტიოქოსი, ლაოდიკეა – მ. გ.) მოგვენიჭა, ისინი ჩვენთვის დიონისეს ფარდი და მათსავით თაყვანსაცემი ღმერთები გახდნენ“ [53, გვ. 30-31].

”ფარნავაზის ცხოვრების“ მიხედვითაც, ფარნავაზის მიერ „სახელსა ზედა თვისსა“ კერპის აღმართვა ანუ თავისივე გაღმრთობა გვესახება არა როგორც მეფის ნებელობითი აქტი, არამედ როგორც შედეგი ერის სასიკეთოდ მის მიერ გაწეული ქმედებებისა. პირველ რიგში, ესაა ქვეყნის მტრისაგან („მაკედონელთაგან“) ხსნა, რომლის შედეგი ამგვარად გაცხადდა მადლიერი ერის პირით: „ვჰმადლობთ სუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩუენთასა და აღგვიხადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან“. ლოგიკის ძალით, „ცხოვრების“ ტექსტის ბოლოს, ერისაგან ლოცვად ავლენილ ამ სიტყვებში (ესოდენ რომ თანხვდება *Annuario*-ს ზემოთმოხმობილ პასაჟს), კონდენსირებული უნდა იყოს ის უმთავრესი, რისთვისაც ფარნავაზი შეიძლებოდა გამხდარიყო მეფე-ღმერთი. როგორც ვხედავთ, სიცოცხლეშივე გაღმერთებული მეფის ქმედებებში გამოირჩა სოტეროლოგიური ასპექტი, რაც მეტად ნიშანდობლივია მეფეთა დეიფიკაციისათვის სწორედ ფარნავაზისა და მისი მომდევნო ეპოქის ელინისტურ სამყაროში. აი, როგორ აირეკლა ეს ფაქტი ქართულ სინამდვილეში: დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად შემართულ ფარნავაზს ქუჯი ასე მიმართავს: „აწ ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა, რათა განვამრავლნეთ სპანი; და უკეთუ მოგეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი (თუნდაც „ბატონის“, „მმართველის“ გაგებით – მ. გ.) ჩუენი და მე ვარ მონა შენი“ [21, გვ. 22].

ელინისტური სამყაროდან მოვიხმეთ მხოლოდ ერთეული მაგალითები მმართველთა გაღმრთობისა, თუმცა მათი რიცხვი მრავალია. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: სელევკიდები თავიანთ წინაპრად და დინასტიური მეფობის ფუძემდებლად მიიჩნევდნენ აპოლონს, ისევე როგორც აქემენიანები აჰურა მაზდას [43, გვ. 233]. ანტიოქოს I-ის სიცოცხლეშივე გამოშვებულ მონეტაზე მეფის პორტრეტს რევერსზე ენაცვლება ომფალოსზე მჯდომარე აპოლონის გამოსახულება. მისი თეოფორიული სახელია ანტიოქოს აპოლონ სოტერ. ხოლო ანტიოქოს III, ამჯერად გაღმრთობილი პერიფერიაში, ხდება ადგილობრივი ღმერთის დიონისეს და არა აპოლონის თანაზიარი (*synnaos theos*) ღმერთი. მაშასადამე, ჩანს, რომ სელევკიდების ტრადიციით, ადგილობრივი, ლოკალური კულტების მიხედვით ერქმეოდათ გაღმრთობილ მეფეებს თეოფორიული სახელები.

ეს ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ არმაზის კერპის აღმართვის მატიანისეულ ცნობაში ფარნავაზ-არმაზის (აჰურა მაზდა – ამ იდენტიფიკაციაზე იხ. ქვემოთ) სახელთა მემატიანისეული დაკავშირება უნდა აიხსნას არა მარტო სემანტიკურ-ეტიმოლოგიური ფაქტორებით, არამედ ცალკეულ ღვთაებებთან მეფის სახელის დაწყვილების ელინისტური ტრადიციითაც. ახლა საკითხავია, თუ სელევკიდების სახელმწიფოს მმართველთან ახლო ურთიერთობაში მყოფი ფარნავაზი რატომ ირჩევს საღმრთო სახელად მაინცდამაინც აჰურა მაზდას.

ცნობილია სელევკიდების ტოლერანტობა მათ პოლიტიკურ დაქვემდებარებაში მყოფი ქვეყნების ადგილობრივი, ლოკალური კულტებისადმი – ამ მხრივ ისინი ერთგულნი დარჩნენ მათ წინამორბედ აქემენიანთა ტრადიციისა მათ იმპერიაში მოქცეული ცალკეული ქვეყნების ღვთაებათა მიმართ შემწყნარებლობის თვალსაზრისით. მათი მმართველობის ჟამს კვლავ გრძელდებოდა ირანში აჰურა მაზდას, ბაბილონში მარდუქის, სირიაში კი ბაალის (ბელოსის) თაყვანისცემა [47, გვ. 130]; სელევკიდები ადგილობრივ ღვთაებებს ტაძრებსაც კი უგებდნენ – ეს მათ სრულიადაც არ უშლიდა ხელს იმაში, რომ თავად დარჩენილიყვნენ ელინური სარწმუნოების მიმდევარნი [43, გვ. 232].

ისტორიულ ქართლზე (ან მის გარკვეულ ნაწილზე) აქემენიანთა ჰეგემონიის შესახებ არსებულ ისტორიულ ცნობებს თუ გავითვალისწინებთ (იხ. შენ. 19), მაშინ გასაგები და ბუნებრივი ჩანს ქართლზე ირანის კულტურულ-რელიგიური წრის კვლავგავლენის პრიმატი სელევკიდ მმართველთა რელიგიური ტოლერანტობის ფონზე.[7] ხოლო ალექსანდრეს მიერ „მოგონილი სჯულის“ – მზის, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავის თაყვანისცემა ქართლში ხანმოკლე და არამყარი რომ უნდა ყოფილიყო, ამას ლეონტი მროველის სიტყვებიც მოწმობს: „და მოკუდა ალექსანდრე. ხოლო ამან აზონ დაუტევა სჯული ალექსანდრეს მოცემული, იწყო კერპთმსახურებად, და შექმნა ორნი კერპნი ვეცხლისანი: გაცი და გაიმ“.

სომეხი მკვლევარი გ. სარქისიანი, რომელმაც შეისწავლა არმენიის მეფეთა და მათ წინაპართა გაღმრთობის საკითხი, ჩვენთვის საყურადღებო დასკვნამდე მივიდა: ნარატიული და ეპიგრაფიკული წყაროების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ ძველ სომხეთშიც მეფისა და მის წინაპართა კულტების წარმოშობის უმთავრესი მიზეზი იყო არმენიასა და სელევკიდების სახელმწიფოს შორის მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული კავშირების არსებობა [32, გვ. 4-26].

ელინისტურ სამყაროში პირველმეფეთა საერო სახელების მიხედვით ხდებოდა დინასტიების სახელდება: სელევკი – სელევკიდების, პტოლემე – პტოლემაიოსთა, ფარნავაზი – ფარნავაზიანთა დინასტიების ფუძემდებელნი არიან.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ფარნავაზის გაღმრთობის როგორც მოტივაცია, ასევე გამოხატვის ფორმა (მისივე სახელზე კერპ-ქანდაკების აღმართვა) თანხვედრას ავლენს იმ რეალურ ისტორიულ ვითარებასთან, რაც ელინისტური სამყაროს თეოკრატიულ სისტემებში არსებობდა – ფარნავაზის ეპოქა სწორედ ის ხანაა, როდესაც მაკედონელის მემკვიდრე დიადოხოსთა თუ ცალკეულ მმართველთა დეიფიკაცია ჩვეულებრივი მოვლენა ხდება და მას ლეგიტიმური ხასიათიც ეძლევა. სწორედ ეს ფაქტი ფარნავაზის გაღმრთობაზე არსებულ მატიანისეულ ცნობას **რეალურ ისტორიულ საფუძველს უძებნის.**

ახლა კი უფრო ვრცლად არმაზ-აჰურა მაზდას მიმართებებზე.

ირანულ სამყაროსთან ადრეელინისტური ქართლის ახლო ურთიერთობას, გარდა პროირანიზმით გაჯერებული „ცხოვრების“ რეალიებისა (ფარნავაზის დედით სპარსელობა, მის მიერ სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შექმნის ირანული მოდელი, „არმაზი“, მემატიანის მიერ სახელდებული როგორც სპარსულენოვანი შესატყვისობა „ფარნავაზისა“), ავლენს ფარნავაზის

სიზმრის (მზის ცვარის მის მიერ ხელთაჰყრობა და პირზე ცხება) პარალელიზმი აქემენიანთა მეფე კიროსის (ძვ.წ. VI ს.) სიზმართან. ეს უკანასკნელი ციტირებულია ციცერონის (ძვ.წ. I ს.) მიერ დინონის (ძვ.წ. IV ს. ბერძენი მწერალი) „სპარსული ანალებიდან“, რომელშიც, ფ. დვორნიკის აზრით, მზესთან ინიციაცია კიროსისა[8] მასზე **აჰურა მაზდასაგან** „ჰვარნას“ („მეფური დიდება“, „ბრწყინვალება“, „სიკაშკაშე“) გარდამოვლენის სახისმეტყველურ ასახვას წარმოადგენს [43, გვ. 87]. მისი მტკიცებით, ჰვარნა კიროსის სიზმარში მზის სახით გვევლინება, რაკი „სიკაშკაშე“, „ბრწყინვალება“ უმჭიდროვეს კავშირშია ამ მნათობთან.[9] მაშასადამე, კიროსის სიზმრის მზე ივივე ჰვარნაა. თუ „ფარნავაზ“-ის ფუძის, „ფარნას“ (resp. სპარს. „ჰვარნა“) აჰურა მაზდას აღმატებითი ხარისხის ეპითეტად (ძველირანული x'arenah'astema, farnah'astema - „უბრწყინვალესი“) მიჩნევა ჩვენში აქამდე მხოლოდ ფონეტიკურ-ეტიმოლოგიურ კავშირს ეფუძნებოდა [3, გვ. 499; 9, გვ. 114], კიროსის სიზმრის პარალელით ახლა ცხადად იკვეთება ფარნავაზის სიზმრის მიმართებაც ჰვარნასთან,[10] ანუ მზის ცვარით, მზიური მადლით მომავალ მეფეზე აჰურა მაზდასაგან გარდამოსულ სამეფო დიდებასთან. სწორედ ამიტომ, ყველაზე უკეთ კიროსის სიზმარი და მისი ინტერპრეტაცია გვინმარტავს მემატიანის სიტყვების აზრს ფარნავაზ-არმაზ თეონიმთა იდენტიფიკაციაზე („ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა“), ანუ „ფარნავაზად“ წარმოებული აჰურა მაზდას ეპითეტი მის მიერ არმაზთან მიმართებითაა მოხმობილი იმიტომ, რომ მისთვის არმაზი იგივეა, რაც აჰურა მაზდა, რაც სემანტიკურად ფარნავაზის სიზმრით იხსნება. შესაბამისად, ფარნავაზის სიზმარი, რომლის არქეტიპად კიროსის სიზმარი უნდა ვიგულვოთ,[11] წარმოგვიდგება არა მარტო მისი მეფობის მაუწყებელ აქტად, არამედ ღვთაება არმაზის აჰურა მაზდასთან კავშირის მნიშვნელოვან არგუმენტადაც.

არმაზის კულტის დეფინიციისადმი მიძღვნილ ჩვენს გამოკვლევაში გვქონდა მცდელობა, რომ მისი ძირითადი დებულება - არმაზის წარმომავლობა ირანელთა უზენაეს ღვთაება აჰურა მაზდასაგან უპირატესად არმაზის არამაზდთან, წინაქრისტიანული სომხეთის უზენაეს ღვთაებასთან პარალელიზმით დაგვესაბუთებინა [5, გვ. 47-92]. არმაზის წყაროსეულ („ცხოვრება ფარნავაზისი“, „ცხოვრება წმიდისა ნინოისი“) მცირე მონაცემთა ფონზე, გასაგებია დიდი მნიშვნელობა იმ ცნობებისა, რომლებსაც მის ფარდ ღვთაებაზე ვაწყდებით უცხო წყაროებში. არამაზდზე არსებული სომხური, ბერძნული, სირიული და სპარსული წერილობითი წყაროების საფუძვლიანმა შესწავლა-გაანალიზებამ როგორც სომეხ, ასევე უცხოელ მკვლევართა მიერ უტყუარი გახადა სომხეთის უზენაესი ღვთაების აჰურა მაზდასთან კავშირის თეორია, რომელმაც სამეცნიერო მიმოქცევაში ჯერ კიდევ XIX ს-ის 80-იანი წლებიდან ისე მყარად მოიკიდა ფეხი, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე თითქმის არც გამხდარა მეცნიერული პაექრობის საგანი [36, გვ. 15; 31, გვ. 270; 34, გვ. 6-8; 23, გვ. 104-5 და სხვ.]. ეს კონცეფცია ფუნდამენტურად გამყარდა ცნობილი არმენოლოგისა და ორიენტალისტის, ჰარვარდის უნივერისტეტის პროფესორის ჯეიმს რასელის მიერ, რომელმაც გასული საუკუნის 80-იან წლებში საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ღვთაება არამაზდს [55]. მის ნაშრომში წინაქრისტიანული სომხეთის წარმართული პანთეონიდან მოხმობილ არაერთ ცნობასა თუ რეალიასთან ქართული წყაროების მონაცემთა შეჯერება-გაანალიზებამ საცნაურჰყო ფაქტი, რომ არამაზდი შემაერთებელ ხიდად გვევლინება არმაზსა და აჰურა მაზდას შორის გენეტური კავშირის თვალსაზრისით: მრავალი კუთხით მოეძებნა ახსნა არმაზის O(h)rmazd ან Hormizd-თან (საშუალო სპარსული ფორმა აჰურა მაზდასი) და არა ხეთურ მთვარის ღვთება Arma-სთან სიახლოვეს, როგორც ამას დღემდე მიიჩნევს ჩვენში ზოგი მკვლევარი. რაც მთავარია, კვლევამ გვიჩვენა, რომ არმაზ-აჰურა მაზდას მიმართებანი არ იფარგლება ამ ღვთაებათა ოდენ ფონეტიკური კავშირით, რაც ჩვენში ბოლო წლებამდე რჩებოდა ამ ღვთაებათა ტიპოლოგიური სიახლოვის ერთადერთ არგუმენტად.[12]

მირიანი ამგვარად უხასიათებს წმ. ნინოს ქართლის ღვთაებებს: „აჰა ესერა, ღმერთნი დიდნი, სოფლის მპყრობელნი, მზისა მომფენელნი, წვიმისა მომცემელნი და ქუეყანისა ნაშობთა გამომზრდელნი ღმერთნი ქართლისანი, არმაზ და ზადენ“.[13] გარდა ღვთაებათა იერარქიაში არმაზ-არამაზდ-აჰურა მაზდას უზენაესობისა [შდრ. „ღმერთი ღმერთთა“ (არმაზი), „ყველა ღმერთის მამა“ – არამაზდი (აგათანგელოზი,[14] 785), „უდიდესი ღმერთთა შორის“ (*mathista baganam*) - აჰურა მაზდა (პერსეპოლისი, დარიოსის წარწერა)], და მათი, როგორც ღვთაებათა ფუნქციისმიერი [კრეაციონისტული[15] - „მიწის, ცის, ადამიანის, საქონლის, წყლისა და მცენარის შემქმნელი“ (აჰურა მაზდა), „ზეცისა და მიწის შემოქმედი“, „სიუხვისა და ნაყოფიერების მომნიჭებელი“ – არამაზდი (ავათ., 68, 82, 127)] პარალელიზმისა არმაზის ზემოთმოხმობილ დეფინიციასთან ხაზგასასმელია ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტიც აღნიშნული კავშირის საარგუმენტაციოდ - ესაა ელინისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი, ღვთაებათა სინკრეტიზაციის გამოვლინების საკითხი: როგორც ერთი (აჰურა მაზდა), ისე მეორე (არამაზდი) ღვთაება იწოდება „ზევსად“ ბერძენ მწერალთა თხზულებებში, რითაც აიხსნება მოვსეს ხორენაცის, ელინურად და სპარსულად განსწავლული სომეხი ისტორიკოსის მიერ ქართველთა არმაზის „ჭექა-ქუხილის მომვლინებლად“ [16, გვ., 86], იგივე „მეხისმფრქვეველად“ (რაც ზევსის საყოველთაოდ ცნობილი ეპითეტია) მოხსენიება, რაც მოწმობს, რომ მისთვის არმაზი, არამაზდი და აჰურა მაზდა (ზევსი) იდენტური ღვთაებებია.[16]

ამას გარდა, არმაზის კულტის დამფუძნებელი მეფე ფარნავაზის ეპოქისა და შემდგომდროინდელ ანტიკური ხანის მწერალთა [დინონი, ჰერაკლიტე კუმაელი [44, გვ. 32-34], კეტარქოსი, კვინტუს კურციუს რუფუსი [42, გვ. 82-86] ციცერონი [41, გვ. 16] ქსენოფონტი [26, გვ. 53] და სხვ.] თხზულებებიც ძვირფას მასალას გვაწვდიან იმისათვის, რომ არმაზ-აჰურა მაზდას კავშირი სახელისმიერის გარდა, სხვა მნიშნელოვანი მონაცემებითაც გავამყაროთ. მათზე დაყრდნობით, არმაზ-აჰურა მაზდას გენეტური სიახლოვის კუთხით გაიხსნა წყაროსეული არაერთი ეპიზოდი, რომელთა შორის გამოვყოფდით არმაზის დღესასწაულს – ახალი წლის დღესასწაულს, რომელიც ძველ ცივილიზაციებში (მესოპოტამია, სპარსეთი, სირია) ღვთაების კორელატი მეფის კულტთან დაკავშირებულ დღესასწაულს წარმოადგენდა და რომელიც სწორედ ასეთად – მეფის აჰურა მაზდასთან თანაფარდობის მაუწყებლად გვევლინება ის ირანსა და სომხეთში და გამომდინარე არმაზის დღესასწაულის აღწერილობიდან („ნინოს ცხოვრება“), სადაც ხაზი ესმება მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის განსაკუთრებულ როლს – საქართველოშიც. არამაზდის კულტი სომხეთში თაყვანიცემოდა ანისსა და ბაგავანში, ქვეყნის ორ სამეფო ქალაქში, სადაც მეფის სახლი ზეიმობდა ქვეყნის სუვერენობას და ერთიანობას ახალ წელს, არამაზდისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე. ამ საყოველთაო ზეიმზე ქვეყნის მრავალი კუთხიდან იყრიდა თავს ხალხი [55, გვ. 161], ისევე როგორც ჩვენში: „დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმრავლითა მით ქალაქით წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რომელი იყო საჯდომელი დიდთა მეფეთა, ვაჭრობად და ღოცვად არმაზ ღმრთისა მათისა“ [12, გვ. 334].

ირკვევა, რომ სპარსულ ტრადიციაში ახალი წლის დადგომის მაუწყებელ პირს Haji Firooz ერქვა. ის წარმოადგენდა წლის მიწურულს მოკლულ და ახალი წლის დამდეგს მკვდრეთით აღმდგარ შუმერულ ღვთაება დუმუზის სიმბოლურ სახეს. „წითელ სამოსში გამოწყობილი ჰაჯი ფირუზი საყვირისა და დაირის ხმათაქვეშ ცეკვა-სიმღერით გადადიოდა ქუჩიდან ქუჩაზე და მხიარულად აგებებდა ხალხს ახალი წლის შემობრძანებას“ [44, გვ. 34]. გავიხსენოთ, როგორ იწყება არმაზის დღესასწაული: „ხვალისაგან იყო ხმა ოხრისა და საყვირისა; გამოვიდა ერი ურიცხვი“. „ოხრა“ ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონის განმარტებით არის „დიდი ხმაურობა“.

....გაივლის ნანა დედოფალი და მირიანის გამოსვლის დროც დგება. ხალხი ყოველ ქუჩას „სამოსლითა თითო-პირითა და ფურცლითა“ ამკობს. დღესასწაულის ამ საკმაოდ ბუნდოვან მომენტს კვლავ ირანული სამყარო გვიხსნის: ს. ედი, მიმოიხილავს რა თავის ნაშრომში აჰურა მაზდასთან ირანელი მეფის გაიგივების მიმანიშნებელ ატრიბუტებს, მიკვლეულს ძვ.წ. IV ს. ბერძენი მწერლების თხზულებებში, აღნიშნავს: „როგორც რელიეფებზე გამოსახული აჰურა მაზდა არასოდეს ეხება მიწას და ზეცაში მფრინავივით გამოისახება, ასევე მეფეც არ ეხებოდა მიწას. იგი ეტლიდან გადმობრძანდებოდა ხოლმე ოქროს სკამზე იმგვარად, რომ არვის წამშველებელი ხელი არ უნდა შეხებოდა. სასახლიდან გამოსულსაც ვერვინ ნახავდა

ფეხით მოსიარულეს, და თუ ეს სადმე მაინც ხდებოდა, მის ფეხქვეშ აგებდნენ ძვირფას ხალიჩასა თუ ქსოვილს, რომელზეც გავლა ყველას ეკრძალებოდა“ [14, გვ. 44].

ვფიქრობთ, ამგვარივე დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო მირიანის დროისათვის ალბათ უკვე ტრადიციად ქცეული, არმაზობაზე მეფის გამოსვლასთან დაკავშირებული, ქუჩების („ფოლოცნი“) „სამოსელ-ფურცლით“ შემკობა, რაც თანამედროვე ქართულ ენაში „ფეხქვეშ ფიანდაზის დაგების“ ანუ მეფური პატივის აღმნიშვნელი იდიომური გამოთქმის საფუძველი უნდა იყოს.

არმაზისა და არამაზდის საერთო წარმოშავლობაზე მიგვანიშნებს ერთი საყურადღებო, ორივე ქვეყნის წყაროებში ერთნაირად გაჟღერებული რეალიაც, რომელიც ნინო-არმაზნუნე(ნანე)-არამაზდს შორის კრავს წრეს: „ნინოს ცხოვრებაში“ მირიან მეფე ასე მიმართავს ქართველთა განმანათლებელს, რათა განკურნოს სნეული სპარსი მოგვი ხუარა: „რომლისა ღმრთისა ძალისა იქმ კურნებასა ამას, ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადენისი“ [18, გვ. 106]. აგათანგელოზის „სომხეთის ისტორიაში“ მოთხრობილია, რომ თიელში წმ. გრიგოლ განმანათლებელმა შემუსრა „არამაზდის ასულის, ნანეს ტაძარი“ (აგათ. 786).

ამასთან, კვლევამ გვიჩვენა, რომ არმაზ-არამაზდის გენეტური კავშირის მიუხედავად, ამ ღვთაებებს თავთავიანთი, ურთიერთგანსხვავებული სივრცე აქვთ ორივე ქვეყნის ისტორიულ რეალობაში. შესაბამისად, საქართველოში არმაზის კულტის არსებობა არასგზით არ აიხსნება ხორენაცის „ისტორიის“ (რომელსაც, უეჭველია, კარგად იცნობდა ლეონტი მროველი) და საზოგადოდ, სომხური სამყაროს რაიმე გავლენით, რამდენადაც ერთია არმაზი, მისი კულტის წარმოშობის წინაპირობითა თუ გამოვლენის ფორმით და სხვა – მისი სომხური პარალელი.[17] მათ ირანული სამყაროდან, კერძოდ, აჰურა მაზდასაგან **წარმომავლობა** აერთიანებთ და როგორც მეთაური ღვთაებები, აპირობებენ წარმართული საქართველოსა და სომხეთის რელიგიურ კლიმატს. ისედაც ხომ ბუნებრივია, რომ ისტორიულად ესოდენ მჭიდროდ დაკავშირებულ, გეოგრაფიულად და პოლიტიკურად ერთიან ორბიტაში მოქცეულ ამ ქვეყნებს რელიგიური ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე აღმსარებლობაც საერთო ნიშნით აღბეჭდილი ჰქონოდათ, რომლის დეტერმინანტად საქართველოსა და სომხეთზე გავლენის მქონე მეზობელი დიდი ირანის სამყაროა საგულვებელი.[18]

რაც არ უნდა დიდი იყოს სურვილი არმაზის მცირეაზიურ (ხეთურ) სამყაროსთან დაკავშირებისა, არმაზისა და არმა-ს ფუნქციისმიერ შეუსაბამობასაც რომ თავი დავანებოთ, ისედაც, რითი ჰგავს მეომრის აღჭურვილობის მქონე ჩვენი არმაზი („დგა კაცი ერთი სპილენძისა და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვი ოქროსი და თავსა მისსა ჩაბალახი მყარი, და თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი და ხელთა მისთა აქუნდა ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა, და იქცეოდა ხელსა შინა“) არმას, რომელიც ენციკლოპედიური, ლაკონური განმარტებით არის: „ხეთელთა და ლუვიელთა მთვარის ღმერთი. მის რქოსან ქუდზე გამოისახება მთვარე, ზურგზე კი – ფრთების წყვილი (ზუსტად ისე, როგორც ეს იაზილიქაიას რელიეფზეა გამოსახული – მ.გ.). [http:/www.Arma.html]. ან. ბოლტუნოვას მიერ მხოლოდ სახელთა ფონეტიკური სიახლოვით შემუშავებული ამ კონცეფციის შემდგომ, ათწლეულების განმავლობაში, არ გამოვლენილა არმაზ-არმას იდენტურობის გამამყარებელი თუნდაც ერთი არგუმენტი, რომ აღარაფერი ვთქვათ უზარმაზარ ქრონოლოგიურ ზღვარზე, რაც ჩვენს არმაზს ძვ.წ. XIII ს-ის ლურსმნულ წარწერებში ხსენებულ არმა-სგან აშორებს. იმავე ფონეტიკური თვალსაზრისითაც, „არმაზი“ ნაკლებ არ უნდა უახლოვდებოდეს „ო(ჰ)რმიზდ“–”არამაზდ”-ს. თუ აპრიორულად მივიჩნევთ უძველეს ქართულ წარმართულ ტრიადაში (მორიგე ღმერთი – მთვარე, მზე-ქალი, კვირია) მთვარის უპირველესობას [21, გვ. 13-14], და შემდგომ მორიგე ღმერთის ჩანაცვლებას „ხეთური წარმოშობის მთვარის ღვთაება *არმა*-ზით” [4, გვ. 668-669; 29, გვ. 112, 129 და სხვა მკვლევარნი), კულტთა ჩანაცვლება-ტრანსფორმაციის პროცესში უზენაესობის დაცვის საყოველთაოდ ცნობილი პრინციპიდან გამომდინარე, გაუგებარია, თუ რატომ უნდა მიეღო „უზენაესი მორიგე ღმერთის, მთვარის” მონაცვლე ასევე უზენაეს ღვთაება არმაზს ქრისტიანულ ხანაში არა ქრისტეს, არამედ წმ. გიორგის სახე [მთვარის ღვთაების წმ. გიორგით ჩანაცვლების თეორია ივ. ჯავა-

ხიშვილს ეკუთვნის, თუმცა მას არ გაუიგივებია მთვარის ღვთაებასთან საკუთრივ არმაზი და შესაბამისად, არმა-არმაზის სხვა მკვლევართა მიერ შემუშავებული იდენტიფიკაციის თეორიამ *არმა*-ზი მექანიკურად მოაქცია გარდამავალ რგოლად მთვარის (მორიგე) ღვთაებასა და წმ. გიორგის შორის]. არმაზი რომ მთვარის ღვთაებას არ ჩანაცვლებია, ეს მისი მირიანისეული ფუნქციისმიერი დახასიათებიდანაც ჩანს; აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ „მზე სიმართლისა”, „მზე დაუვალი”, „მზე ჭეშმარიტი” ქრისტეს სოლარულ მეტაფორებზე ბიბლიაში, ლიტურგიულ პოეზიასა და აგიოგრაფიაში, ისევე როგორც ქრისტე *Sol Invictus*-ის, *Christus Oriens*-ისა (აღმოსავლეთიდან აღმომავალი მზის გაგებით) და ქრისტე-ჰელიოსის იკონოგრაფიულ განსახოვნებასა და მათ საღვთისმეტყველო ინტერპრეტაციაზე ადრექრისტიან მამათა მიერ. ქრისტეს, როგორც სულიერი მზის – ლოგოსის[19] უპირატესობა-უპირველესობაზე ფიზიკურ მზესთან („უწინარეს მზესა (ფიზიკურ მზესა – მ. გ.) ეგოს სახელი მისი (ქრისტესი - მ. გ.)”, ფსალმუნი, 71:17 [48, გვ. 139]), რაც სახისმეტყველურად „ნინოს ცხოვრების” ერთ ეპიზოდშიც გაცხადდა: ესაა თხოთის მთაზე სულიერ მზესთან, ქრისტესთან მირიანის ინიციაცია (სულიერი ნათლის მიღება - წინაპირობა მირიანის გაქრისტიანებისა), რაც, არც თუ შემთხვევით, სწორედ ფიზიკური ანუ წარმართული მზის დაბნელებას მოჰყვა [6, გვ. 78]. მირიანი ამაოდ მიმართავს საშველად „**მზის მომფენელ**” არმაზსა და ზადენს - ისინი უძლურნი არიან მოჰფინონ მეფეს ნათელი. ეს მომენტი არა მარტო სახისმეტყველური დატვირთვის მქონეა, არამედ გვაფიქრებინებს იმასაც, რომ ქრისტიანობამდე ჩვენში თაყვანს სცემდნენ მზიური ბუნების მქონე ღვთაებას (ღვთაებებს),[20] რომელთაც სძლია „ნინოს ღმერთმა”, სულიერმა მზემ – ქრისტემ. ცხადია, ეს წიაღსვლები თავად არმაზ-ზადენის დეფინიციისათვის მოვიხმეთ და არა ქრისტეს სოლარული ასპექტების აღმოსავლური წარმოშობის რელიგიებთან (მითრაიზმი) კავშირის (ფრანც კუმონი, დევიდ ულანსი, კ. კეკელიძე და სხვ. მრავალი) რაიმე გეოგრაფიულ არეალთან და კონკრეტულად ქართულ სამყაროსთან მიმართების ძიებების თვალსაზრისით.

ასევე თუ, ვთქვათ, ომისა და ტაროსის ხეთურ ღვთაება თეშუბთან გარეგნული იერსახით ვეცდებოდით პარალელების დადგენას [მ. წერეთელი იხ.: 20, გვ. 145; 7, გვ. 155], ისიც ხომ უნდა აიხსნას, რა კავშირი აქვს „თეშუბს” „არმაზთან”? არის კი თეშუბი „ღმერთი ღმერთთა”, როგორც წოდებულია არმაზი ებრაელი ქალის მიერ არმაზის ღვესასწაულის ეპიზოდში? ორივე შემთხვევაში, რა ვუყოთ პროირანულ მომენტებს არმაზის კულტის დამაარსებელი პირველმეფის „ცხოვრებაში”, რაც ადრეელინისტური ხანის ქართლის პოლიტიკური ვითარებისა და შესაბამისი კონფესიური ორიენტაციის ამსახველიც უნდა იყოს? გვეჩვენება, რომ ხეთურ-მცირეაზიური სამყაროთი გატაცებამ, რაზეც თავის დროზე სამართლიანად გამოთქვამდა შენიშვნას ივ. ჯავახიშვილი [20, გვ. 143], ნებით თუ უნებლიედ გამოიწვია გვერდის ავლა ამ სამყაროსთვის აშკარად კონტრარგუმენტებად ჩენილი იმ რეალიებისა, რომლებიც წყაროს „ზედაპირშივე”, ხილულად დევს.

მეფე ფარნავაზომის (ძვ.წ. II ს.) მიერ ცეცხლის კულტის შემოღებასთან და „კერპთა გმობასთან” დაკავშირებული „მეფეთა ცხოვრებისეული” ცნობა მკვლევართა მხრივ ჰბადებდა ეჭვს არმაზის აჰურა მაზდასთან დაკავშირების შესაძლებლობის თვალსაზრისით. ცეცხლთაყვანისმცემლობაზე არსებულ ქართულ, ირანულ და სომხურ მასალათა ურთიერთშეჯერება, რის შედეგადაც დადგინდა თავად ცეცხლის ბუნების სხვადასხვაობის (დინასტიური, მაზდეანური) ფაქტი, ისევე როგორც ის გარემოება, რომ ზოროასტრული რელიგიის ფორმაცია-დამკვიდრების სხვადასხვა (აქემენურ, პართულ, სასანურ) ეტაპზე განსხვავებული უნდა ყოფილიყო ცეცხლის მსახურების (კულტის) არსი, რასაც თან სდევდა მისგან კერპთაყვანისმცემლობის გამიჯვნის პროცესი, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ფარნავაზომის ქმედებასთან დაკავშირებული ეპიზოდი არმაზ–აჰურა მაზდას კავშირის უარსაყოფ არგუმენტად არ წარმოგვიდგება [5, გვ. 80-90].

ბერძნულ ღვთაებათა და გაღმერთებულ მეფეთა ანთროპომორფიზმის გავლენისა და კულტთა სინკრეტიზაციის უკვე ადრეელინისტურ ხანაში დაწყებული პროცესის გათვალისწინებით, ასევე არ დგება ეჭვქვეშ ფარნავაზ-აჰურა მაზდას

კერპად განსახოვნების შესაძლებლობაც – ალექსანდრეს შემდგომი ზოროასტრული ტექსტები ამ უკანასკნელს მამაც, მეომარ ღვთაებად სახავენ, რამდენადაც იგი მიჩნეულია კეთილ ძალთა წინამძღოლად და მებრძოლად ბოროტების წინააღმდეგ მიმართულ კოსმიურ ბრძოლაში.[21] წერილობითი მონაცემების ანალიზის საფუძველზე მ. ბოისი მიუთითებს, რომ ზოროასტრულ ღვთაებათა (ორმუზდის ჩათვლით) ანთროპომორფული გამოსახვა სელევკიდების ხანიდან იღებს სათავეს. მასალათა მიმოხილვამ ცხადჰყო, რომ აჰურა მაზდას გამოსახვა, რომელიც ჰეროდოტეს ცნობით სპარსელებს წესად არ ჰქონდათ, უნდა დაკანონებულიყო მასში სხვა, აჰურა მაზდას ფარდ, მზიური ბუნების მქონე უზენაეს ღვთაებათა (სირიულ-სემიტური ბელოსი) ინფილტრაციის შედეგად. კვლევის ამ მიმართულებას თანხვდება ე. ჰერცფელდის [45, გვ. 290], ვ. ლუკონინის [27, გვ. 88], ჯ. რასელისა [55, გვ. 171] და სხვა მკვლევართა მოსაზრებები ელინისტური ეპოქის სინკრეტული რელიგიების შესახებ, რომლებშიც აღმოსავლეთის სხვადასხვა ერების მრავალი ღმერთი არსობრივად იმავე ღვთაებად – აჰურა მაზდად მიიჩნეოდა იმგვარად, რომ მათ უბრალოდ, სხვადასხვა სახელი ერქვათ. გამოვლინდა მთელი ჯგუფი არმაზთან იკონოგრაფიულად სადაგი, ყველა ნიშნით – კლასიკური ტიპი მეომრის აღჭურვილობის მქონე ღვთაებათა და ისტორიულ პირთა გამოსახულებებისა, რომლებიც მრავალი კუთხით [ეპოქა, ფიგურათა პოზა, ატრიბუტიკა (ჯავშანი, სამხარნი, ქვების იმიტაცია, მახვილი)] ასოცირდებიან არმაზის აღწერილობასთან და რომელთა გავრცელების გეოგრაფიული არეალი ელინისტური კულტურის მნიშვნელოვან ცენტრებს (ეგვიპტე, სირია-პალესტინა, პართია) მოიცავს [49]. არმაზის კერპის აღწერილობის სხვადასხვა ნუსხათა ურთიერთშეჯერება და აბჯაროსან ღვთაებათა გამოსახულებების მიხედვით მათი გაანალიზება გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ კერპს არ ჰქონდა ინკრუსტრირებული თვალები, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული: მის აღწერილობაში ნახსენები „თუალნი", ჩვენი აზრით, სამოსის შემამკობელი „თუალნია" და არა მხედველობის ორგანო [5, გვ. 103-105].

მეფეთა ამა თუ იმ ღვთაებასთან ასოცირების, მაგრამ არა სრული გაიგივების საყოველთაოდ მიღებულმა თეორიამ განაპირობა ჩვენის მხრივ, არმაზის კულტში უპირველესად მეფის კულტის ძიების პრიმატი, რამაც არმაზის მიერ „ქალდეველთა ღმერთის", ითრუჯანის ძლევით განმსაზღვრელ ეროვნული ნიშნის მომენტსაც მისცა ახსნა. არმაზის ეროვნულობას უფრო რელიეფურად ესმევა ხაზი მისი კერპის სწორედ ქართლოსის მთაზე, წინაპართა ღვთაებების – გაცისა და გაიმის შუა აღმართვის სახით. ლეონტი მროველის სიტყვებით, „ვიდრე აღმართებამდე მუნ-ზედა კერპი არმაზისი ერქუა მთასა მას ქართლი, და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი". მას შემდეგ, რაც ქართველთა ეპონიმური მამამთავრის – ქართლოსის მთაზე აღიმართა არმაზის კერპი, მთას არმაზის სახელი დაერქვა[22] ანუ ქართველთა პროგენიტორის, პირველმამის სახელს ქართლის მთაზე ჩაენაცვლა პირველმეფის სახელი, რაც აიხსნება იმით, რომ ქართლში დამთავრდა ეთნარქთა ეპოქა და დაიწყო მეფეთა ეპოქა. გავიხსენოთ, რას აუწყებს უფალი ისრაელი ერის მამამთავარ აბრაამს: „და აღგაორძინო შენ ფრიად და დაჰდვა შენ ნათესავად და **მეფენი შენგან გამოვიდენ**" (დაბადება, 17.6). არმაზის კერპის აღმართვამ „ქართლის მთაზე" არ უარყო წინაპართა კერპები, არამედ შეეთვისა მათ, რაც ალბათ, ერის სულიერ ტრადიციათა უწყვეტობასა და მთლიანობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ეს მომენტი ერის ეთნარქის, პირველმეფის და წინაპართა ღმერთების სულიერი და სტრუქტურული მთლიანობისა, ზემოთ აღნიშნულ ბიბლიურ მოდელს რომ ეხმაურება და ლოკალიზაციას შესაბამისად „ქართლის ანუ ქართლოსის მთაზე" ჰპოვებს, არმაზის აჰურა მაზდასთან კავშირის მიუხედავად, ქართველთა უზენაეს ღვთაებას ეროვნულ ღმერთად წარმოგვიჩენს. „სწორედ წინაპართა კულტმა, რომელსაც პართელები აღიარებდნენ, აქცია დინასტიური მეფობის ფუძემდებელი არშაკი ღვთაებად" – ვკითხულობთ ირანული ცივილიზაციისადმი მიძღვნილ ერთერთ ნაშრომში [57, გვ. 321]. ქუჯისათვის ფარნავაზის „უფლობა" იმავე ნიშნითაცაა დასაზღვრული: „შენ ხარ **შვილი თავთა მათ ქართლისათა** და შენ გმართებს უფლობა ჩემი"; იგივე სულისკვეთება ჩანს ფარნავაზის მადლიერ თვისტომთაგან ფარნავაზზე ლოცვად ქცეულ ამ სიტყვებში: „მოგუცა ჩუენ მეფე **ნათესავთაგან მამათა ჩუენთასა**".

არანაკლებ საგულისხმოა საქართველოში მეომარ ღვთაებათა უძველესი ქანდაკებების (მელაანი, კაჭრეთი) გამოვლენის ფაქტიც, რაც ამ ღვთაებათა, ისევე როგორც ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების არმაზის სახეში ტრანსფორმირების პროცესსაც ხდის საგულვებელს.

ასე რომ, „ღმერთი ღმერთთა" არმაზი აჰურა მაზდას კულტთან უდავოდ დაკავშირებულ, მაგრამ მაინც სინკრეტულ კულტად უნდა მივიჩნიოთ, რაც, ვფიქრობთ, ეხმიანება სამეცნიერო მიმოქცევაში დამკვიდრებულ მოსაზრებას ზოროასტრული რელიგიის ქართულ ნიადაგზე მოდიფიცირებული სახით გამოვლენის შესახებ.

შენიშვნები:

1. იმავე Мифы народов мира-ს ბოლო, 1991 წლის გამოცემის I ტომში არმაზი აღარ არის არმა-სთან გაიგივებული, თუმცა არ კონკრეტდება სხვა რომელიმე ფარდი ღვთაება, და განიმარტება, როგორც „სინკრეტული ღვთაება, რომელიც მოიცავს უზენაესი ღვთაების ფუნქციებს. ის ზეცის, ჭექა-ქუხილის, წვიმის და მცენარეულის მბრძანებელი და მეომარი ღმერთია".

2. ზ. ალექსიძის საფუძვლიანი დასაბუთებით, „ცხოვრება ფარნავაზისი" დამოუკიდებელი ნაწარმოებია და იგი უნდა შექმნილიყო VI ს-ის შუახანებზე უფრო ადრე [2].

3. ეს უკანასკნელი ფარნავაზს სიზმრად (მზესთან ინიციაცია) მიეცა, რაც, ბიბლიური სოლომონ მეფის დარად, მისი მეფობის მაუწყებელი ნიშანი გახდა; ძველ ცივილიზაციებში მეფობის კონცეფცია უპირველესად სოლარული სიმბოლიზმის ენით გაცხადდა – ჯერ კიდევ ბაბილონელთათვის და ეგვიპტელთათვის მზე სამეფო მნათობი იყო. ის იმპერატორის მესიანიზმის სიმბოლოდ იქცა რომშიც, სადაც deus et dominis natis-ად („ღმერთი და მეუფე დაბადებითგან თვისთ") წოდებული მონარქის ტიტულატურა (aeternus, invictus) სწორედ მზესავით მარადიულობისა და უძლეველობის სემანტიკის მქონეა [48, გვ. 122-124]. ამიტომაც ასე ხშირია ბერძნულ-რომაული ხელოვნების ძეგლებზე მზის გვირგვინოსან იმპერატორთა გამოსახულება. მონარქთა მზესთან კავშირი უცხო არ იყო აქემენიანთა ირანისთვისაც: აქემენურ ძეგლებზე, კერძოდ, საბეჭდავებზე წარმოდგენილი მეფე და მის თავზე გამოსახული მისი ზეციური პროტოტიპი – აჰურა მაზდა ფრთოსან მზის დისკოში, მონარქისა და ღმერთის პარალელიზმის, მათი თანაარსობის იდეის გამომხატველია [50, გვ. 23; 5, ტაბ. I, სურ.2]. ქართული სინამდვილიდან ამ თვალსაზრისით მრავლისმეტყველია მეფის ვაჟის წოდება (უფლის)წულად. აპოლონიოს როდოსელის ცნობით, კოლხეთის მეფე აიეტი თავის თავს „სხივმფინარი ჰელიოსის ძეს" უწოდებდა. ამავე მოვლენის გვიანდელი ანარეკლი უნდა იყოს „ღვთისა სწორი" თამარ მეფის ეპითეტი „მზე იგი მზეთაი". ევროპულ სამყაროში, როგორც ცნობილია, „მეფე-მზედ" იწოდებოდა ლუდოვიკო XIV.

4. ტერიტორიალური უფლებებისათვის დიადოხოსთა ურთიერთბრძოლებით აღბეჭდილი ისტორიული ვითარების გამო, სწორედ ელინისტური ხანის მეფეებსა და მხედართმთავრებს შეეთვისათ ტერმინი "Soter", რაც „მხსნელს" ნიშნავს. ასევე, აღნიშნული ეპოქის მონარქთა სახელებად დამკვიდრდა გამარჯვების, ძლევის ისეთი ეპითეტები, როგორიცაა Nikator („გამარჯვებული"), Kallinikos („ძმლეველი"),Liberator, Soter („გამათავისუფლებელი") - სელევკოს I ნიკატორი, სელევკოს II კალინიკოსი, დემეტრიოს I სოტერი და სხვ [56, გვ. 49].

5. არიელთათვისაც პირველი მეფენი იყვნენ არა ღმერთები, არამედ გმირებად მიჩნეული ადამიანები. ზენდ-ავესტასეული მითის მიხედვით, „მზის დარი იერის მქონე" იიმა, მზის ღმერთ ვივაჰვანტის ვაჟი იყო „სამყაროს პირველი კაცი და პირველი მეფე" [43, გვ. 84-87]. წინაპართა გაღმრთობა-თაყვანისცემის ფაქტებს ვხვდებით ქართულ რელიგიურ-მითოლოგიურ წარმოდგენებშიც: ხევსურთა შეხედულებით, ბაცალიგოს ძლიერი ხატი პირქუში რეალური ადამიანი, „პირველი" მჭედელი ყოფილა, რომელიც მადლიერ ხალხს სიკვდილის შემდეგ სალოცავ ხატად დაუსახავს [8, გვ. 61].

6. ამ ეპითეტის ლინგვისტურ-სემანტიკური ძირებისა და გაღმრთობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხთა კვლევამ მკვლევარნი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მეფეთა თაყვანისცემა მათთან დაწყვილებულ ტრადიციულ ღვთაებათა

ეკვივალენტურ, მაგრამ მაინც არა ზუსტად იგივე თაყვანისცემას გულისხმობს [54, გვ. 88].

7. ოთ. ლორთქიფანიძის მართებული მოსაზრებით, ლეონტი მროველის ცნობებში სწორედაც ელინისტური სირიის სახელმწიფოა ნაგულისხმევი და არა პართიისა, რომელიც სელევკიდების სახელმწიფოს გამოეყო ძვ.წ. 247 წ., ე.ი. რამდენიმე ათეული წლით გვიან ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ [11, გვ. 21, შენ. 34).

8. „ერთხელ კიროსს ესიზმრა, მზე მის ფერხთით (შდრ. „ცხოვრებისეულ" „ქუემდაბლად" – მ.გ.) იყო. კიროსი სამჯერ ამაოდ ეცადა ხელთ ეპყრო მზე, რადგან რამდენჯერაც მიჰყო ხელი, იმდენჯერ განუსხლტა და საბოლოოდ, გაუჩინარდა. მოგვებმა, რომლებიც ბრძენ და განსწავლულ კაცებად ითვლებიან სპარსელებში, აუწყეს მას, რომ სამგზის მცდელობა მზის ხელთპყრობისა მოასწავებდა კიროსის ოცდაათწლიან მეფობას" [41, გვ. 274; 43, გვ. 87].

9. საზოგადოდ, აჰურა მაზდას მზესთან კავშირს ინდოირანულ ეთნიკურ ჯგუფთა ენობრივი მონაცემებიც ადასტურებს: საკას მკვიდრთათვის „მზის" აღმნიშვნელი სიტყვაა urmaysdān, წარმომდგარი „აჰურა მაზდასგან" და ითარგმნება როგორც „აჰურა მაზდასადმი კუთვნილი" (სუფიქსი ān მიკუთვნების აღმნიშვნელია); ხვარაზმულად „მზეს" ჰქვია rēmažd. პამირისა და აღმოსავლეთ ჰინდიყუშის ხალხებში ამ მნათობის აღმნიშვნელია Iškšmi Rémuzd, Sangleči Ormōzd და ა.შ. [37, გვ. 34]. სხვათა შორის, მ. ჯანაშვილმა „არმაზის" ეტიმოლოგია განმარტა როგორც „არი მზე" [24].

10. აღსანიშნავია, რომ „ჰვარნას" (ხუარნა) კვალი ჩვენში გეოგრაფიულმა ტოპონიმიკამაც შემოინახა. ისტორიული კამბეჩოვანის (ქიზიყი) ქალაქების – ხორანთა და ხორნაბუჯის ფუძედ „ხუარან" („მზეთა") მიჩნევის საფუძველზე ი. ლოლაშვილი ვარაუდობს, რომ ამ პუნქტებში მზის ტაძარი – წარმართობის საკულტო ცენტრი უნდა არსებულიყო [10, გვ. 208-216]. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ქალის სახელი „ხვარამზე". დასავლურ, კერძოდ, ბერძნულ ცივილიზაციაში „ჰვარნას" შეესატყვისება „ტიხე", იგივე რომაული „ფორტუნა" [45, გვ. 206; 51, გვ. 25; 43, გვ. 240].

11. არ უნდა იყოს მოულოდნელი, რომ მეზობელი ირანისა და მთელი აღმოსავლეთის ლეგენდად ქცეული უძლიერესი მეფის, აქემენიანთა დინასტიის ფუძემდებლის, კიროს II ამბებს ზეპირსიტყვიერების გზით ქართლშიც შემოეღწიოს, მით უფრო, რომ მისი ცხოვრების მომენტები საზოგადოდ, ფოლკლორული, ლეგენდურ-მოარული ხასიათისაა. ამ მოვლენას, ვფიქრობთ, განაპირობებდა ირანსა და მის მოსაზღვრე რეგიონებში პოეტ-მენესტრელთა, სპარსულად gusan-თა (სომხურად „გუსანი", ქართულად „მგოსანი") ინსტიტუტის არსებობა. ამასთან, ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ სიუჟეტთა მოარულობა ისტორიულ წყაროებში არასგზით არ აყენებს ეჭვქვეშ ამა თუ იმ ისტორიული პირის რეალურ არსებობას, რამდენადაც კაცობრიობის კულტურის ყველა ეპოქის ისტორიაში სხვადასხვა ცივილიზაციებისა თუ მოვლენათა ცალკეული ელემენტების უნიფიცირებული გამოვლენა საყოველთაოდ დადასტურებული ფაქტია (ვთქვათ, ქრისტიან წმინდანთა ქმედებანი ზოგ შემთხვევაში რომ აირეკლავენ ბიბლიურ სიუჟეტებს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს წმინდანები ისტორიულად არ არსებობდნენ). აქვე დავძენდით, რომ ისტორიის მითოლოგიზაცია და პირუკუ - ეპიკური სიუჟეტის ისტორიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების მატიანეთათვის.

12. თუმცა ბოლოჟამს გამოქვეყნებულ ნაშრომებში გამოიკვეთა არმაზ-აჰურა მაზდას უფრო არსებითი კავშირის არგუმენტები. საისტორიო მონაცემთა („ქართლის ცხოვრებისეული" „ქართველთა „ველური" ჩვეულებების მაზდეანურ სარწმუნოებასთან კავშირის, სახელ „ფარნავაზის" არქაული ფორმის, „ფარნაბაზას" სემანტიკის, „არამასების" საგვარეულოს „სამარა"-სთან ინვერსიული მიმართებისა და სხვათა გაანალიზების საფუძველზე მ. სანაძე მართებულად მიიჩნევს არმაზის აჰურა მაზდასთან იდენტიფიკაციის თეორიას [14, გვ. 78-80]. ლ. ჭილაშვილი არმაზის კერპის უშუალოდ ფარნავაზთან კავშირის ორიენტირთა გაანალიზებისას ცნება „ღმერთის" დამკვიდრებას ჩვენში „გარკვეულ ისტორიულ მოვლენებთან და მასთან დაკავშირებულ აღზევებულ და განდიდებულ" პიროვნებებთან აკავშირებს და მის პირველ მატარებლად სწორედ ფარნავაზს თვლის. მისი აზრით, ფარნავაზი აჰურა მაზდას მიმდევარია და იმავდროულად – თავისი თავის კულტის დამფუძნებელიც, რის საფუძველსაც ბოლოდროინდელ არქეოლოგიურ მასალაში გამოვლენილ გაღმერთებულ მეფეთა გამოსახულებების არსებობით ასაბუთებს [19], რასაც, ჩვენის მხრივ, სრულად ვეთანხმებით.

13. რაც შეეხება ღვთაება ზადენს, ის ცალკე და იმავდროულად, არმაზისაგან მოუწყვეტლად შესასწავლია, რასაც მათი ერთ კონტექსტში მოხსენიება გვაფიქრებინებს და რაც იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ისინი თანაბარი ბუნების მქონე ღვთაებებია (არმაზისა და ზადენის წყვილად ხსენებას მათი წმ. ნინოსთან მიმართებაც ეხმიანება; როგორც ვნახავთ, ნინო „არმაზის ასულად" და იმავდროულად, „ზადენის შვილად" გვევლინება წყაროში). ჩვენი მსჯელობის მიმართულებას ნ. მარამდე მივყავართ, რომელიც ავესტური yazata-ს მრ. რიცხვის yazdan - ზადენს მითრასთან აიგივებდა [28, გვ. 7-8]. ეს მოსაზრება, ცხადია, დამატებით არგუმენტებს საჭიროებს, თუმცა აჰურა მაზდას მითრასთან დაწყვილება, ზოროასტრული რელიგიის თვალსაზრისით, მართებული ჩანს; ზეციური ნათლის ღვთაება მითრა, რომელიც ფიგურირებს ინდოირანელთა უძველეს, ზოროასტრამდელ მითებშიც, ავესტაში გვევლინება ზოროასტრული პანთეონის ერთერთ უმთავრეს ღვთაებად. მზესთან იდენტიფიცირებული მითრა სიმართლის, საქონლის, მცენარეული საფარის მფარველ ღმერთად იყო მიჩნეული და ის არსობრივად თვით აჰურა მაზდასაც უტოლდებოდა. ზენდ-ავესტას VII, 25-ე იაშტში ვკითხულობთ: „მსხვერპლს ვწირავთ მითრას, რომელიც აჰურა მაზდამ ყველაზე დიად ღმერთად აქცია ზეციურ ღვთაებათა შორის. მაშ, მითრა და აჰურავ, ორო დიდო ღმერთო, იყავნ ჩვენდა შემწედ". ლ. მელიქსეთ-ბეგის სიტყვებით, „არმაზი ზადენის გვერდით მოიხსენიება, მსგავსად ირანული პანთეონისა, სადაც ორმუზდთან (აჰურა მაზდა) ერთად იდგა მითრა, სომხურში კი, არამაზდთან ერთად – მიჰრი" [30, გვ. 39].

14. პასაჟებს IVს-ის სომეხი ისტორიკოსის აგათანგელოზის „სომხეთის ისტორიიდან" ვიმოწმებთ ჯ. რასელის დასახელებული მონოგრაფიიდან, რომელშიც სომხურენოვანი ამონარიდები ორიგინალისა თანხლებულია ინგლისურენოვანი თარგმანით.

15. პერსეპოლისის აპადანას რელიეფის წარწერა გვამცნობს: „დიდია ღმერთი აჰურამაზდა - ის, ვინც შექმნა ეს მიწა, ვინც შექმნა ეს ცა, ვინც შექმნა ადამიანი..." [44, გვ. 4]; ზარათუშტრა ასე მიმართავს აჰურა მაზდას: „რომელმან შექმენ საქონელი, წყალი და მცენარე, მომანიჭე, აშას მეშვეობით უკვდავება და კეთილდღეობა. ჰოი მაზდავ, ვოჰუმანას განაჩენისებრ" [1, გვ. 59].

16. ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობის შემდგომ, პერსეპოლისში აგებულ არა ბერძნულ, არამედ ძველ აღმოსავლურ ღვთაებათა სახელზე აღმართულ ფრატადარას ტაძრის ბერძნულენოვან წარწერაში მოხსენიებულია: ზევს მეგისტოს (ორმიზდი), აპოლონ-ჰელიოს (მითრა), არტემის-ათენა (ანაჰიტა) [45, გვ. 275]. კომაგენაში, ნიმრუდდაღის სამარხ-სამლოცველოს კომპლექსში აღმოჩენილ ღვთაებათა ქვის კოლოსალური ქანდაკებების ზურგზე ამოკვეთილი წარწერებიდან ერთერთი ზევს-ორომაზდს მოიხსენიებს [35, გვ. 44-51]. აღნიშნულ ძეგლებზე ღვთაებათა სახელების ამგვარი ჩანაცვლება ლოგიკური შედეგია კულტთა სინკრეტიზაციის იმ პროცესისა, რაც ელინისტურ სამყაროში აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა შეხვედრას მოჰყვა: ერთსა და იმავე ღვთაებას ეწოდებოდა როგორც ირანული, ასევე ბერძნული სახელი. იოანე ოქროპირის სომხური კომენტარი გვიხსნის: „ზევსი, რომელსაც ბერძნები უწოდებენ დიონს, სომხურად იგივე არამაზდია". V ს. სომეხი ფილოსოფოსი დავით ანაღთი „არამაზდს" უწოდებს მნათობ იუპიტერს, ამ უკანასკნელის სახელი ფალაურ ტექსტებში არის „ო(ჰ)რ-მაზდ" [55, გვ. 167]. იგივე იდენტიფიკაციას ახდენს თეიმურაზ ბატონიშვილი: „ორმუზ ანუ არმაზ – იუპიტერ, [ზადენ ანუ ზადენ–აპოლონ..." [33, გვ. 663]. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ საბა ორბელიანის კლასიფიკაციით, ქართული წარმართული შვიდეულის მნათობთაგან დიოსი ანუ იუპიტერი პარასკევის აღმნიშვნელი იყო. მისივე სიტყვებით, „ბერძნულ მითოლოგიაში „ძევსი-დიოსი" ცა-ღრუბლისა და ავდარტაროსის გამგე ღვთაებად ითვლებოდა" [20, გვ. 119, 159-160]. საგულისხმოა მ. ბოისისეული ფონეტიკურ-ლინგვისტური ძიებანი იუპიტერ-

აჰურა მაზდას მიმართებით: „ვედური ასურა, ავესტური აჰურა, ნიშნავს „მეუფეს“, „უფალს“ (აჰურა მაზდა – „ბრძენი უფალი“ – მ.გ.). ვედებში ეს სახელწოდება ეძლევა საზოგადოდ ღვთაებრივ არსებებს, რის გამოც ისინი მოიხსენიებიან როგორც Dyaus Pitar („მამა ზეცა“), რაც გახლავთ ინდური ეკვივალენტი იუპიტერისა“ [47, გვ. 23]. სანსკრიტული dyaus (ნათ. ბრ. divas) ნიშნავს „coelum“-ს („ზეცას“) და ჟღერადობითაც უახლოვდება Zeus-ს. ეს უკანასკნელი, ისევე როგორც ლათინური dyaus ერთსა და იმავე ცნებას („ზეციური ღვთაება“, „ზეცის განსახიერება“) გამოხატავს; Dium, divum – ”ცის კამარა“, ხოლო Zeus – „ცის ვაჟი“ [36, გვ. 33]. ჰეროდოტეს სიტყვებით, „ზევსს უწოდებენ ცის მთელ კაბადონს“ (ჰეროდოტე, I. 130).

17. ანთროპომორფულია არამაზდიც, ოღონდ არამაზისაგან გარეგნულად მკვეთრად განსხვავებული ნიშნებით: ხორენაცი ახსენებს „ოთხ ან მეტ არამაზდს”, რომელთაგან ერთია „კუნდ” („მელოტი”) არამაზდი, რაც, მკვლევართა [13, გვ. 259, შენ. 112; 55, გვ. 161] აზრით, შესაძლოა იყოს ანალოგი არგოსში ცნობილი Zeus phalakros („მელოტი”-სა). სხვა ავტორები (ეფრემ სირიელი, ტირანუმ ვართაპედი) მოგვითხრობენ წმინდა ტაძრის შესასვლელში აღმართულ ოთხსახიან ხატებაზე, რომლებსაც „სომხები უწოდებდნენ არამაზდს, ხოლო სხვები – ზევსს”. ჯ. რასელი ფიქრობს, რომ ოთხი არამაზდი შესაძლოა იყოს ტეტრადი აჰურა მაზდასი: უჟამო ჟამის, უსაზღვრო დროის, უსასრულო ნათლისა და სიბრძნის [55, გვ. 162].

18. ცნობილია, რომ ძვ.წ. V ს-ის I ნახევრისათვის აქემენიანთა სახელმწიფოს ჩრდილოეთით ორ ოლქს ამიერკავკასიის სამხრეთით მოსახლე ქართველი ტომები შეადგენდნენ. ჰეროდოტე (III, 94) მიუთითებს, რომ აქემენიანთა XVIII სატრაპიაში შედიოდნენ სასპეირები – ქართველი ტომები. პოლიტიკური გავლენა, უეჭვოა, კულტურულ ექსპანსიასაც განაპირობებდა: გარდა მატერიალური კულტურის ძეგლებისა, ძველი საქართველოს ირანთან საუკუნეებრივი მჭიდრო ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს ქართულ ენაში ირანული ლექსიკიდან შემოსული, რელიგიურ ცნებათა აღმნიშვნელი მთელი რიგი სიტყვებისა: წმიდა, მართალი, ნეტარი, ზორვა, ზვარაკი, ცოდვილი, ცრუ, ჯოჯოხეთი, ეშმა, ეშმაკი, ბარძიმი, ფეშხუმი, კერპი, წარმართი, ტაძარი, ბაგინი და სხვა [3, გვ. 34]. ანალოგიურ მოვლენას აქვს ადგილი სომხეთშიც. რ. შტაკელბერგი აღნიშნავს: „განიცადეს რა სემიტებისაგან საკმაოდ ძლიერი გავლენა რელიგიური თვალსაზრისით, ირანელები თავის მხრივ, მრავალმხრივ გავლენას ახდენდნენ მათ მეზობელ და დამორჩილებულ ხალხებზეც, მათ შორის სომეხ ერზეც, როგორც პოლიტიკური, ენობრივი და კულტურული თვალსაზრისით, ასევე ცხოვრების სამოქალაქო-რელიგიური წყობით” [34, გვ. 1-2]. ხაზგასასმელია არმაზისა და არამაზდის ადგილობრივ, ეროვნულ რწმენა-წარმოდგენებთან შერწყმის მომენტი, რის შედეგადაც მათ კულტს ორივეგან უდავოდ მოდიფიცირებული სახე ჰქონდა.

19. მოძღვრებას ღვთის სიტყვის, ლოგოსის, როგორც სულიერი მზის შესახებ ღრმა ფესვები აქვს ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელ რელიგიებში. მაგალითად, ზენდ-ავესტაში აჰურა მაზდას იგივე ლოგოსს, ღვთის სიტყვას უწოდებენ, რომლის შექმნილია მზე, ანუ ხატი აჰურა მაზდასი. ეგვიპტეში რა იგივე ზეციური ლოგოსია. ფილონ ალექსანდრიელის თქმით, მოსე ღვთაებრივ ლოგოსს მზეს უწოდებდა, რადგანაც იგი ფიზიკური მზის პირველსახეა სულიერი არსის მნიშვნელობით. ამრიგად, ლოგოსი იგივე სულიერი მზეა [6, გვ. 75, იქვე იხ. ლიტერატურა ამ საკითხებთან დაკავშირებით].

20. ამ ეპიზოდისა და „ნინოს ცხოვრების” რეალიათა პარადიგმული ასპექტების გაანალიზებით ჩვენზე ადრე ამავე დასკვნამდე მივიდა რ. სირაძე, რომელიც თვლის, რომ „ქრისტიანობამდე ქართველთა უმთავრესი ღვთაება იყო მზე” [15, გვ. 89-95]. ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრითაც, ჩვენში ცეცხლთაყვანისმცემლობა (ზოროასტრიზმი) სხვა არა იყო რა, თუ არ მზის კულტის სახენაცვალი ფორმა [30, გვ. 42-43]. სრულიად განსხვავებულ არგუმენტებზე დაყრდნობით, რომელთა ნაწილის გაზიარება, სამწუხაროდ, გაგვიძნელდა [ამასთან დაკავშირებით იხ: 5, გვ. 74, შენ. 39], თითქმის იდენტურ დეფინიციას გვთავაზობს ირ. სურგულაძე არმაზისა, რომელსაც მკვლევარი „სოლარული და აგრარული ბუნების მქონე ღვთაებად” მიიჩნევს [16, გვ. 40-42]. ამავდროულად, მართებული გვგონია არმაზის მთვარისაგან – მამრი ღვთაებისაგან წარმომავლობის სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული დებულების ირ. სურგულაძისეული კონტრარგუმენტი: ეთნოგრაფიულ მასალაში, კერძოდ, ხეზე კვეთის ძეგლებში სოლარული აქსესუარებით აღჭურვილი ანთროპომორფული გამოსახულებები, ასევე მზიური „ნაწილის“ ნიშნით აღბეჭდილი ფალიური ფიგურები ყაზბეგის განძიდან, რომლებიც მზის კულტის მამრობით ემანაციას წარმოადგენენ, მისი აზრით, სათუოს ხდის მამრული საწყისის მხოლოდ მთვარესთან დაკავშირების კონცეფციას. ჩვენის მხრივ, მზე-ღვთაებასთან არმაზის დაკავშირების აღნიშნულ მოსაზრებებს არ გავიზიარებთ არმაზის (ასევე ზადენის) თაყვანისცემის არსისაგან, რომელთა მზიურ, და იმავდროულად, თანაფარდ ბუნებაზე ზემოთ გვქონდა მსჯელობა. არმაზს რომ მთვარის ღვთაებასთან არაფერი აქვს საერთო, ამას გვიმოწმებს მეფობის კონცეფციის დოქტრინაც, რომლის მიხედვითაც მეფე არის ზეციური მეუფის, ღმერთის (ღვთაების) კორელატი, მისი მიწიერი წარმომადგენელი: შიშითა და ძრწოლვითაა დამუხტული ხალხი მირიანის გამოსვლის, სამეფო ეპიფანიის მოლოდინში არმაზის დღესასწაულზე, სადაც მეფე დახასიათებულია როგორც „თვალშეუდგამი ხილვითა”, რაც სემანტიკურად მისი მზისდარობის მაუწყებელია (საცნაურია ისიც, რომ მისი სახელის ფუძე „მიჰრ” სპარსულად „მზეს” ნიშნავს). მეფის „თვალშეუდგამობა” ნ. მარმა ასე თარგმნა: „Мириан сиял ослепительным блеском” [28, გვ. 11]. მზისავე ცვარით, მზიური მადლითაა ცხებული ფარნავაზიც, რომლის გარდაცვალებაზე არსებულ ლეგენდაშიც იგივე მნათობი ფიგურირებს [5, გვ. 44-45], რაც ელინისტური ხანის ქართლში მეფობის სოლარული კონცეფციის არსებობის მაუწყებელია.

21. კურციუს რუფუსი აღნიშნავს, რომ სოგდიაში იყო არიამაზესის ანუ აჰურა მაზდას მთა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელს დაუპყრია ძვ.წ. 327 წ.; ასევე სომხეთში, ბანგუშატის ქედზე არის არამაზდის მთა (3392 მ), რომელიც სოგდიის მთის პარალელად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რამდენადაც ამ უკანასკნელსაც ირანელთა უზენაესი ღვთაების სახელი ჰქვია [55, გვ. 186].

22. ჯ. რასელი არმაზის იკონოგრაფიულ ატრიბუტიკას აჰურა მაზდას მეომრულ ასპექტთან აკავშირებს და შესაბამისად, სრულიად უალტერნატივოდ, არმაზის კერპსაც მის განსახოვნებად თვლის [55, გვ. 154].

ლიტერატურა:

1. „ავესტის გათები“, თარგმანი გ. ახვლედიანისა, თბ., 1979.
2. ალექსიძე ზ. „ცხოვრება ფარნავაზისი“, „მნათობი“, 12, 1984, გვ. 152-157.
3. ანდრონიკაშვილი მ. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1966.
4. აფაქიძე ა. ანტიკური ხანის წარმართული პანთეონი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, ტ. I.
5. გველესიანი მ. არმაზის კერპის კულტურულ-ისტორიული ასპექტები (არმაზის კულტის დეფინიციისათვის), თბ., 2003, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაბეჭდი).
6. გველესიანი მ. მზე-ქრისტესა და ჟამთა გამოსახულებების შესახებ აკურას ბაზილიკის აღმოსავლეთ ფასადზე, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1-2, თბ., 1997, გვ. 59-92.
7. გიორგაძე გ. ხეთურ-არმაზული „ტრიადები“, მნათობი, 7, 1985, გვ. 147-157.
8. ესიტაშვილი შ. მითოლოგიისა და რელიგიის მიმართება ქართული წყაროების მიხედვით, თბ., 1985.
9. კიკნაძე ზ. ფარნავაზის სიზმარი, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, 1984, გვ. 112-121.
10. ლოლაშვილი ი. ქართული წარმართული ტაძრები კამბეჩოვანში, მრავალკარედი, თბ., 1984.
11. ლორთქიფანიძე ოთ. ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), თბ., 1968.
12. „მოქცევაი ქართლისაი“. შატბერდის კრებული. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, თბ., 1979.

13. მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ., 1984.

14. **სანაძე მ.** „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), თბ., 2001.

15. **სირაძე რ.** ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987.

16. **სურგულაძე ი.** ქართველთა უძველესი სარწმუნოების საკითხისათვის, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, ტ. I, თბ., 2001, გვ. 37-42.

17. **ქავთარია გ.** ფარნავაზი, თბ., 1999.

18. **ქართლის ცხოვრება.** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

19. **ჭილაშვილი ლ.** „ღმერთი“ (სახელის განმარტებისათვის). მეფე ფარნავაზი-მეფე ღმერთი, სსმ მოამბე, XVII-B, 1997, გვ. 103-126.

20. **ჯავახიშვილი ივ.** ქართველების წარმართობა, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. I. თბ., 1979.

21. **Бардавелидзе В.** Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племён, Тб., 1957.

22. **Болтунова А.** К вопросу об Армази, ВДИ, 1949, 2, с. 228-240.

23. **Вардумян Г.** Дохристианские культы армян, Ереван, 1991.

24. **Джанашвили М.** Надпись на плите Армаза, газ. « Кавказ», 1898.

25. **Зелинский Ф.** Культ героев и апфеоз. Религия Эллинизма, ACADEMIA, Петроград, 1922.

26. **Ксенофонт,** Киропедия, М., 1975.

27. **Луконин В.** Древний и раннесредневековый Иран, М., 1987.

28. **Марр Н.** Боги языческой Грузии по древне-грузинским источникам, ЗВОРАО, Санкт-Петербург, 1902, т. XIV, с. 1-27.

29. **Меликишвили Г.** К истории древней Грузии, Тб., 1959.

30. **Меликсет-Беков Л.** Армазни. Материалы по истории Грузии и Кавказа, Тб., 1938.

31. **Патканов К.** Ванские надписи и значение их для истории древней Азии. О древней грузинской хронике, ЖМНП, Санкт-Петербург, 1883, декабрь, часть ccxxx. с. 214-244.

32. **Саркисян Г.** Обожествление и культ царя в древней Армении, ВДИ, 2, 1966, с. 4-26.

33. **Такайшвили Е.** Описание рукописей «общества распространения грамотности среди грузинского населения», Тиф., 1908, т. II , вып. III.

34. **Штакельберг Р.** Об иранском влиянии на религиозные верования древних Армян, Древности Восточные, М., 1901.

35. **Шлюмберже Д.** Эллинизированный Восток, М., 1985.

36. **Эмин Н.** Исследования и статьи по армянской мифологии, истории и истории литературы (за 1858-1884 гг.), М., 1896.

37. **Asatryan G.** Ahura Mazda in Dersizm. Iran & Caucasus, Erevan, 1999-2000, 3-4, გვ. 32-50.

38. **Baldson J.** The Divinity of Alexander, HISTORIA, Baden-Baden, 1950, vol. I, გვ. 363-388.

39. **Bewan E.** The Deification of the Kings in the Greek Cities, The English Historical Review, 1901, LXIV-October, გვ. 625-639.

40. **Boyce M.** History of Zoroastrianism, Leiden-Koln, 1974.

41. **Cicero,** De Divinatione, ed. by Armstead Falkoner, Loeb, 1938.

42. **Curtius Quintus,** History of Alexander, ed. by J. C. Rolfe (Loeb Library), 1946, I.42.

43. **Dvornik F.** Early Christian and Byzantine Political Philosophy. Origins and Background, Washington, The Dumbarton Oaks Center for Byzantine Studies, 1966.

44. **Eddy S.** The King is Dead, Studies in the Eastern Resistance to Hellenism, Lincoln, 1961.

45. **Herzfeld E.** Iran in the Ancient East, London-New York, 1941.

46. **Hamilton J.** The origins of Ruler Cult, PRUDENCIA 1984, vol XVI, N1, გვ. 3-15.

47. **History of Zoroastrianism.** Zoroastrianism under Macedonian and Roman Rule, ed. by M. Boyce. Leiden-Koln, 1975.

48. **Kantorowicz E.** Oriens Augusti - Lever Du Roi, Dumbarton Oaks Papers, Washington, 1963, 17, გვ. 118-177.

49. **Kantorowicz E.** Gods in Uniform. Proceedings of American Philosophy Society, 1961, CV/4, გვ. 368-388.

50. **L'Orange H.** Studies in the Iconography of Cosmic Kingship, Oslo, 1953.

51. **McEvan C.** The Oriental Origin of Hellenistic Kingship, Chicago, 1934.

52. **Nock A.** Notes on Ruler Cult, JHS, 48, 1928, გვ. 21-43.

53. **Price S.** Rituals and Power. The Roman Imperial Cult in Asia Minor, Cambridge Uniersity Press, 1984.

54. **Price S.** Gods and Emperors, JHS, 1984 civ, გვ. 79-95.

55. **Russell J.** Zoroastrianism in Armenia, Harvard Iranian Series ed. by R. Fry, Harvard University Press, 1987.

56. **Smith R.** Hellenistic Royal Portraits, Oxford, 1988.

57. **Huartet C., Delaporte L.** L'Iran antique Elame et Perse et la civilization Iranienne, Paris, 1952.

გივი ინანიშვილი

ლითონდამუშავება ანტიკური პერიოდის საქართველოში

საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VI - ახ.წ. IV სს-ში, დიდი სოციალურ-პოლიტიკური ძვრების ხანაში, ხელსაყრელი პირობები იქმნება ეკონომიკურ-კულტურული განვითარებისათვის; განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის გარკვეული დარგების დაწინაურებას. რეგულარულმა კონტაქტებმა გარე სამყაროსთან, ელინიზაციის პროცესმა, ხელი შეუწყო კოლხეთისა და იბერიის სახელმწიფოს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული სტუქტურის შექმნას. წარმოიშვა მჭიდროდ დასახლებული პუნქტები – ქალაქები, რომლებიც გამოირჩევიან ხელოსნური წარმოების ორგანიზაციით და ვაჭრობით. ძვ.წ. IV საუკუნიდან ქალაქები ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრების ფუნქციას იძენენ. ახალი წელთაღრიცხვის III-IV სს. საფუძველი ეყრება ახალი, ადგილობრივი პოლიტიკური სახელმწიფო წარმონაქმნების არსებობას. ანტიკური ხანის გაცხოველებულმა სავაჭრო-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ურთიერთობებმა ელინისტურ-რომაული კულტურის სამყაროსთან, დიდი გავლენა იქონია ადგილობრივი ეკონომიკის კიდევ უფრო აღორძინებაზე. ახალი წელთაღრიცხვის საწყის საუკუნეებში კიდევ უფრო გამოიკვეთა ადგილობრივი ეკონომიკის მრავალდარგობრივი სახელოსნო წარმოება და ქალაქთშენებლობა.

ანტიკური ხანის საქართველო-კავკასიის სახელმწიფოთა პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის ცვლილებებმა გარკვეული გავლენა იქონია ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე. ტექნიკურ-ტექნოლოგიური სიახლეებით ხასიათდება ამ პერიოდის მეტალურგიული და ლითონდამუშავების საწარმოო ცენტრები. ცალკე დარგებად ჩამოყალიბებულია ფერადი ლითონების დამუშავება, რკინა-ფოლადის წარმოება, ოქრომჭედლობა.

I. ფერადი ლითონები და შენადნობები.

ძვ.წ. VI საუკუნის მიწურულამდე თანაარსებობს ბრინჯაოსა და რკინის სამეურნეო და საომარი დანიშნულების იარაღი. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით შესამჩნევია კოლხეთის წინა ანტიკური ხანის სამარხეული კომპლექსების ლითონის ინვენტარის მიხედვით, სადაც კარგად გამოიკვეთა რკინის იარაღის მასალაში ბრინჯაოს შესაბამისი კომპლექსის გამეორების არაერთი ფაქტი [8, გვ. 88-89] (ტაბ. I, 1-2).

ანტიკური ხანის ფერადი ლითონდამუშავებისათვის დამახასიათებელია მაღალპროცენტული შემცველობის და მრავალკომპონენტიანი ლიგატურის მქონე ბრინჯაოს წარმოება. გამოიყენება კალიანი, კალა-დარიშხნიანი, კალა-თუთიის ბრინჯაოს სხმულები. მალეგირებელი კომპონენტების კომპლექსური და ჭარბი შემცველობით გაზრდილია შენადნობთა საჩამოსხმო თვისებები, ამავე დროს, შესამჩნევია ლითონის სიმყიფე, გაძნელებულია მისი ჭედვით დამუშავების პირობები. ანტიკური ხანის ფერად ლითონდამუშავებაში დგება პერიოდი, როდესაც სპილენძის ფუძეზე მიღებული შენადნობები იქცევიან მეორეხარისხოვან მასალად ძირითად საწარმოო საშუალებათა განვითარებისათვის. თუმცა, ბრინჯაოს იარაღი, რკინის ინვენტართან ერთად, ძვ.წ. VII-VI სს. კოლხეთში კიდევ ინარჩუნებს გარკვეულ სამეურნეო მნიშვნელობას. ეს მომენტი კარგად ჩანს ამ პერიოდის კოლხეთის სამაროვნებზე (ურეკი, ერგეტა, ნიგვზიანი), სადაც დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ბრინჯაოს იარაღი – ცულები, სატევრები, დანები, სეგმენტები [12, გვ. 124].

ძვ.წ. V-IV სს. მომდევნო პერიოდში, მთელი ელინისტური ხანის მანძილზე, კოლხეთსა და იბერიაში წარმატებით ფუნქციონირებენ ფერადი ლითონდამუშავების სახელოსნო-საწარმოები, სადაც სპილენძ-ბრინჯაოს მასალა სამკაულის სახით (ფიბულები, სამაჯურები, ბალთები, საკიდები) გამოიყენება სარიტუალო და საკულტო დანიშნულებით. ბრინჯაოს ნაწარმის ერთი ნაწილი მხატვრული ხელოსნობის ნიმუშია, რომელთა შორის აღსანიშნავია ბრინჯაოს მინიატურული ქანდაკებები ადამიანთა და ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებით [8, გვ. 85-87, ტ. XIII, 10-18].

ანტიკური ხანის ფერადლითონდამუშავებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ჭურჭლის წარმოებას. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია დიდი ზომის ჭურჭლის დამზადება. სიტულები ვანის ნაქალაქარიდან (ტაბ. I, 3) იმეორებენ კერამიკული მასალის ფორმებს მცირე სახეცვლილებებით. მათი გაფორმება ხდება ადრეანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი მხატვრული სტილის გამოყენებით. ჭურჭელი დამზადებულია ნაჭედი ფურცლოვანი მასალისაგან დამოქლონებით, ზედაპირი გრავირებულია სტილიზებული გამოსახულებებით. ნაწარმში კარგად ჩანს გვიანბრინჯაოს და ანტიკური ხანის კულტურის ტრადიციები, რომლებმაც განაპირობეს ანტიკური ხანის ფერადი ლითონდამუშავების მიღწევები [7, გვ. 21].

ელინისტური ხანის ფერადი ლითონების დამუშავებისათვის ტიპიურია საკულტო დანიშნულების ნივთების, ჰორელიეფური სკულპტურული გამოსახულებებისა და ქანდაკებების გამოყენება. ბრინჯაოს მასალა ფართოდ იხმარება არქიტექტურული დეტალების, პანთეონის ცალკეული ნაწილების შემკობა-გაფორმების მიზნით. მნიშვნელოვანი და საინტერესო ინვენტარია წარმოდგენილი ვანის ნაქალაქარიდან, სადაც აღმოჩენილია როგორც ადგილობრივი, ისე ბერძნული ფერადი ლითონწარმოების ნიმუშები. მათ შორის აღსანიშნავია დიონისეს წრის კულტისათვის დამახასიათებელი გამოსახულებების, არწივის, ნიკეს, ჭაბუკი ათლეტის და სხვა მცირე და დიდი ზომის ქანდაკებები. ცვილის მოდელის ტექნოლოგიით მიღებულია მხატვრული სხმული (ტაბ. II, 1-4).

ცხრილი 1

№	ნივთის დასახელება	აღმოჩენის ადგილი	Cu	Sn	Pb	Zn	Ag	Bi	Fe	Au
1	ათლეტის ქანდაკებაა	ვანი	85,8	10,2	1,4	2,1	0,2	0,002	0,03	-
2	ჭვირული ბალთა	აფხაზეთი	87,3	9,5	0,2	0,8	1,0	0,002	0,10	0,001
3	ჭვირული ბალთა	ჭიათურა	88,2	7,3	0,5	1,1	0,5	0,001	0,20	0,001
4	პინაკი	ვანი	20,7	-	0,4	-	79,6	0,030	0,02	0,250
5	სურა	ცხინვალი	2,4	-	0,2	-	96,3	0,010	0,04	0,100
6	სარეცლის ფეხი	არმაზი	2,0	-	0,5	-	97,1	0,009	0,03	0,250
7	ლანგარი	კლდეეთი	5,1	-	0,3	-	93,5	0,050	0,02	0,050

ბრინჯაოს სხმულის ბერძენი და კოლხი ოსტატები ძვ.წ. V-III სს. პერიოდში იყენებდნენ როგორც კლასიკურ ბრინჯაოს, ისე კალა-ტყვიის დამატებით მიღებულ შენადნობებს. კალიანი ბრინჯაო ფართოდ გამოიყენება ძვ.წ. IV საუკუნემდე, ძვ.წ. III საუკუნიდან მას ცვლის კალა-ტყვიით ლეგირებული შენადნობი [16, გვ. 159; 17, გვ. 144]. ანალოგიური შენადნობია გამოყენებული ვანის ქანდაკებების დამზადების ტექნოლოგიურ სქემაში. კერძოდ, ათლეტის ქანდაკება ვანის ნაქალაქარიდან ჩამოსხმულია კალა-ტყვიის ლეგირებით და თუთიის დანამატით.

ანტიკური ხანის ფერადი ლითონის მხატვრული ნიმუშებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს ჭვირულ გამოსახულებიანი ბალთები, რომლებიც მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით უკავშირდება წინარეანტიკური ხანის მხატვრული მელითონეობის ტრადიციებს. ბალთები ფორმის, ზომის, ჩარჩოს შესრულების სტილის და მასში მოთავსებული კომპოზიციის მიხედვით იყოფა ჯგუფებად და ქვეჯგუფებად. ჩარჩოს სივრცეში განლაგებული გამოსახულებებიდან ყველა ქმნის ერთიან სისტემას, რომელიც შესრულებულია მაღალი ოსტატობით და მასალის ზედმიწევნითი ცოდნით.

წარმოდგენილი ნიმუშის სილუეტი, ფანტასტიკურ არსებათა განლაგება, ფიგურათა შესრულების სტილი კარგად შეესაბამება ორნამენტის დეკორატიულ ფუნქციას [10, გვ. 85-86; ტაბ. V, 84, IX, 120], (ტაბ. II, 5-6, ცხ. 1, № 2,3).

ჭვირული ბალთების დამზადების ტექნოლოგიური სქემით განსაზღვრულია მისი, როგორც მხატვრული სხმულის შესრულების ტექნიკური დონე. ბალთები ჩამოსხმულია ოპტიმალურად ლეგირებული ბრინჯაოსაგან, მაღალი სამსხმელო თვისებების მქონე შენადნობი უზრუნველყოფს ცვილის მოდელით მიღებული მოცულობითი ფორმის ზუსტად შევსებას. ჩამოსხმის შემდეგ შესწორებულია სხმულის დეფექტები.

ანტიკური ხანის ფერადი ლითონდამუშავების ნიმუშთა ტექნიკურ-ტექნოლოგიურ მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ: მაღალლეგირებული ბრინჯაოს გამოყენება სამკაულისა და მხატვრული ხელოვნების ნიმუშების დამზადების მიზნით; სპილენძ-ბრინჯაოს ფურცლოვანი მასალის დამუშავება სარიტუალო დანიშნულების ჭურჭლის მისაღებად, დამოქლონებისა და გრავირების გზით; კლასიკური ბრინჯაოს ლიგატურით შესრულებული ადგილობრივი და ბერძნული წარმოების ქანდაკებები, მხატრულ-დეკორატიული ჭვირული ბალთების ჩამოსხმა ცვილის მოდელით.

2. ძვირფასი ლითონები.

ანტიკური ხანის კოლხეთსა და იბერიაში საზოგადოების ისტორიულ-კულტურულმა ვითარებამ ოქრომჭედლობის განვითარებას შეუწყო ხელი. ეს პროცესი იყო იმ მაღალმხატვრული, დახვეწილი მოთხოვნილებების გამოხატულება, რომელსაც განიცდიდა ანტიკური ხანის საქართველოს დაწინაურებული საქალაქო ცხოვრება, წარჩინებული არისტოკრატია. ელინიზმის გავლენა ადგილობრივი ნივთიერი და სულიერი კულტურის აღმავლობაში გამოიხატა.

ძვ.წ. V-I სს. მხატვრული ხელოსნობის ნაწარმი ოქრომჭედლობის, ტორევტიკის, ძვირფასი ქვების დამუშავების ბრწყინვალე მასალას შეიცავს. ის განვითარებულია აქემენდური და ელინისტურ-რომაული ხელოვნების გარკვეული გავლენით, მაგრამ მისი ბაზა ადგილობრივი შუაბრინჯაოს და წინარეანტიკური ხანის მხატვრული ხელოსნობის ტრადიციებია. ამის დასტურია ვანის, სოხუმის, ბიჭვინთის, მცხეთის, ახალგორის თუ სხვა არქეოლოგიური მასალის ოქრომჭედლობის ნიმუშები, სადაც კეთილშობილ ლითონთა დამუშავების ადგილობრივი, დამახასიათებელი ნიშნები — სამკაულის ფორმები, შემკულობათა სახე, დამზადების ტექნოლოგიის ცნობილი სქემები არის დაცული. მრავალრიცხოვან, მრავალფეროვან ნივთებს შორის გარკვეულად გამოყოფილია ადგილობრივ პროფესიონალ ოქრომჭედელ-ხელოსანთა მიერ შემუშავებული და დამკვიდრებული, ოქროვერცხლის მხატვრული დამუშავების ხერხები: გამოჭედვა-კვერვა, თეგვა, რჩილვა, გაწელვა, მოცვარვა, მომინანქრება, მოსევადება.

კოლხეთის ოქრომჭედლობის ნიმუშები, ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის ნივთები ძვ.წ. V-IV სს. თარიღდება. სამკაულთა ეს ნაწილი წარმოდგენილია დიადემებით, თავსამკაულით, საყურეებით, ყელსაბამებით, საკიდებით, მძივებით, მილაკებით, ინკრუსტირებული გულსაკიდებით, სამაჯურებით, ბეჭდებით, ღილაკებით, ცვარათი შემკული ფირფიტებით. ძვ.წ. III-I სს. ვანის ნაქალაქარის ოქროს სამკაულში გამოვლენილია ის ახალი მიმართულება, რომელიც ადგილობრივ ოქრომჭედლობას ელინისტურ ხელოვნებასთან აკავშირებს [11, გვ. 10-11].

საყურადღებოა ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ზოგიერთი სახის სამკაულის დამზადების ტექნოლოგიის ელემენტები, რომლებიც ახასიათებს ელინისტური ხანის კოლხეთის ძვირფასი ლითონების დამუშავების სახელოსნოთა ნაწარმს.

ვერცხლის დიადემა (ტაბ. III, 1) წრმოადგენს გრეხილ რკალს, მხატვრულად დამუშავებულ რომბულ ფირფიტას და შესაკრავ კავებს. გრეხილი რკალის ნაწილები განსხვავებული კვეთით მაგრამ ერთნაირი ფორმით, მიღებულია მთლიანი ნამზადის გრეხვით, წინასწარ განსაზღვრული წნელისმაგვარი რკალის შექმნის პირობით. დიადემის ხრახნული ნაწილის ქიმიური შედგენილობა: Ag = ფუძე, Cu ≈ 2,0%, Sb ≈ 2,0%, Sn ≈ 0,2÷0,3%. გრეხილი ნაწილის გული სპილენძს შეიცავს გაზრდილი რაოდენობით (Cu ≈ 18-19%), ფრთებში კი მისი რაოდენობა შემცირებულია (Cu ≈ 2-2,5%). ხვეულის გულის ნაწილში სპილენძის დამატებით გაზრდილია რკალის სიმტკიცისა და დრეკადობის მაჩვენებლები. კალის მცირე შემცველობა მიგვანიშნებს მისი სარჩილის გამოყენებაზე. დიადემის რკალის გრეხილი ნაწილის მიკროსტრუქტურა დამახასიათებელია წნევით დამუშავებული ვერცხლის შენადნობისათვის [1, გვ. 259, სურ. 228].

ვერცხლის დიადემების რომბული ფირფიტები სხვადასხვა სტილისტური გამოსახულებებით, მიღებულია სხმული ნამზადის კვერვით. მხატვრულად დამუშავებულია თეგვის ტექნოლოგიური პროცესით. გამოყენებულია რბილი თეგვა, სფერული, მრგვალი, ბლაგვი და ნემსისებრი თეგები. თეგვის პროცესის შემდეგ დიადემა ტონირებულია გოგირდისა და პოტაშის ნადნობის წყალხსნარის საშუალებით.

ოქროს დიადემა (ტაბ. III, 2,3) ტექნოლოგიურად ოთხშესავლიანი გრეხილი რკალი მიერთებულია ორკავიან რომბულ ფირფიტებთან. ტექნიკურ-ტექნოლოგიური შესრულებით დიადემები მსგავსია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე განმასხვავებელ დეტალებს, რომლებიც არ ცვლიან მათი დამზადების ძირითად სქემას.

ხრახნული რკალი მიღებულია ოთხზაზოვანი ოქროს ფურცლის ზოლის მიდგმით და რჩილვით, კუთხეები კვერვითაა გამაგრებული. ხრახნული რკალის ფირფიტების ზედა წიბოები თეგვით არის დაკბილული, რაც მისი მხატვრული გაფორმების დეტალია. ნამზადის გრეხვით მიღებულია რკალის საბოლოო სახე.

რომბული ფირფიტა გამოკვერილია კავიან ღეროსთან ერთად, რომელიც ფირფიტებს ერთმანეთთან აკავშირებს და კრავს დიადემას. ფირფიტაზე გამოყვანილი კომპოზიცია შესრულებულია რთული თეგვის პრინციპით. ტექნოლოგიური სქემის მიხედვით, პირველად მიღებულია ფირფიტა კავიან ღეროსთან ერთად, შემდგომ მომზადებულია ხრახნული რკალი და ბოლოს შეკრულია მთლიანი ნივთი ხრახნული რკალისა და რომბული სტილიზებული გამოსახულებიანი ფირფიტების ერთმანეთთან მირჩილვით.

ოქროსა და ვერცხლის დიადემები ვანის ნაქალაქარიდან არის ჭედური დამუშავების ერთერთი დარგის, თეგური ხელოვნების ნიმუშები. თეგვის პროცესის გარდა გამოყენებულია ოქრომჭედლობის ცნობილი ტექნიკური მეთოდები: სხმული ნამზადის თავისუფალი ჭედვა, ტკეცვა, რჩილვა, კვერვა, გრეხა, ტონირება. დიადემების მაღალმხატვრული სახე ოქრომჭედლობის ხერხების და სამუშაო იარაღის სრულყოფისა და ხელოსნობის მაღალპროფესიული დონის მაჩვენებელია. ვანში აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის სამკაულის დამზადების ერთიანი მხატვრულ-სტილისტური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური შესრულება, კოლხეთში ადგილობრივი ოქრომჭედლობის სკოლის არსებობაზე მიუთითებს. მსგავსი სტილისა და დამზადების ტექნოლოგიური სქემის სამკაულის ნიმუშები ცნობილია კოლხეთის ოქრომჭედლობის სხვა კერებიდანაც (საირხე, ბრილი, ითხვისი), რაც გენეტიკურია კოლხური ძვირფასლითონდამუშავებისათვის. ის უკავშირდება საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ ოქრომჭედლობის სტილისტურ-ტექნოლოგიურ სქემებს, ვითარდება ელინისტური ხანის მანძილზე და გრძელდება მომდევნო პერიოდში.

გვიანანტიკური ხანის ოქრომჭედლობის და ტორევტიკის განვითარების დონეს დიდი მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, სამარხეული კომპლექსებიდან მომდინარე ვერცხლისა და ოქროს ნივთები განსაზღვრავს. რეგიონში სამთავროს, არმაზისხევის, ბაგინეთის, ასევე, ცხინვალის გვიანანტიკური პერიოდის ოქრომჭედლობის ამსახველი ნივთიერი მასალა ოქრომჭედელთა დიდი ხელოვნებისა და დახვეწილი გემოვნების მაჩვენებელია [15, გვ. 14-15, 146-147]. განსაკუთრებით აღსანიშნავია ღრუტანიან ნაკეთობათა დამზადება მბრუნავ ჩარხზე გაწნევის მეთოდის გამოყენებით, რომელიც საქართველო-კავკასიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ თრიალეთური კულტურის ძვირფასი ლითონების დამუშავებიდან იღებს სათავეს. ძვ.წ. II ათასწლეულის ხელოსანთა ტექნიკური ჩვევები და დამზადების ტექნოლოგიური სქემები უფრო განვითარებული სახით გვევლინება ანტიკურ ხანაში [5, გვ. 13].

ვერცხლის ვიწროყელიანი სურა ცხინვალიდან (ტაბ. IV, 1, ცხ. 1, № 5) დამზადებულია ფურცლოვანი მასალისაგან. ჭურჭლის ზედაპირი მოხატულია რთული და ლამაზი, სიმეტრიული ორნამენტით. ნივთი მიღებულია ერთი მთლიანი ფურცლისაგან (ზედაპირზე არ ჩანს მირჩილვისა და ჩაქუჩით დამუშავების ნაკვალევი) გაწნევის ხერხით. სურის ზედაპირზე კვერვისა და ჩაჭყლეტის საშუალებით გამოყვანილია

ორნამენტირებული ნაწილი. განსაკუთრებით საყურადღებოა რთული რელიეფური ორნამენტის სახეობა, რომლის შესრულება მოითხოვს წრის მრავალ სწორ, ერთგვაროვან სექტორად დაყოფას, რაც შეუძლებელია გეომეტრიის ელემენტების ცოდნის, სათანადო გაანგარიშების, გაზომვისა და საზომი იარაღების გამოყენების გარეშე. ცხინვალის ვერცხლის სურის დამზადების ზემოაღნიშნული ტექნოლოგიური სქემა ძვირფასი ლითონდამუშავების სათანადო კულტურის მაჩვენებელია [5, გვ. 26; 15, გვ. 78-79].

ვერცხლის ფიალა ბაგინეთიდან (ტაბ. IV, 2) დამზადებულია მთლიანი მრგვალი ფურცლისგან. გარე ზედაპირი დაფარულია კონცენტრული წვრილი ზოლებით, რომლებიც არ წყდება სიმეტრიულად ექვს ადგილას ჩაზნექილ ღრმულებშიც. ფიალის კედლების სისქის ცვალებადობა, ხასიათი, ზედაპირზე არსებული უწყვეტი კონცენტრული ზოლები მიანიშნებს, რომ ფიალა არ შეიძლება დამზადებული იყოს ჭედვით ან ცვილის მოდელით ჩამოსხმის გზით. ზემოაღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ ფიალა დამზადებულია გაწნევის მეთოდით. ამ პროცესის დროს მბრუნავ ჩარხზე პლასტიკური დეფორმაციის გარდა სრულდებოდა ლითონის ნამზადის ჭრით დამუშავებაც [5, გვ. 28-29].

ვერცხლის სურა არმაზისხევიდან (ტაბ. IV, 3). ამ ტიპის ჭურჭელი ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკური პერიოდის საქართველოში. მათი დამზადების ტექნოლოგიური სქემა რამდენადმე მსგავსია და მოითხოვს ლითონის სხვადასხვა მეთოდებით დამუშავების კარგ ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებას. ასეთი ტიპის ჭურჭელი მიიღება ჩამოსხმული ზოდიდან გამოკვერილი და გამოჭრილი ფურცლოვანი ნამზადის გაწნევის გზით. სურის სახურავი და მხატვრული ორნამენტირებული სახელური მიღებულია ცალკე, ჩამოსხმით და გამოჭედვით, შემდეგ კი მირჩილულია მზა ჭურჭელზე. ჭურჭლის საბოლოო სახე ჩამოყალიბებულია ნაკეთობის მთლიანი ზედაპირის ხეხვითა და გაპრიალებით.

სარეცლის ვერცხლგადაკრული ფეხის ნაწილები არმაზისხევიდან (ტაბ. IV, 4, ცხ. 1, № 6), დამზადების თვალსაზრისით, თანამედროვე ტექნიკის გამოყენებითაც რთული მისაღებია აღნიშნული ფორმისა და სირთულის დეტალები. ფორმები დამზადებულია ხისგან, რომელიც წინასწარ გამოჩარხულია და მოჩუქურთმებული სხვადასხვა ორნამენტით. შემდგომ მასზე გადაჭიმულია ვერცხლის ფურცლოვანი მასალა. ვერცხლის გარსი ზუსტად შემოჭიმულია ფორმაზე. გრძივად მირჩილვის კვალის არარსებობა ადასტურებს მისი დამზადების სქემას ერთიანი ფურცლოვანი ნამზადისაგან, გაწნევის მეთოდით. წინასწარი ფორმის მიცემისა და გულაზე შემოჭიმვის შემდეგ, მხატვრული ორნამენტის საბოლოო გაფორმება შესრულებულია ჩაჭყლეტვით და კვერვით.

ამდენად, ანტიკური ხანის ძვირფასი ლითონის მხატვრული დამუშავების ხელოვნება განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს. ლითონის ნაკეთობათა სახის და ახალი ფორმების შემუშავების მიზნით დახვეწილია ტექნიკური საშუალებები. კეთილშობილ ლითონთა და მათ შენადნობთა ფორმირებისას გამოყენებულია მექანიკური ხელსაწყოები, ათვისებულია ოქრომჭედლობის ხელოვნების მრავალგვარი ხერხი. ამ დროს ივარაუდება სახელმწიფოებრივი მასშტაბის სახელოსნო გაერთიანებათა არსებობაც. სამკაულის მრავალრიცხოვნება, დამზადების ტექნოლოგიის და სტილის ერთგვაროვნება, ადგილობრივი პროფესიონალ ოქრომჭედელთა სკოლების არსებობაზე მიუთითებს.

3. შავი ლითონები.

ანტიკური ხანა რკინის მეტალურგიასა და ლითონდამუშავებაში ტექნიკა-ტექნოლოგიური ინოვაციების პერიოდია საქართველო-კავკასიის რეგიონისათვის. ეს პროცესი განსაზღვრავს რკინის წარმოების სოციალურ-ეკონომიკურ ხასიათს, წარმოადგენს ტექნიკური პროგრესის ბაზას და დიდ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოს სამეურნეო და სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურების განმტკიცებისათვის.

ანტკური ხანის კოლხეთსა და იბერიაში რკინა-ფოლადის დამუშავების საწარმოო-სახელოსნოები და მათი გაერთიანებები (ცენტრები) ფუნქციონირებენ სავაჭრო ურთიერთობების მქონე დასახლებულ პუნქტებსა თუ სავაჭრო გზების გასწვრივ. ანტიკური ხანის ქალაქები აწარმოებენ მაღალი ხარისხის რკინა-ფოლადის ნახელავს. დიდი ქალაქებისა და სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტებში მოქმედებენ ლითონდამუშავების საწარმოებისგან შედგენილი განსაკუთრებული უბნები – სარკინეები. სახელოსნოები რკინის მასალით და იარაღით ამარაგებენ ქალაქების მიმდებარე რაიონებს, მათი მოქმედების სფერო ვრცელდება ქვეყნის სხვა რეგიონებზეც [6, გვ. 113].

ქალაქური ტიპის ხელოსნური წარმოება თვისობრივად ახალი ფენომენია, სადაც იცვლება ამ დარგში დასაქმებული შრომის სახე და სასაქონლო პროდუქციის ხარისხი. ანტიკური ხანის შავი ლითონის საწარმოო ცენტრები და უბნები ცნობილია ნაქალაქარებიდან (მცხეთა, ციხია-გორა, ვანი, ეშერა, ქუთაისი) და ქალაქური ტიპის დასახლებებიდან (ნასტაკისი, ძალისა, დაფნარი, მთისძირი, დაბლაგომი და სხვ.) [2, გვ. 210; 9, გვ. 627].

ქალაქისა და ქალაქის ტიპის სპეციალიზირებულ სახელოსნოთა ფუნქციონირება ხელს უწყობს შიდა ეკონომიკური კავშირების განვითარების პროცესს, იზრდება სავაჭრო ურთიერთობა გარე სამყაროსთან [4, გვ. 45-47; 13, გვ. 101; 14, გვ. 230].

ცხრილი 2

№	ნივთის დასახელება	აღმოჩენის ადგილი	C	Mn	Si	Ni
1	შუბისპირი	ვანი 67-44	0,8	0,05	0,09	0,02
2	შუბისპირი	ვანი 67-49	0,85	0,03	0,02	0,01
3	შუბისპირი	ვანი ს. №9	0,1-0,8	0,02	0,07	0,03
4	ხელეჩო	ვანი 66-144	0,5	0,01	0,05	0,05
5	ლურსმანი	ვანი ს. №11	0,4	0,07	0,03	0,08
6	კავი	ვანი 66-71	0,6	0,1	0,09	0,04
7	ბულატის ხმალი	სახ. მუზეუმი	1,35	0,3	0,1	0,2
8	ბულატის ხმალი	სახ. მუზეუმი	1,4	0,25	0,2	0,15

მნიშვნელოვანია გამოშვებული ასორტიმენტის სერიული ხასიათი. ერთდროულად მოქმედებენ საქალაქო სახელოსნო უბნებისაგან შემდგარი სამჭედლო ცენტრები და მისგან გარკვეული მანძილით დაშორებული რეგიონალური სახელოსნოები, რომლებიც ქმნიან ანტიკური ხანის შავი ლითონწარმოების ერთიან სისტემას.

იარაღი ძირითადად უმაღლესი ხარისხის მასალისაგან არის დამზადებული; გამოიყენება მაღალნახშირბადიანი და ცემენტირებული ფოლადი, რომელიც მექანიკური თვისებების მნიშვნელოვან კომპლექსს ანიჭებს ნივთს და მისგან დამზადებული ნაკეთობის მაღალ საბაზრო ფასებულებას შეესაბამება (ტაბ. V, 1-3, ცხ. 2, № 1-3).

კვალიფიციური ხელოსნის მიერ გამოშვებული პროდუქცია სასაქონლო სახეს ღებულობს. რკინა-ფოლადის მასალა, მრავალფეროვანი ლითონის საყრდენების, სამაგრების, კავების, ლურსმნების და სხვ. ნაკეთობების სახით, გამოიყენება ქალაქთმშენებლობაში, არქიტექტურულ ანსამბლთა საძირკვლის, კედლებისა და გადახურვის სისტემების შესაქმნელად (ტაბ. V, 5-6, ცხ. 2, № 5-6).

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ინერგება შენადნობი და სხმული ბულატისაგან იარაღის დამზადების სრულიად განსხვავებული ტექნოლოგიური სქემა, რომელიც შავი ლითონების დამუშვების ისტორიაში ტექნიკური კულტურისა და აზროვნების განვითარების უმაღლეს საფეხურს განეკუთვნება. მიღებული კომპოზიციური

მასალა რკინა-ფოლადის მრავალსაუკუნოვანი წარმოების შედეგად შემუშავებული ტექნოლოგიური სქემების შეჯერების პროდუქტია, მასში თავმოყრილია კვალიფიციური მჭედელ-ხელოსნის მდიდარი ფანტაზია და ემპირიული გამოცდილება.

ბულატის ტიპის ფოლადი გამოირჩევა ზედაპირის თავისებური დამუშავებით; მასალის საერთო მუქ ფონზე გარკვევით ჩანს ღია ფერის ტალღოვანი და მუხლა სახე (ტაბ. V, 7). რაც უფრო მუქია ლითონის ფონი და ჩახვეულია სქელი ტალღოვანი ნახაზი, მით მაღალია ბულატის ხარისხი. ბულატისაგან დამზადებული მჭრელი იარაღი გამოირჩევა სისალით, ფხამახვილობით, ცვეთამედეგობით. მაღალ მექანიკურ მაჩვენებლებთან ერთად, ბულატის იარაღის ნიმუშები კარგად ნაკეთია, ხასიათდება მაღალმხატვრულობით (ტაბ. V, 8, ცხ. 2, № 7-8).

ანტიკური ხანის საქართველოს შავი ლითონწარმოების სისტემაში, მისი პროდუქციის მრავალფეროვნებით და გამოყენება-დანიშნულებით, აღინიშნება რკინის კულტურის გავრცელების საყოველთაო ხასიათი.

ლიტერატურა:

1. **ანდრიაშვილი ი.** ვანის დიადემების ტექნოლოგიური გამოკვლევა. ვანი I, თბ., 1972. გვ. 258-265.
2. **აფაქიძე ან.** ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბ., 1963.
3. **აფაქიძე ან.** ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა, სინ, I, თბ., 1970.
4. **გამყრელიძე გ.** ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბ., 1982.
5. **თავაძე ფ., მესხია შ., ბარქაია ვ.** ფურცლოვანი ლითონების ჩარხზე დამუშავება ძველ საქართველოში. თბ., 1954.
6. **ინანიშვილი გ.** რკინის წარმოება საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. XII-I საუკუნეებში. ძიებანი. დამატება XII, თბ., 2004, გვ. 79-121.
7. **ლორთქიფანიძე ოთ.** ვანის ნაქალაქარი, ვანი I, თბ., 1972, გვ. 7-42.
8. **მიქალაძე თ.** კოლხეთის ადრერკინის ხანის სამროვნები, თბ., 1985.
9. **ხახუტაიშვილი დ.** ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ანტიკური ხანის ქართლში (იბერიაში). სინ, I, თბ., 1970, გვ. 620-644.
10. **ხიდაშელი მ.** ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში. თბ., 1954.
11. **ჭყონია ა.** ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. ვანი VI, თბ., 1981.
12. **ჯაფარიძე ირ., პაპუაშვილი რ., ინანიშვილი გ.** ფერადი ლითონის წარმოებისათვის გვიანბრინჯაოს ხანის კოლხეთში. ძიებანი, № 15-16, თბ., 2005, გვ. 123-129.
13. **Лордкипанидзе Г.А.** Колхида в VI-II вв. до. н.э. Тб., 1978.
14. **Лордкипанидзе О. Д.** Наследие древней Грузии, Тб., 1989.
15. **Мачабели К.** Позднеантичная торевтика Грузии. Тб., 1976.
16. **Трейстер М. Ю.** Новые данные о художественной обработке металла на Боспоре. ВДИ, 1, 1984, с. 146-159.
17. **Craddock P. T.** The Composition of Copper Alloys Used by the Greek, Etruscan and Roman Civilisations. 2, The Archaic classical and Hellenistic Greeks. JAS, 4, 1977.

დარეჯან კაჭარავა, დიმიტრი ახვლედიანი, გურამ კვირკველია

ვანი ძვ. წ. IV საუკუნესა და III საუკუნის პირველ ნახევარში

აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის მიერ ვანის ნაქალაქარის მრავალწლიანი კვლევის შედეგად შემუშავებული პერიოდიზაცია და ძირითადი დასკვნები მნიშვნელოვანწილად დასტურდება ბოლო წლების აღმოჩენებით. წარმოდგენილი სტატია მოკრძალებული ცდაა ვანის ნაქალაქარის ისტორიის ერთი მონაკვეთის (ადრეანტიკური ხანის დასასრული-ადრეელინისტური ხანა) გაშუქებისა ახალი მასალების საფუძველზე.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდს – ძვ.წ. IV-III საუკუნის პირველი ნახევარი – მიეკუთვნება რამდენიმე ნაგებობა, სამარხები და კულტურული ფენები. ამ უკანასკნელთაგან აღსანიშნავია ცენტრალურ ტერასაზე ე.წ. მონუმენტური არხის შევსებაში დადასტურებული ძვ.წ. IV საუკუნის ორი ფენა, რომელთაგან ერთი ამ საუკუნის პირველი ნახევრით არის დათარიღებული (თასოსური ამფორის დამღით), მეორე კი – მეორე ნახევარს მიეკუთვნება (სინოპური ამფორის დამღისა და იმპორტული მოხატული კერამიკის საფუძველზე). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პირველ ფენაში აღმოჩენილი გორგონას გამოსახულებიანი ანტეფიქსები (სურ. 1-2) და ორმაგპროტომიანი კაპიტელი (სურ. 3), რაც იმის მოწმობაა, რომ უკვე წინარეელინისტური ხანის დასასრულს ვანის ნაქალაქარზე ჩნდება არქიტექტურულად გაფორმებული მონუმენტური ნაგებობანი. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ვანში ქვის ფართო გამოყენება სამშენებლო საქმეში.

უკანასკნელ წლებში ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე გაითხარა ოთხი საკულტო ნაგებობა (სურ. 4). ოთხივე გამართულია კლდოვან დედაქანში საგანგებოდ ამოკვეთილ მოედნებზე, რომლებიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი და სამი მხრიდან შემოსაზღვრულია არხებით. თვით ნაგებობებიც ასევე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენაა მიმართული. ყველა ეს შენობა ერთი ტიპისაა და ნაგებია ქვის ერთრიგიან ცოკოლზე ამოყვანილი ალიზის აგურებით. გადახურვის ნაშთები შემორჩენილი არ არის [24, გვ. 73].

ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარსა და III საუკუნეს მიეკუთვნება რიყის ქვით ნაგები კომპლექსი, გათხრილი ასევე ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე. ის შედგება ქვაფენილისაგან, რომელიც სამი მხრიდან შემოსაზღვრულია რიყის ქვების მძლავრი (3 მ-მდე სისქის) კედლებით, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან ღიაა. კომპლექსს ვანისთვის უჩვეულო ორიენტაცია აქვს (ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ). ქვაფენილის ფართობი 40 კვ. მ-ს აღწევს. ქვაფენილში რიყის ქვებითვე გამოყვანილია ოთხი მრგვალი (დმ 0,3-0,4 მ) ორმო. ივარაუდება, რომ ეს კომპლექსი საკულტო ხასიათისა იყო [19, გვ. 97-99; 17, გვ. 8-9].

ამავე ხანისაა ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩენილი სწორკუთხა შენობა, რომლის ადგილას მოგვიანებით (ძვ.წ. III-I საუკუნეებში) იდგა მრგვალი ტაძარი. მისგან შემორჩენილია მხოლოდ დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლების საძირკვლები და კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი ბუდეები ქვათლილების ჩასაწყობად, რის საფუძველზეც ირკვევა, რომ ის აღმოსავლეთით ღია იყო. ნაგებობის სიგრძე 11,4 მ-ია, ხოლო სიგანე – 10,4 მ. კედლების სისქე 3 მეტრს აღწევს [11, გვ. 36, სურ. 154-155]. აღსანიშნავია, რომ მსგავსი დაგეგმარება აქვს ადრეანტიკური ხანის ხის ნაგებობასაც, რომელიც ინტერპრეტირებულია, როგორც ტაძარ-სამლოცველო [7, გვ. 28-34, სურ. 161].

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი სამარხების დიდი ნაწილი ჩვენთვის საინტერესო პერიოდს მიეკუთვნება. სამარხები სხვადასხვა ტიპისაა. უმრავლესობას წარმოადგენს უკვე წინა პერიოდისთვის დამახასიათებელი კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი ორმოსამარხები. მოგვიანებით (ძვ.წ. III საუკუნის პირველ ნახევარში) ჩნდება თიხის ჭურჭელში (ქვევრი, დერგი) დაკრძალვა [26, გვ. 118-127, სურ. 190; 24, გვ. 73-74, ტაბ. 177]) და აგრეთვე ქვაყუთები [26, გვ. 127-133, სურ. 204-207]. ორმოსამარხებში დასტურდება ხის კონსტრუქციების არსებობა. ნაქალაქარის ტერიტორიაზე ეს სამარხები ცალკეულ ჯგუფებად არის განლაგებული.

უკანასკნელ წლებში ზედა ტერასის იმ მონაკვეთზე, რომელზეც ორი სამლოცველოა გათხრილი, გამოვლინდა როგორც ტიპოლოგიური, ასევე ტოპოგრაფიული თვალსაზრისით გამორჩეული სამარხების ჯგუფი (სურ. 4-5). აქ ჯერჯერობით ექვსი სამარხია აღმოჩენილი. მათგან ხუთი გამართულია კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ ოთხკუთხა ორმოებში, ხოლო ერთი სამარხი წარმოადგენს ქვაყუთს, რომელიც კლდეშივე ნაკვეთ ორმოშია ჩადგმული. ოთხი სამარხი ერთი კონსტრუქციისაა – ორმოს სამხრეთი კედლის გაყოლებაზე ბაქანია გამართული (სურ. 6). ის ჩვეულებრივ კლდეშია გამოკვეთილი. მხოლოდ ერთ შემთხვევაში (სამარხი № 24) თირის ფლეთიღი ქვებით არის აგებული. ბაქნებზე დაკრძალული იყო მსახური და/ან ცხენი. მეხუთე ორმოსამარხში (№ 27), რომელიც მცირე ზომებით გამოირჩევა, ამგვარი ბაქანი არ დასტურდება. ძირითად სამარხებში ივარაუდება ხის კონსტრუქციის არსებობა (რკინის ლურსმნების და სამაგრების აღმოჩენის საფუძველზე).

აღსანიშნავია, რომ 1969 წელს გათხრილ № 9 სამარხში აღმოჩნდა ე.წ. დამატებითი სამარხი, რომელიც ცენტრალურთან შედარებით 0,10 მ-ით უფრო მაღლა იყო თირში ამოკვეთილი. მასზე მსახურებისა და ძაღლის ჩონჩხები გაიწმინდა [13, გვ. 203, სურ. 161, 165]. ამრიგად, უკანასკნელი წლების მონაცემების მიხედვით შეიძლება თამამად ვისაუბროთ ძვ.წ. IV საუკუნის შუახანებისათვის დამახასიათებელ გარკვეულ დაკრძალვის წესზე, რომელიც გულისხმობს მსახურებისა და თანადაკრძალული ცხოველებისთვის (ცხენი, ძაღლი) საგანგებო ბაქნის გამართვას სამარხის სამხრეთი კედლის გაყოლებაზე.

განსახილველი ეტაპის დაკრძალვის წესებში თანაარსებობენ ტრადიციული (სამარხის აღნაგობა) და ახალი ელემენტები. ამ უკანასკნელთაგან აღსანიშნავია მონეტების და ამფორების ჩატანების წესი.

სამარხებში ჩატანებული მონეტების რაოდენობა და ტოპოგრაფია სხვადასხვაგვარია. თითო მონეტა სამარხში მხოლოდ სამ შემთხვევაშია დადასტურებული და სამივეგან – მიცვალებულის პირის არეში: № 9 სამარხში – ფილიპე II მაკედონელის (ძვ.წ. 359-336 წწ.) ოქროს სტატერი; № 18 სამარხში – სინოპური ვერცხლის ჰემიდრაქმა, რომელიც ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისით თარიღდება [24, გვ. 73-74, ტაბ. 177-178]; № 24 სამარხში – პანტიკაპეიონის ვერცხლის მონეტა, რომელიც ძვ.წ. 340-330-იან წლებს მიეკუთვნება. სამივე შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ დაკრძალვის გარკვეულ წესზე – ე.წ. ქარონის ობოლის ჩატანებაზე. № 19 სამარხში მიცვალებულის პირთან ახლოს იდო ორი კოლხური ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლი [25, გვ. 95-97, ტაბ. 180-182]; დანარჩენ სამარხებში მონეტების რაოდენობა გაცილებით მეტია და თანაც მათი აღმოჩენის ადგილებიც განსხვავებულია: № 3 სამარხში – რვა ჩვეულებრივი ტიპის კოლხური ტრიობოლი (მონეტების ადგილმდებარეობა სამარხში გაურკვეველია); № 15 სამარხის ცენტრალურ ნაწილში – ალექსანდრე მაკედონელისა (ძვ.წ. 336-323 წწ.) და ფილიპე III მაკედონელის (ძვ.წ. 323-316 წწ.) თითო ოქროს სტატერი, აგრეთვე ორი კოლხური ტრიობოლი ჩვეულებრივი ტიპისა; № 16 სამარხში – 80 კოლხური თეთრი (ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლები) სამაჯურების ორ გროვას შორის, როგორც ჩანს, მიცვალებულის ხელებში; № 21 სამარხის შევსებაში აღმოჩნდა 7 ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლი; № 22 სამარხში ექვსიდან მხოლოდ ერთ მიცვალებულს უკავშირდება მონეტები – 4 კოლხური ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლი, რომელთაგან ერთი პირში უდევს, დანარჩენი კი თავის არესთან არის განლაგებული; სამარხი ორმოს ცენტრალურ ნაწილში ერთ-ერთ დერგში ოქროს სამკაულებთან ერთად ხუთი ვერცხლის მონეტა იყო ჩაყრილი, ხუთივე ჩვეულებრივი ტიპის კოლხური ტრიობოლია (სურ. 7). მიცვალებულებს შორის ორ გროვად დაფიქსირდა 81 ჩვეულებრივი ტიპის კოლხური ტრიობოლი (სურ. 8).

სამ სამარხში თითო ოქროს ზოდი იყო ჩატანებული, ორ შემთხვევაში (№№ 16 და 24 სამარხებში) მონეტებთან ერთად, ხოლო № 6 სამარხში – მონეტების გარეშე [16, გვ. 116; 8, გვ. 22]. აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. V საუკუნის შუახანებით დათარიღებულ № 11 სამარხში ასევე აღმოჩნდა ოქროს ზოდი [13, გვ. 226, სურ. 54]. ყველა ზემონახსენები სამარხი განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა.

რაც შეეხება ამფორების ჩატანების ჩვეულებას, ექვსი ასეთი ჭურჭელი აღმოჩნდა № 9 სამარხში [13, გვ. 203, სურ. 165], აქედან ერთი – ძირითად სამარხში, დანარჩენი მსახურებთან; თითო ამფორა აღმოჩნდა №№ 15-17 სამარხებში [5, გვ. 83, სურ. 65_5; 8, გვ. 24-25, სურ. 16_6, 17_3). № 22 სამარხის კუთხეებში თითო ამფორა იდგა (სურ. 9), ხოლო № 24 სამარხში ასევე ოთხი ამფორა ერთ ჯგუფად იყო ჩადგმული (სურ. 10).

ჭურჭელში (ქვევრი, დერგი) დაკრძალვა ასევე სიახლეა საკუთრივ ვანის ნაქალაქარისთვის, თუმცა მის მახლობლად (დაბლაგომი, დაფნარი, მთისძირი) ქვევრსამარხების შემცველი სამაროვნები კარგადაა ცნობილი [22, გვ. 1-82; 3, გვ. 48-67; 4, გვ. 6-17; 21, გვ. 14-41]. სიახლეა აგრეთვე ქვაყუთებში დაკრძალვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რკინისა და ბრინჯაოს ფიგურები, რომელთა რაოდენობა შვიდს აღწევს. მათგან სამი რკინისაა, ოთხიც ბრინჯაოსი. ქანდაკებები მცირე ზომისაა – 16-დან 30 სმ-მდე სიმაღლის. ყველა ფიგურა მდგარ პოზაშია გამოსახული, შიშველი, წინგაშვერილი ხელებით (ბრინჯაოს ერთ ფიგურას მარჯვენა ხელი ზემოთ აქვს აწეული), შემკული ოქროს სამკაულებით (სურ. 11-17). საფიქრებელია, რომ ყველა ფიგურა შემოსილი იყო: მამაკაცის ითიფალურ ფიგურაზე შეიმჩნევა ქსოვილის ანაბეჭდები, ტანსაცმლის თუ სუდარისა [26, გვ. 115-116, სურ. 183-185]; ბრინჯაოს ორ ფიგურაზე აღმოჩნდა ოქრომკედის ფრაგმენტები [6, გვ. 33-34]; ბრინჯაოს ერთ-ერთ ქანდაკებაზე (2002 წელს აღმოჩენილზე) შეიმჩნევა ქსოვილის ანაბეჭდები; ამ ფიგურას, ისევე, როგორც 2005 წელს აღმოჩენილ ქანდაკებას, თან ახლდა ქსოვილზე დასაკერებელი სამკაული. ყველა ფიგურა ნაქალაქარის ზედა ტერასაზეა აღმოჩენილი. მათი აღმოჩენის პირობები სხვადასხვაგვარია. ოთხი მათგანი (რკინის სამივე ფიგურა და ბრინჯაოს 2002 წლის ფიგურა) კლდოვან დედაქანში საგანგებოდ ამოკვეთილ ორმოში ჩადგმულ ღარიან კრამიტზე იყო დასვენებული და ღარიანი კრამიტივე ეხურა ზემოდან.

რკინის ითიფალური ფიგურა აღმოჩნდა ორმოში, რომელიც № 2 სამარხისაგან კლდოვანი გრუნტის თხელი კედლით იყო გამიჯნული. ბრინჯაოს ყველა და რკინის ორი ფიგურა დაკავშირებულია საკულტო ხასიათის ნაგებობებთან. ასე, რკინის ორივე ფიგურა აღმოჩნდა სამლოცველოს კუთხეში კლდოვან დედაქანში საგანგებოდ ამოკვეთილ ორმოში, ხოლო 2002 წლის ბრინჯაოსი – საკულტო ნაგებობის გარეთ. ბრინჯაოს ორი ფიგურა განსხვავებულ პირობებშია აღმოჩენილი. ერთი ფიგურა ნაგებობის შიგნით საგანგებოდ ამოკვეთილ ფოსოში იყო პირქვე დამხობილი, მაშინ როცა მეორე ქანდაკება, ასევე პირქვე დამხობილი, აღმოჩნდა ნაგებობის გარეთა კედელთან ადრე არსებულ ღარში. აღმოჩენის პირობების თვალსაზრისით ამ უკანასკნელ ფიგურებთან მსგავსებას ავლენს 2005 წელს აღმოჩენილი ბრინჯაოს ფიგურა [9, გვ. 187-188], თუმცა, მათგან განსხვავებით, ის პირაღმა იდო საგანგებოდ ამოკვეთილ ფოსოში ასევე საკულტო ნაგებობის შიგნით (სურ. 18). ყველა სხვა ფიგურებისაგან ის ტიპოლოგიური თვალსაზრისითაც განსხვავდება. თუ ყველა აქამდე აღმოჩენილი სტატუეტი საგანგებოდ იყო დამზადებული გარკვეული რიტუალის ჩასატარებლად, ახლადაღმოჩენილი ფიგურა მეორადი გამოყენებისა უნდა იყოს: ტერფებზე შემორჩენილი შვერილები კვარცხლბეკზე დასამაგრებლად იყო განკუთვნილი (სურ. 19). განსხვავდება ის სტილისტურადაც, წარმოადგენს რა ბერძნული პლასტიკის ნიმუშს, რომელიც გამოსახავს დიონისური წრის ღვთაება-სატირის. ამ ფიგურების რიტუალური დაკრძალვის ხასიათის შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრებანი [12, გვ. 212; 13, გვ. 39; 14 გვ. 39; 23, გვ. 123]. 2005 წლის ფიგურა ახლებური გააზრების საშუალებას იძლევა და საგანგებო კვლევას საჭიროებს.

ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ძვ.წ. IV საუკუნისა და III საუკუნის პირველი ნახევრის ადგილობრივი მატერიალური კულტურის ცალკეული ელემენტები ავლენენ როგორც ინოვაციურ თვისებებს, ასევე კავშირს წინამორბედ ეპოქასთან.

ადგილობრივი კერამიკა, ერთის მხრივ, ორგანული ნაწილია წინა პერიოდის კოლხური მეთუნეობისა, მასში შენარჩუნებულია ადრეანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი წამყვანი ფორმები (ქვევრები, ყურმილიანი დოქები, ბრტყელძირა ჯამები, ჯამისებური ხუფები); კეცის დამუშავებაცა და ორნამენტიც ძველ

ტრადიციებს აგრძელებს. მეორე მხრივ კი, ჩნდება ახალი ტიპის ჭურჭელი. პირველ რიგში აღვნიშნავთ დერგისებურ ჭურჭელს, რომლის მთელი ნიმუშები აღმოჩენილია № 12 სამარხში (სურ. 20_1). სუფრის ჭურჭელში ახალი ფორმებია: შედგენილტანიანი სასმისები (სურ. 20_2), ჭინჭილისებრი ჭურჭელი და მსხლისებურტანიანი დოქები (სურ. 20_{3-4}). სიახლე ძველ ფორმებშიც აღინიშნება: მათ ახალი მორფოლოგიური ნიშნები უჩნდებათ. ასეთია წრიული ქუსლი ჯამებზე, რაც, შესაძლებელია, ბერძნული გავლენის შედეგი იყოს (სურ. 20_5). და მაინც ყველაზე დიდი სიახლე მეთუნეობაში ბერძნული კერამიკული ფორმის, ამფორების, გაჩენაა. ამავე რიგის მოვლენაა კრამიტის წარმოების დაწყება. ორივე ახალი ფორმა სინოპურის მინაბაძია [10, გვ. 128, 137-140].

სიახლე დაფიქსირებულია კოლხურ ოქრომჭედლობაშიც. რომბულფირფიტებიან დიადემებს ცვლის რთული თავსაბურავები, რომლის ერთერთი მაგალითია № 24 სამარხში აღმოჩენილი ნიმუში (სურ. 21). გვხვდება უფრო მარტივი, ვარდულებისაგან შემდგარი თავსაბურავიც [26, გვ. 128-129]. კვლავ იხმარება ისეთი სამკაულები, როგორიცაა სასაფეთქლეები. სიახლეა ზოგიერთი სახეობის უფრო რთული შედგენილობა (სურ. 22). ჩნდება თავგახსნილი რგოლები და მოძრავსაკიდიანი საყურე. ეს უკანასკნელი ელინისტური ხანის საიუველირო ხელოვნების ნაკადის შემოჭრის მანიშნებლად არის მიჩნეული [18, გვ. 69]. საყურე რგოლები თავდაპირველად ადრეანტიკური ხანის სასაფეთქლეების ნიშანს იმეორებენ, კერძოდ, მათი ბოლოები დაბრტყელებული და გახვრეტილია. შემდეგ კი, როგორც ეს ჩანს № 16 სამარხის საყურეებზე, ეს ნიშანი ქრება [8, გვ. 17, 27, კატ. № 3, სურ. 9კ]. ყელსაბამები, ძირითადად, ისეთივე აგებულებისაა, როგორც წინამორბედ ხანაში: შედგება მძივებისა და საკიდების მონაცვლეობისაგან (სურ. 23-24). ყელსაბამებზეც აისახა ბერძნულ სამყაროში ამ დროს გავრცელებული მხატვრული ხერხები და ფორმები: ჩნდება მცირე ზომის ჟღარუნა საკიდები, ნახევარმთვარისებური მოყვანილობის საკიდები; ხდება ყელსაბამის ცენტრალური ნაწილის აქცენტირება მძივსაკიდით [18, გვ. 70-74]. სიახლეა მინის თვალადი მძივებისა და ოქროს ხლართში ჩასმული ასეთივე მძივების მონაცვლეობით შედგენილი ყელსაბამები (სურ. 25). აღნიშვნის ღირსია შემკრები მძივები, რომელთაც სხვადასხვა მოყვანილობა აქვთ (სურ. 26-27). ყურადღებას იმსახურებს დიდი ზომის ე.წ. ნესვისებური მძივი № 22 სამარხიდან (სურ. 28). შენარჩუნებულია წინარე ეპოქის კოლხური ოქრომჭედლობის ისეთი ნიშნები, როგორიცაა გრანულაციის გამოყენება სხვადასხვა გეომეტრიული სახეების გამოსაყვანად, დაკეჭნილი მავთულით კიდეების შემოსაზღვრა (სურ. 29-30).

განაგრძობს არსებობას ვერცხლის საკისრე რგოლები (სურ. 31), დამზადებული მრავალწახნაგა ღეროსაგან და შეკრული კაუჭებით, ცნობილი უკვე კოლხეთის ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრისა და IV ს-ის კომპლექსებიდან [2, გვ. 10; 15, გვ. 29, ტაბ. XII_1].

ამ ეტაპზე სამაჯურებისთვის დამახასიათებელია ზურგშედრეკილობა, გახსნილი რკალი, მრავალკუთხაგანივკვეთიანი ღერო, ბოლოების შემკობა ირგვლივი ღრმა ღარებით, რომელთა შორის ზედაპირი ირიბი ნაჭდევებით არის დაფარული. ამგვარი სამაჯურები ოქროსიცაა და ვერცხლისაც (სურ. 32-33). როგორც ჩანს, ისევ იხმარება წინა ეტაპისათვის დამახასიათებელი ზოომორფულთავიანი სამაჯურები (სურ. 34). კვლავ გვხვდება კომბინირებული სამაჯურებიც, შედგენილი ოქროს მძივებისა თუ მილაკების მონაცვლეობით მინის ან ნახევრადძვირფასი ქვების მძივებთან (სურ. 35). გრძელდება სხვადასხვა ლითონისაგან (ოქრო, ვერცხლი, რკინა) დამზადებული სამკაულის ერთდროულად ტარების ტრადიცია [8, გვ. 20]. ახალი ელემენტია მოძრავთვლიანი ბეჭდები (სურ. 36).

სიახლეს ძვ.წ. IV-III სს-ისათვის წარმოადგენს სამარხებში ვერცხლის სარტყლის ჩატანება. ჩვენ ხელთ არსებული ორი სარტყლიდან ერთი შემკულია მარტივი დეკორით: სამკუთხედები, სვასტიკები, ჩიტები. სარტყლის კიდეებს ნახვრეტები გასდევს. როგორც ჩანს, თავის დროზე მას ქსოვილის ან ტყავის სარჩული ჰქონდა. ვერცხლისა და ბრინჯაოს ზარაკების, აგრეთვე მძივების განლაგება ვერცხლის სარტყლის კიდეების გაყოლებაზე საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ნახვრეტების ნაწილი მაინც გამოყენებული იყო ზარაკების და მძივების ჩამოსაკიდებლად (სურ. 37). მეორე სარტყელი რამდენიმე მრავალფიგურიანი კომპოზიციითაა შემკული, რომელთა შორისაა სიმპოსიუმისა და ცხოველთა ბრძოლის სცენები (სურ. 38).

ჩვენს ხელთ არსებული მასალა გვიჩვენებს ამ პერიოდში ბერძნული კულტურის გარკვეულ გავლენას სამშენებლო საქმეში, ხელოსნურ წარმოებაში და დაკრძალვის წესებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბერძნული წარწერა ბრინჯაოს ფირფიტაზე, რომელსაც პალეოგრაფიულად ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულსა და III საუკუნის დასაწყისს აკუთვნებენ [27, გვ. 581; შდრ. 20, გვ. 248-263). ფორმისა და წარწერის ამოკვეთის ტექნიკის წმინდა ბერძნული ხასიათის საფუძველზე სტელა ბერძენი ხელოსნის ნახელავადაა მიჩნეული. წარწერის უნაკლო ბერძნულიც ამის მანიშნებელი შეიძლება იყოს. ამჯერად ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ბერძნული ენისა და დამწერლობის გამოყენება ადგილობრივ ოფიციალური ხასიათის დოკუმენტში. ამავე რიგის მოვლენას წარმოადგენს სამეფო დამღები კოლხურ კრამიტებზე [1, გვ. 4-11]; ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ამ ხანაში ვანში ბერძნული გრაფიტოები პრაქტიკულად არ გვხვდება.

გრძელდება ტრადიციული სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობანი ბერძნულ სამყაროსთან (ათენი, ქიოსი), ისახება კონტაქტები ახალ ცენტრებთან (მენდე, სინოპი, თასოსი, ჰერაკლეა). ვანის ისტორიის ამ ეტაპზე თავს იჩენს ირანული წარმომავლობის ნივთებიც, პირველ რიგში ტორევტიკის ძეგლები (სურ. 39). ირანთან ურთიერთობების მანიშნებელია ზემოთმოხსენიებული ორმაგპროტომიანი კაპიტელიც.

ინტერესს იწვევს თეთრ ანგობზე წითელი საღებავით მოხატული კერამიკის გამოჩენა, რომლის საწარმოო ცენტრის საკითხი ჯერ კიდევ პრობლემატურია, თუმც უეჭველია მისი აღმოსავლური (კოლხეთთან მიმართებით) წარმომავლობა. ფართოდ გავრცელებულ მსხლისებურტანიან დოქებთან ერთად გვხვდება ფიგურული ჭურჭელიც (სურ. 40).

მონეტებიდან აღსანიშნავია ფილიპე II-ის სტატერის, ალექსანდრე მაკედონელის და ბიზანტიონში მოჭრილი ლისიმაქეს სტატერების, სინოპის ჰემიდრაქმის (ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი), სირაკუზის ტირანის ჰიერონის (ძვ.წ. 275-216 წწ.) ნახევარსტატერის და პანტიკაპეონის ძვ.წ. 340-330-იანი წწ. დათარიღებული მონეტის აღმოჩენა.

ამრიგად, ძვ.წ. IV საუკუნითა და III საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული არქეოლოგიური მონაპოვარი ვანის ნაქალაქარიდან მოწმობს უშუალო კავშირს წინა პერიოდის ტრადიციებთან. ინოვაციები, განსაკუთრებით თვალსაჩინო ძვ.წ. IV ს-ის შუახანებიდან, გამოხატავს საზოგადოების ზედა ფენების გარკვეულ, თუმცა ზედაპირულ, ელინიზაციას.

მკვეთრი ცვლილებები ნაქალაქარზე იწყება ძვ.წ. III საუკუნის შუა ხანებიდან, როდესაც წყდება საზოგადოების ზედა ფენების წარმომადგენელთა ნაქალაქარის ფარგლებში დაკრძალვის პრაქტიკა, დასახლება იცვლის ფუნქციას და იქცევა გამოკვეთილ საკულტო ცენტრად.

ლიტერატურა:

1. **ახვლედიანი დ.** კრამიტი ვანის ნაქალაქარიდან. თბ., 1999.
2. **გაგოშიძე იულ.** მასალები ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისათვის. – სსმმ, 32-B, 1976, გვ. 5-32.
3. **თოლორდავა ვ.** არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970-1971 წლებში. – ვანი, ტ. II, თბ., 1976, გვ. 48-67.
4. **თოლორდავა ვ.** დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980.
5. **თოლორდავა ვ.** ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდი (1975-1979 წწ. გათხრების შედეგები). – ვანი, VIII, თბ., 1986, გვ. 79-92.
6. **კაჭარავა დ.** ბრინჯაოს ქანდაკებები ვანიდან. – ძმ, № 63, 1983, გვ. 33-34.
7. **კაჭარავა დ., ლორთქიფანიძე ო., ფუთურიძე რ., ყიფიანი გ.** არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე (1970-1977 წწ.). – ვანი, ტ. IV, თბ., 1979, გვ. 7-37.
8. **კაჭარავა დ., მჟავანაძე ზ.** ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული

მუშაობის ანგარიში. – ვანი, ტ. VIII, თბ., 1986, გვ. 9-33.

9. **კვირკველია გ.** ბრინჯაოს ახალი ქანდაკება ვანიდან (ექსპრეს-ინფორმაცია). – იბერია-კოლხეთი. საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, № 2 (ძიებანი, დამატებანი, XIV), თბ., 2005, გვ. 187-188.

10. **ლორთქიფანიძე ოთ.** ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966.

11. **ლორთქიფანიძე ოთ.** ვანის ნაქალაქარი (გათხრები. ისტორია. პრობლემები). – ვანი, ტ. I, თბ., 1972, გვ. 7-42.

12. **ლორთქიფანიძე ოთ.** საქართველოს ძველი ცივილიზაციის სათავეებთან. თბ., 2002.

13. **ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა.** არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. – ვანი, ტ. I, თბ., 1972, გვ. 198-242.

14. **მათიაშვილი ნ.** ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები. თბ., 2005.

15. **ნადირაძე ჯ.** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975.

16. **ფუთურიძე რ., ხოშტარია ნ., ჭყონია ან.** ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961-1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები. – ვანი, ტ. I, თბ. 1972, გვ. 111-133.

17. **ყიფიანი გ.** კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. თბ., 2000.

18. **ჭყონია ა.** ოქროს სამკაული ვანის ნაქალაქარიდან (ვანი, ტ. VI). თბ. 1981.

19. **ჭყონია ა.** არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე (ნაკვ. 102-103, 117-119). – ვანი, ტ. VIII, თბ., 1986, გვ. 93-115.

20. **Каухчишвили Т. С.** Греческая надпись на бронзовой плите из Вани. – Местные этно-политические объединения Причерноморья в VII-IV вв. до н.э. Тб., 1988, с. 248-263.

21. **Кигурадзе Н.** Дапнарский могильник. Тб., 1976.

22. **Куфтин Б. А.** Материалы к археологии Колхиды, т. II. Тб., 1950.

23. **Лордкипанидзе Г. А.** К истории древней Колхиды. Тб., 1970.

24. **Лордкипанидзе О. Д., Путуридзе Р. В., Матиашвили Н.Н., Толордава В.А., Пирцхалава М.С., Чкония А.М., Квирквелия Г. Т., Инаури Г. А.** Ванская археологическая экспедиция. – ПАИ, 1986 (1991), с. 70-74.

25. **Лордкипанидзе О. Д., Путуридзе Р. В., Матиашвили Н. Н., Квирквелия Г. Т., Чкония А. М., Пирцхалава М.С., Инаури Г.А.** Археологические исследования Ванского городища. – ПАИ, 1987 (1995), с. 93-100.

26. **Хоштариа Н. В.** О раскопках на вершине холма. – ванн, ტ. IV, თბ., 1979, გვ. 115-134.

27. **Vinogradov Yu. G.** Pontische Studien. Kleine Schriften zur Geschichte und Epigraphik des Schwarzmeerraumes. Mainz, 1997

ლეილა მაღრაძე

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები ფასისი-ფოთის შესახებ

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, შვეიცარიელი, წარმოშობით ფრანგი მოგზაური, ისტორიკოსი, არქეოლოგი, გეოლოგი, ნატურალისტი, ნეშატელის აკადემიის პროფესორი, დაიბადა 1798 წლის 28 მაისს მოტიეში (შვეიცარია), გარდაიცვალა იქვე, 1850 წლის 7 მაისს.

იგი არქეოლოგიური და გეოლოგიური კვლევებით გაეცნო და შეისწავლა შვეიცარიის, კურლანდიის, ლიტვის, პოლონეთის, სკანდინავიის სიძველეები, ამის შემდეგ კი შეუდგა უკრაინისა და კავკასიის სამხრეთის გამოკვლევას. მისი თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო და ორიგინალური იყო მოგზაურობა 1831-1834 წწ. შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე, ყირიმსა და საქართველოში. სევასტოპოლიდან რედუტ-კალემდე (დღევანდელი ყულევი – ლ. მ.) მოგზაური გაუყვა შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეს, თანმიმდევრობით მოიარა ქუთაისი, გელათი, ახალციხე, ზემო თმოგვი, ვარძია, ბორჯომის ხეობა, რაჭა, ლეჩხუმი, რიონის ხეობა, სამეგრელო, სვანეთი, ნოქალაქევი, ფასისი, გურია, დაბრუნდა ისევ ქუთაისში, საიდანაც ჩავიდა თბილისში გორის, უფლისციხისა და ატენის გავლით.

ფრ. დიუბუა დე მონპერეს, მეცნიერსა და პიროვნებას, მიზნად ჰქონდა დასახული ამ მხარეების ისტორიული, არქეოლოგიური, გეოლოგიური, ეთნოგრაფიული შესწავლა. იგი კარგად იცნობდა მის წინამორბედ მოგზაურთა და მეცნიერთა ნაშრომებსა და გამოკვლევებს კავკასიისა და საქართველოს შესახებ; ფაქტებით ამოწმებდა ანტიკური ხანის, შუა საუკუნეებისა თუ მისი თანამედროვე ავტორების მიერ მოტანილ ცნობებს, თავის თხზულებებში იმოწმებდა შემდეგი ავტორების: ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელის, სტრაბონის, პროკოპი კესარიელის, ფლავიუს არიანეს, კლაპროტის, ლამბერტის, ჟოზეფ-მარი ზამპის, ჟან შარდენის, იოჰან გიულდენშტეტის, სენ-მარტენის, ჟაკ ფრანსუა გამბას, მარი ბროსესა და სხვათა შრომებს. დიუბუა ამყარებდა პირად კონტაქტებს იმ მეცნიერებთან, რომლებიც კავკასიას სწავლობდნენ, იყენებდა მათ მიერ მიწოდებულ გამოუქვეყნებელ ცნობებს, ისტორიულ დოკუმენტებს და სხვ.

ყირიმსა და კავკასიაში მოგზაურობის შედეგად, მეცნიერმა მოაგროვა ისტორიული, არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული მასალა, შეადგინა დიდი ატლასი, რომელშიც შეიტანა თავისი მარშრუტის ამსახველი რუკები, ჩანახატები (ხედები, ხუროთმოძღვრული ძეგლები და არქეოლოგიური მასალა). 1839-1843 წწ. პარიზში გამოაქვეყნა ექვსტომიანი ნაშრომი – "მოგზაურობა კავკასიის გარშემო, ჩერქეზებთან და აფხაზებთან, კოლხეთში, საქართველოში, სომხეთში და ყირიმში" [24]. ამ თხზულებას 1858 წელს მიენიჭა საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების ოქროს დიდი მედალი.

1840 წელს, ნეშატელის გიმნაზიასთან თუ ლათინურ კოლეჯთან, გაიხსნა პატარა ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომლის ხელმძღვანელობა მიენდო ფრ. დიუბუა დე მონპერეს. მისი ხელმძღვანელობის დროს მუზეუმის ფონდები გამდიდრდა სიძველეთა სხვადასხვა კოლექციებით. 1846 წელს მან მუზეუმში შეიტანა კოლომბიეში გათხრების დროს მის მიერ აღმოჩენილი რომაული ნივთები. მაგრამ, სამწუხაროდ, მიუხედავად მისი დიდი სურვილისა შეექმნა არქეოლოგიური მუზეუმი, გარემოება სრულიად არ იყო ხელსაყრელი მუზეუმის გაფართოების ან უბრალოდ არქეოლოგიური ფონდების დაცვისათვის. 1848 წელს დიუბუამ დატოვა დირექტორის თანამდებობა. მისი საკუთარი სიძველეთა კოლექცია, სადაც ივარაუდება, რომ შედიოდა კავკასიაში შეგროვილი ნივთებიც, ისევე როგორც მუზეუმში არსებული სხვა ფონდები, გადაეცა ქ. ციურიხს.

მეცნიერი განაგრძობდა ნაყოფიერ მოღვაწეობას.

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს გარდაცვალების შემდეგ, მისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში, 1850 წელს მარი ბროსე, რომელსაც მეცნიერთან მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდა, ასე აფასებს მის მოღვაწეობას: "დიუბუას თხზულება "მოგზაურობა კავკასიის გარშემო" წარმოადგენს ერთგვარ ენციკლოპედიას კავკასიისას, რომლის ცალკეული ნაწილების გადაჭარბება შეიძლება,

მაგრამ მასთან მთლიანად გათანაბრება ძნელი იქნება. რაც შეეხება ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, ისინი მან კარგად აღწერა, ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ის არის პირველი, რომელმაც გადმოწერა მათზე არსებული წარწერები. ამ სტრიქონების ავტორმა, თვითონ გამოვიყენე ბ-ნ დიუბუას მითითებები და ადგილზე დავადასტურე მათი პუნქტუალური სიზუსტე. კარგადაა ცნობილი მისი ატლასი, სადაც მან თვითონ ჩახატა კავკასიისა და ყირიმის ხედები და უძველესი აღდგენილი ნეგებობები. ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე იქ შეტანილი, მის მიერ მოძიებული არქეოლოგიური ძეგლები. ეს არის სხეული, რომლის სული უნდა მოიძებნოს ბრწყინვალედ გადმოცემული ტექსტის ფურცლებში" [22].

ცნობილი ფრანგი მეცნიერი ერნესტ შანტრი წერს: "ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ კავკასიაში მოგზაურობიდან ჩამოიტანა ის გადამდები ციებ-ცხელება, რითაც ასეთი განსაცვიფრებელია ეს მხარე, რომლის გამოკვლევასაც უნდა უმადლოდეს იგი თავის ხანგრძლივ დიდებას და ამასთანავე მის მიმართ ყველა იმ მეცნიერის მადლიერებას, რომელიც მისი მოგზაურობის შემდეგ შეუდგა პონტო-კასპიური აუზის შესწავლას. მისი "მოგზაურობა კავკასიის გარშემო" არის ყველაზე საუკეთესო წიგნი, რომელიც კი როდესმე დაწერილა ამ ქვეყნების შესახებ. თუმცა მისი თვალსაზრისი ზოგიერთ საკითხზე დღეს შეიძლება გადამეტებულად მივიჩნიოთ, შეუძლებელია არ დააფასო ის შეუპოვრობა და მიზანსწრაფულობა, რაც ახასიათებდა მის მოგზაურობას. ამ მეცნიერმა საუცხოო ნიჭის წყალობით შეძლო თავი მოეყარა ყველაფერ იმისათვის, რაც კი მანამდე ყოფილა გამოქვეყნებული ამ, ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი მხარის შესახებ. თითქმის ყველა მოსაზრება, რომლებიც შემდგომში იქნა გამოთქმული კავკასიის უძველეს ეთნოლოგიასა და ისტორიაზე, სათავეს მის ამ ნაშრომში იღებს. იგი ეხებოდა თითქმის ყველა თემატიკას, ყოველთვის ერთი და იმავე სიცხადითა და თანაბარი, ძალდაუტანებელი სტილით. მის გამოკვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ყველა იმ მონაცემებს, რომელსაც ის სხვა წყაროებსა თუ ლიტერატურაში პოულობდა" [23, გვ. XXII-XXIV].

მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ თავისი დიაპაზონითა და სამეცნიერო ინტერესთა მრავალფეროვნებით საქართველოს ისტორიისა და მის სიძველეთა კვლევაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ნაშრომებს. მათში თავმოყრილია მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალა. მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა თუ უზუსტობისა იგი გვაძლევს არა მარტო ისტორიულ სიძველეთა მიმოხილვას, არამედ საინტერესო მონაცემებს ისტორიული გეოგრაფიის შესახებ. მასში გასაოცარი სიზუსტით არის მოცემული ასეულობით დასახლებული პუნქტი. ამ ნაშრომს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერის მიერ აღწერილი და ჩახატული მატერიალური კულტურის ძეგლები იმდენად, რამდენადაც ზოგიერთი მათგანი აღარ არსებობს, ზოგი კი სახეშეცვლილია.

ფოთი-ფასისის შესწავლას, მისი ადგილმდებარეობის განსაზღვრასა და არქეოლოგიურ კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს მეტად საინტერესო საკითხები მთელ რიგ გამოკვლევებშია გაშუქებული [2; 3, გვ. 97-117; 4; 5; 6; 7, გვ. 170-152; 8, გვ. 181-185; 9, გვ. 36-55; 10, გვ. 119-124; 11, გვ. 505-508; 12, გვ. 17-36; 13; 14, გვ. 48-51; 16, გვ. 271-281; 17, გვ. 5-16; 18; 19, გვ. 215-219; 20, გვ. 96-110; 25, გვ. 1-14; 26].

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ, კოლხეთში მოგზაურობის დროს, 1833 წლის სექტემბერში მოინახულა ქ. ფოთი და მისი შემოგარენი. წარმოებული კვლევის შედეგები და დაკვირვებები მან გადმოგვცა თავის ნაშრომში [იხ. 24, ტ. III, გვ. 63-81]. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო მიმოქცევაში ცნობილია დიუბუას მიერ გამოთქმული მოსაზრება ძველი ფოთის ლოკალიზაციის საკითხის შესახებ, რომლის მიხედვითაც რომაული ხანის ფასისი მდებარეობდა სოფ. ჭალადიდსა და ფოთს შორის, კერძოდ მის აღმოსავლეთით, სადაც მან ნაციხარის ნაშთები აღმოაჩინა, რომელსაც ის არიანისეულ ფასისად მიიჩნევს [1, გვ. 19-20; 7, გვ. 172-173; 21; 9, გვ. 37-38; 12, გვ. 18-19; 13, გვ. 5-6]. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება უფრო ვრცლად გავეცნოთ ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მიერ მოცემულ აღწერილობებს:

[...] "ფოთში ჩასასვლელად მდ. ფასისის (მდ. რიონი – ლ.მ.) ნაპირებს გავყევით. ჭალადიდიდან ფოთამდე მდინარის უსწორმასწორო სანაპიროს მთლიანი ზოლი 21-დან 22 ვერსამდეა (ვერსი – სიგრძის საზომი ერთეული ძვ. რუს. 1ვ=500 საჟენს=1,0668 კმ. XIX საუკუნიდან გავრცელებული იყო საქართველოშიც. ლ.მ.) გადაჭიმული. ჩვენ მივცურავთ მდინარის შუა ნაწილში – იქ, სადაც გადმოსხდნენ ფრიქსიუსი, ულისე და არგონავტები.

მრავალი დისკუსიის შემდეგ, რის შედეგაც წარმოიშვა ეს ანტიკური მითები, მე ვფრთხილობ ამგვარ თემებზე განსჯის დაწყებას, მაგრამ მაინც ვფიქრობ ეგებ მივაღწიო შუქი მოვფინო ჰიპოთეზების ქაოსს, რომელიც გამომდინარეობს ამ მსჯელობებიდან! ეს აზრი მიტრიალებდა თავში მდინარეზე გადასვლისას.

ძველი ფოთი მდებარეობს ჭალადიდიდან 6 ან 7 ვერსზე მდ. ფასისის მარჯვენა ნაპირზე, არხ ნადორთას (უნდა ვიგულისხმოთ არხი "ნადართუ", იხ. 9, გვ. 51-52. ლ.მ.) შესასვლელის პირდაპირ, რომელიც ფასისს პალიასტომის ტბასა და ფიჩორთან აკავშირებს. აქ, მდინარეს დიდი "კუნძული" ყოფს ორ ნაწილად. გადაშალეთ აგათია (I, 3, გვ. 59; 95-96) და ნახეთ სწორია თუ არა ჩემი ისტორიული მცდელობის ახსნა. თქვენ იქ იპოვით კუნძულს, არხს, სამხედრო გარნიზონს, რომელსაც ის რამდენჯერმე მოიხსენიებს სპარსი გენერლის, ნახორაგანის მიერ ქ. ფოთის ალყაში მოქცევამდე. ძველი ფოთი იყო მხოლოდ რომაელთა ბანაკი, რომელსაც რომაელებისა და ლაზების წინააღმდეგ ხოსროელების ბრძოლების განმავლობაში ჯარისკაცები იყენებდნენ საზამთრო სადგომად, გადადიოდნენ რა ერთი ნაწილიდან მეორეში, როდესაც მათ მტერი უახლოვდებოდა.

თავდაპირველად აღვნიშნავ, რომ სახელწოდება ფოთი არის მხოლოდ ფასისის მეგრული თარგმანი. ამ დიდიხნის ქალაქს სანგრებისა და აგურების რამდენიმე გროვის გარდა სიძველის არანაირი კვალი არ შემოუნახავს. ამის მიზეზს მალე ვნახავთ.

არხი გათხრილი იქნა რომაელების მიერ იუსტინიანეს დროს, რათა მისგან თავდაცვის ზოლი გაეკეთებინათ და ამგვარად ჩაკეტილიყვნენ თითქოსდა დიდ კუნძულზე ფასისის, ფიჩორისა და პალიასტომის ტბას შორის. არხიდან ფოთის ციხე-სიმაგრემდე კიდევ 14 ვერსი გავიარეთ. ამ მიდამოებში მე ვერაფერი აღმოვაჩინე ღირშესანიშნავი ხშირი ხეების ორი ხეივნის გარდა, ციხე-სიმაგრის ზემოთ 3 ვერსამდე, სადაც იშლება ვრცელი, სწორი ვაკე – ზაფხულში მშრალი, ხოლო შემოდგომაზე წვიმებისაგან წყლით დაფარული და დაჭაობებული; მისი დონე არ შეიძლება აწეული იყოს 2 ფუტზე (ფუტი – ინგლისური საზომი სისტემის, სიგრძის საზომი ერთეული. 1 ფუტი=117 საჟენს=12 დიუმს=0,3048 მეტრს. ლ.მ.) ზემოთ. აქ შენი ნება-სურვილის მიუხედავად საჭიროა დაბლა ჩამოხვიდე და ნახევარი ტანით ჭაობში ჩაეფლო; რას არ გააკეთებ მეცნიერების საპატივსაცემოდ. ბოლოს, ძლივს მივაღწიეთ მცირე ბორცვამდე, რომელსაც ჩემს წინ ისე ვხედავდი, როგორც ნეტარ კუნძულს და ჭაობის შუაში, მდ. ფასისიდან 700 ნაბიჯზე, ფეხი დავადგით რაღაც მშრალ ადგილს. ეს სხვა არაფერია, თუ არა აგურით ნაგები ნაციხარის ნაშთი, რომელშიც თვალნათლივ შეიცნობა ფლავიუს არიანეს მიერ თავის "პერიპლუსში" (გვ. 6, 1577, ჟენევა) აღწერილი და აღდგენილი ციხე-სიმაგრე. სიმაგრის ოთხივე კუთხეში აღმართული იყო ოთხი [...] კოშკი, კარები ზღვისკენ იყო მობრუნებული. აგურები, რომლებიც ამ ნაგებობისთვის იყო გამოყენებული, ერთმანეთთან მოწითალო ფერის დუღაბით იყო შეერთებული.

ციხე-სიმაგრის შიდა ნაწილი, რომელსაც 140 ნაბიჯი სიგანე ქონდა, ზუსტად იმდენი, რამდენიც იქ, სამხედრო გარნიზონში მყოფი, 400 რომაელის მოსათავსებლად იყო საჭირო, ეხლა ზაფხულსა და ზამთარში მხოლოდ გამოუყენებელი გუბე და ამღვრეული არხის შესასვლელი კარია. კოშკების ჩამონგრევისგან წარმოქმნილი ყრილები, მდ. ფასისის შლამის სქელი თიხის ფენითაა დაფარული. მაშასადამე, როგორც ვხედავთ, ეს დასახლებული ადგილი გაუვალი ჭაობი გახდა. იტყვიან, რომ მიწა ჩაიქცა? თუ როგორც ამ ქვეყნის ლეგენდა გადმოგვცემს, პალიასტომის ტბის ნაპირზე მდებარე დიდი ქალაქის მცხოვრებნი ისეთი უღვთოები გახდნენ, რომ ღმერთმა ისინი, მათი ქალაქი და მღვდლები ტბაში ჩაძირა და მხოლოდ კოშკის ნაშთი დატოვა, როგორც ასეთი საშინელი სასჯელის მოწმე? მე კი ვფიქრობ ამ ლეგენდარული ჩაძირვის მოტივი ადვილი საპოვნელია.

სტრაბონი (წიგნი XI) გარკვევით ამბობს: ქალაქი ფასისი, კოლხეთის დიდი ემპორიონი მდებარეობდა მდინარის შესართავთან, გარშემორტყმული ერთი მხრიდან ზღვით, მეორედან პალიასტომის ტბით და მესამე მხრიდან თვით მდ. ფასისით. ამაზე ზუსტად შეუძლებელია განსაზღვრო ამ ქალაქის მდებარეობა. ეს ემპორიონი უნდა ყოფილიყო იმ ნანგრევის ახლოს, რომელიც მე აღვწერე, რადგანაც არიანე, რომელიც სტრაბონის მერე ერთი საუკუნის შემდეგ წერს, გადმოგვცემს, რომ ფასისი მდებარეობდა მდინარესა და პატარა კოშკს შორის. ეს კოშკი დღეს ფასისის შესართავიდან და ზღვის სანაპიროდან 5 ვერსზეა მოშორებით იქიდან, სადაც ის ააგეს რათა დაეცვათ შესასვლელი და ნავსაყუდელი იმ დროს, როცა სამი საუკუნის წინ იქ დიდი და პატარა ფოთი გადაიტანეს. მას შემდეგ მდინარემ თავის შესართავთან ერთად გადაიწია 4 ან 5 ვერსზე უფრო მოშორებით. ეს ნიშნავს, რომ წერტილი ბ ეხლა იმყოფება წერტილ ა-ში.



შავი ზღვის დონე არ შეცვლილა, შესართავის დონე იყო ბ = ა-ში. მაგრამ ამ შემთხვევაში შესართავის გადატანა 5 ვერსის მოშორებით გამოწვეული იყო მდინარის დონის აწევით, რამაც გამოიწვია მისი კალაპოტის შეცვლა. ამრიგად, ამჟამად ფასისის დონე ბ წერტილის ნაცვლად ც წერტილშია და მომატებულია 6-დან 7 ფუტამდე. აი, რატომაა ამ პატარა კოშკის ზღუდე მხოლოდ გუბე, კარის ადგილას ამღვრეული არხი, ხოლო ვაკე, რომელიც მას გარს აკრავს ჭაობი. ყველაფერი ეს ოდესღაც იყო ფასისის ზევით 7 ან 8 ფუტზე; დღეს კი მის დონეზე ან მის ქვევითაა მოქცეული.

ეს ისტორიული ფაქტი, ჩვენთვის რომ ვთქვათ, თავდებია იმისა, რომ ადგილი შეცვლილია ძველი დროის შემდეგ და ჩვენ ვეღარ ვპოულობთ ისეთ კალაპოტს, როგორსაც ძველმა ბერძნებმა მიაკვლიეს ზღვისა და მდინარის სანაპიროს უსწორმასწორობაში. აი, მიწის ერთი მილი სიგანის ზოლი, რომელიც რიონის საჩუქარია და რომელიც იმ დროს არ არსებობდა.

მდინარის ადიდებების თანმიმდევრობა შეიძლება წაიკითხო სხვადასხვა სისქის მრავალრიცხოვან შრეებში, რომლებიც ერთი მეორეზეა დალექილი. ძირითადი მასა მეტ-ნაკლებად ქვიშიანია და შედგება მონაცისფრო თიხისაგან, შეიცავს ქარსის უამრავ ნაწილაკს, რის გამოც ბრწყინავს. აქ შეიცნობა რიონის ზედა ნაპირებისა და მისი შენაკადების: გლოლასწყლისა და ტეხურას კვალი. ეს შავი და ნაცრისფერი დაშრევებული ქანი წყალს ღებავს მონაცრისფრო-თეთრ ფერად, რომელსაც ისინი თავიანთ შესართავამდე ინარჩუნებენ. ფასისი-რიონი არასდროსაა გამჭვირვალე...

ამ ახალი მიწის ზოლის ზევით წყლის ვრცელი შეგუბება მოჩანს. სტრაბონი მას ტბას უწოდებს, აგათიას გადმოცემით მისი დროიდან ის პატარა ზღვად მოიხსენიებოდა, ხოლო ახლანდელი სახელი — პალიასტომის ტბა — უჩვეულოა, იქ ადვილად შეიცნობა ბერძნული სიტყვები παλαιοσ და στομα, ძველი ღრუ, ძველი შესართავი. თუ მდ. ფასისი მართლა აქედან შეედინებოდა, ეს ალბათ ძალიან ადრეულ ეპოქაში იყო, რადგანაც სტრაბონი ემპორიონი ფასისის ადგილმდებარეობის განსაზღვრისას ამბობს, რომ ის არის ტბის, ზღვისა და მდ. ფასისს შორის. ეს კი ამტკიცებს, რომ ფასისს უკვე მაშინ ჰქონდა ტბისგან ისეთივე დამოუკიდებელი დინება, როგორიც დღეს აქვს.

ტბის ფასისთან ამ ძველი შეერთების დასადასტურებლად მხოლოდ არხი ნადორთაა შემორჩენილი. ჩანს, რომ რომაელებმა, რომლებმაც ის გათხარეს იმპერატორ იუსტინიანეს დროს თავის დასაცავად, იპოვეს უძველესი ფსკერი, მდინარის დამშრალი ტოტი და ის გამოიყენეს; ეს დამიმტკიცა ამ ადგილების დათვალიერებამ. უკანასკნელად გაწმენდილ ამ არხს აქვს მხოლოდ 10-დან 12 ფუტამდე სიგანე; ის შეჭრილია მიწის დანალექში, რომელიც ფასისის ნაპირების მსგავსია. მისი სანაპირო მდინარის დაბალი დონიდან 6-დან 7 ფუტამდე ზევით არ იწევს, ხოლო როდესაც წყალი იმატებს, გარშემო ყველაფერი წალეკილია. თუ ფასისი აქედან შეერთვოდა ზღვას, მაშინ ტბა მხოლოდ ღრმა და მოუხერხებელი უბე იყო. ის გარდაიქმნა 7 ვერსი სიგრძისა და 4 ვერსი სიგანის მარილიან ტბად ჭაობების ჩაუთვლელად, რომლითაც გარშემორტყმულია. მისი ნაპირები ლელქაშითაა

დაფარული, მაშასადამე ძალიან დაბალია. მისი დონე 2-დან 3 ფუტზე ზევით არ იწევს. ტყეები იწყება ნაპირებიდან მოშორებით. ჩრდილოეთის მოშიშვლებული მხრიდან ის ძველი პატარა კოშკის ნანგრევს ესაზღვრება.

ეს ტბა მდინარესთან ბუნებრივი არხით ერთდება. თავდაპირველად ეს შეერთება პირდაპირი იყო, მაგრამ განუწყვეტლად მეჩეჩის შექმნამ ის შემოაბრუნა და ჩამოიშორა ისე, რომ არხი, რომელიც იწყება ფოთის ზემოთ 1 ვერსზე, ზღვასთან მხოლოდ 8 ვერსის შემდეგ მიდის შესართავის სამხრეთით. ტბიდან გამოსვლისას ჩვეულებრივ მას აქვს 200-დან 250 ფუტამდე სიგანე და 10-დან 12 ფუტამდე სიღრმე, ის მიყვება იმ მიმართულებას, რომელიც მე ზემოთ აღვნიშნე (შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ არხის პირველი ნაწილი ჯერ კიდევ იმ ეპოქას მიეკუთვნება, როდესაც ფასისი ტბას კვეთდა; მას შემდეგ, რაც მან დინება შეიცვალა, მეჩეჩმა არხი ჩაკეტა და აიძულა ის სხვა მიმართულება მიეღო. დენადობა არ იყო საკმაოდ ძლიერი მეჩეჩის გასარღვევად).

სივრცე ფასისს, არხებსა და პალიასტომის ტბას შორის ნამდვილი დელტაა, ისეთივე როგორიც სხვა ვრცელი და მრავალრიცხოვანი კუნძულები, რომლებიც მდინარეს ყოფენ. ისინი ისეთი დაბლებია, რომ როდესაც წყლის დონე მაღლა იწევს, იფარებიან. თვით მეჩეჩი, რომელიც ზღვას ტბისაგან აშორებს, მიუხედავად იმისა, რომ ბუჩქნარითაა დაფარული, მაინც არ წარმოადგენს წყალდიდობისგან თავშესაფარს. ის ნაწილი, რომელიც ზღვას ესაზღვრება მხოლოდ "წყალხმელეთა" ნიადაგია, ზღვისა და მიწის ღმერთების შებრძოლების ასპარეზი; მაღალი ტალღები მთელ მეჩეჩს ფარავენ და უზარმაზარი წყლის მასა ტბაში შეედინება. წალეკილ ნიადაგს საშინელი სუნი ასდის; მარილიანი წყალი ფსკერში ფუჭდება, ამ შერევისაგან ტბის წყალიც უვარგისი ხდება სასმელად როგორც ადამიანებისათვის, ისე ცხოველებისათვის.

დავუბრუნდეთ ფასისის ციხე-სიმაგრის ანუ რომაული პატარა კოშკის აღწერას. მე დავამატებ, რომ ამ ციხე-სიმაგრის პირდაპირ, მდინარეში გრძელი კუნძულია გადაჭიმული, რომელზეც ვარაუდობენ, რომ კიბელას ტაძარი იყო აღმართული, მისი ნანგრევები შარდენმა ნახა, ხოლო არიანე ამბობს, რომ ის ჩანდა მდ. ფასისიდან ამოსვლისას მარცხნივ. ამჟამად ამ ძეგლის არანაირი კვალი აღარ არსებობს. მდ. ფასისის მეორე მხარეს, მყარ ნიადაგზე, ახლანდელი კრამიტის ქარხნის ახლოს, უძველესი ნამოსახლარების კვალი შეიმჩნევა: შესაძლებელია ეს არის ემპორიონის ნაწილის, ან ერთ-ერთი იმ ბანაკის ადგილსამყოფელი, რომელიც რომაელებმა და ლაზებმა რამდენჯერმე ააგეს ხოსროელების წინააღმდეგ მათთან ბრძოლების დროს. ეხლა ყოვლად შეუძლებელია რაიმე კვლევა-ძიების წარმატებით ჩატარება მდინარის ნაპირებზე, რადგანაც ისინი დაფარულია მხოლოდ უზარმაზარი გაუვალი ტყეებით, სადაც ლიანები, ვაზი, მაყვალი, კატა-ბარდები და სხვ. ეკლიანი ბუჩქნარის ტევრებს ქმნიან და სადაც ადამიანს არასოდეს დაუდგამს ფეხი. ამასთანავე, როცა მდინარე დიდდება, მთელი ტერიტორია იფარება. ყოველ წელიწადს ფასისის ამღვრეულმა წყალმა იმდენი შლამი დალექა, რომ უკვე დიდი ხანია მიწაში ჩაფლა ხისგან და აგურისგან აგებული ქალაქები (თვითონ ფასისი გარშემორტყმული იყო მხოლოდ ხის კედლითა და არხით. იხ. აგათია I, 3, გვ. 96, 97).

ფოთის ახლანდელი ციხე-სიმაგრე ზღვის მხრიდან, იმავე დელტაზე პატარა კოშკიდან 3 ვერსის მოშორებით მდებარეობს.

ციხე-სიმაგრე სულთან მურად III-ის ჯარების უმაღლესმა მთავარსარდალმა მუსტაფამ ააგებინა 1578 წელს, თურქებისა და სპარსელების ომის დროს. 1640 წელს ის აიღეს და გაანადგურეს იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს გაერთიანებულმა ჯარმა. ოცდახუთი ზარბაზანი, რომელიც იქ იყო, იმერეთის მეფის განკარგულებით გადაიტანეს ქუთაისის ციხეში (შარდენი, გვ. 143 [იხ. 15, გვ. 258 — ლ. მ.]). თურქებმა ის ხელახლა ააგეს. სამეგრელოს (მთავარმა — ლ.მ.) დადიანმა იმ პერიოდში მათ მიჰყიდა სახარბედის კაპიტელის ქვები, რომლებიც ფოთამდე გადაჰქონდათ მდ. ცივათი და ფასისით (როგორც გ. გრიგოლია ვარაუდობს, შესაძლებელია ეს ქვები გადატანილი იყო სახარბედიოს უბნიდან, რომელიც ამჟამად მდებარეობს სენაკის რაიონში, მდ. ცივას მარცხენა ნაპირზე მდებარე კურორტ მენჯის ჩრდილო-აღმოსავლეთით — ლ. მ.). ამრიგად, დაშალეს ყველაფერი რაც დარჩენილი იყო სახარბედის ნაგებობებისა და ნანგრევებისაგან, იმ მიზნით, რომ სწრაფად

დაესრულებინათ მშენებლობა. ფოთის მიდამოებიდან წაიღეს აგრეთვე რაც კი რამ იყო აგურისა და ქვისგან ნაგები, თვით ძველი ნანგრევების უკანასკნელ ნატეხამდე. ამგვარად, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ფოთში, ციხე-სიმაგრის საამშენებლო მასალებში პოულობენ იმ პატარა კოშკის კედლის მსგავს აგურებს, რომელიც მე აღვწერე. რაც შეეხება გეგმას – ის ზუსტად სოხუმ-კალეს მსგავსია.

ფოთის აშენებიდან 2 საუკუნის შემდეგ, ზღვამ უკან დაწია თავისი ნაპირები და ორი ვერსის მანძილზე მიატოვა სიმაგრის კედლები. ეს კი ქმნის პატარა ციხე-სიმაგრის აგების აუცილებლობას, რომელიც უფრო ახლოს იქნება მდ. ფასისის შესართავთან.

ზღვა თუ უფრო მეტად უკუიქცევა, ფოთსაც იგივე მოუვა, რაც ძველ კოშკს დაემართა: ის წყლითა და ჭაობით დაიფარება. ამჟამად ციხე-სიმაგრის ნიადაგი 3 ფუტზე მეტად არ არის აწეული მდინარის დონიდან. ჩვენი შთამომავალნი შემდგომ იტყვიან, რომ ის ჩაიძირა...

[...] ფოთისგან მიუდგომელი ციხე-სიმაგრის შექმნა ამდენ წყალსა და ჭაობს შორის შესაძლებელია, ახალი პორტის გაკეთება კი სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ზღვა ფასისის შესართავთან არ ქმნის არც ყურეს, არც რეიდს და არც რაიმე მსგავსს ისევე, როგორც რედუტ-კალეში (ყულევში – ლ.მ.), და ფასისი, მეტყვიან მე? ეს მდინარე ჭალადიდიდან მოყოლებული თავისი შესართავის ზევით ქმნის ფართო არხს, მაგრამ სამწუხაროდ ხოფის მსგავსად მისი შესასვლელი გადაღობილია. რჩება მხოლოდ ღარი, რომლის სიღრმე და მდებარეობა ყოველ დღე იცვლება ქარისა და მდინარის დინების მიხედვით. ამ ღარს, როდესაც მდ. ფასისი ადიდებულია მხოლოდ 6 ფუტი სიღრმე აქვს, ხოლო როდესაც წყლის დონე ეცემა მისი სიღრმე 10-დან 12 ფუტამდე აღწევს.

ასეთი იყო ლოკალური ვითარება იმ დროს, როდესაც ფოთისგან დიდი პორტის დაარსებას ფიქრობდნენ.

რედუტ-კალე (ყულევი) როგორც სამხედრო დანიშნულების სიმაგრე მიტოვებულია, დიდი გზა გადატანილი იქნა მდ. ფასისის მარცხენა ნაპირზე [...].

როგორც ვხედავთ, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ არა მარტო აღწერა იმდროინდელი ძველი ფოთი, მისი შემოგარენი, ციხე-სიმაგრე და სხვა, არამედ მთელი რიგი ფაქტებისა და მოვლენების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე სცადა გაეაზრებინა და გადმოეცა თავისი საინტერესო თვალსაზრისი, ქართული ისტორიოგრაფიისათვის დღემდე გადაუჭრელი პრობლემის, კოლხეთის უძველესი ქალაქის, ფასისის ლოკალიზაციის შესახებ (დაწვრ. იხ. [7, გვ. 170-182].

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს თხზულებას "მოგზაურობა კავკასიის გარშემო", როგორც ისტორიულ წყაროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ისტორიულ სიძველეთა შესწავლის საქმეში.

ლიტერატურა:

1. **ბერძენიშვილი მ.** ქ. ფაზისის ლოკალიზაციისათვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXII, თბ., 1942, გვ. 3-21.
2. **ბერძენიშვილი მ.** ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969.
3. **გამყრელიძე გ.** წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში, საქ. მეც. აკად. მაცნე (სერია ისტ. არქ. ...), № 1, თბ., 1987, გვ. 97-117.
4. **გამყრელიძე გ.** ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1993.
5. **გამყრელიძე გ.** ფოთი-ფასისის ტოპოარქეოლოგიისათვის, თბ., 1998.
6. **გამყრელიძე გ.** კოლხეთი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), თსუ-ს გამომც. "ლოგოსი", 2002.
7. **გამყრელიძე გ.** ქ. ფასისის ადგილმდებარეობის და დეფინიციის საკითხისათვის. იბერია-კოლხეთი, № 1, საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, თბ., 2003, გვ. 170-182.
8. **გორდეზიანი რ.** ფაზისის ეტიმოლოგიისათვის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 2 (140), თბ., 1971, გვ. 181-185.
9. **გრიგოლია გ.** ფასისის ლოკალიზაციისათვის, ფასისისადმი მიძღვნილი სესიის მოხსენებები, თბ., 1973, გვ. 36-55.

10. **ინაძე მ.** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1982, გვ. 119-124.
11. **კეკელია ჯ.** ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტების შესახებ, საქ. მეც. აკადემიის მოამბე, №2, (102), თბ., 1981, გვ. 505-508.
12. **ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ.** ფასისის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის პრობლემა, ფასისისადმი მიძღვნილი სესიის თეზისები, თბ., 1973, გვ. 17-36.
13. **მიქელაძე თ.** არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი რიონის ქვემო წელზე, თბ., 1977.
14. **მიქელაძე თ.** ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1964 წ. ჩატარებულ სამუშაოთა შესახებ, 1964 წ. არქ. კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი თეზისები, XIV, თბ., 1965, გვ. 48-51.
15. **შარდენი ჟან,** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975.
16. **ჯანაშია ს.** ფასისი, შრომები, სსტ., თბ., 1952, გვ. 271-281.
17. **ჯანელიძე ჭ.** ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტები, ფასისისადმი მიძღვნილი სესიის თეზისები, თბ., 1973, გვ. 5-16.
18. **Гамкрелидзе Г.** К археологии долины Фасиса, Тб., 1992.
19. **Гамкрелидзе Г.** Гидроархеологические работы в зоне предполагаемого расположения древнего Фасиса. Причерноморье в VII-V до н. э. - Материалы V симпозиума по древней истории Причерноморья, Тб., 1990, с. 215-219.
20. **Ломоури Н.** Из исторической географии древней Колхиды. - ВДИ, № 4, М., 1957, с. 96-110.
21. **Шафранов Н.** Где была греческая колония Фасис? - "Кавказ" № 71, Тифлис, 1880, с. 3.
22. **Brosset M.** Nécrologie de M. Dubois de Montpéreux. Journal de S. Pétersbourg, # du 20 mai - 1er juin, 1850.
23. **Chantre E.** Recherches antropologique dans le Caucase, Paris, 1885, Vol. I, p. XXIII-XXIV.
24. **Dubois de Montpéreux Fr.** Voyage autour du Caucase chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Georgie, en Arménie et en Crimée. Paris 1839 à 1843.
25. **Kacharava D.** The town of Phasis as described in Graeco-Romen and Byzantine literary sources, Tbilisi, 1991, p. 1-14.
26. **Lordkipanidzé O.** Phasis. The river and City in Colchis. Stuttgart, 2000

გოდერძი ნარიმანიშვილი, ნუგზარ მგელაძე

აჭარისწყლის ხეობაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესახებ

კასპიისა და შავ ზღვებს შორის მოქცეული ტერიტორია უმნიშვნელოვანეს საკომუნიკაციო ზონას წარმოადგენდა. ახლო აღმოსავლეთის ძველ ცივილიზაციებსა და ჩრდილოეთის ნომადურ ტომებს შორის მოქცეული ეს რეგიონი კულტურათა შეხვედრის ადგილი იყო. მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კავკასიის ქედი, რომელიც, ბუნებრივ საზღვართან ერთად, განსხვავებული კულტურების საზღვარსაც წარმოადგენდა.

სამხრეთ კავკასია აღმოსავლეთ-დასავლეთის და ჩრდილოეთ-სამხრეთის დამაკავშირებელი ერთ-ერთი რეგიონია, რომელიც უძველესი დროიდან კულტურათა გზაჯვარედინზე მდებარეობს, რაც ათასწლეულთა მანძილზე ხელს უწყობდა ღირებულებათა დიფუზიას, ინოვაციურ პროცესებს, მატერიალური, ეკონომიკური, სოციალური და სულიერი კულტურის სფეროში სხვადასხვა ტიპის ფასეულობათა დალექვას.

სამხრეთ კავკასიაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესახებ არსებული წერილობითი წყაროები მწირ მონაცემებს შეიცავს და, ძირითადად, ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების შემდგომ პერიოდს ეხება. მრავალრიცხოვანი ასურული, ურარტული, ძველბერძნული, რომაული, ბიზანტიური, ქართული და სომხური წერილობით დოკუმენტები, რომლებიც ქართველური ტომებისა თუ ქართული სახელმწიფოების შესახებ მოგვითხრობენ, საქარავნო მაგისტრალების შესახებ პირდაპირ ცნობებს თითქმის არ შეიცავენ. თუმცა, ზოგიერთ ადრეულ წყაროში მაინცაა შემონახული ცალკეული მინიშნება, რომელიც ქართველთა წინაპრების სამოსახლო ტერიტორიებზე ისეთი სამიმოსვლო გზების არსებობაზე მიგვითითებს, სადაც შესაძლებელი იყო სამხედრო ლაშქრის ალაფ-ნადავლით გადაადგილება. სამხრეთ კავკასიის აღნიშნული სამიმოსვლო გზებისა და ბილიკების შესახებ ასეთი ცნობები ჯერ კიდევ ძვ. წ. XII-XI საუკუნეების ასურულ წყაროებში ჩნდება. თიგლათფილესერ I (ძვ.წ. 1115-1077 წწ.) წარწერაში, რომელშიც აღწერილია ნაირის ქვეყნის ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური გაერთიანების – დაიაენის წინააღმდეგ ლაშქრობა (ძვ. წ. 1112 წელი), ამბობს, რომ მან დალაშქრა ზემო ზღვის ანუ, როგორც ვარაუდობენ, შავი ზღვის [18, გვ. 26-33; 31, გვ. 171] ნაპირებთან მდებარე შორეულ მეფეთა ქვეყნები, გაემართა დახშული გზებითა და ბილიკებით, გადალახა მთები [32, გვ. 178-179]. თუ ტერმინში დაიაენი მართლაც შეიძლება ამოვიცნოთ ისტორიული საქართველოს უმნიშვნელოვანესი ოლქი – ტაო, მაშინ სავარაუდებელია, რომ ასურეთის მეფე ლაშქრობდა ჩვენთვის საინტერესო გზებითა და გადასასვლელებით. ზემოთ მოტანილი ცნობის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თუნდაც გზები ყოფილიყო "დახშული", ხოლო ბილიკები "მიუვალი", მათი საკომუნიკაციოდ გამოყენება ძვ.წ. XII საუკუნიდან ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს.

თიგლათფილესერ I ზემო ზღვის მიმართულებით ლაშქრობისას, სხვადასხვა მსხვილ პოლიტიკურ გაერთიანებებთან ერთად, დაიაენის 23-მა მეფემ შეკრიბა ჯარი, ეტლები [17, გვ. 216] და დამპყრობელის შესახვედრად გაემართა. ბრძოლები მთების მწვერვალებსა და ქალაქებშიც მიმდინარეობდა. ამ კოალიციაში ნაირის ქვეყნების 60 მეფეც ჩაერთო. დამპყრობელმა ისინი შავ ზღვამდე შეავიწროვა [18, გვ. 30; 31, გვ. 169-174]. დაიანელების ჯარის ეტლებით გადაადგილება, ბრძოლების წარმოება მთის წვერებსა და მთის დასახლებებში, ბუნებრივია, სათანადო სამიმოსვლო გზების არსებობასაც გულისხმობდა. როგორც ჩანს, თავდამსხმელიცა და დამხვდურიც, არსებულ გზებზე ეტლებით გადაადგილდებოდნენ, ხოლო გაუვალ ადგილებში ბრინჯაოს წერაქვით იკვლევდნენ გზას [32, გვ. 178].

გზების კეთილმოწყობაზე ზრუნვა შემდეგში კიდევ უფრო უნდა გაძლიერებულიყო. განსაკუთრებით ურარტუელების მიერ ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური ჰეგემონიის მიღწევის პერიოდში. ამაზე უნდა მიუთითებდეს თუნდაც ის დიდი ლაშქრობები, რომელსაც ურარტუელი მეფეები – იშფუინი, მენუა, არგიშთი I, სარდურ II და სხვები, ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში აწარმოებდნენ დიაუხის (დაიაენი) მსხვილი პოლიტიკური გაერთიანების წინააღმდეგ.

რეგიონის სამიმოსვლო გზებზე შედარებით ნათლად გამოხატული ცნობები ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ჩნდება და უპირატესად დაცულია სტრაბონთან, პლინიუსთან და სხვა ანტიკური ხანის ავტორებთან. საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზების განვითარებასთან ერთად გაიზარდა სამხრეთ კავკასიის როლიც, რომელსაც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, არა მხოლოდ ჩრდილოეთისა და სამხრეთის, არამედ აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი როლიც დაეკისრა.

საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და დიდ გავლენას ახდენდა იმ ქვეყნების ეკონომიკურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ მდგომარეობაზე, რომლებიც ამ გზების ორბიტაში იყვნენ მოქცეულნი.

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ანტიკურ ხანაში გამავალ გზებზე ცნობები ბერძნულ წყაროებში ხშირად იჩენს თავს და ამ ცნობათა ანალიზის საფუძველზე აღნიშნული პრობლემის შესწავლას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. ჩვენ მხოლოდ ზოგადად შევჩერდებით მათზე.

უძველესი ცნობა სამხრეთ კავკასიაზე გამავალი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზის შესახებ სტრაბონთანაა შემონახული. მას დაწვრილებით აქვს აღწერილი ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი გზა [Strabo, II,1,15; IX,7,3]. აღნიშნული გზის შესახებ ინფორმაციას პლინიუსიც იძლევა [Plinius, VI,52]. ამ გზის შესწავლას არაერთი საყურადღებო გამოკვლევა მიეძღვნა [11, გვ. 377-384; 12; 13, გვ. 26-28]. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, გზის მოქმედება ადრეელინისტური ხანიდან იწყება, ხოლო „წინარეელინისტურ ხანაში ისახება სავაჭრო გზის ცალკეული მონაკვეთები" [11, გვ. 381-381, აქვე იხ. საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა]. ძვ.წ. V საუკუნიდან ამ გზის ფუნქციონირების შესაძლებლობას არ გამორიცხავს დ. ბრაუნდი [3, გვ. 8].

ასევე, მნიშვნელოვანია ლეონტი მროველის ცნობა ქართლში ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლასთან დაკავშირებით: „შემდგომად ამისა განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრა ყოველი ქვეყანა, და აღმოვიდა ქვეყანასა ქართლისასა და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერი შუა ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკვრისა, ოძრხე მოკიდებული კლდესა ღადოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვიან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა ... და რუსთავი, და დედაციხე სამშვილდე, და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანი, და კახეთისა ქალაქნი" [23, გვ. 17-18]. მემატიანე ქალაქების ჩამოთვლას სამხრეთიდან, მტკვრის ზემო წელიდან იწყებს და ქვეყნის შიდა რეგიონების ქალაქების ჩამოთვლაზე გადადის. ჩამოთვლილ ქალაქთა თანამიმდევრობა და მტკვრის ხეობაში მდებარეობა მათი დამაკავშირებელი გზების არსებობასაც ადასტურებს. უფრო მეტიც, მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ქალაქთა წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა მნიშვნელოვანი გზის არსებობა იყო, რომ ქალაქთა ნაწილი უკვე არსებულ სავაჭრო-სატრაზიტო გზებზე აღმოცენდა.

სტრაბონთან დაცული ცნობებიდან ყურადღებას კიდევ ერთი ეპიზოდი იქცევს. კერძოდ, არმენიის აღწერისას იგი აღნიშნავს – ხორზენა და კამბისენა – ყველაზე ჩრდილოეთითაა და დაფარულია თოვლით. ისინი მდებარეობენ კავკასიის მთებთან იბერიის და კოლხეთის საზღვარზე. როგორც ამბობენ, აქ მთის უღელტეხილებზე დიდთოვლობის დროს მთელი ქარავნები იღუპებიან თოვლში. ასეთი საფრთხის შემთხვევისათვის მოგზაურებს აქვთ გრძელი ჯოხები, რომელთაც დროდადრო თოვლის ქვეშიდან ამოყოფენ ზევით, რათა ჰაერი მიიღონ, ამასთან გამვლელებს აძლევდნენ ნიშანს იმისათვის, რომ მისულიყვნენ დასახმარებლად და ამოეთხარათ [Strabo, XI, XIV, 4]. ცნობა, როგორც ჩანს, ხორზენეს ეხება, რომელიც მეცნიერთა აზრით, მტკვრის სათავეებში მდებარეობდა. ამ გზით უნდა ესარგებლა მითრიდატე პონტოელსაც, რომელიც დამარცხების შემდეგ კოლხეთისაკენ მეფისწყაროს ან ზეკარის გადასასვლელით მიემართებოდა [5, გვ. 52].

ანატოლიიდან კოლხეთისა და იბერიისაკენ მომავალი საქარავნო გზის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება. საინტერესოა ლეონტი მროველის მონათხრობი აზო-ფარნავაზის ბრძოლის შესახებ. მცხეთიდან გაქცეული აზო კლარჯეთშია გამაგრებული. ძირითადი მოქმედებები სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს

ტერიტორიაზე მიმდინარეობს, რაც ამ რეგიონში კარგად განვითარებულ სამიმოსვლო გზების არსებობაზეც უნდა მიუთითებდეს. ასევე, ყურადღებას იქცევს "ქართლის ცხოვრება"-ში დაცული ის ცნობა, რომელიც ეგრისთან დამაკავშირებელი გზის არსებობაზე პირდაპირ მიგვითითებს: "და გარდამოვლეს გზა თაკუერისა, და მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრისათა" [23, გვ. 57].

სამხრეთ კავკასიაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების, სავაჭრო ცენტრების და გადამანაწილებელი პუნქტების შესახებ უმნიშვნელოვანესი წყაროა „Tabula Peutingeriana". ეს არის საგზაო რუკა, რომელიც ახ.წ. IV საუკუნის II ნახევარშია შედგენილი რომაელი გეოგრაფოსის კასტორიუსის მიერ და წარმოადგენს ამ ეპოქის მსოფლიოს რუკას. მასზე დატანილია საგზაო ბადე ბრიტანეთიდან ჩინეთამდე გეოგრაფიული პუნქტების და მათ შორის მანძილის აღნიშვნით.

კასტორიუსის რუკაზე სამხრეთ კავკასიაში ორი საგზაო მაგისტრალია (სურ. 1) დატანილი [10, გვ. 99-118]. ორივე მათგანის შეერთების ადგილად ანტიკური ხანის ქალაქი არტაშატია აღნიშნული. აქედან ერთი გზა მიემართება ჩრდილო-დასავლეთისაკენ. გზაზე შემდეგი პუნქტებია აღნიშნული: Artaxata (არტაშატი) – Strangira (აშტარაკი) – Condeso (კონდაქსაზი) – Misium (კულიჯანი) – Gaulita (კალინჯა) – Pagas (ფოკა) – Apulum (აბული) – Caspiae (ხოსპია) – Ad merkurium (ახალციხე) – Ad fontem felicem (როდოპოლისი-ვარციხე) – Sebastopolis (სოხუმი ნ. ლომოურის მიხედვით; ფასისი-ფოთი ი. მანანდიანის და ს. ერემიანის მიხედვით – [28; 29, გვ. 79-97]). აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პუნქტი კასპია, რომელსაც მკვლევარები დღევანდელ სოფელ ხოსპიასთან აიგივებენ. ეს პუნქტი ქალაქის მაჩვენებელი ნიშნითაა აღნიშნული. ამ ფაქტს ნ. ლომოური და ს. ერემიანი ხოსპიას ქ. წუნდასთან ახლოს მდებარეობით ხსნიან, თუმცა სხვანაირი ახსნაც შეიძლება, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

მკვლევართა აზრით გზა სამცხიდან დასავლეთ საქართველოში ზეკარის უღელტეხილით გადადიოდა. ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა, რომელიც ბიზანტიიდან შავი ზღვის სანაპიროს მიუყვებოდა და ტრაპეზუნტ-რიზე-ათინა-არქაბის-აფსაროს-ბათომ-ფასის (ფოთის) – ზიღანეოსის (სინკაბე) გზით სებასტობოლისს ადგებოდა. აქედან გზის ერთი ტოტი ჩრდილოეთით გრძელდებოდა, მეორე კი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა და ციხე-გოჯზე (არქეოპოლისზე) და ვარდციხეზე (როდოპოლისზე) გავლით გადიოდა ზეკარის უღელტეხილზე, საიდანაც სამცხეში ჩადიოდა. სამცხიდან იგი მტკვრის ზემო წელს აუყვებოდა ასპინძა-წუნდის მიმართულებით, უხვევდა ფარავნის ტბისკენ და აბოცით სამხრეთით გადადიოდა [10, გვ. 195]. სტრაბონის ცნობაზე დაყრდნობით მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ კოლხეთიდან ალბანეთის ხელმეორედ დასამორჩილებლად წამოსულმა პომპეუსმა სწორედ ამ გზით ისარგებლა - "წავიდა რა პომპეუსი აფსაროსის გასასვლელის და არმენიის გავლით ..." [4, გვ. 75; 5, გვ. 62]. თუ პომპეუსი აფსაროსის გასასვლელამდე იყო მისული, რომელიც მდ. ჭოროხის შესართავთან მდებარეობდა [4, გვ. 68-რუკა], მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ალბანელების დასამორჩილებლად წასული პომპეუსი აჭარისწყლის ხეობით გადადის სამცხე-ჯავახეთში და შემდეგ არმენიაში.

დიდი და მცირე კავკასიონის მთებში გამავალი ქართლ-კოლხეთის გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები ფუნქციონალური თვალსაზრისით დღესაც შემორჩა და ამ გადასასვლელებს, როგორც ამის შესახებ ეთნოგრაფიული ფაქტებიც მეტყველებს, ადგილობრივი მოსახლეობა სხვადასხვა მიზნით ეხლაც იყენებს. ამ გადასასვლელებს (რიკოთი, მამისონი, ნაკრა, ქლუხორი და სხვა) შორის ლიტერატურაში სახელდება გოდერძის, ზეკარისა და მეფისწყაროს გადასასვლელებიც [5, გვ. 8]. არაა გამორიცხული, რომ პომპეუსთან დამარცხების შემდეგ მითრიდატე ევპატორი, რომელიც „მთების გადაღმა კოლხეთში გაიქცა", იქ ზეკარის, ან მეფისწყაროს უღელტეხილებით გადასულიყო [4, გვ. 70; 5, გვ. 52], ხოლო ამის შემდეგ დიოსკურიაში ჩასასვლელად კასტორიუსის რუკაზე აღნიშნული გზით ესარგებლა. რეალურ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს ვარაუდი იმის შესახებ, რომ სტრაბონთან დასახელებული მთების გადაღმა მხარე კოლხეთის ის ნაწილია, სადაც სულორის წყალგამყოფი ქედიდან

დაშვებული ხეობა მდებარეობს [5, გვ. 52], სადაც, გზები ზეკარისა და მეფისწყაროს უღელტეხილებიდან გადმოდიოდა. ეს მოსაზრება ლოგიკურია იმ მხრივაც, რომ პონტო-რომის მესამე ომში დამარცხებული, პომპეუსისაგან დევნილი, და ტიგრანისაგან ზურგშექცეული მითრიდატე ევპატორი კოლხეთისაკენ ვერ გაემართებოდა ზღვის სანაპიროთი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იქ მას პომპეუსის ბრძანებით ჩასაფრებული სერვილიუსი ელოდებოდა სამხედრო საზღვაო ფლოტით [4, გვ. 66, 70; 5, გვ. 52], ე.ი. ყველა შემთხვევაში იგი მდინარე აფსაროსით, ანუ ჭოროხ–ოლთუთი უნდა წამოსულიყო და, სავსებით შესაძლებელია, აჭარისწყლის ხეობის ავლით გოდერძის, ან სხვა მეზობელი უღელტეხილით მტკვრის ხეობაში გადასულიყო. ცნობები მითრიდატეს ხოტენეში შეჭრის შესახებ (თუ ხოტენეს ადგილმდებარეობას ქვაბლიან-აჭარისწყლის ხეობებშიც არ ვიგულისხმებთ) ისევე, როგორც მითრიდატეს მიერ გავლილი მარშრუტი (ჭოროხი-ხოტენე-მტკვრის-ქვაბლიან-ფოცხოვის ხეობები...) ჩვენს მიერ შემოთავაზებული გზების თანმიმდევრობას ოდნავ ცვლის. უფრო სარწმუნოა, რომ ხოტენეში იგი ჭოროხის ზემო წელის სხვა რომელიმე ხეობით გაჭრილიყო, რადგან გზების დასახელებულ თანმიმდევრობაში მითრიდატე ჯერ მტკვრის, ხოლო შემდეგ ქვაბლიანის ხეობაში ჩანს. ქვაბლიანის ხეობა კი აჭარისწყალსა და მტკვარს შორისაა მოქცეული. მითრიდატე ჭოროხ-მტკვრის ხეობიდან ფოცხოვ-ქვაბლიანში სხვაგვარად ვერ მოხვდებოდა. ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია, რომ ხოტენეში შეჭრის შემდეგ მითრიდატეს ბრძოლით გაუკაფია გზა, შემდეგ დაყოლია მტკვრის ხეობას და აქედან გადაუნაცვლია ფოცხოვ-ქვაბლიან-ჭუბრაულის ხეობებში, რადგან, როგორც ცნობილია, მტკვართან იგი იბერებს შეტაკებია. ცნობილია, რომ მას ტიგრანთან საქმე გართულებული ჰქონდა და ამიტომაც გაემართა მეფისწყაროს გადასასვლელისაკენ, ან ზეკარის უღელტეხილისაკენ. როგორც ფიქრობენ, მითრიდატე ხანისწყალრიონის გზით მიადგა ვანს. ეს გზა, რომელიც მდ. სულორის წყალგამყოფ ქედამდე აღწევდა, ხეობაში გადადიოდა და კოლხეთის ველზე ეშვებოდა [5, გვ. 52]. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სამხრეთიდან მტკვარზე და ჯავახეთზე მიმავალი გზები, სადღაც აბასთუმან-ახალციხესთან იყრებოდა. თუმცა ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ, როგორც აღნიშნული გზის მონაკვეთი, ისე ტრაპეზუნტ-აფსაროსისა თუ ჭოროხ-აჭარისწყლის მაგისტრალები, დროის ყველა მონაკვეთში სპეციალური მომზადების გარეშე დიდი სამხედრო ლაშქრის გადაადგილების საშუალებას არ იძლეოდა. ამაზე მიუთითებს მითრიდატე ევპატორისა და ლუკულუსის ბრძოლებში ამ უკანასკნელის ის სამხედრო სტრატეგიაც, რომელსაც პლუტარქე საკმაოდ მკაფიოდ აღწერს: "მე აქ იმ მიზნით ვაყოვნებ, რომ ჩემმა მოწინააღმდეგემ კვლავ მოიკრიბოს ძალა და დიდ მხედრობას მოუყაროს თავი, რათა ადგილზევე დარჩეს და ჩვენი მიახლოებისთანავე არ გაიქცეს. ან თქვენ ვერ ხედავთ, რომ მის ზურგში გადაშლილია უზარმაზარი და უსაზღვრო უდაბნო. იქვე ახლოს არის კავკასიონი მრავალი მაღალი მთით, რომელთაც სულ ადვილად შეუძლიათ შეიფარონ და დაიცვან ბრძოლის ამრიდებელი ათობით მეფე" [პლუტარქე, ლუკულუსი, 14]. მხედართმთავრის ამგვარი ხედვა სავსებით ბუნებრივი იყო, რადგან მთებით შემოსაზღვრული კოლხეთი, სადაც ჩვენთვის საინტერესო გადასასვლელებია, მთიანი რელიეფისა (ქედები, ხეობები, სერები, კანიონები, ტაფობები, ბორცვ-გორაკები, გაუვალი ტყეები) და ლანდშაფტის რთულად მისადგომი საკომუნიკაციო კავშირების გამო, დიდი ლაშქრისა და სამხედრო ტვირთით აღჭურვილი მძევნელისათვის ძნელად გადასაადგილებელ გარემოს ქმნიდა, ხოლო მცირელაშქრიანი დევნილისათვის მოსახერხებელ თავდაცვით და სამხედრო-სტრატეგიულ საფარს წარმოადგენდა [5, გვ. 9,52]. სწორედ ასეთი სამხედრო ოპერაციები ხშირად სვამდა გზების მოწესრიგების აუცილებლობის საკითხს, რაც მაღალმთიანეთის პირობებში ფინანსურად და ფიზიკურად ძნელად გადასაჭრელ ამოცანას წარმოადგენდა.

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გამავალი გზების ცალკეული მონაკვეთის და განსაკუთრებით უღელტეხილების შესახებ ცნობები სხვა ბერძენ და რომაელ ავტორებთანაც გვხდება, მაგრამ ისინი ნაკლებად შეეხება ჩვენს საკვლევ რეგიონს, ამდენად მათზე არ შევჩერდებით.

ქართველური მოსახლეობის განსახლების ისტორიული ტერიტორიის ვრცელ მონაკვეთზე,

დიდ მდინარეთა აუზებში რამდენიმე ისეთი სტრატეგიული პუნქტი გამოიყოფა, რომლებიც აღმოსავლეთითა და დასავლეთით კვანძშემკრავ და გამნაწილებლის ფუნქციას ასრულებდა. ჩვეულებრივ, დიდ დასახლებულ პუნქტებში იკვრებოდა საქარავნო ცენტრალური მაგისტრალები და წარმოიქმნებოდა გზაჯვარედინები. ისტორიულ სამხრეთ საქართველოსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ამდაგვარი სტრატეგიული პუნქტებიდან შეიძლება დასახელდეს ტრაპიზონი, ბაიბურთი, სპერი, ოლთისი, არტანუჯი, არტაანი, კარი, ანისი, ახალციხე და სხვა მრავალი, ხოლო მდინარეებიდან – ჭოროხი და მტკვარი მათი შენაკადებით. სწორედ ამ დიდ მდინარეთა შორის არსებულ ტერიტორიაზე იქსელებოდა მნიშვნელოვანი მაგისტრალები. აღნიშნულ მაგისტრალთა დიდი ღირებულება, ხშირად, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, განაპირობებდა ახალი და მძლავრი დასახლებული პუნქტების ფორმირებას, გზაჯვარედინების ჩამოყალიბებას. პოლიტიკური კატაკლიზმები ამ პუნქტების გარკვეული ნაწილის გაქრობას იწვევდა. ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ხშირად ახალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების გაჩენას მოითხოვდა. დაინტერესებული ქვეყნებისა და მოხელეების მიერ ადგილზე კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა ახალი დაბებისა და ქალაქების გაჩენასაც უწყობდა ხელს.

ჭოროხის სათავეებიდან ევფრატისა და ტიგროსის მეშვეობით მაგისტრალები წინა აზიისა და აღმოსავლეთის უფრო შორეულ გზაჯვარედინებს აღწევდა, ხოლო არტაან-ჯავახეთსა და ახალციხესთან მტკვრის ხეობის მეშვეობით კასპიის ზღვის სტრატეგიულ დასახლებებსა და მდინარე არაქსის გასწვრივ არსებული მაგისტრალით ირანის ზეგანზე გადიოდა. რადგან გზაჯვარედინებზე გაჩენილ დასახლებებს უაღრესად დიდი სტრატეგიული და სავაჭრო დატვირთვა გააჩნდათ, ბუნებრივია, მათ სამხედრო და მსხვილი საერო მოხელეები განაგებდნენ. ჯერ კიდევ ურარტულ ხანაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ და სტრატეგიულ გზაჯვარედინზე მდებარე ქალაქ არტანუჯში (რომლის მაშინდელი სახელწოდება, ზოგიერთი ავტორის მიხედვით, ილდამუშა უნდა ყოფილიყო) მეფისნაცვალი იჯდა.

მოტანილი ცნობების მიხედვით აშკარაა, რომ სამცხე-ჯავახეთზე ბრინჯაო-რკინის ეპოქასა და, განსაკუთრებით, ანტიკურ ხანაში, მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზები გადიოდა. აქვე, გზასაყარებთან მდებარეობდა გადამანაწილებელი პუნქტები. ერთ-ერთი ასეთი პუნქტი უნდა ყოფილიყო ახალციხესთან, საიდანაც გზები მიემართებოდა შიდა ქართლისაკენ, კოლხეთის დაბლობსა და შავი ზღვის სანაპიროსაკენ (სურ. 1-2).

ამრიგად, წერილობითი წყაროების პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაცემებით, სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე ორი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზა უნდა გამოიყოს, რომლებიც ახალციხე-აბასთუმანში ერთმანეთს ხვდებოდა. ამ გზაჯვარედინიდან გზები მიემართებოდა შიდა ქართლ-მცხეთისაკენ, დასავლეთ საქართველოსაკენ ზეკარის, შავი ზღვის სანაპიროებისაკენ გოდერძისა და წყალსაქციელის უღელტეხილების გავლით.

ამჯერად, აღნიშნული სავაჭრო-სატრანზიტო გზებიდან მხოლოდ რამდენიმე განშტოებას შევეხებით. განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ აბასთუმანზე (ზადენი), გოდერძი-წყალსაქციელის გადასასვლელებზე და აჭარისწყალ-ჭოროხზე გამავალ გზებზე.

წყალსაქციელიდან და გოდერძის უღელტეხილებიდან შავი ზღვისაკენ გადამავალი გზები (სურ. 2) აჭარისწყლის ხეობის სათავეებთან, დიდაჭარის თემის მიდამოებში ერთ მაგისტრალად იკვრებოდა. აჭარისწყლის ხეობა ერთმანეთს აკავშირებდა შავი ზღვის, მტკვრისა და ჭოროხის ხეობების შენაკადი ხევების მოსახლეობას. მტკვრის ხეობიდან აჭარისწყალზე გამავალ უღელტეხილთა შორის კი ერთ-ერთი საუკეთესო გოდერძის უღელტეხილი იყო.

გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიებს უძველესი დროიდან, უკვე ნეოლითის ეპოქიდან, უნდა შეესრულებინა მდინარეთა აუზის მცხოვრებთა შორის ბუფერული ზონის როლი. გადასასვლელების მეშვეობით მოსახლეობას ინტენსიური კავშირი ჰქონდა ბარსა და მთასთან. მოგვიანებით, ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების დროიდან, აღნიშნული მაგისტრალით აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა უკავშირდებოდა შავ ზღვას, ხოლო შავიზღვისპირეთის დასახლებები აჭარისწყლის ხეობითა და გოდერძი-წყალსაქციელის უღელტეხილებით ქვაბლიანის ხეობის გავლით მტკვრის აუზს, შესაბამისად, ცენტრალურ პროვინციებსა და ცენტრალურ ადმინისტრაციას. ამდენად, ზემო ქართლის, სამცხე-აჭარის აღნიშნული საუღელტეხილო მონაკვეთები და მიმდებარე ტერიტორიები საშუალებას იძლეოდა "ქვაბლოვანი"-ს (როგორც მას ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს) და აჭარისწყლის ხეობათა მოსახლეობას მჭიდრო და ორგანული კავშირები ჰქონოდათ არა მხოლოდ შიდა ქართლთან და შავიზღვისპირა ბართან, არამედ სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა თემთან – შავშეთთან, კოლა-არტაანთან, ტაოსთან, კლარჯეთთან, ჯავახეთთან და სხვა.

აჭარისწყალი რამდენიმე მთავარ ხეობას წარმოქმნის. ესენია: დოხევი, ღორჯომი, ხულო, ჭვანა, სხალთა, მარეთი და მერისი, რომლებიც, თავის მხრივ, მცირე ხევებისაგან შედგებიან. ამ ხეობებითა და ხევებით აჭარისწყლის ხეობა დაკავშირებული იყო სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს თემებთან და შავიზღვისპირეთის დასახლებებთან. მაგალითად, ღორჯომი სათოვლიაწყალის უღელტეხილით მესხეთის არაერთ თემს, ხოლო ჩიდილას გადასასვლელით გურიას უკავშირდებოდა. ბოდიშის მთიდან ის მნიშვნელოვან გზად ითვლებოდა. ბოდიშის გზის ერთი ტოტი ჭვანის ხეობის სოფლების (ინწკირვეთი, ხაბელაშვილები) გავლით მთა პერანგას გადაჰკვეთდა, საიდანაც მგზავრი ხვდებოდა ხინოში, ქობულეთსა და ჩაქვში, ხოლო პერანგადან გზის ჩრდილოეთი ტოტი მთა სარბიელას გავლით გურიაში გადადიოდა. ამ გზის ერთი ტოტი ასკანის ციხეს ჩრდილოეთით გაუვლიდა და ყველაზე უკეთეს ტრასად ითვლებოდა [16, გვ. 12].

მოტანილი მონაცემებით მკაფიოდ ჩანს, რომ დიდ მაგისტრალთა სისტემაში აჭარისწყალი წარმოადგენდა ცენტრალური სატრანზიტო გზების შემაკავშირებელ მონაკვეთს. იმ ადგილიდან, სადაც მდინარე აჭარისწყალი ჭოროხს უერთდება: ერთი გზა ჭოროხის ზემო წელისაკენ მიუყვებოდა და დასახლებულ პუნქტებში სხვადასხვა მიმართულებით იტოტებოდა, ხვდებოდა ტიგროსისა და ევფრატის სათავეებთან და შემდეგში ახალ შინაარს იძენდა, მეორე გზა ქვემოთ, ბარის მიმართულებით შავი ზღვისკენ გადიოდა, ხოლო მესამე გზა აჭარისწყალს ზემოთ მიუყვებოდა, ხულო – ახალციხის მაგისტრალზე, აჭარისწყლის სათავეებთან დიდაჭარას გაივლიდა, შემდეგ დიდაჭარიდან გამავალ გზაზე არც თუ ისე შორს იკვანძებოდა და ორი მიმართულებით – გოდერძის უღელტეხილისა და წყალსაქციელის გადასასვლელისაკენ მიემართებოდა. ეს საკვანძო ადგილი მდებარეობდა იმ მიდამოებში, სადაც აჭარისწყლის სათავეებიდან ნაჟური ღელე-ნაკადულთა ნაკრები თავქვე მიედინება. აქ ხულო – დიდაჭარიდან გამომავალი გზა ორად იტოტებოდა: ზემო გზა ღორჯომ – ვანაძეებისაკენ, ხოლო ქვემო – ბოღაურ-ირემაძეების მიმართულებით საციხურისაკენ მიემართებოდა. ორივე ეს გზა სოფელ აგარაში იკვრებოდა. ღორჯომიდან ერთი გზა წყალსაქციელის გადასასვლელით ქვაბლიან – ახალციხისაკენ გადადიოდა, ხოლო მეორე, სოფელ აგარიდან მთა კუნჭულეთის და ნაკაფის ნამოსახლარების გავლით, ასევე ქვაბლიანში ჩადიოდა და მტკვრის აუზისაკენ მიემართებოდა. საკუთრივ გოდერძის უღელტეხილისაკენ მიმართული ცენტრალური მაგისტრალი დიდაჭარას ქვემოდან, სამხრეთიდან უკვეთდა გვერდს, ადიოდა რიყეთსა და დანისპარაულში და გადადიოდა გოდერძის უღელტეხილზე. გოდერძის უღელტეხილით კი, რომელიც სამხრეთ საქართველოს გზათა სისტემაში მნიშვნელოვან საკვანძო გზასაყარს წარმოადგენდა, მგზავრი მოხვდებოდა არა მარტო ახალციხეში, არამედ ფოცხოვსა და არდაგანში. ამ უღელტეხილით თხილვანაზე გავლით გზა ხიხაძირსა და სხალთისწყლის ხეობებშიც შედიოდა და უკავშირდებოდა ჩირუხის წყალს, გაივლიდა მარეთის ხეობის სოფლებსაც – ტომაშეთს, კალოთას, დარჩიძეებს, ასევე, მახალაკიძეებს, ოლადაურს, მაწყვალთას, გოგინაურს, შიშინაურს, კვიახიძეებსა და სხვა. შემდეგ, ალპური გადასასვლელებით კი შავშეთს. ქვაბლიანის ხეობიდან ბეშუმის გზა მარტო გოდერძის უღელტეხილზე და, აქედან, დანისპარაულ – დიდაჭარა – ხულო – აჭარისწყალზე კი არ გადადიოდა, არამედ აქლეშისყელის გადასასვლელითაც, სოფლების დიდი და პატარა თეთროსნის გავლით თხილვანაში შედიოდა და ხიხაძირ – სხალთისწყლით აჭარისწყლის ხეობაში ჩადიოდა.

აღნიშნული უღელტეხილებით, ერთი მხრივ, მგზავრი ჭოროხის, ხოლო, მეორე მხრივ, მტკვრის

ხეობებში მოხვდებოდა. მოცემული გზებით I საუკუნეში იმოგზაურა ანდრია პირველწოდებულმა. აქ მითითებული გადასასვლელებიდან მოციქულს ერთ-ერთით უნდა ესარგებლა, კერძოდ ოძრხეში იგი გოდერძის, ან წყალსაქციელის უღელტეხილით უნდა მოხვედრილიყო. ჯერ კიდევ ნ. ბერძენიშვილი წერდა: ძველი მოწმობანი აჭარა-სამცხეს შორის ამ გზით მიმოსვლის შესახებ ჩვენ თითქმის არ გაგვაჩნია, თუ არ დავუშვებთ, რომ ანდრია მოციქული დიდაჭარიდან სამცხეში რკინის ჯვარ-ოძრხეს გზით კი არა, არამედ გოდერძქვაბლიანით შეიძლებოდა მხოლოდ გადასულიყო [2, გვ. 88].

"ქართლის ცხოვრება"-ში ვკითხულობთ: ანდრია მოვიდა "ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა, სადა-იგი დაჰყო ჟამი მცირედი, ... განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების, ... ხოლო იგი წარმოემართა და გარდამოვლო მთა, რომელსა რკინის-ჯუარი, და თქმულ არს, ვითარმედ ჯუარი იგი **თვ(ი)თ** ნეტარისა ანდრიას მიერ აღმართულ არს. ხოლო ვითარცა შთავლო ხევი ოძრახისა და მოვიდა საზღუართა სამცხისათა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ-გორა ... ხოლო წმიდა მოციქული წარმოემართა და მოიწია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი, და პირისპირ საქრისი ..." [23, გვ. 39]. ნ. ბერძენიშვილსაც რკინისჯვარი არტაან-წყაროსთავ-ოკამ-კუმურდო-წუნდაზე და ხერთვისახალციხისაკენ გამავალ გზაზე ეგულებოდა, საიდანაც, კერძოდ, ოძრხე-რკინისჯვარით ერთი გზა კოლხეთისაკენ გადადიოდა, ხოლო მეორე აწყურზე გავლით შიდა ქართლისაკენ მიემართებოდა [1, გვ. 128]. ანდრია მოციქული შავი ზღვის სანაპიროდან აჭარისწყლის ავლით გაემართა დიდაჭარასა და ზადენ-გორისაკენ. ანდრია მოციქულს ჯერ უნდა გაევლო წყალსაქციელი, ან გოდერძის უღელტეხილი, რომ მოხვედრილიყო ზეკარში, და შესაბამისად ზადენ-გორაში.

ამიტომ, თითქოს ამან უნდა გვაფიქრებინოს, რომ შესაძლოა რკინის ჯვარი ზეკარი კი არ იყო, არამედ წყალსაქციელი, ან გოდერძის უღელტეხილი. მართლაც, არაა გამორიცხული ანდრია მოციქულს წყალსაქციელის პარალელური უღელტეხილით – გოდერძის გადასასვლელით ესარგებლა და მას სწორედ იქ აღემართა რკინის ჯვარი, მაგრამ ზოგიერთი წყარო ამ ფაქტს საეჭვოს ხდის. როდესაც თამარ მეფის ქმარყოფილი გიორგი რუსი ქართველმა დიდებულებმა ექსორიობიდან მოიყვანეს, ავჯანყებულები გეგუთში შეიკრიბნენ და გიორგი რუსის მეფედ გამოცხადების შემდეგ თბილისში მყოფ თამარისა და დავითის წინააღმდეგ წამოვიდნენ. ავჯანყებულთა ნაწილი თბილისისაკენ ლიხის მთით დაიძრა, ხოლო ნაწილს, დადიანის წინამძღოლობით, რკინის-ჯუარი გადაუვლია, ჩასულა ციხისჯუარს და დაუწვია ქალაქი ოძრხე. იქვე შეყრილან ბოცო და მესხნი [1, გვ. 311]. აქედან ჩანს, რომ ავჯანყებულები ოძრხეში რკინის ჯვრის გადასასვლელით გადავიდნენ. ამდენად, რკინის ჯვარი ზეკარი, ან წყალსაქციელი უფრო იყო ვიდრე გოდერძის უღელტეხილი. ეს იმას არ გულისხმობს, რომ გოდერძის უღელტეხილს ნაკლები დატვირთვა ჰქონდა, ან ნაკლებ კეთილმოწყობილი იყო.

გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიის ტყიან მასივში, ბეშუმის ძველი ნამოსახლარების დაზვერვების დროს, ჩვენ დავაფიქსირეთ მოკირწყლული ძველი საქარავნოსაურმე გზის დიდი მონაკვეთი. ტყეში წარმოდგენილია ძველ ნამოსახლართა არაერთი კომპლექსი, რომლებიც ღელე-მდინარეთა მახლობლად არსებულ ტერასებსა და ფერდობებზეა გაშენებული [15, გვ. 166-180]. თითოეული დასახლება უმეტესად ქვის მონოლითებისაგან ნაგებ ერთი, ან რამდენიმე საცხოვრებლის ჯგუფს წარმოადგენს, რომლებიც, ხშირად, ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ საქარავნო გზაზე მდებარეობენ, ან ცენტრალური საქარავნო გზიდან გამომავალ სპეციალურად მოკირწყლული გზებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს.

შესაძლებელია, სამცხიდან გოდერძის უღელტეხილზე გამავალ ამ სატრანზიტო გზაზეა საუბარი IX-X საუკუნეების ბასილ ზარზმელის თხზულებაში – "სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", სადაც უნდა იგულისხმებოდეს ზარზმიდან "ხევი გოდერძისა" და სოფელ გოდერძის გავლით ბეშუმის დაბურულ და წიწვოვან ტყეში გოდერძის უღელტეხილისაკენ მიმართული გზა. თხზულებაში ნათქვამია: "რამეთუ აღვჰყავით პირსა რასმე ღრმასა და უღაღსა, რომელსა გოდერძისა ეწოდების ... ფრიად ძალით შევედით მას შინა, ვინაცა სიხშირისა მისგან მყოვარ ჟამ ველარა ვიხილეთ ცაი, ანუ მზისა შარავანდედი". მართლაც, დღესაც ბეშუმიდან, ნასოფლარ გოდერძისაკენ და ზარზმისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე წიწვოვანი ტყე იმდენად დაბურულია, რომ მასში მზის სხივები ძნელად თუ აღწევს და ცა თითქმის არ ჩანს.

ამრიგად, ნივთიერი მტკიცებულებები მოწმობს, რომ ოძრხე-დიდაჭარას შორის მდებარე უღელტეხილები და აღნიშნული დაბა-ქალაქების დამაკავშირებელი გზები შედარებით უკეთ იყო მოწყობილი. ამ საუღელტეხილო გზებით სარგებლობდნენ შუა საუკუნეებშიც.

შავი ზღვის სანაპიროსაკენ, როგორც აღინიშნა, გზა აჭარისწყალ-ჭოროხის ხეობაზე გადიოდა (სურ. 1-2).

ახალციხე–აჭარისწყალ–შავი ზღვის საგზაო მაგისტრალის გარდა აჭარისწყლიდან სამხრეთით კიდევ რამდენიმე გზა გადადიოდა. ერთ-ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი არდაგანზე გამავალი გზები უნდა ყოფილიყო. არდაგანიდან გამომავალი გზები რამდენიმე მიმართულებით იტოტებოდა. ერთი ახალციხისაკენ მიემართებოდა: არდაგანი–ორთახანაკი–დამალი–ორმანექი და ჯაკისძნი–წყალთბილა–წინუბანი–სუფლისი–ახალციხე. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ერთი მხრივ, აჭარისწყლის მიმართულებით (არდაგანი–ორთახა–ფოცხოვი–თხინვალა–კვაშტა–წაბლანა–ფურტიო ...) ხულოს დასავლეთით აჭარისწყლის პირას მდებარე ქედლებიდან შავი ზღვისკენ (ქედლები–დანდალო–ცხმორისი–მახუნცეთი–კობე–ერგე), საიდანაც გზის ერთი შტო კვლავ არდაგანში გადადიოდა, ხოლო მეორე შტო ბათუმისკენ და, შესაბამისად, თხილნარ–გონიო–ხოფა– ტრაპიზონისაკენ იტოტებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, მტკვრის ხეობისაკენ: არდაგანი–ორთახანაკი–ფოცხოვი–თხილვანა–კვაშტა–წაბლანა–ხულო–დიდაჭარა, ზარზმა, ახალციხე. სოფელ თხილვანას დასახელებულ გზაშემკრავ ფუნქციაზე მიანიშნებს არდაგანზე, ორთახანაკზე და ფოცხოვზე მიმავალი გზაც, რომელიც თხილვანას გავლით მიემართება ოვადჯიქში, წყალთბილაში, წინუბანში, სუფლისსა და ახალციხეში. ასეთივე მნიშვნელობის იყო თხილვანაზე გამავალი არდაგან–ადიგენის (არდაგანი–ორთახანაკი–ფოცხოვი–თხილვანა–ხონა–ორჭოსანი–უდე–ადიგენი) გზა.

როგორც ვხედავთ, სამხრეთ საქართველოს სამიმოსვლო გზებში თხილვანას უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილმდებარეობა ეჭირა, რომლითაც არდაგან–ფოცხოვი და, შესაბამისად, სამხრეთ საქართველოს რეგიონები, წყალსაქციელისა და გოდერძის გადასასვლელებით უკავშირდებოდა მტკვრის ხეობას, ხოლო ხიხაძირ – სხალთისწყლის და მარეთის ხეობებით მდინარე აჭარისწყალს, ჭოროხის ქვემო წელის დასახლებებსა და, ბუნებრივია, შავ ზღვას. თხილვანასთან ახლოს მდებარე სოფელ ბაკოზე, ასევე, გადიოდა ახალციხიდან და არდაგანიდან ბათუმში მიმავალი საქარავნო გზები. ეს გზები ხირხათის მთას გვერდს უვლიდა: პირველი ჩრდილოეთიდან, მეორე – სამხრეთიდან. კონკრეტულად არდაგანიდან თხილვანას გავლით გოდერძის გადასასვლელისაკენ გზა შემდეგნაირად მიემართებოდა: არდაგანი–ორთახანაკი–ფოცხოვი –თხილვანა–დანისპარაული, სადაც იგი უერთდებოდა ერთ-ერთ ცენტრალურ მაგისტრალს. გზის მეორე განშტოება დანისპარაულიდან გოდერძის უღელტეხილით მიდიოდა უტყისუბანში, მლაშე–ადიგენსა და ახალციხეში. თუ ახალციხისაკენ თხილვანიდან გზა გოდერძისა (2017 მ) და წყალსაქციელის გადასასვლელებზე გადადიოდა, არდაგანის მიმართულებით საუღელტეხილო ფუნქციას პრასანაულისა (2635 მ) და კანლი დაღის (2987 მ) გადასასვლელები ასრულებდა.

ცენტრალურ მაგისტრალებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შიდა საგზაო სისტემის განვითარებისათვის. საცალფეხო, საჩალავდრო და საურმე გზები არა მხოლოდ თემისა და ხეობათა სოფლების დამაკავშირებელი არტერიები იყო, არამედ ხელს უწყობდა ამ დასახლებათა დიდ სამიმოსვლო გზებზე მიმდინარე სავაჭრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართვას. მაგალითად, ისტორიულ სამხრეთ საქართველოში ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ მდინარე აჭარისწყალი, ხულო – შუახევ – ქედის მაგისტრალზე მდებარე ქედლები, მიმართული წაბლანა – თხილვანისაკენ, რომელიც გადადიოდა ოვაჯიკში (დღევანდელი თურქეთი), ორთაშენსა და უდე – ადიგენში. ასევე, შიდა გზებიდან ზემო აჭარაში აღსანიშნავია: წაბლანა – თხილვანას გზა ხიხაძირის ხეობაში, რომელიც ფოცხოვის

ზეობაში ჩადიოდა, უკავშირდებოდა არდაგანს და, შესაბამისად, შიდა სამიმოსვლო გზებით ისტორიული სამხრეთ საქართველოს კუთხეებს. საერთოდ, აჭარისწყლის ზეობაში მრავალი გადასასვლელი და შიდა სამიმოსვლო გზა არსებობდა, რომლებითაც მდინარე აჭარისწყლის და მის შენაკად ღელე-მდინარეთა ტერასებზე მდებარე მთის სოფლები, ერთი მხრივ, უკავშირდებოდნენ შავიზღვისპირა დასახლებებს, ფიჭვნარ – ქობულეთს, ციხისძირს, პეტრას ციხე-ქალაქის ირგვლივ არსებულ სამოსახლოებს, ყოროლისწყლის, ჩაქვისწყლისა და კინტრიშის ზეობებს, მათ შორის, კინტრიშის ზეობის ზემო წელს – ხინოს ხევს, ხოლო მეორე მხრივ, როგორც აღინიშნა, ისტორიული სამხრეთ საქართველოს – შავშეთ-იმერხევის, ტაოსა და კლარჯეთის მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ და სტრატეგიულ პუნქტებს. ამ ზეობებიდან შეიძლება გამოვარჩიოთ მარეთის ზეობა, საიდანაც გზა მთა მაჭარულათი ისტორიულ სამხრეთ საქართველოში გადიოდა (სხვათაშორის, ამ გზაზეც არსებობდა ადგილი რკინის ჯვარი).

საერთოდ, შიდა გზებიდან უნდა აღინიშნოს: ქედლები–წაბლანა–თხინვალა–ოვაჯიკი (დღევანდელი სოფ. თურქეთში)–ორთაშენი–უდე –ადიგენი.

სამცხიდან აჭარისწყლის ზეობაში მხოლოდ ორი – გოდერძისა და წყალსაქციელის გადასასვლელებით შეიძლება მოხვედრა. წყალსაქციელზე მიმავალ გზას მოგვიანებით მესხიგზაც ეწოდა. რაც შეეხება გოდერძის უღელტეხილს იგი მნიშვნელოვან გზასაყარს წარმოადგენდა. აქედან არა მხოლოდ აჭარისწყლის ზეობის სათავეებში შეიძლება მოხვედრა, არამედ ფოცხოვის და სხალთისწყლის ზეობებშიც. შეიძლება ითქვას, რომ სხალთისწყლის ზეობაზე სავაჭრო-სატრანზიტო გზის ერთ-ერთი განშტოება გადიოდა, საიდანაც ქვაბლიანის ზეობაშიც შეიძლებოდა მოხვედრა და არდაგანის მხარეშიც.

ძვ.წ. IV-III საუკუნეებში მტკვრის სათავეები და ჭოროხის აუზის დიდი ნაწილი ქართლის სამეფოში იყო მოქცეული, უფრო ზუსტად, მტკვრის მთელი აუზი ალვანეთის საზღვრამდე და ჭოროხის აუზიც ქართლის სამეფოში შედიოდა და სახელმწიფო საზღვარი სამხრეთ-დასავლეთით ჭოროხ – მტკვრისა, ერთი მხრივ, და ევფრატ – არაქსის, მეორე მხრივ, წყალგამყოფზე გადადიოდა [20, გვ. 55-56]. აქედან გამომდინარე, ასე ფართო ტერიტორიაზე ჩვენთვის საინტერესო რეგიონი – სამხრეთ საქართველო გაიაზრებოდა საერთო ეთნოსოციალურ და ეთნოპოლიტიკურ სივრცეში და, ბუნებრივია, აღნიშნული სამიმოსვლო გზებიც, ხიდებით, ქარვასლებითა და სასტუმროებით, სწორედ ერთიანი ეთნოსოციალური და ეთნოპოლიტიკური ორგანიზმის ფარგლებში ატარებდა სავაჭრო-საკომუნიკაციო ფუნქციებს და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან დაცული იყო ციხე-სიმაგრეებითა და სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობებით.

საერთოდ, მატერიალური კულტურის ძეგლები, ნივთიერი ღირებულებები კარგად მიუთითებს საგზაო სისტემებისადმი ისტორიულ-ქრონოლოგიურ სიბრტყეზე დიფერენცირებული მიდგომის საჭიროებას. არქეოლოგიური ძეგლები დაწყებული ნეოლითიდან (სურ. 2) დამთავრებული შუა საუკუნეებით, გამოვლენილია მრავალ პუნქტში. ეს პუნქტები ძირითადად თავმოყრილი იყო ისეთ სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალებზე, სადაც მდებარეობდა ბუნებრივი რესურსები და საბადოები. ასევე, დასახლებული პუნქტები ისეთ ადგილებში ჩნდებოდა, სადაც შესაბამისი სამეურნეო ნედლეული არსებობდა. ნეოლითში კაჟი, ობსიდიანი (ქობულეთის ნეოლითურ ნამოსახლარზე აღმოჩენილი ნაკეთობანი ჭიქიანის საბადოდან შემოტანილი ობსიდიანისაგანაა დამზადებული), შემდგომში კი მეტალურგიული კერების (სპილენძი, ბრინჯაო, რკინა) არსებობა ხშირად განსაზღვრავდა დასახლების ადგილს.

წარმოდგენილ რუკებზე (სურ. 1-2, რუკა შედგენილია ა. კახიძის და შ. მამულაძის გამოკვლევების მიხედვით) დატანილია აჭარისწყლის ზეობაში არსებული სავაჭრო-სატრანზიტო გზების ქსელი და ამ ქსელებზე არსებული დასახლებული ადგილები არქეოლოგიური პერიოდების მიხედვით.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ აჭარისწყლის ზეობაზე გზის ჩანასახი უკვე ნეოლითის ხანიდან შეინიშნება. მისი სავაჭრო-სატრანზიტო გზად ჩამოყალიბება ბრინჯაოს ხანიდან იწყება, რაც ბრინჯაოს და რკინის მეტალურგიის განვითარებასთანაა დაკავშირებული.

შუაალპურ ეპოქაში აჭარა-თრიალეთის ზონაში რკინა წარმოიშვა, ახალალპურ პერიოდში პორფირული სპილენძ-ოქრო-თუთია-ვერცხლის საბადოები. ჭოროხის აუზის მეტალურგიული კერა მომძლავრებას იწყებს ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში [25, გვ. 236; 26, გვ. 198]. ეს იმ ეპოქის წინაპერიოდია, როცა ასურეთი ებრძვის სამხრეთ ტრანსკავკასიაში განსახლებულ, მათ შორის ჭოროხის ზეობაში მცხოვრებ ტომებს. სხვა სიმდიდრესთან ერთად ასურელებსა და ურარტულებს აქ ის საბადოებიც ეგულებოდათ, რაზეც ლურსმული წერილობითი წყაროებიც მეტყველებს. მაგალითად, არგიშთი I, როცა მან დაიპყრო დიაოხი, მეფე შეიწყალა ხარკის გადახდის პირობით. მეფეს არგიშთისათვის ოქრო-ვერცხლის, საჯდომი ცხენის, მსხვილფეხა საქონლის გარდა უნდა მიეცა 10.000 მინა სპილენძი (დაახლოებით 5 ტ). საიდან აძლევდა დიაუხის მეფე ხარკში ამდენ სპილენძს? როგორც ჩანს დამპყრობლებმა იცოდნენ, რომ დიაუხელებს გააჩნდათ შესაბამისი საბადოები. რა თმა უნდა, ეს საბადოებიც იზიდავდა გარეშე მტერს და დაიაენი-დიაუხის მეფეები ზრუნავდნენ რა მათ დამუშავებასა და უსაფრთხოებაზე, ალბათ, უზრუნველყოფდნენ საბადოებთან დაკავშირებული დასახლებული პუნქტების დაცვასაც, რაც "ციკლოპური" სიმაგრეების აგებით გამოიხატებოდა [21, გვ. 29-31; 24, გვ. 35-36, 123-124; 33, გვ. 63-65; 34, გვ. 5-34].

ცნობილია, რომ ჭოროხის აუზი მდიდარი იყო ადგილობრივი ნედლეულით, წიაღისეული ლითონის მადნებით. მურღულის ზეობაში, ისე, როგორც ჭოროხის შენაკად სხვა ზეობებში არსებობდა მძლავრი წარმოების ცენტრები – ართვინი, ძანსული, გიუმიშხანე, ხოდი, კვარცხანი, ციხისძირი, ჩაქვი, სალიბაური, ზენითი, მახინჯაური, ერგე, ჯოჭო, დიდაჭარა ... (დაწვრ. იხ.: 8; 9, გვ. 158-159; 22, გვ. 140-41). ყურადღებას იქცევს აჭარაში მდებარე მერისის პატარა საბადოც.

ჭოროხის აუზიდან, სადაც სპილენძის საბადოები [35, გვ. 80-81] და ძველი სამთამადნო მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთი ძირითადი კერა იყო განლაგებული, ვრცელდებოდა ლითონის ნაწარმი – თოხები, ცულები, წალდები, ქვის ჩაქუჩები და სხვა [30, გვ. 156], რაც თავისთავად გამართული სამიმოსვლო გზების არსებობასაც გულისხმობდა.

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ აჭარისწყლის ზეობაზე გამავალი გზა უძველესი დროიდან იყო ჩართული საერთშორისო სავაჭრო-საქარავნო გზების სისტემაში.

ლიტერატურა:

1. **ბერძენიშვილი ნ.** საქართველოს ისტორიის საკითხავი წიგნი, I (ისტორიული გეოგრაფია). თბ., 1964.
2. **ბერძენიშვილი ნ.** გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბ., 1966.
3. **ბრაუნდი დ.** ინდოელი ვაჭრები ფასისში, ვანის IX სიმპოზიუმი. თბ., 1999, გვ. 7-8.
4. **გამყრელიძე გ.** ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი. თბ., 1993.
5. **გამყრელიძე გ.** კოლხოლოგიური ძიებანი. თბ., 2001.
6. **ვარშანიძე შ.** გზები და საგზაო ნაგებობანი ძველ აჭარაში, ბათუმი, 1979.
7. **კახიძე ა., მამულაძე შ.** აჭარისწყლის ზეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.
8. **კახიძე ა.** სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში და მოსახლეობის საწარმოო და საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XIV, თბ., 1987.
9. **კახიძე ა.** ხელოსნობასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. - საისტორიო მაცნე (შრომების კრებული), XI, ბათუმი, 2002.
10. **ლომოური ნ.** ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. - ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინტიტუტის შრომები, IV, 1, 1958.
11. **ლორთქიფანიძე ოთ.** ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ. საქ. მეც. აკად. მოამბე, ტ. XIX, №3, 1957. გვ. 377-384.
12. **ლორთქიფანიძე ოთ.** ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია) თბ., 1968.

13. ლორთქიფანიძე ოთ. ვაჭრობა შავ ზღვაზე - „აბრეშუმის გზის“ ისტორიული წინამძღვრები. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1999, გვ. 26-28.

14. მამულაძე შ. აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების ძეგლები, ბათუმი, 1993.

15. მგელაძე ნ., ნარიმანიშვილი გ. გოდერძის უღელტეხილის ნამოსახლარები. - ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა, თსუ მესხეთის ფილიალი. ახალციხე 2002, გვ. 166-180.

16. მგელაძე ვლ. ზემო აჭარული სოფელი ძველად. ბათუმი, 1973.

17. მელიქიშვილი გ. უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე. - მიმომხილველი II. თბ., 1951, გვ. 203-230.

18. მელიქიშვილი გ. შავი ზღვა ძვ. წ. XIII-XII სს-ის ასურულ ლურსმულ წარწერებში. - კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966. გვ. 26-33.

19. მელიქიშვილი გ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 376-377, 358-391. შდრ. ავტორის სტატიებს, რომლებიც თავმოყრილია კრებულში: ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999.

20. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977.

21. ნარიმანიშვილი გ., შანშაშვილი ნ. თრიალეთის „ციკლოპური“ ნამოსახლარები ახალი არქეოლოგიური არმოჩენების შუქზე. - კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები, საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1997, გვ. 29-31.

22. სიორიძე მ. სამთო-მეტალურგიული მრეწველობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და უცხოური კაპიტალი (1878-1921 წწ.). - აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, VIII, ბათუმი, 1987.

23. ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955.

24. შანშაშვილი ნ., ნარიმანიშვილი გ. “ციკლოპური“ ნამოსახლარების გათხრები წალკის რაიონში. - კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია I. თბ., 1998, გვ. 35-36, 123-124.

25. ჯაფარიძე ო. შუა ბრინჯაოს ხანა საქართველოში. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I. თბ., 1970.

26. ჯაფარიძე ო. საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბ. 2003.

27. Бадалян Р. Обсидиан Южного Кавказа: эксплуатация источников и распространение сыря. - ძიებანი, დამატებანი VI. კავკასია: ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, თბ., 2001, გვ. 29-39.

28. Манандян Я. А. О торговле и городах Армении, Ер., 1936.

29. Еремян С.Т. Торговые пути Закавказья в эпоху сасанидов.-ВДИ, 1 (6), 1939.

30. Иессен А.А. К вопросу о древнейшей металургии меди на Кавказе. Известия ГАИМК, вып. 120, М-Л, 1935.

31. Меликишвили Г. Наири-Урарту. Тб. 1954.

32. Меликишвили Г. К истории древней Грузии, Тб., 1959.

33. Нариманишвили Г., Шаншашвили Н. Проблемы генезиса государства на Южном Кавказе в свете новейших археологических открытии в Цалка-Триалети. - Сб.: Археология и Этнология Кавказа. Баку, 2000, стр. 63-65.

34. Narimanischvili G., Schanschaschvili N. Zu den “Ziklopischen” Siedlungen in Trialeti. - Georgica, Zeitschrift fur Kultur, Sprache und Geschichte Georgien und Kaukasienb, 24, Konstanz, 2001, S. 5-34.

35. Twaltschrelidze A. Erzlagerstätten in Georgien. - Georgien, Schätze aus dem Land des Goldenen Vlies. Bochum 2001. S. 78-89.

ნოდარ ფოფორაძე, ნინო კალანდაძე

ვანში აღმოჩენილ ვერცხლის ნაკეთობათა ქიმიური შედგენილობა

ვანის ნაქალაქარმა, ანტიკური ხანის საქართველოს ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა ძეგლმა, მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა შემოგვინახა თიხისა და ლითონის ჭურჭლის, სამეურნეო და საბრძოლო იარაღის, ოქროსა და ვერცხლის სამკაულის, ბრინჯაოს ქანდაკებებისა თუ არქიტექტურული კომპლექსების სახით [3; 4, გვ. 44-45].

მოგეხსენებათ, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე და, მათ შორის, კოლხეთზეც გადიოდა სავაჭრო–სატრანზიტო გზა, რომელიც დასავლეთს აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ეს გზა ინდოეთიდან კასპიის ზღვამდე მიემართებოდა, ხოლო შემდეგ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის გავლით (მდ. მტკვარი, სურამის უღელტეხილი, რიონი) აღწევდა შავი ზღვის სანაპიროებს ქალაქ ფასისთან და მერე უკვე საზღვაო გზით შავიზღვისპირეთისა და მცირე აზიის ქალაქებს უკავშირდებოდა [2].

სწორედ ამ გარემოებების გამო, ძალზე საინტერესო და, ამავდროულად, ხშირად რთულიც არის მსჯელობა ამა თუ იმ ნივთის წარმომავლობისა და კონკრეტულ რეგიონისადმი მიკუთვნების შესახებ.

კოლხეთის ოქროთი სიმდიდრეზე საუბრობენ ბერძენი და რომაელი ავტორები. ვანის არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობებს კოლხეთში ოქროს სიმრავლის შესახებ რეალური საფუძველი ჰქონდა.

2003-2004 წლის უახლესმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ნათელყვეს, რომ ვანი არა მხოლოდ ოქროს, არამედ ვერცხლის სიმრავლითაც იყო გამორჩეული. ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ დიდი ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი აღნიშნავდა, რომ „ამ ქვეყნის სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის არგონავტთა ლაშქრობის საბაბს“ [5, გვ.70-71].

სასაქონლო წარმოების პირობებში ოქროსთან ერთად სწორედ ვერცხლი ასრულებდა საყოველთაო ეკვივალენტის ფუნქციას, რასაც ხელი შეუწყო ვერცხლის თვისებებმა, ერთგვაროვნებამ და დამუშავების სიადვილემ [1, გვ. 65]

უძველესი ვერცხლის ქიმიური შედგენილობისა და ტექნოლოგიის შესწავლით მოპოვებულ ინფორმაციას, არქეოლოგიურ გამოკვლევებთან ერთად, შეუძლია გარკვეული როლი შეასრულოს აღმოჩენილი ვერცხლის ნიმუშების წარმომავლობის საკითხში.

ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ი.მ.დ. დ. კაჭარავა) 2003 წელს ზედა ტერასაზე, ე.წ. სამჭედლოს მონაკვეთზე, თიხში ნაკეთი კომპლექსის შესწავლისას ძვ.წ. IV საუკუნის შუა ხანების 300-ზე მეტი ოქროს ნივთის შემცველი სამარხი აღმოაჩინა. გარდა ოქროს ნივთებისა, სამარხში მრავლად იყო ვერცხლის, რკინის, ბრინჯაოს სამკაულები და სხვა დანიშნულების ნივთები. ამავე სამარხშია აღმოჩენილი ვერცხლის დეფორმირებული სარტყელი, რომელიც სვასტიკებითაა შემკული.

2004 წელს ამავე პერიოდის კიდევ ერთი სამარხი გაითხარა. ორივე სამარხი კლდოვან დედაქან თიხში იყო ამოკვეთილი, სადაც ჩადგმული უნდა ყოფილიყო ხის სარკოფაგი, მათგან მხოლოდ რკინის დიდი ზომის ლურსმნები იყო შემორჩენილი. ორივე სამარხი ეკუთვნოდა ე.წ. წარჩინებულებს, რომლებიც დაკრძალული იყვნენ გასაოცარი ბრწყინვალებით: მონა-მოსამსახურეებით და ცხენით, ოქროსა და ვერცხლის უამრავი სამკაულით, ლითონისა და თიხის ჭურჭლეულით და მინის მძივსამკაულით.

აღსანიშნავია, რომ ამ სამარხში გვხვდება როგორც ვანის მდიდრული სამარხებისათვის ჩვეული ინვენტარი, აგრეთვე მანამდე სრულიად უცნობი უნიკალური ნივთებიც.

წინამდებარე ნაშრომში მიკრორენტგენოსპექტრალური მეთოდით დეტალურად შესწავლილია ამ სამარხებში აღმოჩენილი ვერცხლის 6 ჭურჭელი და 2 სარტყელი.

ჩვენს მიერ მიკრორენტგენოსპექტრალური ანალიზატორით განისაზღვრა შეუცვლელი ლითონის ქიმიური შედგენილობა. თუ ვერცხლის სამკაულში ელემენტის შემცველობა იყო

საყურადღებო, მის ზუსტ შემცველობას ვსაზღვრავდით (ხელსაწყოს აღმოჩენის ქვედა ზღვარი 0,1%). კვლევის წარმოდგენილი მეთოდი არ აზიანებს საანალიზო სამკაულს. შეზღუდულია მხოლოდ ნიმუშის ზომები, ზოგჯერ განსასაზღვრავი წერტილის ზედაპირის დეფექტები (უსწორმასწორო ზედაპირი, დაჟანგული უბნები, მიკრობზარები და სხვ.) იწვევს მცირე ცდომილებას, რის გამოც ზოგიერთი წერტილის საერთო ქიმიური შედგენილობა 100%-ზე ნაკლებია.

მიკრორენტგენოსპექტრალური მეთოდის უპირატესობა სხვა მეთოდებთან შედარებით ის არის, რომ, ჯერ ერთი, საკვლევ ობიექტს არანაირად არ აზიანებს, განსაზღვრა ხდება ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ვაკუუმში და არანაირ ცვლილებას არ იწვევს განსაზღვრის პროცესში, როგორც ეს ზოგიერთი, სპექტრული მეთოდის გამოყენებისას ხდება, როდესაც შენადნობში არსებული ელემენტები ორთქლდება და მათი რაოდენობა ყოველთვის დაბალია რეალურთან შედარებით, ხოლო, მეორეს მხრივ, მიკორენტგენოსპექტრალური მეთოდით შეგვიძლია სხვადასხვა უბნის (ზედაპირზე, სიღრმეში) განსაზღვრულ წერტილებში 1 მკმ-ის ფართობზე დავადგინოთ ნებისმიერი ელემენტის შემცველობა, განაწილება და არსებობის ფორმაც.

მაშ ასე, ჩვენს მიერ ქიმიურად არის შესწავლილი № 22 სამარხის სარტყელი, № 24 სამარხში აღმოჩენილი სანელსაცხებლე, ვაზა, 5 ფიალა და ვერცხლის ორნამენტირებული სარტყელი.

2003 წელს აღმოჩენილი ვერცხლის სარტყელის (ინვ. № 07:1-03:1828) 10 წერტილში განსაზღვრული იქნა ქიმიური შედგენილობა, ხუთ დაჟანგულ ზედაპირზე და ხუთიც სიღრმეში. ზედაპირი ძირითადად სუფთა ვერცხლითაა წარმოდგენილი. ზედაპირიდან მცირე სიღრმეზე სპილენძი, პრაქტიკულად, მთლიანადაა დაჟანგული, გამოტანილია ზედაპირიდან და შესაბამისად, ზედაპირი ვერცხლითაა წარმოდგენილი. ვერცხლის შემცველობა 95.10-98. 22%-ს ფარგლებში ცვალებადობს; სპილენძი, თუთია, კალა, სტიბიუმი, რკინა პრაქტიკულად არ ისაზღვრება, ტყვია ერთ წერტილში 0.67%-ს აღწევს, დარიშხანი ერთ წერტილში 0.27%-ს აღწევს. სარტყლის ქიმიური შედგენილობა კი სიღრმეში ასეთია: Ag – 93.94-97.91%, Cu – 0.28-3.16%. დარიშხანი სამ წერტილში ისაზღვრება და აღწევს 0.57%-ს, ტყვია ერთ წერტილში 4.02%-ს აღწევს. Zn, Si, Fe, Sb, Sn არ ისაზღვრება.

2004 წელს აღმოჩენილი მეორე ვერცხლის სარტყელის (ინვ. № 07:1-04:1945), (ტაბ. I-1) გარკვეული უბნები და ფრაგმენტები დაზიანებული იყო, ვერცხლი ნაწილობრივ დაჟანგული, რომლის ზედაპირი დაფარულია ვერცხლის ჟანგის სხვადასხვა სისქის ფენით, სავარაუდოდ იმ სიღრმეში ვერცხლი წარმოდგენილია პირვანდელი შედგენილობით, როგორც დამზადების დროს. ანალიზი ჩატარდა, როგორც სარტყლის ზედაპირზე, შედარებით შეუცვლელ ადგილებში, ასევე მის სიღრმეში, რამდენიმე წერტილში. ვერცხლთან ერთად რაოდენობრივად განვსაზღვრეთ ყველა ის ელემენტი, რომელთა შემცველობაც 0,2%-ს აღემატებოდა, ხოლო მასზე მცირე შემცველობას განვიხილავთ კვალის დონეზე.

ვერცხლთან ერთად საინტერესოა As, Pb, Cu, Au, Se, Si, Te-ის, შემცველობები, მათი განაწილება არაკანონზომიერია და ყველა წერტილში არ გვხვდება. ისინი გვხვდებიან იმ რაოდენობით და სავარაუდოდ ისეთი კანონზომიერებითაა განაწილებული, რაც ჩვენი კვლევებით კაზრეთის რაიონის სპილენძ-კოლჩედანურ საბადოში არსებული ვერცხლის შემადგენლობაში დაფიქსირდა.

ვერცხლის სარტყლის ზოგიერთ ფრაგმენტში, რომელზედაც კვლევა ჩატარდა, ჟანგვის პროცესი საკმაოდ ღრმად არის წასული, გვხვდება როგორც სპილენძის, ასევე ვერცხლის ჟანგით გამდიდრებული უბნები. საღი ფრაგმენტის ქიმიური შედგენილობაა *Ag* – 83.11-92.89%, სპილენძი 3.34-8.42%, ტყვია 2.32%-ს აღწევს, დარიშხანის შემცველობა ისაზღვრება თითქმის ყველა წერტილში და აღწევს 0.43%-ს, საინტერესოა სილიციუმის შემცველობაც, რომ ერთ წერტილში 7.02% აღწევს, ტყვია არათანაბრადაა განაწილებული და მაქსიმუმ 2.32% აღწევს. Sn, Fe, Sb, Sn არ ისაზღვრება. ვაზის (ინვ. № 07:1-04:2294), (ტაბ I-2) საანალიზოდ აღებული ფრაგმენტები საკმაოდ დაჟანგულია, გვაქვს უბნები, რომლის ზედაპირს განცდილი აქვს ჟანგვა-აღდგენითი პროცესი, სპილენძი და სხვა ელემენტები მოცილებულია

გარკვეულ სიღრმემდე. ასეთი უბნების ქიმიური შედგენილობა მხოლოდ ვერცხლითაა წარმოდგენილი: *Ag* – 96.33-99.03, ტყვია კვალის დონეზეა, ხოლო შეუცვლელი უბნების ქიმიური შედგენილობა შემდეგია: ვერცხლი 92.28-96.90%-ის ინტერვალში, ხოლო სპილენძი 1.78-4.47%-ის ინტერვალში ცვალებადობს, დარიშხანი მხოლოდ ერთ წერტილში ფიქსირდება 0.34%, ტყვია ძლიერ არათანაბრადაა განაწილებული და აღწევს 3.45%-ს. სანელსაცხებლის (ინვ. № 07:1-04:1946), (ტაბ. I-3) ქიმიური შედგენილობა ზედაპირსა და სიღრმეში ერთნაირია Ag - 88.40-94.0%-ის ინტერვალში ფიქსირდება, სპილენძი ყველა წერტილში ფიქსირდება და ინტერვალის მცირე ცვალებადობითაა წარმოდგენილი – 3.25-4.78%. დარიშხანი თითქმის ყველა წერტილში ისაზღვრება, 0.23-0.71%, ტყვიაც ყველა წერტილში ფიქსირდება და 0.24-2.69%-ის ინტერვალში ცვალებადობს.

ფიალის (ინვ. № 07:1-04:1964) ქიმიური შედგენილობა ზედაპირსა და სიღრმეში პრაქტიკულად არ იცვლება, ვერცხლის შემცველობა 90.67-95.22%-ის ინტერვალში ცვალებადობს, სპილენძი – 0.17-2.26%, ტყვია სამ წერტილში (შვიდიდან) ფიქსირდება, მაქსიმუმ, 2.23%-ს აღწევს, დარიშხანი ერთ წერტილში ისაზღვრება – 0.41%. აღსანიშნავია სილიციუმის ამაღლებული შემცველობა, მაქსიმუმ – 1.0%. ფიალის (ინვ. № 07:1-04:1940) ქიმიური შედგენილობაა – 90.20-92.17%, – 4.36-5.72%, დარიშხანის შემცველობა ყველა წერტილში არ ფიქსირდება, მაგრამ ზოგიერთ წერტილში საკმაოდ მაღალია და აღწევს 1.45%-ს. ტყვია ყველა წერტილში ისაზღვრება – 1.34-2.06%. სილიციუმი 1.22%-ს აღწევს. უაღრესად საინტერესოა მათში ოქროს, ტელურის და სელენის არსებობა და მათი რაოდენობა. ტელური თითქმის ყველა წერტილში ფიქსირდება და ცვალებადობს 0.28-0.52%-ის ინტერვალში, სელენი ორ წერტილში ფიქსირდება და აღწევს 1.60%-ს, ოქრო ცვალებადობს 0.14-0.85%-ის ფარგლებში.

ფიალის (ინვ. № 07:1-04:1941) ქიმიური შედგენილობა ასეთია: ვერცხლი 96.00-99.37%, სპილენძი პრაქტიკულად არ არის (მაქს. 0.23%), ტყვია, სილიციუმი, დარიშხანი არ ისაზღვრება.

ფიალის (ინვ. № 07:1-04:1942) ქიმიური შედგენილობა ზედაპირზე და სიღრმეში დაახლოებით ერთნაირია, ვერცხლი 90.03-95.15%-ს ინტერვალში ცვალებადობს, სპილენძი 2.55-6.44%, სილიციუმი ერთ წერტილში 0.34%-ს აღწევს, დარიშხანი რამდენიმე წერტილში ისაზღვრება და აღწევს 0.68%-ს, რკინა, სტიბიუმი პრაქტიკულად არ აღინიშნება, ტყვიის შემცველობა საკმაოდ მაღალია და ცვალებადობს 1.76-3.70%-ს ინტერვალში. უაღრესად საინტერესოა ოქროს, სელენის და ტელურის შემცველობები, ოქრო არათანაბრადაა განაწილებული და მაქსიმუმ 1.38%-ს აღწევს, ზოგიერთ წერტილში კვალის დონეზეც არ ფიქსირდება. სელენი თითქმის ყოველ წერტილში ფიქსირდება და მაქსიმუმ, 0.91%-ს აღწევს. ტელური თითქმის ყველა წერტილში ფიქსირდება, მაგრამ შედარებით დაბალი შემცველობით ხასიათდება. ფიალის (ინვ. № 07:1-04:1939) ქიმიური შედგენილობა შეცვლილი უბნების ზედაპირსა და სიღრმეში ერთნაირია: 89.14-95.70%-ს ინტერვალში ცვალებადობს, ვერცხლს აქაც სპილენძი ანაცვლებს და 3.23-7.03%-ს ინტერვალში იცვლება, დარიშხანი რამდენიმე წერტილში ფიქსირდება და, მაქსიმუმ, 1.78%-ს აღწევს, ტყვიაც რამდენიმე წერტილში ფიქსირდება და საკმაოდ მაღალ შემცველობას 2.57%-ს აღწევს. სილიციუმიც საკმაოდ მაღალ შემცველობას აღწევს რამდენიმე წერტილში, მაქსიმუმ, 1.59%. ოქრო ორ წერტილში ფიქსირდება და აღწევს 0.55%-ს. ტელური თითქმის ყველა წერტილში ფიქსირდება, მაგრამ დაბალი შემცველობით ხასიათდება, მაქსიმუმ, 0.97%. სელენი ყველა წერტილში არ გვხვდება, მაგრამ საკმაოდ მაღალ შემცველობას აღწევს, მაქსიმუმ 1.84%-ს.

ვანის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ვერცხლის სარტყლების, ვაზის, სანელსაცხებლის და ფიალების მიკრორენტგენოსპექტრალური მეთოდით განსაზღვრული ქიმიური შედგენილობის და ელემენტების განაწილების კანონზომიერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მათი ქიმიური შედგენილობა, ძირითადად, ერთნაირია, მცირედ განსხვავდება მიკროკომპონენტების განაწილების კანონზომიერებით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მათი შედგენილობა მსგავსია კაზრეთის საბადოზე

არსებული ვერცხლის ქიმიური შედგენილობისა, განსაკუთრებით, მიკროკომპონენტების () განაწილების ხასიათით და რაოდენობით, მაგრამ ჯერჯერობით არასაკმარისი ფაქტიური მასალის გამო მტკიცებისგან თავს ვიკავებთ.

ლიტერატურა:

1. **გეწაძე მ., თავართქილაძე ნ., მარგველაშვილი მ., ცქიტიშვილი ქ.** არქეოლოგიური ვერცხლის კონსერვაცია, ძიებანი, დამატებანი XII, თბ., 2004, გვ. 63-68.
2. **ლორთქიფანიძე ოთ.** ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავიზღვისპირეთისაკენ მიმავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზის შესახებ, სმამ, XIX, 1957.
3. **ლორთქიფანიძე ოთ.** ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.
4. **ლორთქიფანიძე ოთ.** ვანის ნაქალაქარი. ვანი I, თბ., 1972, გვ. 7-80.
5. **ყაუხჩიშვილი თ.** სტრაბონის „გეოგრაფია", თბ., 1957.

ვერცხლის ნაკეთობების ქიმიური შედგენილობა (ვანი)

სამარხი	ნივთი	ნივთის დეტალი	განსაზღვრის ადგილი	ელემენტის პროცენტული შემცველობა							
				Ag	Sb	Si	Cu	As	Pb	Fe	ჯამი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ვანი სამარხი №24	ფირფიტის ზედაპირი		2	99.44	–	–	–	0.04	0.2	–	99.68
			3	99.03	–	–	–	–	0.1	–	99.13
			5	97.38	–	–	–	–	–	–	97.38
			6	97.73	–	0.01	–	0.01	–	0.01	97.76
			7	96.33	–	–	–	–	0.2	–	96.53
			8	96.46	–	–	0.01	–	–	–	96.47
	გვამ №07:1-04:2294	ფეხსაცმლის (ცხენის) ძირისებური ნაწილი	9	95.43	–	0.28	3.02	–	0.51	0.05	99.29
			10	96.50	–	0.02	3.3	–	–	0.15	99.97
			11	94.01	–	0.08	3.06	0.34	1.93	–	99.42
			12	92.28	–	0.3	3.23	0.1	3.45	0.12	99.48
			13	93.34	–	0.08	4.47	0.05	0.92	0.07	98.93
			14	96.90	–	0.04	1.78	–	0.71	0.02	99.45
			16	93.40	–	0.01	–	–	0.4	0.01	93.82
	ფალა №07:1-04:1964	ფერფლის განაწილებაში	17	90.67	–	0.15	1.31	0.08	2.23	0.25	94.69
			18	91.98	–	0.64	2.26	0.02	–	0.52	95.42
			19	93.85	–	0.08	1.96	0.11	–	0.08	96.08
		ფერფლის ზედაპირი	23	91.81	–	1.00	1.75	0.04	–	0.27	94.87
			25	90.00	–	0.46	1.35	–	–	0.27	92.08
			29	93.55	–	0.83	1.13	0.41	2.36	0.25	98.53
			30	95.22	–	0.4	0.17	–	0.5	0.17	96.46
	ხანქვაბი №07:1-04:1945		1	92.89	–	0.22	3.59	0.33	–	0.01	97.04
			2	91.81	–	0.67	3.56	0.43	2.32	0.01	98.80
			3	88.49	–	0.74	3.56	0.15	0.78	0.07	93.79
			4	85.39	0.06	0.37	3.95	–	1.21	0.02	91.00
			5	82.29	–	7.02	3.34	0.02	–	0.14	92.81
			6	91.75	–	1.94	3.37	0.4	1.95	0.09	99.50
			7	89.26	–	0.18	4.56	0.36	1.21	0.08	95.65
			8	83.11	–	2.44	8.42	0.03	0.34	0.14	94.48
	სანელსაცმებელი №07:1-04:1946		11	91.80	–	0.32	3.67	0.24	1.03	0.15	97.21
			12	94.00	–	0.26	3.7	–	0.98	0.15	99.09
			14	87.10	–	1.62	3.72	0.71	1.57	0.45	95.17
			15	88.40	–	1.49	3.91	0.35	1.87	0.33	96.35
			16	91.28	0.02	0.5	4.78	0.41	2.69	0.09	99.77
			17	92.29	–	0.48	4.56	0.23	1.32	0.1	98.98
			18	92.89	–	–	4.21	0.31	0.73	0.02	98.16
			19	93.78	–	–	3.25	0.49	1.78	0.01	99.31
			21	93.15	–	0.09	4.17	0.26	0.24	0.09	98.00
			22	90.26	–	0.25	3.83	0.67	–	0.12	95.13

სამარხი	ნივთის დასახელება	ნივთის დეტალი	განსაზღვრის ადგილი	ელემენტის პროცენტული შემცველობა							
				Ag	Si	Cu	As	Zn	Fe	Pb	Sn	ჯამი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
ვანი სამარხი №22	ვერცხლის სარეზერვო		4	97.91	0.26	0.57	0.25	0.01	0.04	0.67	0.04	99.75
			5	95.65	–	3.16	0.57	–	–	0.04	0.1	99.52
			6	93.94	–	2.98	0.44	0.09	0.06	–	–	97.51
			7	95.00	0.09	0.28	0.09	0.09	–	4.02	–	99.57
			8	95.68	–	3.05	–	0.05	–	0.39	–	99.17
			9	98.22	–	0.05	0.02	–	–	0.67	0.03	98.99
			10	97.62	0.26	–	–	–	0.04	–	–	97.92
			14	96.98	0.26	0.12	0.15	0.18	–	0.19	–	97.88
			15	97.61	0.24	0.12	–	–	0.03	0.15	0.03	98.18
			16	95.10	0.3	0.18	0.27	0.14	0.04	0.19	–	96.22
	ფიალა № 07:1-04: 1941		17	98.14	–	0.08	–	0.43	–	–	–	98.65
			18	96.00		0.11			0.05			96.16
			19	98.18	–	0.14	0.08	0.21	–	–	–	98.61
			21	98.42	–	0.19	–	0.3	0.05	–	–	98.96
			22	99.37	–	0.23	–	0.11	–	–	–	99.71
	ფიალა № 07:1-04: 1940		26	90.75	0.56	4.89	0.04	–	0.28	1.57	0.06	98.15
			27	91.52	–	4.93	–	–	0.02	2.06	0.08	98.61
			28	90.20	1.22	4.36	–	0.75	–	1.37	–	97.90
			29	92.17	–	5.69	0.18	0.16	0.14	1.47	0.12	99.93
			30	91.79	–	5.72	–	–	–	1.86	–	99.37
	ფიალა № 07:1:1942		1	90.03	0.02	6.44	0.41	0.1	0.02	1.76	0.31	99.09
			5	91.10	–	4.16	–	0.01	–	2.52	–	97.79
			6	89.12	–	5.56	0.68	0.05	–	2.93	0.11	98.45
			7	86.37	–	6.42	0.07	0.06	–	3.13	–	96.05
			10	90.39	0.34	5.15	0.01	–	–	3.7	0.02	99.61
			11	90.38	0.25	4.84	–	0.02	–	3.7	–	99.19
	ფიალა № 07:04:1939		15	89.14	1.95	5.54	0.14	–	–	2.57	–	99.34
			16	91.11	0.77	6.38	0.11	–	–	0.49	0.06	98.92
			17	89.24	1.62	6.83	–	–	0.04	–	0.02	97.75
			19	89.02	0.74	6.43	–	–	–	0.29	0.07	96.55
			20	90.31	0.02	6.93	0.08	–	–	0.69	–	98.03
			21	90.63	–	7.03	0.04	0.06	–	0.88	0.06	98.70

სამარხი	ნივთის დასახელება	ნივთის დეტალი	განსაზღვრის ადგილი	ელემენტის პროცენტული შემცველობა						
				Ag	As	Au	Te	Se	Cu	ჯამი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
ვანი სამარხი №24	ფიალა №07:1-04-71		1	92.00	1.01	–	0.34	1.53	4.81	99.69
			2	95.48	0.11		0.27		2.82	98.68
			3	96.52	–	–	0.49	0.98	0.01	98.00
			4	94.28	–	–	0.11	1.40	2.65	98.44
			5	94.79	0.33	0.11	041	–	3.02	98.66
	ფიალა №07:1-04-40		6	94.73	0.44	0.85	0.33	–	2.15	98.5
			7	94.08	–	0.19	0.41	1.60	3.34	99.62
			8	91.68	1.35	0.45	0.52	0.51	4.13	98.64
			9	94.17	0.67	0.14	0.28	–	3.41	98.67
			10	94.17	0.11	0.83	0.47	–	3.56	99.14
	ფიალა №07:04:1939		11	94.16	–	0.07	0.37	–	3.77	98.37
			12	90.64	0.11	0.23	0.30	0.91	5.09	97.28
			13	92.23	0.45	0.83	0.10	0.50	3.26	97.37
			14	94.58	–	–	0.32	–	4.60	99.5
			15	95.15	–	–	0.24	0.61	3.28	99.28
			16	94.43	–	1.38	0.19	–	2.55	98.55
	ფიალა №07:04:1939		17	95.70	0.22	0.43	0.33	–	3.14	99.82
			18	92.28	–	0.54	0.30	2.02	4.00	99.14
			19	93.54	–	0.93	0.14	–	3.95	98.56
			20	93.10	–	–	0.19	0.51	4.99	98.79
			21	92.14	–	0.78	0.33	1.02	3.91	98.18
			22	91.66	–	0.43	0.46	0.20	4.31	97.06
			23	92.41	0.34	0.38	0.28	0.71	3.29	97.41
			24	93.77	0.57	0.55	0.28	–	3.71	98.88
			25	94.20		0.08	0.47		4.34	99.05
			26	93.00	0.57	–	0.34	–	4.01	97.92
			27	91.50	1.78	–	0.50	1.84	3.20	98.82
			28	91.85	–	–	0.57	0.30	5.23	97.95

ვახტანგ შატბერაშვილი

მდიდრული სამარხი სოფელ ხოვლედან

სოფელი ხოვლე მდებარეობს შიდა ქართლში, კასპის რაიონში, მდ. ხეხმელას (მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ნაპირებზე. სოფლის დასავლეთით, 1954-61 წლებში გაითხარა (ხელმ. ნიკო ბერძენიშვილი) ხოვლეგორას მრავალფენიანი ნამოსახლარი, კერამიკოსთა სახელოსნო უბანი და სამაროვანი [6], აგრეთვე მის მახლობლად მდებარე, ქრ.წ. II - ქრ.შ. I საუკუნეების საკულტო ნაგებობა [8, გვ. 222].

2004 წლის მარტში, სოფ ხოვლეს ჩრდილოდასავლეთ კიდეში, ადგილ ზესხევში, წყალსადენი მილის ჩასადებად გამიზნული თხრილის გათხრისას შემთხვევით აღმოჩნდა დიდი ზომის მართკუთხა აკლდამა, რომლის ინვენტარი ამ ამბის შემსწრე მოსახლეობამ დაინაწილა. სოფლის მკვიდრმა, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორმა პაატა ხუციშვილმა მოსახლეობაში გაფანტული ნივთები შეაგროვა და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექციას დაუკავშირდა. ძეგლის შემდგომი ხელყოფისაგან დაცვის მიზნით კასპის მუზეუმის თანამშრომლებმა სამარხი გაწმინდეს და მის გარშემო დაყრილი მიწა გაცრეს, რის შედეგად კიდევ რამოდენიმე ნივთი გამოვლინდა. ამ პროცედურის ჩატარების შემდეგ აქ აღმოჩენილი ადამიანის ძვლები ისევ სამარხში ჩაასვენეს, აკლდამა გადახურეს და მიწით დაფარეს. სამარხი აღწერა და ჩახატა იორამ იმედაშვილმა. აღმოჩენიდან მესამე დღეს ხოვლეში ჩავიდა კასპის მუზეუმისა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომელთა ჯგუფი: გ. ხორგუაშვილი, ი. იმედაშვილი (კასპის მუზეუმი), ზ. შატბერაშვილი, ვ. შატბერაშვილი თ. აღაპიშვილი და ლ. ფავლენიშვილი (არქეოლოგიური კვლევის ცენტრი), რომელმაც მოინახულა და დაზვერა აღმოჩენის ადგილი. უშუალოდ სამარხის მიდამო მშრალი ხევის პირას მდებარე, ოდნავ დაფერდებულ ადგილს წარმოადგენს. აქ თანამედროვე ადამიანის მოღვაწეობის ნიშანი არ დაფიქსირდა, რაც იმედს იძლევა, რომ სავარაუდო სამაროვანი დაზიანებული არ უნდა იყოს. სამარხიდან დასავლეთით, ასიოდ მეტრში ჩანს მეოცე საუკუნის შუაწლებში აშენებული ფერმისა და მისი დამხმარე ნაგებობების ნანგრევები. ამ ტერიტორიის ზედაპირულმა დათვალიერებამ შედეგი არ მოგვცა. სამარხის სამხრეთით, 200 მეტრში, ახალაშენებული სახლია, რომლის პატრონმაც საძირკველის გათხრის დროს აღმოჩენილი წითლად შეღებილი, ელინისტური ხანის დოქი მოგვიტანა. საინტერესო შედეგი მოგვცა სამარხის ჩრდილოეთ მხარეს არსებული ფერდობის დაზვერვამ. აქ მიწა დამუშავებულია და იკრიფება როგორც ელინისტური და გვიანანტიკური ხანის, ისე განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკა, შეინიშნება შუა საუკუნეების ხაროების ნაშთებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ სამარხის გარშემო არსებული ტერიტორია, მიახლოებით 2 ჰა ფართობზე ხელუხლებელია და სოფლის საკუთრებას წარმოადგენს. სოფლის გამგებლის, გია მჭედლიშვილის თქმით, ეს მიწები არ გაიცემა იქამდე, სანამ აქ გათხრები არ ჩატარდება, თუმცა მის სიახლოვეს მშენებლობა უკვე დაწყებულია. ამგვარად, ხოვლეს ტერიტორიაზე მიკვლეული მდიდრული სამარხის მიდამოებში ჯერ კიდევ შემორჩენილი უნდა იყოს არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც შესაძლოა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო გახდეს.

აკლდამაში მოპოვებული მასალის გაცნობისთანავე ნათელი გახდა, რომ საქმე გვაქვს არისტოკრატის სამარხეული ინვენტარის მხოლოდ ერთ ნაწილთან. აუცილებელი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის განგვემარტა ძეგლის მნიშვნელობა. საუბარმა შედეგი ნაწილობრივ გამოიღო და კასპის მუზეუმს ჩაბარდა მოსახლეობაში გაბნეული რამოდენიმე ნივთი. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, კომპლექსი სრული არ არის.

სამარხი აღმოჩნდა ზედაპირიდან 50 სმ-ის სიღრმეზე, თიხნარ ნიადაგში. იგი დამხრობილი იყო ჩრდილოეთი-სამხრეთის ღერძზე, ნაგები იყო კარგად დამუშავებული კირქვის ფილებით. იატაკის ნაწილი მოგებული იყო მთლიანი, ბრტყელი ქვით, დარჩენილი სამხრეთი მხარე და ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე კი მომცრო, ბრტყელი ფილებით. სამარხის შიდა ზომებია 2,1 – 1,61 მ. ჩრდილო და სამხრეთი კედლების

(სიმაღლე - 0,78 მ) კიდეებში აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებისათვის ჩასამაგრებელი ბუდეები იყო ამოკვეთილი. სამარხი გადახურული იყო კირქვის ორი ბრტყელი, დამუშავებული ფილით (1,4-2,5 მ; 0,75-2,5 მ).

სამარხში აღმოჩენილ რამოდენიმე ნივთს ჩაუტარდა კონსერვაცია-რესტავრაცია [26, გვ. 66]. მინის მოხატული ჭურჭლების რესტავრაციისათვის კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსდა გრანტი, რომლის საფუძველზე საფრანგეთიდან, კერძოდ კი ქ. ვიენიდან მოწვეულ იქნა გამოცდილი სპეციალისტი, ქალბატონი მარი კლოდ დეპასიო, რომელმაც ამ საქმეს წარმატებით გაართვა თავი და ამავე დროს ჩაატარა სემინარები არქეოლოგიური მასალის რესტავრაციით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის. კონსერვაცია-რესტავრაციის პროცესში მონაწილეობას იღებდნენ რესტავრატორები: ნინო კიტოვანი, თეა კინწურაშვილი, ეთერ მეტრეველი, ნინო კალანდაძე. მასალის კონსერვაცია - რესტავრაციის პროცესი ახლაც მიმდინარეობს. მოპოვებული ნივთები ჩახატა ლერი ფავლენიშვილმა.

მასალის აღწერა:

1) კოჭობი – თიხის, გამომწვარია მოვარდისფროდ, აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, სფეროსებური ტანი, ბრტყელი ძირი. ყური გვერდზეა მიძერწილი. ყელზე ერთმანეთის პარალელურად სამი განივი, ტეხილი ხაზია ამოკაწრული. ყურზე მცირე ზომის კოპია დასმული. h-9 სმ. (ტაბ. III, 17);

2) ჭურჭელი – მომწვანო მინის, ირიზებული, აქვს ფართოდ გადაშლილი პირი, ცილინდრული ტანი, ოდნავ შეღრმავებული ძირი. ორი ყური ყელსა და მხარზეა მიმაგრებული. ყურის გარეთა მხარე დაფარულია ვერტიკალური ღარებით. ჭურჭლის ტანზე ფაქიზად ამოკაწრულია 26 კონცენტრული ხოლი. h -36 სმ, პირის d -7,5 სმ, ტანის d -9,1 სმ. (ტაბ. III, 3);

3) ჭურჭელი – მომწვანო მინის, ზემოთაღწერილის იდენტური (რესტავრირებულია) (ტაბ. III, 6);

4) სანელსაცხებლე – მინის, ირიზებული, აქვს მკვეთრად გადაშლილი პირი, ქვემოთ გადაკეცილი ბაკო, ცილინდრული ყელი და ტანი, შეზნექილი ძირი. ყური მიმაგრებული იყო ყელსა და მხარზე. h-9,5 სმ, პირის d-3 სმ, ყელის d-1,9 სმ, მუცლის d -4 სმ, ძირის d-3 სმ. (რესტავრირებულია) (ტაბ. III, 1);

5) სანელსაცხებლე – მინის, ირიზებული, აქვს მკვეთრად გადაშლილი პირი, ცილინდრული, დაბალი ყელი, ოვალური ტანი, შეზნექილი ძირი. ყური მიმაგრებულია ყელსა და მხარზე. h-9,5 სმ, პირის d-2,5 სმ, ყელის d-1,9 სმ, მუცლის d - 4 სმ, ძირის d-3 სმ. (ტაბ. III, 2);

6) სანელსაცხებლე - მინის, ირიზებული, აქვს ვიწრო, გადაჭრილი პირი, ცილინდრული ყელი, რომელიც ტანთან შეერთების ადგილას მკვეთრად ვიწროვდება. ტანი სფეროსებური და მომრგვალებულია, ძირი შეზნექილი. ტანზე ფაქიზადაა ამოკაწრული კონცენტრული ხაზები. h-11,2 სმ, პირის d-1,2 სმ, მუცლის d - 8 სმ, ძირის d-3 სმ. (ტაბ. III, 4);

7) სანელსაცხებლე – მინის, ირიზებული, აქვს მკვეთრად გადაშლილი პირი და ქვემოთ გადაკეცილი ბაკო, ცილინდრული, მაღალი ყელი, მკვეთად გამოყვანილი მხრები, მომრგვალებული მუცელი, შეზნექილი ძირი. h– 6 სმ, პირის d – 1,7 სმ, მუცლის d - 3,5 სმ, ძირის დ – 2,5 სმ. (ტაბ. III, 5);

8) სანელსაცხებლე – მინის, ირიზებული, ფრაგმენტულადაა შემორჩენილი;

9) სურა – გაუმჭვირვალე თეთრი მინის, მოხატული. მინა ჯერ გაუბერავთ, დაუტანიათ ნახატის უხეში კონტურები, მოუხატავთ მწვანე და მოყავისფრო-მოწითალო გამდნარი მინით, ტანზე ოქროს უთხელესი ფირფიტები დაუკრავთ, ზემოდან კიდევ ერთხელ, მოყავისფრო-მოწითალო საღებავით დაუტანიათ წვრილმანი დეტალები, მოუშორებიათ ოქროს ზედმეტი ნაწილები, შემდეგ კი ნივთის პირსა და მხარზე მიუმაგრებიათ სამწილადი ყური.

ჭურჭელს აქვს მკვეთრად გადაშლილი პირი, მაღალი, ოდნავ გამოყვანილი ყელი, მოკლე, მომრგვალებული მხრები, წაგრძელებული, ძირისაკენ თანდათან შევიწროვებული კალთა და ოდნავ გამოკვეთილქუსლიანი, შეზნექილი ძირი (ტაბ. IV, 1). ყელზე ორი ოქროსფერი სარტყელია, რომლებიც შემოსაზღვრულია ორ-ორი ასევე განივი, მოყავისფრო-მოწითალო ზოლით. სარტყლებში მოყავისფრო საღებავითაა ჩახატული თევზისებურად განლაგებული წვრილი ფოთლები. სარტყლებს შორის, ოქროსფერი საღებავით, ბერძნულად ჩაწერილია H XAPIC. გრაფემებს ერთმანეთისაგან გამოყოფს მოწითალო-მოყავისფრო საღებავით შესრულებული შვიდფურცლიანი ყვავილის გამოსახულებები, გამონაკლისია გრაფემები I და C, რომელთა შორის, ასევე მოწითალო საღებავით გულის გამოსახულებაა ჩახატული. გრაფემა C-ს შემდეგ ოქროსფერი საღებავით შესრულებული, ზემოდან ქვემოთ დაშვებული სუროს ფოთოლია გამოსახული. (ტაბ. V, 1ა). ზემოთ აღწერილი ოქროსფერი სარტყლების იდენტური სარტყელი დატანილია ჭურჭლის ქვედა ნაწილზე, სადაც იგი ერთმანეთისაგან გამოყოფს ტანსა და ქუსლს.

მხრიდან ძირამდე ჭურჭელი ოქროსფერი საღებავით დატანილი და მოწითალო-მოყავისფროდ მოჩარჩოებული თაღებით ხუთ ვერტიკალურ და თანაბარ ნაწილადაა დაყოფილი. თაღებს შორის არსებულ კუთხეებში მზის დისკოებია ჩახატული. ყოველ თაღში თითო ფიგურაა, რომელთა თავებთან ამოკაწრულია წარწერები. მათი სრულად ამოკითხვა არ მოხერხდა. ჭურჭელზე გამოსახული ფიგურების აღწერას დავიწყებთ ყურის მხართან მიერთების ადგილიდან, მარჯვნიდან მარცხნივ. პირველ თაღში გამოსახული ფიგურა კოჭებამდე დაშვებული ტანსაცმლითაა შემოსილი. იგი დგას ანფასში, თავზე სუროს გვირგვინი ადგას. მარცხენა ხელით იგი ეყრდნობა აყვავებულ კვერთხს – ტირსოსს, ამავე მკლავზე მოწითალო-მოყავისფრო ზოლებია დატანილი, რაც შესაძლოა გველის გამოსახულება იყოს. მარჯვენა, ოდნავ გაწვდილ ხელში ფიგურას სასმისი უჭირავს, რომლიდანაც წითელი სითხე იღვრება. ფეხებთან, ორივე მხარეს ოთხფურცლა ყვავილია (ტაბ. V, 1ე). მეორე თაღში ჩახატული ფიგურა წარმოადგენს ტუნიკით შემოსილ მარცხნივ მიბრუნებულ მამაკაცს, რომელსაც თავზე სუროს გვირგვინი ადგას. მარცხენა მკლავზე სამოსი აქვს გადაფენილი, ხელში კვერთხი უპყრია, მარჯვენა ხელი წინაა გაწვდილი, ზურგთან და ფეხებთან ოთხფურცლა ყვავილია გამოსახული. თავს უკან წარწერაა ამოკაწრული (ტაბ. IV, 1; ტაბ. V, 1დ). შემდეგ თაღში ჩახატული ფიგურა მარცხნივ მიემართება, ტანი ოდნავ შემობრუნებულია, თავი ანფასშია, ოდნავ უკან მიბრუნებული. იკვეთება სახის მსხვილი ნაკვთები – დიდი თვალები და სქელი ტუჩები. თავი შემკულია სუროს გვირგვინით. მას მუხლსქვემოთ დაშვებული სამოსი აცვია. ზურგსუკან ფრიალებს წამოსასხამი. მარცხენა, ზეაწეული ხელი იდაყვში მოხრილია და თავთან ახლოსაა მიტანილი. თავსა და ხელს შორის წითელი საღებავით ჩახატულია ოვალური მოყვანილობის ნივთი, რომელიც, შესაძლოა ჭურჭელი იყოს. მკლავზე ჩამოკიდებულია კალათა. მარჯვენა ხელი წინაა გაწვდილი. თაღში სამგანაა დატანილი ოთხფურცლა ყვავილი. თავთან წარწერაა (ტაბ. V, 1გ). მეოთხე თაღში ჩახატულია პანი ანფასში. მის თავზე, ყურებს შორის, შემორჩენილია სუროს გვირგვინის ფრაგმენტული გამოსახულება (ტაბ. V, 1ბ). მეხუთე თაღში ჩახატული ფიგურაც ანფასშია, თავზე სუროს გვირგვინი ადგას, მარჯვენა ხელი იდაყვში მოხრილი და აწეულია, მხარზე წვრილი ზოლით გადმოცემული სახრე აქვს გადებული, ქვემოთ დაშვებულ მარცხენა ხელში კი ყურძნის მტევანი უჭირავს, წელის მარცხენა მხარეს მოკლე ხმალია ჩამოკიდებული. იგი წაბარბაცებულ, მოცეკვავე პოზაშია გამოსახული, ფეხებთან და წელთან ოთხფურცლა ყვავილია (ტაბ. V, 1ვ).

ჭურჭლის ძირზე წითელი საღებავით წრიულად დატანილია ყვავილის ათი ფურცელი.

მდგომარეობა რესტავრაციამდე: ტანი ოთხ დიდ ნაწილად იყო დამტვრეული, ყური რამოდენიმე წვრილი ნატეხისაგან შედგებოდა. მინა ირიზებული იყო, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა მცირე ბზარები, ზედა, თხელი ფენა მცირე შეხებისთანავე ძვრებოდა. ოქროს საღებავი ცუდად იყო შემონახული, არსებობდა მისი მთლიანად ჩამოცვენის საფრთხე, ზედაპირზე შეიმჩნეოდა კირის დანალექები. ჭურჭელი სრულადაა რესტავრირებული. h-23 სმ;

10) სურა – თეთრი მინის, მოხატული (ნივთს ჩაუტარდა კონსერვაცია და რესტავრაცია). დამზადების წესი და ჭურჭლის ფორმა ზემოთაღწერილის იდენტურია (ტაბ. IV, 2). ჭურჭელი მთლიანად მოხატულია მოწითალო–მოყავისფრო, ღია მწვანე და ოქროსფერი საღებავით. ყელზე ორი ოქროსფერი სარტყელია, რომლებიც შემოსაზღვრულია ორ-ორი ასევე განივი, მოყავისფრო-მოწითალო ზოლით. სარტყლებში მოყავისფრო საღებავითაა ჩახატულია ტალღისებური ორნამენტი. სარტყლებს შორის, ისევე როგორც № 9 ჭურჭელზე, ოქროსფერივე საღებავით, ბერძნულად ჩაწერილია H XAPIC. ზემოთ აღწერილი ოქროსფერი სარტყლების იდენტური

სარტყელი დატანილია ჭურჭლის ქვედა ნაწილზე, სადაც იგი ერთმანეთისაგან გამოყოფს ტანსა და ქუსლს. ჭურჭლის ტანზე გამოსახულია ორი სცენა, რომლებიც ერთმანეთისაგან მცენარეებითაა გამოყოფილი. მარჯვნისაკენ მიმავალ პეგასზე ამხედრებული ბელეროფონტე სახით მარცხნივაა მიბრუნებული და ხელი აქვს გაწვდილი გველის თავით მისკენ მიმართული ქიმერასაკენ. მცენარეებით შემოზღუდულ მეორე სცენაზე გამოსახულია მამაკაცი და ქალი. ორივენი მარცხნივ იყურებიან, მარჯვენა ხელი ორივეს ზეაღმართული აქვს, ქალი მამაკაცის მუხლებზე ზის. ბელეროფონტესა და პეგასის თავებთან ბერძნულად ამოკაწრულია მათი სახელები, წარწერა ახლდა ქალისა და მამაკაცის ფიგურებსაც, თუმცა მათი ამოკითხვა ჭირს (ტაბ. V, 2).

ჭურჭლის ძირზე წითელი საღებავით წრიულად დატანილია ყვავილის ათი ფურცელი.

მდგომარეობა რესტავრაციამდე: ტანი ორ დიდ და მრავალ წვრილ ნაწილად იყო დამტვრეული, ყური რამოდენიმე წვრილი ნატეხისაგან შედგებოდა. მინა ირიზებული იყო, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა მცირე ბზარები, ზედა, თხელი ფენა მცირე შეხებისთანავე ძვრებოდა. ოქროს საღებავი ცუდად იყო შემონახული, არსებობდა მისი მთლიანად ჩამოცვენის საფრთხე, ზედაპირზე შეიმჩნეოდა კირის დანალექები. ჭურჭელი სრულადაა რესტავრირებული. h-23 სმ;

11) ფირფიტა – ოქროსი, ორად გადაკეცილი, ბოლოებში სამანჭვლე ნახვრეტით, მანჭვალი ბრინჯაოსია. სიგრძე 2,8 სმ, სიგანე - 0,8 სმ. (ტაბ. I, 6);

12) ლანგარი – ვერცხლის, დაზიანებული. დამზადებულია ვერცხლის მთლიანი ფურცლისაგან. აქვს მომრგვალებული ბაკო, ოდნავ მორკალური კალთები, რომლებიც შეუმჩნევლად გადადის ასევე ოდნავ მორკალურ, ფართო ძირში. ჭურჭელი ორნამენტირებულია. გარეთა მხრიდან შიგნით, ჭედვით (?) მთელ ფართობზე მიღებულია ერთმანეთზე დადებული ვაზის ორი ფოთლის გამოსახულება. ჭურჭლის დიამეტრია 25 სმ, სიმაღლე 3 სმ. (ტაბ. I, 15);

13) ჯამი – ვერცხლის, ნაწილობრივ მოოქრული; დამზადებულია ჩარხზე. აქვს ოდნავ მოყრილი პირი, მომრგვალებული გვერდი, გრძელი კალთა და ქუსლიანი ძირი. ქუსლი ღრუიანია, იგი თხელი ფირფიტისაგანაა დამზადებული და ძირზეა მიდუღებული. ძირზე ეტყობა მცირე ზომის ნასვრეტი და კონცენტრული ხაზები, რაც ჩარხზე დამზადების კვალია. ჭურჭელი ორნამენტირებულია: პირს ქვემოთ დაუყვება სიმეტრიულად განაწილებული, გარედან შიგნით თეგვით მიღებული 22 მრგვალი, მცირე ზომის მოოქრული კოპი. მის ქვემოთ, შიგნიდან გარეთ, თეგვით მიღებულია 11, წვერით ჭურჭლის ფსკერისაკენ მიმართული, მცირე ზომის, ე.წ. ნუშისებური კოპი. თითოეული მათგანის მსხვილი, ზედა ნაწილი მოქცეულია ორ-ორ, ზემოთნახსენებ მცირე, მრგვალ კოპს შორის, ქვედა ნაწილის გასწვრივ, წვერთან კი ამოტვიფრულია თითო ოთხფურცლა ყვავილი მრგვალი გულითა და წაგრძელებული ფურცლებით. მცირე წვეთისებურ კოპებსა და ყვავილებს შორის, შიგნიდან გარეთ თეგვით მიღებულია 11, წვერით ზემოთ მიმართული, მოზრდილი, ე.წ. ნუშისებური კოპი, რომელთაგან ოთხი მოოქრულია. კოპებსა და ფსკერს შორის 11 მძიმესებური ბურცობია (აქაც 4 მოოქრულია), რომლებიც ოთხფურცლა ყვავილების გასწვრივაა დასმული. ჭურჭლის ფსკერზე, ორ ვიწრო, მცირე ზომის კოპებით შემკულ სარტყელს შორის ამოკაწრულია გრეხილი, თოკისებური, მოოქრული ორნამენტი, რომელშიაც მცირე კოპებია ჩართული. ფსკერის ცენტრში მცირე ზომის ნასვრეტია, იგი ოქროთი უნდა ყოფილიყო ამოვსებული. h-5 სმ; პირის d-18 სმ; ძირის d-8 სმ; ქუსლის h-1,4 სმ. (ტაბ. I, 1);

14) სარეცლის ფეხები - ვერცხლი, ხე. ხის ფიგურულ ფეხზე წნევით გადაკრულია ვერცხლის თხელი, მთლიანი ფურცელი. 4 ც., სამი მთლიანადაა შემონახული, ერთი დაშლილია, შემორჩენილია მისი ქვედა ნაწილი. (ტაბ. I, 16-19);

15) აბზინდები – ვერცხლის, 3ც., ორს აკლია ენა. ზომები: 2*1,7 სმ: 1,7*1,6 სმ; 1,6*1,5 სმ. (ტაბ. I, 7-9);

16) მილისებური საგანი – ვერცხლის, h-2,2 სმ. (ტაბ. I, 10);

17) ჭურჭლის ფრაგმენტი – ვერცხლის, შემორჩენილია ვარდულის რელიეფური გამოსახულება. (ტაბ. II, 2);

18) ფირფიტები – ვერცხლის, წარმოადგენს 0,7-0,8 სმ-ის სიგანისა და 4-4,2 სმ-ის სიგრძის ორად გადაკეცილ თხელ ფირფიტებს, რომლებსაც ვერცხლისავე მანჭვლები აქვს, 4 ცალი მეტნაკლებად შემორჩენილია, არის ასევე უსახო ფრაგმენტებიც. (ტაბ. I, 3-5; 11-14);

19) სარკე – ბრინჯაოსი, ნივთი რამოდენიმე ნაწილისაგან შედგება: ა) ჩარჩო – დამზადებულია თხელი ფირფიტისაგან, შედგება ოთხი ნაწილისაგან, თითოეულის სიგრძეა 33 სმ, სიგანე - 1,4 სმ; ბ) ჩარჩოს ასეთივე ნაწილები, დაზიანებული, სიგანე 0,9 სმ; გ) ჩარჩოსა და ცენტრალური ნაწილის შემაერთებელი ფირფიტები, 4 ც. მათი ერთი მხარე მართ კუთხეს ქმნის, მეორე კი რკალს, რომელიც ნივთის ცენტრალურ ნაწილს, დისკოს ემიჯნება; დ) დისკოსა და ჩარჩოს შემაერთებელი რგოლი, დამზადებულია თხელი ფირფიტისაგან, სიგანე - 1,6 სმ; ე) დისკო, სარკის ცენტრალური ნაწილი, დამზადებულია ბრინჯაოს 0,5 სმ-ის სისქის ფურცლისაგან, დაფარულია ვერცხლის ამალგამით (?). დიამეტრი - 30 სმ (ტაბ. II, 2);

20) სახელური – ბრინჯაოსი, შედგება უშუალოდ სახელურისა და ხის დეტალებთან მისაერთებელი ორი სამაგრისაგან. მრგვალ განივკვეთიანი სახელური (0,8 სმ) გველის თავის სტილიზებული გამოსახულებითაა დაბოლოვებული. იგი გაყრილია მარყუჟში, რომლის მეორე ბოლო ხის გაურკვეველ ნივთში უნდა ყოფილიყო ჩამაგრებული (ტაბ. II, 1);

21) სამსჭვალები – ბრინჯაოსი, მრგვალთავიანი, მართი კუთხით მოხრილი, ერთ მათგანზე ხის ნივთის ნაშთია შემორჩენილი. სიგრძე - 7 სმ. 3 ც. მთელია (ტაბ. I, 11);

22) ლამპარი – რკინის, ნივთი შედგება საწვავი მასალის (ზეთის ?) ჩასასხმელი ჯამისა და მასზე გარედან მიდუღებული სამი ფეხისაგან. ჯამის d-10 სმ, ნივთის h-28 სმ. დაჟანგული და დამტვრეულია (ტაბ. II, 9);

23) სამსჭვალები – რკინის, ბტყელთავიანი, ოთხკუთხა განივკვეთიანი, სიგრძე - 9,5-10 სმ. აქედან ორი მთელია, ოთხი კი ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი (ტაბ. I, 10);

24) დანები – რკინის, ფრაგმენტები, 6 ც. (ტაბ. I, 6, 8);

25) დანა – შედგებოდა ხის ტარისაგან და მასში ჩამაგრებული რკინის, ოდნავ მოხრილი პირისაგან. ტარის ზედაპირზე შეიმჩნევა ორნამენტის კვალი. ტარის სიგრძე - 6 სმ, დანის პირის სიგრძე - 16 სმ. (ტაბ. I 4, 5) დანა ქარქაშში უნდა ყოფილიყო ჩადებული (იხ. № 26).

26) ფირფიტა – ძვლის, ორნამენტირებული, დამტვრეული (რესტავრირებულია) შვიდი ფრაგმენტი. ფირფიტის ზედაპირზე ამოკვეთილია მცენარეული ორნამენტი, შეიმჩნევა წითელი საღებავის კვალი. ფირფიტის ორივე მხარეს დაკბილული ორნამენტი იყო ამოჭრილი. რესტავრაციის შემდეგ გაირკვა, რომ მას ოდნავ მოხრილი ფორმა ჰქონდა და ემთხვეოდა დანის პირის ფორმას, ამიტომაც იგი, დანის ქარქაშის გარსაკრავი უნდა იყოს, რომელიც, სავარაუდოდ ტყავის ქარქაშის ზედაპირზე უნდა ყოფილიყო მიმაგრებული (ტაბ. I, 7);

27) სადგარი - რკინის, სამფეხა, ქსოვილის ანაბეჭდით. h-6,5 სმ. (ტაბ. II, 2);

28) ხის დაშლილი სარეცლის (?) ფრაგმენტები, ზედ შემორჩენილი ბრინჯაოს სამსჭვალების ფრაგმენტებით (ტაბ. I, 12);

29) მძივები – სარდიონის, სფეროსებური და კასრისებური, 40 ც;

30) მძივები – მთის ბროლის, დაწახნაგებული, 18 ც.;

31) მძივები – თეთრი გაუმჭვირვალე მინის, ლურჯხალებიანი, 9 ც.;

32) მონეტა – ვერცხლი, პართიის მეფე გოტარზეს (40/41-51 წწ.) დრაქმა, შუბლი – მეფის ბიუსტი, პროფილში მარცხნივ; გრძელი წვერი პარალელური შვეული ხაზებითაა წარმოდგენილი, გრძელი, კისრამდე დაფენილი თმა ოდნავ ტალღოვანი ხაზებითაა გადმოცემული. დიადემა კეფაზეა გამონასკული, მისი სამი ბოლო დაბლა ეშვება. ყელი სამწყება ყელსაბამითაა შემკული. მეფის თავს ზემოთ ნახევარწრედ გადაუყვება მსხვილი წერტილების რკალი. ზურგი – მეფე ხის სამეფო ტახტზე, პროფილში მარჯვნივ, მის ფეხებთან იკითხება ბერძნული A, რაც არშაკს აღნიშნავს. გარშემო შემოსდევს წარწერა, რომელიც ცუდად იკითხება (ტაბ. II, 15);

33) მონეტა – ვერცხლი, დრაქმა, ისეთივე, როგორც № 32 (ტაბ. II, 16);

34) მონეტა – ვერცხლი, იმპერატორ ავგუსტუსის (ქრ.წ. 27- ქრ.შ. 14 წწ.) დენარი; შუბლი – გვირგვინოსანი იმპერატორის ბიუსტი პროფილში მარჯვნივ, წარწერა არ იკითხება. ზურგი – გამოსახულება არ იკითხება (ტაბ. II, 13);

35) მონეტა – ვერცხლი, იმპერატორ ავგუსტუსის (ქრ.წ. 27- ქრ.შ.. 14 წწ.) დენარი; ისეთივე, როგორც № 34 (ტაბ. II, 14);

36) მონეტა – ოქრო, იმპერატორ კარაკალას 211-217 წწ. აურეუსი; შუბლი – უწვერული, გვირგვინოსანი იმპერატორის ბიუსტი პროფილში მარჯვნივ, მონეტას კიდეზე შემოუყვება ლათინური წარწერა: IMP ANTONONUS PIUS AVG. ზურგი – მარცხნივ მიმავალ კვადრიგაში ზის არწივი, კიდეზე შემოუყვება ლათინური წარწერა: CONSERVATOR AVG. მონეტას ყუნწი აქვს მიმაგრებული და საკიდადაა გადაკეთებული (ტაბ. II, 17);

საინტერესოა სამარხიდან მოპოვებული რამდენიმე ნივთი, რომლებიც პარალელებს პოულობს როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

ვერცხლის ნაწილობრივ მოოქრული ჯამი (ტაბ. I, 1) პრაქტიკულად ასლია ერწოს ველზე, ქუშანაანთ გორაზე გათხრილ № 1 სამარხში მოპოვებული ასეთივე ჯამისა, რომელიც ქრ.შ. III ს-ით თარიღდება, მას აქვს ერთი განმასხვავებელი ნიშანი: ცენტრში ჯერჯერობით ამოუკითხავი გრაფემაა გამოსახული [7, გვ. 32-33, 77-82]. რ. რამიშვილის აზრით იგი, შესაძლოა ირანული ტორევტიკის ძლიერი გავლენით შექმნილი ადგილობრივი ნაწარმი იყოს [7, გვ. 79]. კ. მაჩაბელის მოსაზრებით კი ერწოს ჯამი უკავშირდება სასანურ ტორევტიკას და სავარაუდოდ ირანიდან უნდა იყოს შემოტანილი [11, გვ. 121-128]. ჩვენ უფრო პირველ მოსაზრებას ვემხრობით, რადგან ასეთი ნივთები სხვაგან ჯერჯერობით არ ჩანს, საქართველოში კი უკვე ორი ეგზემპლარია აღმოჩენილი.

აქ მოპოვებული სარეცლის ფეხები ზოგადად ემსგავსება არმაზისხევის №№ 1, 3, 6 სამარხებში და ჟინვალში აღმოჩენილ ასეთივე დანიშნულების ნივთებს, რომლებსაც ისევე, როგორც ხოვლეს ეგზემპლარებს, ოთხი შემსხვილება აქვთ. კ. მაჩაბელს მიაჩნია, რომ არმაზისხევისა და ჟინვალის სარეცლის ამ ტიპის ფეხები, მიუხედავად რომაულთან მსგავსებისა, ადგილობრივი, ორიგინალური ძეგლებია [10, გვ. 91, 99]. იგივე შეიძლება ითქვას ხოვლეს მასალის შესახებაც.

მინის ორი ორყურა ჭურჭლის (№№ 2 და 3) იდენტური მასალა საქართველოში მოპოვებულია ურეკში [15, გვ. 52, ტაბ. XVII]. ასეთი ჭურჭელი, როგორც ჩანს, კიოლნში, III-IV საუკუნეებში მზადდებოდა [10, კატ. № 400]. თუმცა არაა გამორიცხული, რომ იგი სხვაგანაც, კერძოდ ეგვიპტის სახელოსნოებიდანაც მომდინარეობდეს. საინტერესოა მაინცის ლანდსმუზეუმში დაცული, მესამე საუკუნეში, ლინკეუსის სახელოსნოში დამზადებული ამდაგვარივე ბოთლი, რომელზეც დიონისური სცენებია ამოკაწრული – ცენტრში დიონისეა, მის გარშემო კი სატირი, მენადე, პანტერა და ლიკურგე [21, გვ. 79].

სამარხში აღმოჩენილი მინის სანელსაცხებლეები ემსგავსება სამთავროს გვიანანტიკურ სამარხებში მიკვლეულ ასეთივე ჭურჭელს და ზოგადად III-IV საუკუნეებით თარიღდება. მაგალითად, ზემოთაღწერილ № 6 (ტაბ. III, 4) სანელსაცხებლეს პარალელი მოეპოვება სამთავროს № 414 სამარხში [4, გვ. 64, სურ 358], ასეთივე ჭურჭელი მოპოვებულია ჩრდილო იტალიაში და თარიღდება III საუკუნით [22, გვ. 177, სურ. 131], აგრეთვე შვეიცარიაში, ავანშში, IV საუკუნის სამარხში [16, გვ. 137].

სამარხის ყველაზე საინტერესო ნივთებს თეთრი გაუმჭვირვალე მინის ორი მოხატული სურა წარმოადგენს [26, გვ. 66]. ორივე ნივთი ერთნაირი წესითაა დამზადებული. როგორც ზემოთ ითქვა, მინა ჯერ გაუბერავთ, დამზადებულ ჭურჭელზე კი მოყავისფრო საღებავით ფიგურების უხეში მონახაზი დაუტანიათ. შემდეგ მწვანე და მოწითალო-მოყავისფრო გამდნარი მინით შეუვსიათ ყვავილებისა და სუროს ფოთლებისათვის განკუთვნილი ადგილები, ზედაპირი დაუფარავთ ოქროს მთლიანი, უთხელესი ფურცლით, რომელზედაც მოწითალო-მოყავისფრო საღებავით დაუტანიათ ფიგურების კონტურები, შემდეგ ფრთხილად მოუშორებიათ ოქროს ზედმეტი ნაწილები, მიუმაგრებიათ ყური და შედარებით დაბალ ტემპერატურაზე ხელმეორედ გამოუწვავთ. ნივთებზე დაკვირვებისას ჩანს, რომ ოქროს თხელი ფენა ზოგან ფერადი მინით შევსებულ ადგილებს ნაწილობრივ ფარავს, რაც აღნიშნულ მოსაზრებას უნდა ადასტურებდეს. თანამედროვე ოსტატები მინის ნივთზე მეტალის თხელი ფურცლის დადებისას სწორედ ასეთ მეთოდს იყენებენ (ნივთის დამზადების ტექნიკის შესახებ მოსაზრებები გამოთქვეს ბატონმა გივი ინანიშვილმა და მინის ესპანელმა ოსტატმა აბელარდო ფუერტესმა). დაახლოებით ასეთივე ტექნოლოგიით მზადდებოდა მინის ოქროფენილი და ვერცხლფენილი მძივები, ფრთიანი ლარნაკები და მოზაიკური პანოები [3, გვ. 181].

საინტერესოა ორივე ჭურჭლის ყელზე არსებული წარწერა - H XAPIC. ქალბატონ თინათინ ყაუხჩიშვილის განმარტებით, პალეოგრაფიულად წარწერა III-IV საუკუნეებისაა, სიტყვა ითარგმნება როგორც "წყალობა შენ", "ბედი შენ" ან "შესვი, გაამოს". ამავე სიტყვის სხვა მნიშვნელობებია: სილამაზე, დიდება, პატივი, ღირსება, კეთილგანწყობა, ჯილდო, პატივისცემა, მადლიერება, ნეტარება, სიხარული. გონიოს ციხეზე აღმოჩენილია რელიეფურორნამენტიანი მინის ჭურჭელი, სადაც ასევე რელიეფურადაა დატანილი ბერძნული წარწერები [9, გვ. 81]. ერთ-ერთზე სიტყვა XAPIC-იცაა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ნივთსა და ხოვლეს სურებს მეტი არაფერი აკავშირებს.

ორი სურიდან პირველს ჩვენ დიონისეს სურას ვუწოდებთ, რადგან აქ დიონისე და მასთან დაკავშირებული მითოლოგიური პერსონაჟები არიან გამოსახულნი. სურის ტანზე, ფიგურების თავებთან ამოკაწრულია წარწერები, რომელთა სრულად ამოკითხვა არ მოხერხდა.

ჭურჭელზე გამოსახული ფიგურები, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, თაღებშია ჩახატული. ისინი აღიწერა სურის ყურის მხართან მიერთების ადგილიდან, მარჯვნიდან მარცხნივ (იხ. ზემოთ). პირველ თაღში გამოსახული ფიგურა (ტაბ. V, 1ე) კოჭებს ქვემოთ დაშვებული ტანსაცმლითაა შემოსილი. იგი დგას ანფასში, თავზე სუროს გვირგვინი ადგას. სახის ნაკვთები ცუდადაა შემონახული, თავთან, მარჯვნივ, გამოსახულია აყვავებული კვერთხი - ტირსოსი, რომელიც მას მაცხენა ხელში უჭირავს, ამავე ხელის იდაყვით კი რაღაც საყრდენს, შესაძლოა ვაზს (ან სუროს ხეს) ეყრდნობა. მარცხენა მკლავზე მოწითალო-მოყავისფრო ზოლებია დატანილი, რაც შესაძლოა გველის გამოსახულება იყოს. მარჯვენა, ოდნავ გაწვდილ ხელში ფიგურას სასმისი (კანთაროსი?) უჭირავს, რომლიდანაც წითელი სითხე იღვრება. ფეხებთან, ორივე მხარეს ოთხფურცლა ყვავილია. ფიგურის თავთან, მარცხნივ, ორი ბერძნული ასო გაირჩევა: Δ და მის ქვემოთ C. სხვა გრაფემების ამოკითხვა არ მოხერხდა, თუმცა, ჩვენი ვარაუდით, იკონოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ამ თაღში ახალგაზრდა, უწვერული დიონისე უნდა იყოს გამოსახული. უწვერული დიონისეს იკონოგრაფიისათვის დამახასიათებელია სხეულის ქალურობა, აგრეთვე ხელების ზემოთაღწერილი მოძრაობა. ასეთივე პოზაა დამახასიათებელი ხოვლესთან ახლომდებარე, კასპის რაიონის სოფ. კოდისწყაროში აღმოჩენილი დიონისეს ქანდაკებისათვის [5, გვ. 111-116]. ამგვარივე პოზაშია ელევსისის მუზეუმში დაცული დიონისეს ქანდაკებაც, რომელსაც მარცხენა ხელში კანთაროსი უჭირავს, მარჯვენათი კი სუროს ხეს ეყრდნობა (ქანდაკება რომაული ხანითაა დათარიღებული). სურაზე გამოსახულ ფიგურას ემსგავსება პომპეის ფრესკის (ძვ.წ. 30 წ.) ნაწილი, რომელიც ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმში ინახება: აქ დიონისე სილენთან ერთადაა გამოსახული, მარჯვენა ხელში მას კანთაროსი უჭირავს, მარცხენა იდაყვით იგი სილენს ეყრდნობა, ხელში კი ტირსოსი უპყრია. ანთაკიის მუზეუმში დაცულ მოზაიკაზე, რომელიც ანტიოქიიდან მომდინარეობს (II-III სს.), მთვრალი დიონისეა გამოსახული. მისი პოზაც პირველი თაღის ფიგურის პოზის იდენტურია, განსხვავება ისაა, რომ ანთაკიის დიონისე მარცხენა ხელით სილენს ეყრდნობა. ამგვარად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ თაღში გამოსახულია უწვერული დიონისე.

მეორე თაღში ჩახატული ფიგურის (იხ. აღწერა, აგრეთვე ტაბ. V, 1დ) ზურგსუკან ორ რიგად ბერძნული წარწერა იყო ამოკვეთილი, რომელიც მთლიანად არ იკითხება, მაგრამ მაინც გაირჩევა – ზედა რიგში T და P, ქვედა რიგში კი Θ, Y და C. მიუხედავად ამისა, მისი ვინაობა გაურკვეველია.

მესამე თაღში ჩახატული ფიგურის (იხ. აღწერა, აგრეთვე ტაბ. V, 1გ) ზურგსუკან ბერძნულად ამოკაწრული იყო წარწერა, რომლისაგანაც შემორჩენილია Δ და H. წარწერა წარმოშობს ცდუნებას, რომ ეს ფიგურა ნაყოფიერების ქალღმერთის, დემეტრეს გამოსახულებად მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, რომ ატიკაში, კერძოდ კი ელევსინში ყოველწლიურად იმართებოდა დემეტრესა და პერსეფონეს სადიდებელი მისტერიები, რომლის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანი დრო ეთმობოდა დიონისეს დიდებასაც. პინდარეს ისთმური ოდების მიხედვით დიონისე დემეტრესთან ერთად სიუხვის ღმერთია. რომაელები აღიარებდნენ სამებას, რომელშიაც შედიოდნენ კერესი (დემეტრე), ლიბერი (დიონისე) და ლიბერა

(პერსეფონე). შესაძლოა ფიგურა გამოსახავდეს მენადეს, თუმცა ორივე ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას უნდა ეწინააღმდეგებოდეს მისი სამოსი, რომელიც აჩენს კოჭებს, რაც ქალის სამოსისათვის უჩვეულოა. ამგვარად, მესამე თაღში ჩახატული ფიგურის ვინაობაც ჯერჯერობით გაურკვეველია.

მეოთხე თაღში ჩახატულ გამოსახულებასთან წარწერა არ იკითხება, თუმცა ყველა მონაცემის მიხედვით ეს პანი უნდა იყოს (ტაბ. V, 1ბ).

საკმაოდ რთულია მეხუთე თაღში ჩახატული ფიგურის იდენტიფიკაცია. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, იგი ანფასშია, თავზე სუროს გვირგვინი ადგას, მისი მარჯვენა ხელი იდაყვში მოხრილი და აწეულია, მხარზე წვრილი ზოლით გადმოცემული სახრე აქვს გადებული, ქვემოთ დაშვებულ მარცხენა ხელში კი ყურძნის მტევანი უჭირავს, წელის მარცხენა მხარეს მოკლე ხმალია ჩამოკიდებული. იგი წაბარბაცებულ, მოცეკვავე პოზაშია გამოსახული, ფეხებთან და წელთან ოთხფურცლა ყვავილია (ტაბ. V 1ვ). ფიგურის ზეალმართული, მარჯვენა ხელის ზემოთ ბუნდოვნად ირჩევა ბერძნული ასო Λ). ჩვენი აზრით, ფიგურა ლიკურგეს უნდა წარმოადგენდეს, რომლის გამოსახულება ხშირად გვხვდება დიონისურ გარემოცვაში, მაგალითად სენ რომან ენ გალის რომაული ხანის მოზაიკაზე [25, გვ. 108, 109], აგრეთვე მეოთხე საუკუნით დათარიღებულ ე.წ. ლიკურგეს სასმისზე [20, გვ. 92]. აპოლოდორიუსის (III, 5,1) მიხედვით ლიკურგემ დიონისე ღმერთად არ ცნო, რისთვისაც ღვთაებამ იგი ჭკუიდან შეშალა. გაგიჟებულ მეფეს ეგონა, რომ ვაზს ჩეხავდა, სინამდვილეში კი თავისი შვილი, დრიანტე მოკლა [12, გვ. 54]. გამოსახულება სწორედ გაგიჟებულ ლიკურგეს უნდა ასახავდეს, ვაზის მტევანი კი, რომელიც მის მარცხენა ხელშია, მოკლული შვილის თავის სიმბოლო უნდა იყოს.

საინტერესოა ამ სურაზე გამოსახული სვეტებზე დაყრდნობილი თაღები და მათ შორის ჩახატული მზის დისკოები, რაც სასანური ტორევტიკისათვისაა დამახასიათებელი [14, ტაბ. 37(18), 48(20)]. აღსანიშნავია I საუკუნით ან II საუკუნის დასაწყისით დათარიღებული, მცირეაზიული წარმოშობის მინის ეგრეთ წოდებული "მითოლოგიური სასმისები", რომლებიც მითოლოგიური პერსონაჟების რელიეფური გამოსახულებებითაა შემკული. თითოეული ფიგურა ერთმანეთისაგან სვეტებითაა გამოყოფილი, სვეტების თავზე კი სამკუთხა თაღებია [28, გვ. 24-34]. საინტერესოა 1874 წელს, ყირიმში, მითრიდატეს მთაზე აღმოჩენილი, მეორე საუკუნით დათარიღებული ხის სარკოფაგი. იგი იონური ორდერის ტაძრის მოდელია და გვერდებზე სვეტებს შორის ბათქაშის შეღებილი ფიგურებითაა შემკული. განსაკუთრებით აღსანიშნავია სარკოფაგის ორი ვიწრო მხარე, სადაც ფიგურები მორკალური თაღით დამშვენებულ სვეტებს შორისა მოქცეული [23, გვ. 332-333, ტაბ. 241, 242]. ამგვარად, როგორც დავინახეთ, სურაზე გამოსახული სვეტებზე დაყრდნობილი თაღები და მათ შორის ჩახატული მზის დისკოები ერთი მხრივ სასანური ტორევტიკის, მეორე მხრივ კი ელინური ხელოვნების გავლენას განიცდის.

მეორე სურის ზედა ნაწილი პირველის ანალოგიურია, ქვედა ფრიზზე კი, ბელეროფონტეს მითია გამოსახული. ჭურჭლის ტანზე ორი, ერთმანეთისაგან მცენარეებით გამოყოფილი სცენიდან პირველზე პეგასზე ამხედრებული ბელეროფონტე (ტაბ. V, 2გ) ქიმერას (ტაბ. V, 2ბ) ებრძვის. ქიმერა გველის თავით ბელეროფონტესაკენაა მიბრუნებული. ცუდადაა შემონახული ლომის თავი, თუმცა დაკვირვებისას ჩანს, რომ მას ხახაში ადამიანი ყავს მოქცეული. პეგასისა და ბელეროფონტეს თავებთან ბერძნულად ამოკაწრულია მათი სახელები. წარწერა უნდა ჰქონოდა ქიმერას, თუმცა იგი აღარ ჩანს. მეორე სცენაზე გამოსახულია მამაკაცი და ქალი (ტაბ. V, 2დ). ქალი მამაკაცის მუხლებზე ზის, ორივენი მარცხნივ იყურებიან და მარჯვენა ხელები ზეაღმართული აქვთ. წარწერა აქაც წაშლილია და მისი ამოკითხვა ამჟამად შეუძლებელია. სცენა მოგვაგონებს დიონისესა და არიადნეს გამოსახულებებს ქრ.წ. IV საუკუნის დერვენის კრატერზე [27, გვ. 76, 80] და ძალისას მოზაიკაზე [1, გვ. 70-74, სურ 8; 24, გვ. 12-20]. თუმცა, ჩვენი აზრით, მეორე სცენა ბელეროფონტეს მითის ბედნიერ დასასრულს მოგვითხრობს – ქიმერაზე გამარჯვებისა და სხვა საგმირო საქმეების ჩადენის შემდეგ ლიკიის მეფე იობატემ გმირს თავისი ქალიშვილი მიათხოვა და აქ სწორედ საოჯახო წყვილი – ბელეროფონტე (რომლის იდენტიფიკაციას მის მხარზე ჩამოკიდებული მშვილდი განამტკიცებს) და მეფის ასული ფილონოე უნდა იყვნენ გამოსახულნი.

ხოვლეს სურების ფორმითა და ზომით მსგავსი, ღია მწვანე ფერის, მოწითალო-მოყავისფრო, ყვითელი, მომწვანო - მოლურჯო საღებავით მოხატული ჭურჭელი აღმოჩენილია ისმანთ ელ ხარაბში (ანტიკური ხანის კელესი). იგი III საუკუნის დასასრულით ან IV საუკუნის დასაწყისით თარიღდება. ნივთის ყელსა და ტანის ძირთან შეერთების ადგილზე მცენარეული და ტალღოვანი ორნამენტია, ტანზე კი გლადიატორების ბრძოლაა გამოსახული [19, გვ. 195-300].

სურების ზუსტი პარალელი ინახება ქორნინგის მინის მუზეუმში (ნიუ იორკის შტატი). ნივთი XIX საუკუნის დამლევს აღმოჩნდა ქერჩში, შემდეგ კი კოლექციონერების ხელში მოხვედრილა. ფორმითა და მოხატულობის ტექნიკით იგი ხოვლეს ნივთების ზუსტი ანალოგია, ყელზე არსებული წარწერაც იგივეა. ნივთებს შორის განსხვავება მხოლოდ სიუჟეტშია – ქერჩის ჭურჭელზე დაფნას მითია წარმოდგენილი [18, გვ. 261, 273; სურ. 150]. ამავე ტექნიკით მოხატული, თეთრი მინის ჭურჭლის ფრაგმენტი 1931 წელს მოპოვებულია დურა ევროპოსშიც, რომელზედაც აქილევსის დედის, ნიმფა თეტისის თავია გამოსახული [17, გვ. 18, სურ. 17]. ასეთივე ნივთის ფრაგმენტი აღმოჩენილია ტანაისის გათხრებზეც [13, გვ. 93-95]. ზოგიერთი მოსაზრებით ეს სამი ნივთი ორონტის ანტიოქიაში, ერთ სახელოსნოში, შესაძლოა ერთი ხელოსნის მიერ, მეორე საუკუნის ბოლოს ან მესამე საუკუნის დასაწყისშია დამზადებული [18, გვ. 261]. მიუხედავად იმისა, სწორია თუ არა მოსაზრება მათი დამზადების ადგილის შესახებ, ჩვენ თამამად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ზუთივე ნივთი ერთი და იგივე სახელოსნოს (ერთი ხელოსნის თუ არა) ნაწარმი უნდა იყოს, რადგან ბელეროფონტეს, დიონისეს, დაფნასა და თეტისის სურების დამზადება-დამუშავების ტექნიკა და შემკულობის სტილი ერთმანეთის იდენტურია. ამას გარდა, მინის ისტორიის საერთაშორისო კონფერენციაზე (AIHV-17) მიღებული ინფორმაციის მიხედვით ლისაბონის არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება უცნობი წარმომავლობის ამდაგვარივე ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი. ამგვარად, დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია ხოვლეში მოპოვებული ორი ჭურჭლის ოთხი ანალოგი, რომელთაგანაც ერთი მთლიანია, ორი კი ფრაგმენტულადაა შემონახული.

სამარხეული კომპლექსის დასათარიღებლად მნიშნელოვანია აქ აღმოჩენილი მონეტები. ავგუსტუსის დენარების იბერიაში მიმოქცევის გვიანდელი თარიღი III საუკუნის შუახანებია, თუმცა ერთეული ცალები III საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ სამარხებშიაც გვხვდება [2, გვ. 172]. მესამე საუკუნეზე მიუთითებს იმპერატორ კარაკალას 211-217 წწ. აურეუსიც.

აკლდამაში აღმოჩენილი მასალა უაღრესად მნიშვნელოვანია. იგი წარმოადგენს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების არისტოკრატის სამარხეულ ინვენტარს და თავისი მნიშვნელობით, შესაძლოა არმაზისხევის პიტიახშების სამარხებში მოპოვებულ მასალას უტოლდებოდეს. კომპლექსის თარიღი ქრ.შ. მესამე საუკუნის შუახანები, ან მეორე ნახევარია.

ლიტერატურა:

1. **ბოხოჩაძე ა.** არქეოლოგიური გათხრები აღაიანსა და ძალისში, თბ., 1981.
2. **დუნდუა გ.** სამონეტო მიმოქცევა იბერიაში I-IV საუკუნეებში (ზოგადი მიმოხილვა), იბერია – კოლხეთი, საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, ეძღვნება აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის 75-ე წლისთავს, №2, 2005, გვ. 170-180.
3. **ლეკაშვილი დ.** ოქროფენილი და ვერცხლფენილი მინის მძივები მცხეთის ანტიკური ხანის სამარხებიდან, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, № 15-16, თბ., 2005, გვ. 180-183.
4. **მანჯგალაძე გ.** სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები, კატალოგი, მცხეთა VII, თბ., 1985, გვ. 43-109.
5. **მიზანდარი მ.** დიონისეს ქანდაკება ქართლის მიწაზე, საბჭოთა ხელოვნება, № 8, 1988, გვ. 111-116.

6. მუსხელიშვილი დ. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978.

7. რამიშვილი რ. ერწოს ველი გვიან-არმაზულ ხანაში, თბ, მეცნიერება 1979.

8. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990.

9. შალიკაძე თ. ბერძნულწარწერიანი მინის სასმისები გონიო-აფსაროსიდან, ძიებანი № 11, 2003, გვ. 80-82.

10. **Кунина Н.** Античное стекло в собрании Государственного Эрмитажа, Москва, 1997

11. **Мачабели К. Г.** Позднеантичная торевтика Грузии, Тб, 1976;

12. **Мифология Народов Мира,** Энциклопедия, К-Я, Т. 2, Главный редактор С. А. Токарев, Москва, Советская Энциклопедия, 1988;

13. **Сорокина Н.П.** Антиохский Расписной сосуд из Танаиса, Краткие сообщения 143, Античная Археология, Наука, М., 1975, с. 93-95.

14. **Тревер К.В., Луконин В.Г.** Сасанидслое серебро, Собрание Государственного Эрмитажа, Москва, Исскуство, 1987;

15. **Хоштариа Н. В.** Археологическое исследование Уреки, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I, თბ., 1955, გვ. 25-78;

16. **Bonnet Borel Francoise,** Le Verre D Epoque Romanie A Avenches – Aventicum, Typologie Generale, Documents du Musee Romain, D Avenches 3, Avenches, 1997.

17. **Grossman R. A.** Ancient Glass, A Guide To The Yale Collection, Yale University Art Gallery, New Haven, Connecticut, 2002.

18. **Harden Donald B.** Glass of the Caesars, The Corning Museum of Glass, Corning, The British Museum, London, Romisch-Germanisches Museum, Cologne, 1987.

19. **Hope Colin A. and Whitehouse Helen V.** The Gladiator Jug from Ismant el-Kharab, The Oasis Papers 3, Proceedings of the Third International Conference of the Dakhleth Oasis Project, Dakhleth Oasis Project: Monograph 14, Oxbow Books, 2004, pp.291-310.

20. Five Thousand Years of Glass, Edited by Hugh Tait, British Museum Press, London 1991.

21. **Klein, M. J.** The Hohen-Sulzen Bottle from the Lynkeus Workshop. An Iconographic and Styllistic Analysis, International Society for the History of Glass, AIHV -17, Book of abstracts, Antverp, 2006, p.79.

22. **Larese Annamaria, Zerbinati Enriko,** Vetri Antichi di Raccolte Concordiesi e polesiane, Guinta Regionale Veneto, Corpus Delle Collezioni 4, 1998.

23. **Minns Ellis H.** Scythians and Greeks, Survey of Ancient History and Archaeology on the North Coast of the Euxine From The Danube ToThe Caucasus, First published in1913, Biblo and Tannen, New York, 1971.

24. **Odisheli Manana,** Spatantike und fruchristiche Mosaike in Georgien, Wien, 1995.

25. **Savay-Guerraz Hugues, Veysseyre Paul,** Des objets qui rwcontent l Histoire, Saint – Romain – En – Gal, Lyon, 2004.

26. **Shatberashvili V.** Decouverte de Deux Vases antiques d'expedition en Georgie, International Society for the History of Glass, AIHV -17, Book of abstracts, Antverp, 2006, p. 66.

27. **Tsigarida Benita, Despoina Ignatiadou,** The Gold of Macedon, Archaeological Museum of Thesaloniki, published by the Archaeological Receipts Fund, Athen, 2000.

28. **Wight Karol B.** Mythological Beakers : A Re-examination, Reprinted from Journal Of Glass Studies, Volume 36,1994, Copyright 1994 by Corning Museum of Glass, Corning, N.Y. 14830-2253.

თინათინ ჭანიშვილი

ზარაკების ტიპოლოგია-ქრონოლოგიის საკითხები დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით

ანტიკური ხანის არქეოლოგიური კომპლექსების ერთ-ერთი დამახასიათებელი არტეფაქტი - ზარაკები - დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება როგორც ზღვისპირეთში (სოხუმი, ურეკი, გუადიხუ, წიწილი შუქურა და სხვ.), ასევე შიდა რაიონებშიც (ერგეტა, ვანი, მთისძირი, ბრილი, ზემოფარცხმა და სხვ.).

ანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან ცნობილი ზარაკების შესწავლამ საინტერესო სურათი მოგვცა. ამჟამად, დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ კომპლექსებში შემავალ ამ არტეფაქტის შესწავლის ცდას წარმოვადგენთ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზარაკების შესწავლა საქართველოს ტერიტორიული მხარეების მიხედვით, გამართლებული აღმოჩნდა. ვინაიდან გამოიყო და განისაზღვრა ზარაკების როგორც საერთო, ასევე განსხვავებული და დამახასიათებელი ტიპები როგორც მხოლოდ აღმოსავლეთ, ასევე ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიისათვის.

ჩვენ არ შევჩერდებით ზარაკების ატრიბუციისა და დამზადების ტექნოლოგიურ საკითხებზე, მხოლოდ აღვნიშნავთ, დასავლეთ საქართველოს კომპლექსებში აღმოჩენილ თითქმის ყველა ზარაკის დამახასიათებელ ტექნოლოგიურ თავისებურებას, რომელიც ზარაკის ენის დამაგრებაში გამოიხატა - კორპუსზე დატანილ ნახვრეტებში გადებული ენის დასამაგრებელი ღერძი. ენის დამაგრების ეს ტექნოლოგია აღმოსავლეთ საქართველოს ზარაკებზე იშვიათად გვხვდება.

ზარაკების კლასიფიკაციისათვის მასალისაგან დამოუკიდებლად მის მთავარ, დამახასიათებელ ელემენტად ზარაკის კორპუსის ფორმას ვიღებთ. ზარაკების ტიპოლოგიურ დაყოფას დამახასიათებელი ნიშნებით განვსაზღვრავთ; ზარაკების განმსაზღვრელ ტიპოლოგიურ ნიშნებს კი სამნიშნა რიცხვის კოდით აღვნიშნავთ, სადაც ძირითადი ჯგუფი რომაული ციფრით გამოიხატება, ხოლო ტიპები და ქვეტიპები არაბული ციფრებით, რომლებიც წერტილებით არის ერთმანეთისაგან გამყოფილი.

ამ ნიშნებით ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ზარაკებში გამოიყო მხოლოდ ორი ძირითადი სახეობა ანუ ჯგუფი: კონუსური და ცილინდრული ფორმის ზარაკები.

განვიხილოთ ზარაკების ეს ჯგუფები და მათი ტიპები:

I ჯგუფი (ტაბ. I, I_{1-22}). ზარაკი ბრინჯაოსი. კორპუსი კონუსური ფორმისაა. ყუნწი მრგვალი ან ოვალურია. ენა რკინისაა (იშვიათად ბრინჯაოსი).

კონუსური ზარაკები ანტიკური ხანის კომპლექსებში შემავალი ზარაკების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა და გავრცელებულია თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ ჯგუფის ზარაკებისთვის დამახასიათებელია ფორმის მოხაზულობის სხვადასხვა შტრიხები (მომრგვალებული, წაგრძელებული, მოკლე და სხვ.). ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს კონუსური ზარაკებისგან განსხვავებით (სადაც ფორმის შედარებითი სტანდარტიზაციის შედეგად მკვეთრად ჩამოყალიბებული ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შესაძლებლობა მოგვეცა), დასავლეთ საქართველოს ამ ჯგუფის ზარაკებში ერთი საერთო სტანდარტული ტიპი ვერ გამოიკვეთა და მხოლოდ სხვადასხვა ნიშნებზე დაყრდნობით მოხდა მათი კლასიფიცირება. კონუსური ზარაკებისთვის დამახასიათებელია შემკულობის ერთგვაროვანი სახეები: სადა ან ტალღური ჩაღარული სარტყლები კორპუსის ძირთან.

ტექნოლოგიურად ყველა ეს ზარაკი ჩამოსხმულია. ენა დამაგრებულია ყუნწის ქვემოთ ან კორპუსმის ნახვრეტში გადებულ ღერძზე. ენა უმთავრესად რკინისაა. ადრეული ხანის ზარაკის კორპუსი ძირითადად მოლიანია, შეკრული; ძვ.წ. V ს. კი თითქმის ყველა - გვერდშეჭრილია. ადრეული ზარაკების ყუნწი მრგვალია; ძვ.წ. VI-V სს. გვხვდება ზარაკები ოვალური ყუნწითაც. ზომებით ეს ზარაკები სხვადასხვაა, მაგრამ უმთავრესად მცირეა (სიმაღლე 3,5-5,5 სმ). ამ ჯგუფის ზარაკების ქრონოლოგიური

ჩარჩოები ძვ.წ. VIII-VII - ძვ.წ. VI სს-ით განისაზღვრა. ეპიზოდურად, ერთეული ცალობით გვხვდება ძვ.წ. III და I სს-ში.

სანამ კონუსური ზარაკების კლასიფიკაციაზე გადავიდოდეთ, უნდა შევნიშნოთ დასავლეთ საქართველოს კონუსური ფორმის ზარაკების კიდევ ერთი თავისებურება. თითქმის ყველა სამაროვანზე არსებობს და გვხვდება მხოლოდ ამ სამაროვნებისათვის დამახასიათებელი ზარაკის ფორმები, ხშირად ერთეული ცალობით (ურეკი, ერგეტა, ცხეთი და სხვ.). მიუხედავად ამისა, ეს ერთეული ზარაკებიც გამოვყავით როგორც კონუსური ზარაკების დამოუკიდებელი ტიპები.

I.1 (ტაბ. I, $I_{1-3,\ 7-11}$). დამახასიათებელი ელემენტი: წაგრძელებული, მთლიანი კორპუსი (იშვიათად, გვერდშეჭრილი); ზოგჯერ ენის დასამაგრებელი ღერძის ორი ნახვრეტით. ენა რკინისაა (ან ბრინჯაოსი); ყუნწი მრგვალია. ზომები: სიმაღლე 2-4,5 სმ.

ამ ტიპის ზარაკების აღმოჩენის ყველაზე ადრეული შემთხვევა ჩანს ერგეტის (ზუგდიდის რ-ნი) სამაროვნებზე. ერგეტაში რამდენიმე დასაკრძალავი მოედნები - სამარხი ორმოები დადასტურდა, რომლებიც უახლეს მასალაზე დაყრდნობითა და მათი შესწავლით გამთხრელმა რ. პაპუაშვილმა ხუთ ქრონოლოგიურ ჯგუფს მიაკუთვნა. ყველაზე ადრეული (II ქრონოლოგიური ჯგუფი) სამარხი ორმო ერგეტა II სამაროვნის № 6 კოლექტიური სამარხია, რომელშიც პირველად ჩნდება რკინის ნივთები და თარიღდება ძვ.წ. VIII ს. პირველი ნახევრით ან ზოგადად, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით. ამ სამარხებში ზარაკები არ გვხვდება. შემდეგი ქრონოლოგიური ჯგუფი (III ჯგ.) ძვ.წ. VIII ს. მეორე ნახევრითა და VII ს. პირველი ნახევრით თარიღდება. ამ ჯგუფში შედის ერგეტა I სამაროვნის № 5 და ერგეტა II სამაროვნის № 4 სამარხი ორმოები, სადაც უკვე ჩანს რკინისენიანი ზარაკები, № 5 სამარხში - 9 ცალი, № 4-ში - 12; უფრო დიდი რაოდენობით გვხვდება ზარაკები მომდევნო ქრონოლოგიურ ჯგუფში ძვ.წ. VII ს. დასაკრძალავ ორმოებში: ერგეტა I სამაროვნის № 6 სამარხში. 33 ცალი, ერგეტა III სამაროვნის № 4-ში 25 ცალი; ერგეტა IV სამაროვნის № 1-ში 8 ცალი. ყველაზე გვიანდელია ერგეტა III-ის № 1 სამარხი ორმო, რომელიც ძვ.წ. VII ს. დასასრულისა და VI ს. დასაწყისით თარიღდება. აქაც 12 ცალი ზარაკი აღმოჩნდა [20, გვ. 3-9; 65, ტაბ. V_{18}; 21, გვ. 205-207].

ამრიგად, ერგეტის სამაროვნების მიხედვით შესაძლებლობა გვეძლევა თვალი გავადევნოთ ზარაკების თანმიმდევრულ ქრონოლოგიურ განვითარებას. აღმოჩნდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში (ძვ.წ. VIII ს. მეორე ნახევარი – ძვ.წ. VI ს.) ერგეტის ზარაკების ძირითადი ფორმა და ზომები არ იცვლება, თუმცა ჩნდება ზარაკის ახალი სახეობა ახალი შემკულობით (იხ. I.1.1). ერგეტის ზარაკების ეს ფორმები მხოლოდ ერგეტის სამაროვნებისთვის არის დამახასიათებელი. ამასთანავე, როგორც ჩანს, ზარაკი ერგეტის დასაკრძალავი მოედნების აუცილებელი ატრიბუტი იყო.

ამ ტიპის ზარაკის ასევე ადრეული ცალი გვხვდება სოფ. კურზუს (მარტვილის რ-ნი) შემთხვევით აღმოჩენილ ამოყრილი სამარხებიდან. როგორც დ. ქორიძე აღნიშნავს, კურზუს არქეოლოგიური მასალა სხვადასხვა დროისთვის დამახასიათებელი ნივთების (კოლხური ცული, ბრინჯაოს თოხები, სეგმენტური იარაღი, სატევარი, რკინის დანა და სხვ.) კრებულს წარმოადგენს და პარალელური მასალის გათვალისწინებით, სამაროვნის ზოგადი თარიღი ძვ.წ. IX-VII სს, უფრო ზუსტად ძვ.წ. VIII ს-ით განისაზღვრა [26, გვ. 67-69]. ამ სამარხებში ზემოთ ჩამოთვლილ ნივთთა შორის ბრინჯაოს მცირე ზომის ე. წ. პეპლისებური აბზინდები დადასტურდა, რომლებიც კოლხეთში უმთავრესად გავრცელებულია ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში [17, გვ. 50]; რკინის ცული და სატევარი, რომელთა მსგავსი ცალები გვხვდება მუხურჩას, პალურის, გორაძირის და სხვ. სამაროვნებზე და რომლებიც ასევე ძვ.წ. VII-VI სს. ეკუთვნის [25, გვ. 63]; თავჩახვეული კისრის რკალები, რომლებიც ძვ.წ. VIII-VI სს. კომპლექსებისთვის არის დამახასიათებელი [1, გვ. 53]; რკინის მრგვალგანივკვეთიანი, ერთწილადი ფიბულა, რომლებიც პარალელების მიხედვით დასავლეთ საქართველოს კომპლექსებში ძვ.წ. VII-VI სს-ზე ადრე არ ჩანს [17, გვ. 49], და საერთოდ, კურზუს ამ მასალაში მოხვედრილი ცალკეული ნივთების მიხედვით, შესაძლებლად მიგვაჩნია ზარაკიანი სამარხი ძვ.წ. VIII ს. მეორე ნახევრისა და ძვ.წ. VII ს. ადრეულად არ ჩავთვალოთ.

ასეთივე კონუსური ზარაკები ჩანს მუხურჩის სამაროვანზე (მარტვილის რ-ნი), სადაც არქეოლოგიური კომპლექსის ორი ჯგუფი გამოიყო; ადრეული (ძვ.წ. VIII-VII სს. პირველი ნახევარი) და გვიანდელი (ძვ.წ. VII ს. მეორე ნახევარი - VI ს.) [38, გვ. 33, სურ. $I_{99,21}$; 39, გვ. 29]. ამ ტიპის ზარაკები გვხვდება ორივე ფენაში და ერთ-ერთი უადრესია ერგეტასა და კურზუს ზარაკებთან ერთად.

მსგავსი ფორმის ზარაკები აღმოჩნდა ურეკის (ზუგდიდის რ-ნი), დღვაბის (ხობის რ-ნი) და ნიგვზიანის (ლანჩხუთის რ-ნი) სამაროვნებზე. აღნიშნული სამაროვნები ძვ.წ. VII-VI სს. კომპლექსებს შეიცავენ.

ურეკის სამაროვნებზე და საკულტო მოედანზე, სადაც უამრავი ნივთი აღმოჩნდა, მხოლოდ რამდენიმე ზარაკი დადასტურდა. ყველა მათგანი წაგრძელებული კონუსური ფორმისაა და მცირეოდენი ნიუანსებით განსხვავდებიან როგორც ერთმანეთისგან, ასევე ერგეტის, კურზუს და მუხურჩას ზარაკებისგან. ურეკის ყველაზე ადრეული № 3 სამარხი ორმოს ზარაკი კომპლექსის მიხედვით ძვ.წ. VII ს. მეორე ნახევრით თარიღდება [17, გვ. 90-91, ტაბ. XIII_{668}]. მსგავსი ზარაკის ფრაგმენტი ჩანს ურეკის საკულტო მოედანზეც, რომელიც ძვ.წ. VII-VI სს. მიეკუთვნის [17, გვ. 91, ტაბ. V_{418}]. ურეკის სამაროვნების გვიანი კომპლექსის № 1 ორმო სამარხი, სადაც ასევე ერთი, ოდნავ მომრგვალებული კონუსური ფორმის ზარაკი ჩანს, ძვ. წ. VI ს. ეკუთვნის [17, გვ. 91, ტაბ. VI_{460}].

ამ ტიპის ზარაკების პარალელები ჩანს: თლის სამაროვნის № 129 სამარხში, რომელიც გამთხრელის მიერ ძვ.წ. VII ს. მეორე ნახევრითა და VI ს. თარიღდებოდა [58, გვ. 231, სურ. II_{27}], შემდგომში კი ძვ.წ. VI ს. დასაწყისით გადათარიღდა [25, გვ. 70]; ყობანურ კულტურის ძეგლებზე (ე.წ. დასავლური ვარიანტი): გიჟგიდის აკლდამაში ძვ.წ. VIII-VII სს. ნივთებთან ერთად და ბელიკსკის სამაროვანზე [47, გვ. 41-42, ტაბ. XII_7]. მსგავსი ზარაკები ცნობილია აგრეთვე: სერჟენ-იურტის № 76 სამარხიდან (ყობანური კულტურის ე. წ. აღმოსავლური ვარიანტი), რომლის კომპლექსიც ძვ.წ. VII ს. შუა ხანებზე ადრეული არ უნდა იყოს [45, გვ. 42-43, ტაბ. XXIV_{50}]. ამიერკავკასიაში ამ ტიპის ზარაკები ცნობილია მინგეჩაურის სამაროვნის კომპლექსებიდან, რომლებიც ზოგადად ძვ.წ. XIII-VII სს. განეკუთვნებიან [33, ტაბ. XVIII_{1-8}].

I.1.1 (ტაბ. I, I_{4-5}). დამახასიათებელი ელემენტი: კორპუსი შემკულია გამჭოლი ტოლფერდა სამკუთხედებით ერთ ან ორ რიგად. ზომები: სიმაღლე 3-3.5 სმ.

ზარაკის ეს ფორმა I.1-ის ტიპიდან მომდინარეობს და ამ ტიპის ვარიანტს წარმოადგენს. განსხვავება მხოლოდ შემკულობაშია. ამგვარი ზარაკები აღმოჩნდა ერგეტის II სამაროვნის № 4 სამარხში - 2 ცალი. ამ სამარხის კომპლექსი ძვ.წ. VIII ს. მეორე ნახევრითა და VII ს. დასაწყისით თარიღდება [20, გვ. 3-9]. ამ ხანაში ამ ორნამენტით (გამჭოლი სამკუთხედები) შემკული ზარაკების აღმოჩენის პირველი შემთხვევაა საქართველოს ტერიტორიაზე. აღმოსავლეთ საქართველოს სამკუთხა ჭრილებით შემკული ზარაკები ქრონოლოგიურად მათგან მეტად დაშორებულია (ძვ.წ. IV- ახ.წ. I სს.). ჭრილების განლაგებითაც განსხვავებულია და პარალელად ვერ გამოდგება [იხ. 28, ტაბ. I, I_{7-14}].

ამ ტიპის ზარაკები ჩანს მინგეჩაურში (აზერბაიჯანი) და ფენა, სადაც ეს ზარაკები აღმოჩნდა, ზოგადად ძვ.წ. XIII-VII სს. თარიღდება [33, გვ. 81, ტაბ. $XVIII_{1-4,\ 8-10}$]. ჩრდილო კავკასიაში ამგვარი ზარაკი ცნობილია ყობანური კულტურის აღმოსავლეთ ვარიანტის ძეგლებზე: სერჟენ-იურტის 25 სამარხიდან და ზანდაკსკის (დაგბაშსკის) ქვაყუთიდან - 2. ეს სამარხები ძვ.წ. VIII-VII სს. განეკუთვნება [45, გვ. 42, ტაბ. XXIV, 46].

I.2 (ტაბ. I, I_6). დამახასიათებელი დეტალი: კორპუსზე ორი რელიეფური სარტყელი და მათ შორის მინიატურული სამკუთხა გამჭოლი ჭრილები. ზომები: სიმაღლე - 2,8 სმ.

მუხურჩის ქვედა ფენის სამარხში (ძვ.წ. VIII-VII სს.) გვხვდება კონუსური ზარაკი, რომლის მსგავსი კავკასიის ტერიტორიაზე არ ჩანს. შესაძლებელ პარალელად შეიძლება ჩავთვლით ნინევიის სასახლის რელიეფზე გამოსახული აშურბანიპალის ნადირობის სცენა, სადაც ცხენებს კისერზე მსგავსი ზარაკისმაგვარი(?) ნივთი აქვთ ჩამოკიდებული. რელიეფი ძვ.წ. VII ს. თარიღდება [34, გვ. 109].

I.3 (ტაბ. I, I_{12-13}). დამახასიათებელი დეტალი: წაგრძელებული კორპუსი; წაგრძელებული, გამოყვანილი ყელი; ყუნწი მრგვალი ან სამკუთხა. ყუნწის ქვემოთ ენის დასამაგრებელი ნახვრეტები აქვს. ენა რკინისაა. ზომები: 5,2; 5,8 სმ.

ამ ტიპის ზარაკები ჩანს მხოლოდ წითელი შუქურის ძვ.წ. VI-V სს-ით დათარიღებულ № 21 სამარხში [59, გვ. 205, ტაბ. VII $_{23,24}$; 42, გვ. 7]. ორივე ზარაკის კორპუსი თითქმის ერთნაირია; განსხვავებულია მხოლოდ ყუნწის ფორმით. ამ ზარაკების პარალელები ჯერჯერობით ვერ მოიძებნა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გამთხრელს მ. ტრაპშს ეს ნივთები მოხსენებული აქვს ხან ზარაკებად და ხანაც ზარაკის-მაგვარ საკიდებად [59, გვ. 186. 205].

I.4 (ტაბ. I, I_{14}). დამახასიათებელი ელემენტი: მომრგვალებული კორპუსი; კორპუსზე ენის დასამაგრებელი ნახვრეტებით; რკინისენიანი. ზომები: სიმაღლე 6,5-6,8 სმ; დმ 4,2-4,4 სმ.

ამ ტიპის ზარაკები ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ბრილის სამაროვნიდან. ზარაკიანი სამარხები ბრილის სამაროვანზე რამდენიმეა (1939 წელს გათხრილ 40 სამარხიდან - 3 სამარხი და სხვ.) და ისევე, როგორც ანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ზარაკიან სამარხთა უმრავლესობა, გამოირჩევა ინვენტარის მრავალფეროვნებით და მრავალრიცხოვნებით. მესამე ფენა, სადაც მსგავსი ზარაკიანი სამარხები აღმოჩნდა ზოგადად დათარიღებულია ძვ.წ. VI-IV სს-ით [5, გვ. 103]. ამ სამარხებისთვის დამახასიათებელია ერთგვაროვანი ნივთები; რკინის იარაღებიდან: ოთხწახნაგა, დაბრტყელებულყუიანი და ოვალურნახვრეტიანი ცულები, რომლებიც გავრცელებულია ამიერკავკასიის კომპლექსებში ძვ.წ. VII ს. მეორე ნახევრიდან და დასავლეთ საქართველოს კომპლექსებში კი ძვ.წ. VI-V სს. გვხვდება [2, გვ. 132]; რკინის აკინაკები, რომლებიც ოდნავ განსხვავებულია ამიერკავკასიის და ჩრდილო კავკასიის ამ იარაღისაგან [19, გვ. 66], რკინის დანები და სხვ. ამავე სამარხებში ხშირად ჩანს ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები, ელექტრუმის საყურეები, ბრინჯაოს საკისრე რგოლები, ცხოველთა ქანდაკებები და სხვ. ბრილის № 15 ზარაკიან სამარხში (1939 წლის გათხრები) აღმოჩენილი ელექტრუმის ორსხივიანი საყურე, რომელიც ე. წ. სხივანა საყურეების ჯგუფის სახეობას ეკუთვნის და ძვ.წ. VI-IV სს-ით თარიღდება [29, გვ. 21]. ასევე № 27 ზარაკიან სამარხში (1940 წლის გათხრები) დადასტურდა ერთსხივიანი საყურეები, რომლებიც დასავლეთ საქართველოსთვის იშვიათია და ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. V ს. კომპლექსებში გვხვდება (ციხიანა, მანგლისი, ყაზბეგი) [54, გვ. 68, ტაბ. 21_6; 7, გვ. 79, ტაბ. X_5, 27, გვ. 25-26]. ამ საყურის პარალელი ჩრდილოეთ კავკასიაში - რუთხის ძვ.წ. VII-V სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში ჩანს [44, სურ. 37_{43}]. ამავე სამარხს ეკუთვნის რომბისებურზურგიანი საკისრე რგოლები, რომლებიც მსგავსია კოლხური რომბისებური დიადემების, რომლებიც ძვ.წ. V-IV სს-შია გავრცელებული [15, გვ. 79].

ამრიგად, მომრგვალებური კონუსური ფორმის ბრილის ზარაკიანი კომპლექსები რკინის იარაღით (ცულები, დანები, აკინაკი და სხვ.) და სამკაულით ("სხივანა" საყურეები, გრეხილი, სადა და რომბისებურზურგიანი საკისრე რგოლები, პასტის მძივები, ქანდაკებები), ამ კომპლექსების ძვ.წ. VI-V სს. ან უფრო კონკრეტულად, ძვ.წ. V ს-ით დათარიღების შესაძლებლობას იძლევა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბრილის სამარხებში ზარაკები გვხვდება როგორც დამოუკიდებელი საკულტო-სარიტუალო ნივთი.

ზარაკის ეს ტიპი გავრცელებულია ჩრდილო კავკასიის კომპლექსებში. ის გვხვდება კრასნოდარის მხარის სტანიცა ტემიუბიკსკის მახლობლად გათხრილ ყორღანში (2 ცალი). ყორღანი მდიდრული იყო და ამასთანავე, მასში აღმოჩენილი ნივთების მიხედვით (გრიფონის გამოსახულებიანი თასები და სხვ.) - საკულტო დანიშნულების. კომპლექსი ძვ.წ. IV ს. თარიღდება [31, გვ. 22-23]. ასევე ცნობილია მსგავსი ზარაკები დომბაიდან და კიჩ-მალკედან (ყაბარდო-ჩერქეზეთი). ზოგიერთი მათგანი გვერდშეჭრილია. ზარაკები კომპლექსების მიხედვით ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდება [45, გვ. 42, ტაბ. $XII_{2,4}$]. ასეთივე ზარაკები ჩანს პ. უვაროვას კოლექციაში [60, ტაბ. XXXXVI_6], დნეპრისპირეთში, სოფ. ვოლკოვცის ყორღანში (მხოლოდ სამკუთხა ჭრილებით შემკული), რომელიც ძვ.წ. VI -V სს. თარიღდება [35, გვ. 42, ტაბ. 22 $_{10-11}$; 36, გვ. 132, ტაბ. 23 $_{269}$]. მსგავსი ფორმის, მაგრამ ოთხკუთხა ჭრილებით, რელიეფური ხაზებითა და არგიშთი I-ის ლურსმნული წარწერით შემკული მასიური ზარაკები როგორც ცხენის აკაზმულობის ნაწილი, აღმოჩნდა ძვ.წ. VIII ს-ით დათარიღებულ ე. წ. ალიშარის კომპლექსში (ირანი) [56, გვ. 7, სურ. 3]. ამ ტიპის ზარაკი ჩანს კუნძულ სამოსთან, ჰერაიონში აღმოჩენილ ბრინჯაოს ნივთებთან ერთად, რომელიც კავკასიური წარმოების ნაწარმად არის მიჩნეული [63, გვ. 82, ტაბ. 79_{493}], და ბოლოს, პერსეპოლისში - ნაუშე-როსიამის კლდეზე ამოკვეთილ რელიეფზე ბაქტრიის ხარკის მიღების პროცესიაა გამოსახული, სადაც აქლემს იდენტური ზარაკი ჰკიდია ყელზე. პერსეპოლის ეს რელიეფი ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდება [64, ტაბ. XXXI].

I.5 (ტაბ. I, I_{15}). დამახასიათებელი ელემენტი: კორპუსი წაკვეთილკონუსური, თითქმის ცილინდრული; მომრგვალებულ თავში გამოყვანილი ოვალური ყუნწით. კორპუსის ძირი გამოყოფილია და შემკულია ნაჭდევებით. ზომები: სიმაღლე 3,5 სმ.

ამ ტიპის ზარაკი ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი ცალი ჩანს ბომბორის განძში [48, გვ. 240; ტაბ. XXIV_7]. ბ. კუფტინი ბომბორის განძის ზოგიერთ ნივთს და მათ შორის ზარაკს, მიიჩნევს ყაზბეგის განძის ზოგიერთი ნივთის პარალელად [48, გვ. 245-247]. ზუსტი ანალოგი ამ ზარაკისა არ ჩანს.

I.6 (ტაბ. I, I_{16-19}) დამახასიათებელი ელემენტი: მოკლე, გვერდშეჭრილი კორპუსი; გამოყვანილი ყელი, მასიური, მრგვალი ან ოვალური ყუნწი. ენა რკინისაა; კორპუსის ძირი ხშირად შემკულია ჩაღარული სადა ან ტალღური სარტყლებით. ზომები: სიმაღლე 1,7-2,5; დმ. 1,0 სმ.

ამ ტიპის ზარაკები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება იაშთხვას, სოხუმის მთის, გუადიხუს და ურეკის სამაროვნებზე. გარკვეულ ხანაში (ძვ.წ. VI-V სს.) ზარაკის ეს ტიპი დამახასიათებელი ჩანს ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოსთვის.

მსგავსი ზარაკები იაშთხვას სამარხებიდან 8 ცალი არის ცნობილი. ზოგი მათგანი შემკულია ორი ამოღარული სარტყლით. იაშთხვას ზარაკიანი სამარხები ძირითადად სამკაულებს (გველისთავებიანი სამაჯურები, რომბისებურზურგიანი ბრინჯაოს ფიბულები, საკიდები, ქარვის მძივები და სხვ.) შეიცავს. იაშთხვას ამ ნივთებსა და გუადიხუს ზოგიერთი სამარხის ნივთების პარალელებისა და ქრონოლოგიური სიახლოვის შედეგად, იაშთხვას ზარაკიანი კომპლექსების რეალურ თარიღად ძვ.წ. V ს. მიჩნეული [15, გვ. 79, ტაბ. $28_{,3,4}$]. ამ ტიპის ზარაკი (1 ც.) აღმოჩნდა სოხუმის მთის კრემაციულ სამარხთა სიახლოვეს თხრილის კულტურულ ფენაში. სოხუმის მთის კომპლექსები ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება გამთხრელის ალ. კალანდაძის მიერ [10, გვ. 53-54, ტაბ. VII 3]; შემდგომში ეს სამარხები ძვ.წ. VI-V სს გადათარიღდა [42, გვ. 7-8]. სოხუმის მთის ნივთების გარკვეული ქრონოლოგიური სიახლოვე იაშთხვას ზოგიერთ ნივთთან (მაგ. სოხუმის მთის ბრინჯაოს სამაჯურისა და იაშთხვას ქამრის ორნამენტი, ერთი მხატვრული სტილის მატარებელია) [15, გვ. 77], შესაძლებელს ხდის ამ ტიპის ზარაკების გავრცელების ქრონოლოგიური თარიღი VI-V სს. ან სულაც ძვ.წ. V ს. ვივარაუდოთ.

ამ ტიპის ზარაკები გუადიხუს ოთხ სამარხში (№№ 3, 9, 21, 24) დადასტურდა. ყველა ეს ზარაკი ერთი ზომისაა (სიმაღლე 2,5 სმ) და მათი კორპუსის ძირი შემკულია ჩაღარული ტალღისებური სარტყლებით. სოხუმის მთისა და იაშთხვას მსგავს ცალებისაგან განსხვავებით, ამ ზარაკებს კორპუსზე ორ-ორი ნახვრეტი აქვთ. ზარაკები ჩამოკიდებული იყო ძეწკვზე და გამთხრელის აზრით, წარმოადგენდა ამულეტებს ან სამკაულს, რომელიც მიმაგრებული იყო ქამრის ან ტანსაცმლის ნაწილებთან [59, გვ. 2, 29, 37, 40, 74, ტაბ. IV_6]. გუადიხუს ეს ე. წ. უფროსი ჯგუფის სამარხები გადათარიღების შედეგად ძვ.წ. VI-V სს. მიეკუთვნა [42, გვ. 7]. ამგვარივე ზარაკები აღმოჩნდა აგრეთვე ურეკის დანგრეულ სამარხებში, რომლებიც სამაროვნის გვიან კომპლექსებად მოიაზრებიან. ურეკის სამაროვნის სრულიად დაცული გვიანი კომპლექსი (1) რკინის აკინაკით ძვ.წ. VI ს. თარიღდება [17, გვ. 91, ტაბ. XXX_8]. ეს ზარაკებიც, ალბათ ძვ.წ. VI-V სს. ეკუთვნის.

აღმოსავლეთ საქართველოში მსგავსი ზარაკის აღმოჩენის 2 შემთხვევაა. ერთი მათგანი ფორმით თითქოს მსგავსია, მაგრამ უფრო მასიურია და წაგრძელებული (ბაზალეთი). ეს ზარაკები აღმოსავლეთ საქართველოში გვიან

ძვ.წ. IV-III სს. კომპლექსებში ჩანს [28, გვ. 20, ტაბ. I, I_{5-6}].

ამ ტიპის ზარაკი ჩრდილო კავკასიაში არ გვხვდება. ერთადერთი შემთხვევაა ყობანის კულტურის ძეგლი, რომელიც ძვ.წ. VI-V სს. თარიღდება [53, სურ. 39].

I.7 (ტაბ. $I.I_{20}$). დამახასიათებელი ელემენტი: კორპუსზე ერთი გამჭოლი სამკუთხა ჭრილი. სიმაღლე 2,5 სმ, დმ 1,0 სმ.

ამ ტიპის 2 თუ 3 ცალი ზარაკი აღმოჩნდა მხოლოდ ერთ სამაროვანზე - ცხეთაში (ცაგერის რ-ნი) და გამთხრელმა ის მიაკუთვნა ელინისტურ ხანას [23, გვ. 54, ტაბ. XXIX_{162}]. მსგავსი ზარაკები აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს სამ ძეგლზე: ახალგორის განძში, ციხიაგორაზე და ტახტიძირის კომპლექსებში, რომლებიც ზოგადად, ძვ.წ. IV-III სს. თარიღდებიან; ამ ზარაკების არსებობის კონკრეტულ თარიღად ძვ.წ. III ს. მიგვაჩნია [28, გვ. 20-21, ტაბ. I, I_{7-8}].

I.8 (ტაბ. $I.I_{21-22}$). დამახასიათებელი ელემენტი: სამკუთხა ფორმის ყუნწი. კორპუსი შემკულია ორ რიგად განლაგებული გამჭოლი ტოლფერდა სამკუხედების ჭრილით. ზომები: სიმაღლე 2,1-3,5 სმ; დმ 1,5-1,7 სმ.

ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტიპის მხოლოდ 2 ზარაკი დადასტურდა ბრილის სამაროვანზე და ბორში.

ბრილის № 27 სამარხში (1939 წლის გათხრები) გარდა ამ ზარაკისა, აღმოჩნდა ბრინჯაოს ფიგურული ბალთა, ორწილადი ფიბულა, ვერცხლის ნახევარსფერული ღილი და მძივები (მათ შორის მინის პირამიდისებური, რომელიც სამთავროსა და არმაზისხევში ახ.წ-ის სამარხებში ჩანს. ბრინჯაოს ბალთისა და სამარხეული ინვენტარის ანალიზის საფუძველზე, კომპლექსი გამთხრელმა გ. გობეჯიშვილმა ძვ.წ. I - ახ.წ. I სს. მიაკუთვნა [6, გვ. 197].

ამგვარივე ზარაკი ჩანს ბორის კომპლექსში, რომელიც ძვ.წ. I - ახ.წ. I სს. თარიღდება [57, გვ. 94-110, ტაბ. VI_{28}].

ზარაკის ეს ტიპი გავრცელებულია ანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. I - ახ. წ. I სს-ის ძეგლებზე: "რიჟიანების ველი", დიდუბე", „საყარაულო სერი" და სხვ. [28, გვ. 28, ტაბ. I, I_{11-14}]. ანალოგიური ზარაკები ცნობილია ცენტრალური კავკასიის ძვ.წ. I - ახ.წ. I სს. გვიანყობანურ კულტურის ძეგლებზე [30, ტაბ. XI_{53}] და სომხეთში, გარნის ძვ.წ. I - ახ.წ. I სს. სამარხებში [32, გვ. 48, სურ. 38].

სანამ II ჯგუფის ზარაკების განხილვაზე გადავიდოდეთ, აღვნიშნავთ, რომ ერგეტის, მუხურჩის და ურეკის სამაროვნები ე.წ. საკულტო სამარხ მოედნებს წარმოადგენენ. ამ სამარხი ორმოების კომპლექსებში არ ჩანს ცხენის აკაზმულობის ატრიბუტები (მხოლოდ ერთი ლაგამია მუხურჩის ქვედა ფენაში). სამაგიეროდ, ეს დასაკრძალავი მოედნები დატვირთულია საკულტო თუ საკრალური ნივთებით. მათ შორის ბრინჯაოს ანთროპომორფული და ზოომორფული ქანდაკებებით და სხვა საკულტო ფუნქციის მატარებელი ნივთებით. ე.ი. აქ, ზარაკები გვხვდება თავიდანვე საკრალური ფუნქციის მატარებელ ნივთად, რომელიც ანტიკური სამყაროს კულტმსახურებასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს ასახავს.

II ჯგუფი (ტაბ. I, II_{1-19}). ზარაკი ბრინჯაოსი; კორპუსი ცილინდრულია, გვერდი შეჭრილი აქვს; ყუნწი სამკუთხაა; ყუნწის ძირში ენის დასამაგრებელი ნახვრეტია; ენა რკინისაა; კორპუსი სადა და ორნამენტირებულია.

დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე ამ ჯგუფის ზარაკების გავრცელების ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ.წ. VIII-VII სს-დან ძვ.წ. IV-III სს-ით შემოიფარგლება. ზარაკის ეს ფორმა მთელი ამ ხნის განმავლობაში ცვლილებას არ განიცდის. აღმოსავლეთ საქართველოს ამ ტიპის ზარაკებისგან განსხვავებით, რომელთა ყუნწის ფორმა ქრონოლოგიურ სხვაობას იძლევა, დასავლეთ საქართველოს ეს ზარაკები მთელი არსებობის მანძილზე ყუნწის მხოლოდ ერთ ფორმას ინარჩუნებს. მხოლოდ ზარაკის ზომები გვაძლევს იმ ცვლილებებს, რომლებიც ქრონოლოგიური დიფერენციაციის საშუალებას იძლევა. ადრეულ ხანაში (ძვ.წ. VIII-VII სს.) ეს ზარაკები მასიურია (სიმაღლე 2,5-12 სმ), შემდგომში ზომები კლებულობს და ძვ.წ. IV-III სს. მინიატურული ხდება (სიმაღლე 1, 5-2,5 სმ). ამ ჯგუფის ზარაკებისათვის დამახასიათებელია ფორმისა და დეტალების ერთგვაროვნება და შემკულობის სხვადასხვა სახეები: რელიეფური თუ ჩაღარული ვერტიკალური ხაზები, წიწვოვანი ვერტიკალური ხაზები და რელიეფური გამოსახულებები. ამგვარად, ამ ზარაკების შემკულობა მრავალფეროვანია და შეიძლება ითქვას, შემკულობის გარეშე თითქმის არ გვხვდება.

ამ ზარაკებში გამოიყო ორი ტიპი.

II.1 (ტაბ. I, II_{1-10}). კორპუსი და ყუნწი მასიურია; გვერდი შეჭრილი; ყუნწი სამკუთხა; კორპუსი ორნამენტირებულია. ზომები: სიმაღლე 3,5-12,3 სმ.

ამ ტიპის ზარაკები დასავლეთ საქართველოს სამაროვნებზე ჩნდება კონუსურ ზარაკებთან ერთად ძვ.წ. VIII ს. მეორე ნახევარი - ძვ.წ. VII ს. დასაწყისიდან და არსებობას აგრძელებს ძვ.წ. V ს-მდე. ამ ზარაკებისთვის დამახასიათებელია შემკულობის სხვადასხვა სახეები: ვერტიკალური რელიეფური ხაზები, წიწვოვანი ორნამენტი და არწივის გამოსახულება.

ამგვარი ზარაკის აღმოჩენის პირველი შემთხვევა ჩანს მუხურჩის სამაროვანზე, რომელიც ორფენოვან ძეგლს (ძვ.წ. VIII ს. მეორე ნახევარი - VII სს; ძვ.წ. VII-VI სს.) (39, გვ. 61) წარმოადგენს და ორივე ფენაში გვხვდება ცილინდრული ზარაკები. ქვედა ფენის ზარაკის სამკუთხა ყუნწი მცირე ზომისაა, ყუნწის ძირთან მოკლე ირიბი შტრიხები დაუყვება (ტაბ. I,II_1), ხოლო ძვ.წ. VII-VI სს-ის უკვე ტიპიური, ცილინდრული, ფართო სამკუთხა ყურიანი და წიწვოვანი ხაზებით შემკული ზარაკია [39, გვ. 36, სურ. 1, 104, 31; ტაბ. I, II_2]. მუხურჩის ქვედა ფენაში (ძვ.წ. VIII-VII სს.) ზარაკებთან ერთად ჩანს ცხენის ლაგამი; ხოლო ძვ.წ. VII-VI სს. ზარაკებთან ეს აკაზმულობა არ გვხვდება.

ცხენის ჩონჩხთან და ცხენის ლაგამთან ერთად აღმოჩნდა ამ ტიპის 9 ზარაკი ძვ.წ. VI ს. მესამე მეოთხედით დათარიღებულ ეშერის სამარხში (ტაბ. I, II_3) ამ ზარაკების ზომა სხვადასხვაა (სიმაღლე 5,5-9 სმ). ყველა შემკულია წიწვოვანი ორნამენტით. გამთხრელის აზრით, ეს ზარაკები ცხენის აკაზმულობის დეტალებს - კისრისა და თავის მოსართავს წარმოადგენენ [62, გვ. 34, სურ. 1_{4-11}].

ასევე ცხენის ჩონჩხთან და ცხენის ლაგამთან აღმოჩნდა ამ ტიპის ზარაკი (სიმაღლე 5.5 სმ) წითელი შუქურის № 8 სამარხში (ტაბ. I, II_4) ზარაკზე გამოსახულია ფრთაგაშლილი ორთავიანი არწივი და წიწვოვანი ვერტიკალური ხაზები [59, გვ. 82, 90, ტაბ. XXII_5]. სამარხის ეს ატრიბუტიკა მიგვანიშნებს, რომ ზარაკი ცხენის აღკაზმულობის დეტალი იყო. ზარაკის გამოსახულება კი მიგვანიშნებს, რომ მას გარკვეული სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა - ავი თვალისაგან თავდასაცავი ამულეტის [37, გვ. 222, 229]. წითელი შუქურის ეს სამარხი ე.წ. უფროსი ჯგუფის სამარხებშია მოქცეული და ძვ.წ. VIII-VI სს. იყო დათარიღებული [59, გვ. 90]. შემდგომში ეს სამარხი ძვ.წ. VII-VI სს. მიეკუთვნა [42, გვ. 5]. იგივე სამარხის თარიღი ძვ.წ. VI-IV სს-აც განისაზღვრა [49, გვ. 348]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ № 8 სამარხის ლაგამს მ. ტრაპში ათენის ნეკროპოლის ძვ.წ. VI ს-ით დათარიღებულ ლაგმის პარალელად თვლის [59, გვ. 185]. ასევე, ეს ლაგამი მიეკუთვნება ე.წ. ცხავათითხვისის ლაგმების ტიპს, რომელიც ძვ.წ. VI-V სს. თარიღდება [24, გვ. 125-126]. ამრიგად, წითელი შუქურის № 8 ე.წ. ცხენის სამარხი ლაგმითა და ზარაკით, შესაძლებელია ძვ.წ. VI-V სს. მივაკუთვნოთ.

ძვ.წ. VI-V სს-ში ამ ტიპის ზარაკების რიცხვი მატულობს. ამასთანავე, მათი ზომები თანდათან კლებულობს. მსგავსი ზარაკები აღმოჩნდა: სოხუმის მთაზე, გუადიხუში, ბრილში და სხვ.

სოხუმის მთის ზარაკიც (სიმაღლე 5,5 სმ) არწივის გამოსახულებითა და წიწვოვანი ორნამენტით არის შემკული (ტაბ. I, II_5). ის აღმოჩნდა კრემაციული სამარხების მახლობლად მდებარე კულტურულ ფენაში. ზარაკი ჩამოკიდებული იყო ღერაკის კაუზე. ღერაკიც კონცენტრული წრეებით, განივი ნაჭდევი ხაზებით და წიწვოვანი სახეებით არის დაფარული [10, გვ. 53, სურ. 23]. ამ ფენის ნივთები ჯერ ძვ.წ. VII-VI სს., ხოლო შემდგომში ძვ.წ. VI-V სს. მიეკუთვნა [10, გვ. 53; 42, გვ. 7].

კიდევ ერთი მსგავსი ზარაკი არწივისა და წიწვოვანი ორნამენტის გამოსახულებით აღმოჩნდა ბრილის სამაროვნის № 29 სამარხში (1950 წლის გათხრები). სამარხი ძვ.წ. VI-IV სს-ით დათარიღებულ ფენაში დადასტურდა [5, გვ. 103]. გარდა ზარაკისა, სამარხში აღმოჩნდა: რკინის აკინაკი, დანა, წერაქვი-ცული, თევზიფხური ორნამენტით შემკული ფიბულა, ვერცხლის "ოთხსხივანა" საყურე და სხვა ისეთი ნივთები, რომლებიც ძვ.წ. VI-IV სს. კომპლექსებში გვხვდება. შესაძლებლად მიგვაჩნია, სამარხის თარიღი ძვ.წ. VI-V სს. განისაზღვროს.

ამრიგად, არწივის გამოსახულებიანი ზარაკის აღმოჩენის სამი შემთხვევა დადასტურდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (წითელი შუქურა, სოხუმის მთა, ბრილი). ყველა ეს ზარაკი ერთი ფორმისაა (ცილინდრული, გვერდშეჭრილი). ყველას, არწივის გამოსახულებასთან ერთად, წიწვოვანი ორნამენტიც დაუყვება. ზომებითაც თითქმის ერთნაირია (სიმაღლე 5,5 სმ). ყველა მათგანი გამოსახულების დამუშავების ტექნიკით, სტილისტურად, ერთი კულტურული ფენის, ერთი მხატვრული სტილის თუ მხატვრული ფენომენის ნიმუშია და მიგვაჩნია, რომ ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფს (ძვ.წ. VI-V სს.) უნდა ეკუთვნოდეს.

ძვ. წ. VI-V სს. თარიღდება გუადიხუს № 22 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ორნამენტული წაგრძელებულ ფირფიტაზე ჩამოკიდებული ამ ტიპის ზარაკი (სიმაღლე 3,5 სმ) [59, გვ. 38, 78, ტაბ. IV_7; 42, გვ. 7] (ტაბ. I, II_6).

იგივე ზომის (სიმაღლე 3,5 სმ) მსგავსი ზარაკი, შემკული წიწვოვანი ხის საკმაოდ რეალისტური და ორიგინალური გამოსახულებით აღმოჩნდა იაშთხვას № 1 სამარხში, რომელიც მყარად თარიღდება ძვ.წ. V ს-ით [15, გვ. 74, ტ. 28 $_2$] (ტაბ. I, II_7).

ამ ტიპის ზარაკები ჩანს საირხეში და მთისძირში. საირხის № 5 სამარხში აღმოჩენილი ორი მასიური ზარაკი (სიმაღლე 11,3-12,3 სმ) ცხენს ჰქონდა ყელზე შებმული (ტაბ. I, II_8). ერთი ზარაკი წიწვოვანი ორნამენტით იყო შემკული. სამარხში ხუთი ცხენის ჩონჩხი აღმოჩნდა და მდიდრული ინვენტარით გამოირჩეოდა (ოქროს ყელსაბამი, საყურეები; ვერცხლის სამაჯურები, საკიდები, ცხენის აკაზმულობა და სხვ.) და თარიღდება ძვ.წ. V ს. [18, გვ. 36, ტაბ. $XXVII_{1,2}$].

საინტერესოა ამ ტიპის მთისძირის ზარაკის (სიმაღლე 5,6 სმ) აღმოჩენის ფაქტი (ტაბ. I, II_9). ეს არის ის იშვიათი შემთხვევა, როდესაც ზარაკი ნამოსახლარის ნაგებობაში დაფიქსირდა. არქეოლოგ გ. გამყრელიძის კომენტარით, ეს იმის დადასტურებაა, რომ მას იყენებდნენ არა მარტო დაკრძალვის რიტუალში, არამედ ყოფითი რიტუალისთვისაც. შესაძლოა, ეს ზარაკი შტანდარიტის დეტალს და წარჩინებული პირის ინსიგნიასაც წარმოადგენდეს. ფენა, რომელშიც ზარაკი აღმოჩნდა ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [2, გვ. 68, სურ. 24].

ამ ტიპის წიწვოვანი ორნამენტით შემკული ზარაკის აღმოჩენის ყველაზე გვიანდელი შემთხვევა ნამარნუს II კულტურული ფენაა (ტაბ. I, II_{10}); ნამარნუს ზედაპირულად ანაკრეფი ეს მასალა ზოგადად ელინისტური ხანით განისაზღვრა. თუმცა აღნიშნულია, რომ ძეგლის ზოგიერთ ნაწილში ეს ფენა სტრატიგრაფიულად ერწყმის ადრეანტიკური ხანის ფენას [22, გვ. 47; 51, ტაბ. XXVIII_{9-11}]. შესაძლოა ეს ზარაკებიც უფრო ადრეული იყოს.

მსგავსი, დიდი ზომის ცილინდრული ზარაკები, სადა ან წიწვოვანი ორნამენტით შემკული დამახასიათებელია აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. VIII-VII სს. კომპლექსებისათვის სხვადასხვა დეტალების ცვლილებით (ყუნწის ფორმა, შემკულობა და სხვ.). ასეთი ზარაკები აღმოჩნდა: რკინის კალოში, ნაცარგორაზე, ციხიანში, ნარეკვავში, ყაზბეგში და სხვ. [28, გვ. 22-23, ტაბ. I, II_{1-10}]. ასეთივე მასიური, წიწვოვანი ორნამენტით შემკული ზარაკები ცნობილია კარმირ-ბლურში, რომლებიც ცხენის აღკაზმულობის ნივთებს წარმოადგენს და თარიღდება ძვ.წ. VIII ს. [55, გვ. 43-44, სურ. 35]. ჩრდილო ოსეთში, სოფ. კუმბულთაში სხვა ყობანურ ნივთებთან ერთად (ბალთა, სატევარი, საკიდები) მსგავსი, მასიური, წიწვოვანი ორნამენტებით შემკული ზარაკი აღმოჩნდა. კომპლექსი ძვ.წ. VII ს. დასაწყისით თარიღდება [44, გვ. 14, სურ. 3]. ასეთივე ზარაკი ჩანს ჩეგემის ხეობაში (ჩრდ. ოსეთი) [51, ტაბ. XXI_{12}].

I.2 (ტაბ. I, II_{11-18}). დამახასიათებელი ელემენტი: მცირე ზომები (სიმაღლე 1,9-2,5 სმ); სადა ან გოფრირებული კორპუსი; რკინის ან ბრინჯაოს ენა.

ამ ტიპის ზარაკები ტიპოლოგიურად მომდინარეობენ დიდი ზომის ცილინდრული, გვერდშეჭრილი ზარაკებისაგან, იმეორებენ მის ფორმებს და ფაქტიურად, დიდი ზომის ცილინდრული ზარაკების მცირე ვარიანტს წარმოადგენენ. ზომების მიხედვით, ხშირად მათ "მინიატურულ" ზარაკებსაც უწოდებენ (ბ. კუფტინი, ნ. ხოშტარია, ნ. ვაშაკიძე და სხვ.). დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამგვარი ზარაკები დამახასიათებელია ძირითადად ძვ.წ. IV-III სს. ანტიკურ ძეგლებზე და აღარ გვხვდება ძვ.წ. III ს-ის შემდეგ.

მსგავსი ზარაკების აღმოჩენის ყველაზე ადრეული და ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვაქვს ძვ.წ. V ს-ით დათარიღებულ ფიჭვნარის (ქობულეთის რ-ნი) ბერძნულ სამაროვანზე, № 4 სამარხში [12, გვ. 65, ტაბ. XX_{13} (ტაბ. I, II 11)]. საყურადღებოა, რომ ეს არის ამ ზარაკის აღმოჩენის არა მხოლოდ ადრეული, არამედ ის იშვიათი შემთხვევაც, როდესაც ამ ტიპის ზარაკი ჩანს არაადგილობრივ, არამედ ბერძნულ სამაროვანზე. აქვე შევნიშნავთ, რომ ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს. ბერძნულ სამაროვანზე ზარაკები საერთოდ არ ჩანს [11, გვ. 49-93] ფიჭვნარის № 4 სამარხის კომპლექსში გარდა ზარაკებისა (2 ცალი) აღმოჩნდა ადგილობრივ დამზადებული ყურმილიანი დოქი და კოჭობი, რომლებიც ვანში გვხვდება ძვ.წ. IV ს. მესამე მეოთხედის კომპლექსებში, ზოგადად კი გავრცელებულია ძვ.წ. VI-IV სს-ში [16, გვ. 31, 34]; წითელფიგურული ლეკითოსი, რომელიც ხშირად გვხვდება ანტიკურ სამყაროში ძვ.წ. IV ს-ში [12, გვ. 67], რკინის სამაჯურები, ქარვის მძივები და სხვ. შესაძლოა, ეს სამარხი სამაროვნის ყველაზე გვიანდელ კომპლექსს წარმოადგენდეს.

ძვ.წ. IV-III სს. უკვე მასიურად ჩანს ეს მინიატურული ზარაკები შემდეგ სამაროვნებზე: ვანის, დაფნარის, დაბლაგომის, ზემოფარცხმის, ფიჭვნარის და სხვ. ელენისტური ხანის ქვევრსამარხების (გარდა ერთი-ორი სამარხი-ორმოსი) კომპლექსებში.

დაფნარის (სამტრედიის რ-ნი) 36 ქვევრსამარხიდან მხოლოდ ერთ სამარხში (№ 31) აღმოჩნდა 8 ცალი ბრინჯაოსი და 1 ვერცხლის ზარაკი. გამთხრელის მიერ კომპლექსი ძვ.წ. IV ს. დათარიღდა [43, გვ. 54, ტაბ. XVI], შემდგომში ამ სამარხის სხვა თარიღიც გაჩნდა - ძვ.წ. IV-III სს. მიჯნა [9, გვ. 22]. დაფნარის ეს ზარაკები ნ. კილურაძეს ყელსაბამ-ამულეტად მიაჩნია, რომელიც ასხმული იყო შვლის ფალანგებთან ერთად და "ავი სულისაგან" დამცველის ფუნქციას ასრულებდა [43, გვ. 55].

ასევე, ძვ.წ. IV-III სს. თარიღდება ფიჭვნარის სამაროვნის ზარაკები (6 ცალი - 22 სამარხიდან), სადაც ადგილობრივი და იმპორტული კერამიკა დადატურდა. ფიჭვნარის ზარაკები ზოგი სადა იყო, ზოგიც გოფრირებული [13, ტაბ. III_7, VIII_4, XIII_5].

ზემო ფარცხმის ქვევრსამარხების ზარაკიანი კომპლექსები ძვ.წ. IV-III სს. დათარიღდა [8, გვ. 94, ტაბ. XIX_9]; თუმცა, შემდგომში ზარაკიანი კომპლექსების თარიღი ძვ. წ. III ს. მეორე ნახევრით განისაზღვრა [9, გვ. 30]. ასევე შეიძლება ეს სამარხი დათარიღდეს სამაჯურების მიხედვით [40, გვ. 40, 64].

მინიატურული ზარაკები ჩანს ვანშიც, ძვ.წ. IV ს. მიწურულსა და III სს. ქვევრსამარხებში; 18 ცალი ზარაკი აღმოჩნდა ვანის № 3 ქვევრსამარხში. ამ ზარაკების ენა ბრინჯაოსია (იშვიათი შემთხვევა!). ნ. ხოშტარიას აზრით, ზარაკებს ატარებდნენ როგორც ყელსაბამს და მათ აპოტროპიული მნიშვნელობა ჰქონდათ [61, გვ. 120, სურ. 194]. ოთხი ცალი ამ ტიპის ზარაკი აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასის ელინისტურ ფენაში და ასევე 4 ცალი ამ ტიპისა აღმოჩნდა ვანის № 17 სამარხში [4, გვ. 46; 14, გვ. 32-33, სურ. 17_{13}]; 11 ცალი ამ ტიპის ზარაკი აღმოჩნდა დაბლაგომის (სამტრედიის რ-ნი) 13 ქვევრსამარხში. დაბლაგომის ეს კომპლექსი ძვ.წ. VI-III სს-ით თარიღდებოდა [48, გვ. 75]; შემდგომში დაბლაგომის კომპლექსების და მათ შორის ამ სამარხის თარიღი დაზუსტდა და ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრითა და III ს. განისაზღვრა [9, გვ. 57, 64]. დაბლაგომის ამ სამარხის თარიღს ამაგრებს იქ აღმოჩენილი დრაკონისთავიანი სამაჯურები რის საფუძველზეც სამარხი საბოლოოდ ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევარს მიეკუთვნა [40, გვ. 25, 49].

შედარებით გვიანდელია ფარცხანაყანევის (წყალტუბოს რ-ნი) ქვევრსამარხების კომპლექსები, სადაც 25 ზარაკი აღმოჩნდა და მათი თარიღი ძვ.წ. III ან III ს. მეორე ნახევრით განისაზღვრა [41, გვ. 329; 9, გვ. 31].

ჩვენ აღარ შევჩერდებით დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტებიდან მომდინარე ზარაკიან სამარხებზე, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სამაროვნები, სადაც მინიატურული ზარაკები აღმოჩნდა (ითხვისი, ლარილარი და სხვ.) ძვ.წ. IV-III სს. მიეკუთვნებიან და მათი გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები ამ თარიღით განისაზღვრება.

ამ ტიპის მინიატურული ზარაკების ზუსტი ანალოგები შედარებით იშვიათია ჩრდილო კავკასიაში და თითქმის არ გვხვდება სომხეთსა და

აზერბაიჯანში. ჩრდილო კავკასიაში მსგავსი ზარაკები ერთეულ ძეგლებზე ჩანს: დომბაის (ყაბარდო-ჩერქეზეთი) ქვაყუთში - 35 ც., კარასის VIII სამარხში და სვინაძის კოლექციაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ზარაკები საქართველოს მინიატურულ ზარაკებთან შედარებით ზომებით დიდია - 3-4 სმ [47, გვ. 42]. ამგვარივე ზარაკები გვხვდება ძვ.წ. VI-III სს. ცენტრალური კავკასიის გვიანყობანურ ძეგლებზე [30, გვ. 203, ტაბ. XI $_{35}$].

ასეთია, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ზარაკების შესწავლის შედეგები.

ლიტერატურა:

1. **ბარამიძე მ.** მერხეულის სამაროვანი, თბ., 1977.
2. **გამყრელიძე გ.** ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები (სოფ. მთისძირი), თბ., 1982.
3. **გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ.** ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, თბ., 2005.
4. **გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ფირცხალავა მ., ფუთურიძე რ., ჭყონია ა.** ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1970-1977 წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კატალოგი. ვანი, IV, თბ., 1979, გვ. 41-114.
5. **გობეჯიშვილი გ.** არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952.
6. **გობეჯიშვილი გ.** ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები. ისტორიის მეცნ., კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1942.
7. **დავლიანიძე ც.** ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში.
8. **ვაშაკიძე ნ.** ზემოფარცხმის სამაროვანი, სდსძ, XIII, თბ., 1985, გვ. 23-116.
9. **თოლორდავა ვ.** არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში (1970-1971 წლებში), ვანი II, 1976, გვ. 48-67.
10. **კალანდაძე ალ.** სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954.
11. **კახიძე ა.** ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს. სამაროვნის არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, სდსძ, IV, თბ., 1974, გვ. 49-93.
12. **კახიძე ა.** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები (ფიჭვნარის ბერძნული სამაროვანი). ბათუმი, 1975.
13. **კახიძე ა.** არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1965 წ., სდსძ, X, 1981, გვ. 37-57.
14. **კაჭარავა დ., მჟავანაძე ზ.** ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში, ვანი, VII, თბ., 1986, გვ. 9-33.
15. **კვირკველია გ.** იაშთხვას ადრეანტიკური ხანის სამარხები. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ., 1978, გვ. 74-80.
16. **ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა.** ძვ. წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან, ვანი V, თბ., 1981.
17. **მიქელაძე თ.** კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბ., 1985.
18. **ნადირაძე ჯ.** საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, წ. I, თბ., 1990.
19. **პაპუაშვილი რ.** სკვითური კულტურის ელემენტები კოლხეთის დაბლობზე. არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1990, გვ. 63-94.
20. **პაპუაშვილი რ.** ერგეტის II სამაროვანი (სამარხი № 4), ძმ, 9, 1999, გვ. 3-9.
21. **პაპუაშვილი რ.** ერგეტის II სამაროვნის № 6 სამარხი ორმო. მილსადენის არქეოლოგია, II, თბ., 2003, გვ. 203-212.
22. **პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ.** ნამარნუ. გურია, IV, თბ., 2006, გვ. 46-66.

23. **სულავა ნ.** მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ლეჩხუმი). თბ., 1996.
24. **სულთანიშვილი ირ.** ცხენის აკაზმულობა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. ისტორიის მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი, თბ., 2005.
25. **ფანცხავა ლ.** კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბ., 1988.
26. **ქორიძე დ.** შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენა სოფ. კურზუში, სსმმ, XXIII-B, თბ., 1961, გვ. 55-59.
27. **წითლანაძე ლ.** ხევის არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 2004. გვ. 25-26.
28. **ჭანიშვილი თ.** ზარაკების ტიპოლოგია-ქრონოლოგიის საკითხები აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით. იბერია-კოლხეთი, 2, ძიებანი, დამატებანი XIV, თბ., 2005, გვ. 19-29.
29. **ჭყონია ა.** ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი, VI, თბ., 1981.
30. **Алексеева Е.П.** Поздно-кобанская культура Центрального Кавказа. Ученые записки Ленинградского государственного университета, вып. 13, серия исторических наук, Л., 1949, N 85, с. 191-243.
31. **Анфимов Н.В.** Комплекс бронзовых предметов из кургана близ ст. Темижбикской. Культура античного мира. М., 1966, с. 19-23.
32. **Аракелян Б.Н.** Результаты работ Гарнийской археологической экспедиции, 1951-1955 гг. Ереван, 1957.
33. **Асланов Г.М., Вайдов Р.М., Ионе Г.И.** Древний Мингечаур, Баку, 1959.
34. **Варга Демокош.** Древний Восток. Будапешт, 1979.
35. **Галанина Л.К.** Скифские древности Преднепровья (Эрмитажная коллекция Н.Я. Бранденбурга). Археология СССР, Свод археологическая источников. вып. Д1-33, М., 1977.
36. **Галанина Л.К.** Келермеские курганы. "Царские" погребения раннескифской эпохи. Степные народы Евразии, т.I, М., 1997.
37. **Галкин Л.Л.** Символика Джудчинских монет. Проблемы Совесткой археологии, М., 1978, с. 219?229.
38. **Гогадзе Э. М.** К вопросу о хронологии и периодизации памятников Колхидской культуры. ссмм, XXXVII-B, 1984, гг. 28-54.
39. **Гогадзе Э.М., Панцхава Л.Н., Дариспанашвили М.В.** Работы Носири-Мухурчской археологической экспедиции в 1974-1975 гг. ссмм, тб., 1977, гг. 60-71.
40. **Гогиберидзе Н.** Браслеты и гривны Грузии V-I вв. до н. э. Тб., 2003.
41. **Иващенко М.М.** Кувшинный могильник в Западной Грузии. СА, XIII, 1950, с. 320-330.
42. **Квирквелия Г.Г.** Материальная культура северо-западной Колхиды в VIII-V вв. до н. э. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1981.
43. **Кигурадзе Н.** Дапнарский могильник. Тб., 1976.
44. **Козенекова В. И.** Обряд кремации в кобанском культуре Кавказа. СА, N 3, 1982, гг. 14-34.
45. **Козенкова В. И.** Типология и хронологическая классификация предметов Кобанской культуры. Восточный вариант. САИ, В2-5, М., 1982.
46. **Козенкова В.И.** Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке. М., 1986.

47. Козенкова В. И. Материальная основа быта кобанских племен. Западный вариант. Археология СССР, Свод археологических источников, М., 1998.

48. Куфтин Б.А. Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950.

49. Лордкипанидзе Г. Некоторые вопросы религии и культуры античной Колхиды. საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 335-354.

50. Микеладзе Т.К., Мигдисова Н. П., Папуашвили Р.И. Основные итоги полевых иследований Колхидской экспедиции. ПАИ в 1982 году, Тб., 1985, გვ. 37-40.

51. Миллер В.Ф. Терская Область, МАК, вып. I, М., 1898,

52. Нечитайло А.А. Домбайские могильники, АО 1967 года, М., 1968, с. 76-77.

53. Нечитайло А.Л. Памятники Прикубанской культуры у истоков р. Теберды. Новое в археологии Северного Кавказа. М., 1986, с. 124-133.

54. Нуцубидзе А.А. Археологические раскопки в сел. Абано, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბ., 1978, გვ. 61-73.

55. Пиотровский Б.Б. Кармир-Блур, III, Ереван, 1955.

56. Пиотровский Б.Б. Искусство Урарту. Л., 1962.

57. Придик Е.М. Новые кавказские клады. Материалы по археологии России. Петербург, 1914, N 34, с. 94-110.

58. Техов Б.В. Скифы и материальная культура центрального Кавказа в VII-VI вв до н. э. Скифья и Кавказ. Киев, 1980, с. 219-284.

59. Трапш М.М. Труды, 2, Древний Сухуми. Сухуми, 1969.

60. Уварова П. Могильники Северного Кавказа, МАК, VIII, М., 1900.

61. Хоштариа Н. В. О раскопках на вершине холма в 1947-1959 гг. ვანი, IV, თბ., 1979, გვ. 115-135.

62. Шамба Г.К. Погребение VI в. до н. э. близ Сухуми. Вып. 174, М., 1983, с. 33-37.

63. Uantzen Ulf. Agyptische und Orientalishe Bronzen Aus Dem Heraion Von Samos. Samos. VIII, Bonn, 1972.

64. Herzfeld Erns E. Iran in the Ancient East. London - New-York, 1941.

65. Papuashvili R. Collection Ritual Pit N 4 of Ergeta II Burial Croun, Journal of Georgian Archaeology, Tbilisi, 2004, p.p. 152-159.

66. Guitty Azarpay. Urartion and Artifactt. Burclay and Los Angeles, 1968.

ნათელა ჯაბუა

სამნავიანი ბაზილიკები ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში

ბაზილიკა ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი პირველი არქიტექტურული ტიპია, რომელიც გავრცელდა ადრექრისტიანული სამყაროს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. ბაზილიკა გეგმაში წაგრძელებული, სწორკუთხა ფორმის ნაგებობაა და საყრდენების საშუალებით დაყოფილია კენტი რიცხვის (3-5) ნავებად. შუა ნავი გვერდითებზე მაღალი და განიერია. საყრდენები ერთმანეთს უკავშირდება თაღების საშუალებით ან გამოყენებულია არქიტრავული სისტემა. ნაგებობის აღმოსავლეთით მდებარე საკურთხევლის აფსიდა გეგმის სწორკუთხედშია ჩაწერილი ან შვერილი ფორმისაა. ფართოდ გავრცელებულია ე.წ. სამნაწილიანი საკურთხეველი (აფსიდა და გვერდითი სათავსები). გეგმაში გამოკვეთილია დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი, მიმართული საკურთხევლისაკენ. ბაზილიკაში ყველა არქიტექტურული ელემენტი საკურთხეველთან მიმართებაში გაიაზრება და მისი მნიშვნელობის წარმოჩენას ემსახურება.

ბაზილიკის არქიტექტურულმა ტიპმა სამშენებლო ტრადიციებით განსხვავებულ ქვეყნებში გარკვეული სახეცვლილებები განიცადა. მის დამკვიდრებას მყარი საფუძველი შეექმნა რეგიონებში, სადაც არსებობდა სწორკუთხა გეგმარების, სვეტებით დაყოფილი შიდა სივრცის მქონე ნაგებობების მშენებლობის ტრადიცია (მაგ.: რომი, საბერძნეთი, სირია). ამ თვალსაზრისით საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები დღეისათვის განსხვავებულ სურათს იძლევა. ჯერჯერობით საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანობამდელი ხანის, ინტერიერში სვეტების მქონე ნაგებობის შესახებ ინფორმაცია მწირია. აღსანიშნავია დედოფლის მინდორის ძვ.წ. I ს-ის სატაძრო კომპლექსი [4, გვ. 72-77], ვანის ძვ.წ. III-I სს. სატაძრო კომპლექსი [21, გვ.41-46], სადაც ტაძრის ინტერიერში in situ ორი ბაზა აღმოჩნდა. ყველაზე უკეთ სვეტებიანი ნაგებობის გეგმა იკითხება მცხეთის, არმაზის ციხე I-ის ექვსსვეტიან ნაგებობაში [1, გვ. 25]. განსაკუთებით საინტერესოა ჩვენს დრომდე კარგად შემორჩენილი ორსვეტიანი დარბაზი უფლისციხეში [16]. ამას გარდა სხვადასხვა არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილია ოსტატურად შესრულებულ კოლონათა ბაზები და კაპიტელები. ასეთია მაგალითად, ძალისას [3, გვ. 17], საირხის [8, გვ. 95], შიომღვიმის [7, გვ. 11], სარკინეთის [1, გვ. 39-40] და სხვა [11] გათხრებზე აღმოჩენილი მასალა. თუმცა მათი თავდაპირველი ადგილმდებარეობა და იმ ნაგებობების გეგმა, რომლებსაც ისინი განეკუთვნებოდა, უმეტესად, უცნობია.

დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული ფაქტობრივი მასალა ამაგრებს სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულ აზრს [13, გვ. 23-24; 2, გვ. 19; 15, გვ. 53] იმის შესახებ, რომ ქართულ არქიტექტურაში ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი შემოტანილია. მთელი რიგი ქრისტიანული ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოში ბაზილიკის გავრცელებას ადგილობრივ არ დახვდა სწორკუთხა გეგმარების, მკაფიოდ გამოხატული სიგრძივი ღერძის მქონე სვეტებიანი ნაგებობის მშენებლობის ტრადიცია, რამაც, გარკვეულწილად, განსაზღვრა საქართველოში ბაზილიკის გავრცელებისა და ფორმირების პროცესის თავისებურება.

საქართველოში ბაზილიკების აქტიური მშენებლობის პერიოდი V-VI საუკუნეებია. ქართულ ხუროთმოძღვრებაში გუმბათიანი არქიტექტურის ფორმირების შემდეგ ბაზილიკის ტიპი კარგავს თავდაპირველ მნიშვნელობას, რაც ოფიციალური რელიგიის მიერ ქრისტიანობის მიღების პირველ საუკუნეებში ჰქონდა მინიჭებული. ბაზილიკის არქიტექტურული ტიპისაგან განსხვავებით გუმბათიანი არქიტექტურა ადგილობრივ ხუროთმოძღვრულ ტრადიციებთან ორგანულ კავშირშია, რამაც ქართული ხუროთმოძღვრების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მისი პრიორიტეტი და მნიშვნელობა განაპირობა. საქართველოში გუმბათიანი ეკლესიები რაოდენობრივადაც ბევრად სჭარბობს ბაზილიკებს. თუ ბაზილიკების მშენებლობა ძირითადად XI საუკუნემდე გრძელდება, გუმბათიანი არქიტექტურა შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების უმთავრეს თემას წარმოადგენს.

საქართველოში სამნავიანი ბაზილიკების მშენებლობის პირველი ეტაპი V, VI, VII

საუკუნეებს მოიცავს და თანხვდება ქართული ხუროთმოძღვრების ადრეული შუა საუკუნეების პერიოდს. ამ ხანას განეკუთვნება სამნავიანი ბაზილიკების დიდი ნაწილი (40-მდე ძეგლი). ბაზილიკები იგება როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ამ ძეგლების დიდი ნაწილი ძალზე ცუდად არის შემორჩენილი, ზოგიერთი გადაკეთებულია. ამდენად, ბევრ შემთხვევაში ნაგებობის შესახებ სრული წარმოდგენის შექმნა ძნელია. არსებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს ადრეშუა საუკუნეების ბაზილიკებში რამდენიმე ჯგუფი გამოვყოთ.

ქრონოლოგიურად ერთგვარ საწყის ეტაპს წარმოადგენს V საუკუნის ორი ძეგლი – ძველი შუამთა და მატანის ცხრაკარა. ეს ბაზილიკები მომცრო ზომისაა და თავისებური გადაწყვეტით ხასიათდება. უმთავრესია ცენტრულობის პრინციპის დომინირება, რაც გაცხადებულია პროპორციულ თანაფარდობაში (სიგრძე-სიგანის შეფარდების სიმცირე: ძველი შუამთა - 1,1; მატანის ცხრაკარა – 1,09), მხოლოდ ერთი წყვილი საყრდენის გამოყენებასა და დასავლეთი ნავის არსებობაში. სამნავიანი ბაზილიკისათვის ტრადიციული სამი ნავის გარდა დასავლეთი ნავის არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამგვარ კომპოზიციურ სქემას, რომელიც გარკვეულ მსგავსებას ავლენს საქართველოში დადასტურებულ ქრიატიანობამდელი ხანის ცენტრული გეგმარების ნაგებობებთან (მაგ.: ციხიაგორა, დედოფლის მინდორი), უნდა უკავშირდებოდეს გარშემოსავლელის წარმოშობა, რომელიც ფართოდაა გავრცელებული სამეკლესიიან ბაზილიკებში და სამნავიან ბაზილიკებშიც გვხვდება. ძველი შუამთისა და მატანის ცხრაკარას გეგმისა და ინტერიერის გადაწყვეტის ძირითადი თავისებურებანი განპირობებულია იმ წინააღმდეგობებით, რომელიც საქართველოს ხუროთმოძღვრულ ტრადიციებსა და ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მოთხოვნებს შორის წარმოიშვა. ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მახასიათებლები საწყისი პერიოდის შემდგომ ძეგლებში უფრო ნათლად წარმოჩნდა; თუმცა ცენტრულობისაკენ სწრაფვის ტენდენციამ გარკვეულად მაინც თავი იჩენა, ხოლო VIII საუკუნიდან ბაზილიკებში მკაფიო გამოვლინება ჰპოვა. მატანის ცხრაკარა ყურადღებას იმსახურებს კიდევ ერთი გარემოების გამო. ეს ძეგლი პასტოფორიის მქონე (გამოყოფილია ჩრდილოეთი სათავსი) უადრესი ბაზილიკაა.

ამრიგად, ძველი შუამთისა და მატანის ბაზილიკების მნიშვნელობას განსაზღვრავს არა მხოლოდ მათი სიძველე (V ს.), არამედ არქიტექტურული გადაწყვეტის თავისებურება. ამ ძეგლებში განირჩევა როგორც ბაზილიკისათვის დამახასიათებელი ნიშნები (სამი ნავი, მათი პროპორციული თანაფარდობა, ნავების საყრდენებით გამოყვნა, მატანში მხოლოდ ჩრდილოეთი ნავის, ე.წ. ბაზილიკური ჭრილის არსებობა), ასევე ამ არქიტექტურული ტიპისათვის უცხო ტენდენციები (სიგრძივი ღერძის სიმოკლე, ცენტრულობის პრინციპი). ამას გარდა აქ გამოიკვეთა გეგმარების იმგვარი კომპოზიციური გადაწყვეტა, რომელმაც შემდგომში ქართულ არქიტექტურაში ფართოდ გავრცელებული გარშემოსავლელის წარმოშობა განაპირობა.

ადრეშუა საუკუნეების სამნავიანი ბაზილიკების საწყისი პერიოდის ძეგლების შემდგომ ჯგუფს ქმნის თავისი მასშტაბით და არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეული ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის [13, გვ. 32-50] ძეგლები: ბოლნისის სიონი, წყაროსთავი, ურბნისი, ხაშმი, ანჩისხატი, კონდოლი, ნატკორა, ხირსა, ვაზისუბანი. თავისი პარამეტრებით ამ ჯგუფს უახლოვდება ნასტაკისის ბაზილიკა, რომლის მხოლოდ გეგმა იკითხება, ასევე სვეტიცხოველის და წილკანის ტაძრების თავდაპირველი სამშენებლო პერიოდის ბაზილიკები. ამ ჯგუფის ძეგლებში ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მთავარი კონცეფცია უკვე ნათლად არის გამოკვეთილი. ნაგებობებში ხაზგასმულია დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი, ინტერიერის მხატვრულ სახეს არქიტექტურული ფორმების განმეორებით მიღწეული რიტმი განსაზღვრავს. ნათლად განირჩევა შიდა სივრცის მთავარი და დაქვემდებარებული ნაწილები, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება ჰარმონიული წონასწორობის პრინციპს ეფუძნება. სამწუხაროდ, ძეგლების დიდი ნაწილის ცუდი დაცულობის ან საფუძვლიანი გადაკეთების გამო, ძნელია მათი თავდაპირველი სახის სრულად აღდგენა, რაც მკვლევართა შორის ცალკეული ძეგლების შესახებ აზრთა სხვადასხვაობას წარმოშობს. მაგალითად, ბოლნისის სიონის გადახურვის შესახებ ორი საპირისპირო აზრია გამოთქმული. როგორც ცნობილია, ბოლნისის სიონის გადახურვა XVII საუკუნის რემონტის ხანისაა და სამი ნავი ორკალთა სახურავის ქვეშ არის მოქცეული. გ. ჩუბინაშვილის აზრით [22, გვ. 148] XVII საუკუნეში განმეორებულია ძეგლის თავდაპირველი გადახურვის ფორმა და გამოთქმულია ვარაუდი ორკალთა გადახურვის არსებობის შესახებ ასევე ურბნისის, ხაშმის და ანჩისხატის ბაზილიკებში. ამ მოსაზრებას იზიარებს ვ. ცინცაძეც [14], რომელიც ორკალთა გადახურვას V საუკუნის სვეტიცხოვლის ბაზილიკაშიც ვარაუდობს [23, გვ.15-25]. საწინააღმდეგო პოზიციას აფიქსირებს ბოლნისის სიონის და ანჩისხატის ბაზილიკების სარესტავრაციო სამუშაოების ხელმძღვანელი რ. გვერდწითელი. იგი ძეგლებზე მუშაობის და პარალელურ მასალასთან შეჯერების საფუძველზე ასაბუთებს ამ ბაზილიკებში ოთხკალთა გადახურვის არსებობას [5; 6, გვ. 60-75]. ძეგლების ნატურაში კვლევის პროცესში მოპოვებული მასალის გაანალიზების საფუძველზე დამყარებული რ. გვერდწითელის მოსაზრება, უთუოდ, ანგარიშგასაწევია. თუმცა უნდა ითქვას, რომ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ისეთი ძველი ტრადიციების ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სავსებით შესაძლებელია ქრისტიანული სამყაროს აღმოსავლეთ ქვეყნებში გავრცელებული არქაული სახესხვაობის, ორკალთა გადახურვის მქონე ბაზილიკის არსებობა.

როგორც აღვნიშნეთ, ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლები გამოირჩევა დიდი ზომით - სიგრძე 32 მ-დან (ურბნისი) 18,70 მ-მდე (ვაზისუბანი), ასევე ბაზილიკის არქიტექტურული ტიპისათვის დამახასიათებელი ნათლად გამოვლენილი ნიშნებით. უმთავრესია დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძის ხაზგასმა, რაც ნაგებობის პროპორციული განაწილებით და საყრდენების სიმრავლით მიიღწევა (3-4-5 წყ.). იმ ძეგლებში, სადაც საყრდენების რაოდენობა ნაკლებია (2 წყ.), გრძივი ღერძის პრიორიტეტი თაღების ზომის გაზრდით არის შენარჩუნებული. საყრდენი და თაღი ქმნის ერთიან მოდულს, რომლის განმეორებადი გამოყენებით ყალიბდება ნაგებობის არქიტექტურული სტრუქტურა.

ამ ბაზილიკების გეგმა და სივრცობრივ-მოცულობითი გადაწყვეტა პროპორციულობისა და არქიტექტურული ნაწილების ურთიერთშეთანხმების პრინციპზეა აგებული. თავისი ზომითა და მდებარეობით გამოირჩევა საკურთხევლის აფსიდისაკენ მიმართული მთავარი შუა ნავი. გვერდითი ნავები დაქვემდებარებულ როლს ასრულებს, თუმცა მათი პროპორციები და არქიტექტურული გადაწყვეტა ნაგებობის საერთო წყობაში დამოუკიდებელი მნიშვნელობის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. ამდენად, ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებში მთავარი და დაქვემდებარებული ნაწილების მხატვრულ-არქიტექტურული სახე თანაბრად არის გამოვლენილი და ინტერიერის საერთო გადაწყვეტას მათი ორგანული კავშირი განსაზღვრავს. ამ ნაგებობებში იქმნება ერთიანი, ხალვათი სივრცე. არქიტექტურული ფორმების პროპორციები, საყრდენების რიგი, ზოგ შემთხვევაში საყრდენის ფორმა (ჯვრული, T-ს ფორმის), მასების ვერტიკალურ განვითარებას უწყობს ხელს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ინტერიერში სივრცის შეგრძნებას.

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლების გეგმარება, სივრცობრივ-მოცულობითი გადაწყვეტა (ინტერიერი და ექსტერიერი) არქიტექტურული ტიპის ძირითად მოთხოვნებს პასუხობს, ცენტრულობის ტენდენცია ზოგ შემთხვევაში გარკვეულწილად მაინც ვლინდება. ეს უპირველეს ყოვლისა შესასვლელების პრიორიტეტული მნიშვნელობის საკითხს ეხება. საზოგადოდ, ბაზილიკაში მთავარი შესასვლელი დასავლეთის მხრიდან არის და ინტერიერის აღქმის ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს. რაც შეეხება ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის რიგ ძეგლებს (ბოლნისის სიონი, ხაშმი), აქ უპირატესობა გრძივი ფასადის შესასვლელს ენიჭება. ეს არღვევს არქიტექტურული ტიპის ლოგიკურ სქემას და მასში სივრცის აღქმის სრულიად განსხვავებული, ცენტრული კომპოზიციისათვის დამახასიათებელი ელემენტი შემოაქვს. ამდენად, ამ ძეგლებში ხუროთმოძღვრული ფორმები მთლიანად ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის შესატყვისია, მაგრამ მათი აღქმა ცენტრული ნაგებობის პრინციპით ხორციელდება.

პასტოფორიუმები ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის უმეტეს ბაზილიკებში საკურთხევლის ორივე მხარეს არის გამოყოფილი, თუმცა ზოგიერთი, ძირითადად V, VI საუკუნის დასაწყისის ძეგლები პასტოფორიუმების გარეშეა.

მინაშენების კვალი ამ ჯგუფის უმრავლეს ძეგლშია დადასტურებული. ამგვარი არქიტექტურული ფორმების არსებობა, უთუოდ, გარკვეული ფუნქციონალური დანიშნულებით იყო ნაკარნახევი. შესაძლოა, კათაკმეველთა ან საეკლესიო წესებით მათთან გათანაბრებულ პირთა სადგომად იყო გამოყენებული. მეტ-ნაკლებად სრული სახით შემორჩენილია ბოლნისის სიონის გალერეები და ვაზისუბნის გარშემოსავლელი. ამ ძეგლებში მაღალმხატვრულ დონეზეა გაზრებული როგორც მათი არქიტექტურული სახის გადაწყვეტის, ასევე ნაგებობის ძირითად ნაწილთან მიბმის პრობლემა; გათვალისწინებულია ძირითად მასასთან პროპორციული ურთიერთდამოკიდებულების, ნაგებობის სილუეტის გამომსახველობის საკითხი.

ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლების, ისევე როგორც საწყისი ეტაპის ბაზილიკების, მხატვრულ-დეკორაციული გადაწყვეტა, ძირითადად, სისადავით ხასიათდება. გასათვალისწინებელია, რომ უმეტესი ძეგლები კახეთში მდებარეობს, ხოლო ამ რეგიონის არქიტექტურულ ძეგლებს საშენი მასალის (რიყის ქვა) სპეციფიკიდან გამომდინარე, მორთულობა არ ახასიათებს. ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებში გამორჩეულია ბოლნისის სიონის და ხაშმის რელიეფები. მხატვრული და იკონოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებულია ბოლნისის სიონის სვეტისთავები.

ქრონოლოგიურად და ნაგებობათა მასშტაბით ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებს უახლოვდება დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები [20], რომელთაც რიგი თავისებურებანი ახასიათებს. ეს ბაზილიკებია: ბიჭვინტა, ნოქალაქევი, სეფიეთი, ალაჰაძე, ციხისძირი, განთიადი, ვაშნარი, ნოქალაქევის ორმოცმოწამეთა და ცაიში. აღნიშნული ძეგლების უმეტესობა ცუდად არის შემორჩენილი ან გუმბათიან ტაძრად გადაკეთდა (ნოქალაქევის ორმოცმოწამეთა და ცაიში). ამიტომ რიგი საკითხების კვლევა ფაქტიურად შეუძლებელია. მეტ-ნაკლებად ნათელი სურათის შექმნის შესაძლებლობას მათი აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკებთან მიმართებაში განხილვა იძლევა.

ა/ დასავლეთ საქართველოში თლილი ქვით ნაგები ძეგლების გარდა გვხვდება კედლის წყობაში ქვისა და აგურის რიგების მონაცვლეობა – ე.წ. opus mixtum წყობა, რაც აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკებისათვის არ არის დამახასიათებელი და ბიზანტიური არქიტექტურის გავლენაზე მიუთითებს.

ბ/ დასავლეთ საქართველოში შვერილაფსიდიანი ძეგლებია გავრცელებული, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში რამდენიმე გამონაკლისის გარდა გეგმის სწორკუთხედში ჩაწერილი აფსიდებია.

გ/ დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში პასტოფორიუმები არ არის (გამონაკლისია ნოქალაქევის ორმოცმოწამეთა, რომელიც გუმბათიანად არის გადაკეთებული), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ისინი არ აქვს მხოლოდ V-VI საუკუნეების რიგ ძეგლებს.

დ/ შვერილაფსიდიანი გეგმარება და პასტოფორიუმების უქონლობა დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში აფსიდის წინ ბემის არარსებობას განაპირობებს (ბემა მხოლოდ განთიადის ბაზილიკაშია).

ე/ ბიჭვინტის, ნოქალაქევის, განთიადის ბაზილიკებში სანათლავის ნაშთებია დადასტურებული. სავარაუდოა, რომ ვაშნარის სამხრეთ-აღმოსავლეთი სათავსიც სანათლავს წარმოადგენდა. დასავლეთ საქართველოს ამ ძეგლებში, ისევე როგორც ბოლნისის სიონში, სანათლავის არსებობას ქრონოლოგიური ფაქტორიც განსაზღვრავს, რადგან VI საუკუნიდან ტაძარში მისი ცალკე გამოყოფის საჭიროება აღარ იყო [2, გვ. 27]. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს რიგ ძეგლებს დასავლეთით ნარტექსი აქვს, რაც აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკებისათვის არ არის დამახასიათებელი.

ვ/ დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები, ძირითადად, წაგრძელებული გეგმარების მასშტაბური ნაგებობებია. ამ ძეგლების შუა ნავის გვერდითებთან შეფარდება სჭარბობს აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკების შესაბამის მონაცემს. დასავლეთ საქართველოს ძეგლების შუა ნავის სიგანე (გამონაკლისია ალაჰაძე) ასევე აღემატება აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკების შესაბამის მონაცემს. ეს მომენტი სხვა ფაქტორებთან ერთად (მაგ.: საყრდენებად კოლონის გამოყენება), უთუოდ, გასათვალისწინებელია ამ ბაზილიკების გადახურვის რეკონსტრუქციის დროს. სავარაუდოა კამარების გარდა ხის ძელოვანი გადახურვის არსებობა.

ზ/ დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების ცუდი დაცულობის გამო ინტერიერის სივრცითი ორგანიზაციის საკითხის გარკვევა ძნელია. ერთადერთი მეტ-ნაკლებად უკეთ შემორჩენილი ძეგლი სეფიეთის ბაზილიკაა, რომელიც ამ მხრივ ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა. მისი გვერდითი ნავები ორსართულიანია, რაც საქართველოს ბაზილიკებისათის არ არის დამახასიათებელი.

თ/ თუ აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკებში სხვადასხვა ფორმის საყრდენი გამოიყენება (ჯვრული, T-ს ფორმის, სწორკუთხა), დასავლეთ საქართველოში ძირითადად გეგმაში კვადრატული საყრდენია დადასტურებული. სწორკუთხა ფორმაა ალაჰაძის ბაზილიკაში. ამასთან გამოვლენილია მარმარილოს კოლონის, აკანთის ფოთლიანი კაპიტელის (ბიჭვინტა), იონური კაპიტელის (ვაშნარი) ფრაგმენტები, რაც ბიზანტიის ხუროთმოძღვრებასთან კავშირზე მიუთითებს. დასავლეთ საქართველოს ძეგლებში აღმოსავლეთისაგან განსხვავებით პილასტრები არ გვხვდება.

ი/ დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში სხვადასხვა სახის მორთულობის ელემენტების ფრაგმენტებია დადასტურებული – კლასიკური კაპიტელები, იატაკის მოზაიკა, მარმარილოს ინკრუსტაცია, რაც ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს.

დასავლეთ საქართველოს ძეგლებში პასტოფორიუმების, პილასტრების უქონლობა, სანათლავის მოწყობა გარკვეულწილად მათ ადრეულ თარიღს უკავშირდება. რაც შეეხება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებს შორის აღნიშნულ ზოგიერთ განსხვავებას, ეს გავლენის სხვადასხვა სფეროს არსებობით უნდა აიხსნას.

დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში ე.წ. opus mixtum წყობის, შვერილი აფსიდის, ნარტექსის, ინტერიერის მორთულობის მრავალფეროვანი საშუალებების, კლასიკური კაპიტელების გამოყენება ბიზანტიური არქიტექტურის გავლენაზე მიუთითებს, რაც თავის მხრივ ელინისტური ხელოვნების საფუძველს ემყარება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების კვლევის დღევანდელ ეტაპზე შეიძლება გამოიყოს რიგი ძეგლები (ბიჭვინტა, ციხისძირი, ვაშნარი), რომლებშიც ბიზანტიური გავლენა უფრი თვალსაჩინო და არსებითია; რაც, უთუოდ, სხვა ფაქტორებთან ერთად შავიზღვისპირა ამ ცენტრებში ბიზანტიის პოლიტიკურ-კულტურული გავლენის სიძლიერით უნდა აიხსნას.

აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკები მეტ სიახლოვეს სირიის, სომხეთის ძეგლებთან ამჟღავნებს, ვიდრე ბაზანტიასთან. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ ნიმუშებში (ბოლნისის სიონის სვეტისთავები) სასანური ირანის ხელოვნების ერთგვარი გავლენაც აღინიშნება.

ამრიგად,ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის გააზრება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მსგავსი მასშტაბისა და პროპორციების ნაგებობების სახით განხორციელდა. რაც შეეხება განსხვავების არსებობას, ეს სხვადასხვა კულტურული კავშირების არსებობით განპირობებული საქართველოს ხუროთმოძღვრების მრავალმხრივობის გამოხატულებად გვესახება.

დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების შესახებ არსებული მონაცემები ანგარიშგასაწევია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის – დასავლეთ საქართველოს გაქრისტიანების საკითხთან დაკავშირებით. სამეცნიერო ლიტერატურაში დასავლეთ საქართველოს გაქრისტიანების თარიღად 523 წელი იყო მიჩნეული [18, გვ. 230-235]. მეორე მოსაზრების მოხედვით აქ ქრისტიანობა ქართლის მსგავსად IV საუკუნეში გამოცხადდა. [10, გვ. 188]. ამ მოსაზრებას ეხმიანება დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების შესახებ შემდეგი მონაცემები: 1. არქეოლოგიური და არქიტექტურული შესწავლის საფუძველზე დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები V-VI საუკუნეებით თარიღდება. ე.ი. ეს ძეგლები 523 წელზე ადრეული ან თანადროული ხანისაა. 2. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული ბაზილიკების რაოდენობა და მათი სხვადასხვა მხარეში მდებარეობა ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებაზე მიანიშნებს. 3. ბაზილიკების ზომები და მორთულობის მრავალფეროვნება იმაზე მეტყველებს, რომ მრავალრიცხოვანი მრევლისთვის აგებულ ამ ეკლესიებს ოფიციალური სტატუსი ჰქონდა.

ამრიგად, V-VI საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ასეთი საკულტო ნაგებობების მშენებლობა იმ მოსაზრებას ამაგრებს, რომელიც ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებას 523 წელზე ადრეულ ხანაში ასაბუთებს.

ქრონოლოგიურად ადრეული შუა საუკუნეების ხანას განეკუთვნება ასევე უფლისციხის და რკონის ბაზილიკები. პირველი მათგანი კლდეში ნაკვეთი ძეგლია და ამდენად გამოირჩევა სხვა ბაზილიკებისაგან. მის არქიტექტურულ სახეს უპირატესად სწორედ სამშენებლო სპეციფიკა განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით [17, გვ. 38-39; 9; 24; 12; 19, გვ. 5-6], ის თავდაპირველად წარმართულ ტაძარს წარმოადგენდა და ქრისტიანულ ეკლესიად VI საუკუნეში გადაკეთდა. ეს ორი ფაქტორი, უთ'ოდ, განსაზღვრავს უფლისციხის ბაზილიკის თავისებურებას და ართულებს სხვა ბაზილიკებთან სტილისტურ-არქიტექტურული მიმართების საკითხის გარკვევას. თავისთავად ამგვარი ძეგლის არსებობა ქართული არქიტექტურის ისტორიაში მრავლისმეტყველია. უფლისციხის ბაზილიკა ძალზე ცუდად არის შემორჩენილი, რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის ინტერიერის ორგანიზაციის სრული სურათის აღდგენას; და უნდა ვაღიაროთ, რომ ძეგლის არქიტექტურული გადაწყვეტის ყველა ასპექტი ბოლომდე გარკვეულად არ გვესახება. არსებული მონაცემების მიხედვით ეს არის დიდი ზომის ნაგებობა, ორი წყვილი გეგმაში ჯვრული საყრდენით და სამნაწილიანი საკურთხევლით აღმოსავლეთ მხარეს. დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი არ არის გამოკვეთილი. პირიქით, დარბაზის (საკურთხევლის გარეშე) ჩრდილო-სამხრეთი მიმართულება სჭარბობს დასავლეთ-აღმოსავლეთისას. შესასვლელი მხოლოდ ერთი, სამხრეთი მხრიდან არის გაჭრილი, რადგან დანარჩენი მხარე კლდეშია ნაკვეთი. ამდენად, უფლისციხის ბაზილიკის პროპორციები არ შეესაბამება ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მოთხოვნებს, თუმცა გეგმაში ამ ტიპის შემადგენელი ნაწილები სრულადაა წარმოდგენილი – საყრდენებით გამიჯნული სამი ნავი, სამნაწილიანი საკურთხეველი. ამგვარი პროპორციული გადაწყვეტა ზემოთ აღნიშნულ ორ ფაქტორთან უნდა იყოს დაკავშირებული. მითუმეტეს, რომ სიგრძე-სიგანის ასეთი შეფარდება ადრე შუა საუკუნეების ხანის ბაზილიკებისათვის არ არის დამახასიათებელი.

VII საუკუნის რკონის ბაზილიკა გადაკეთების შედეგად სახეშეცვლილია როგორც სივრცის ორგანიზების, ასევე არქიტექტურული ფორმების მხატვრულ-გამომსახველობითი თვალსაზრისით. რკონის ბაზილიკა ორი წყვილი საყრდენის მქონე, ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებთან შედარებით მომცრო ზომის ნაგებობაა (18,50მX12მ). არქიტექტურული ფორმების თუ ცალკეული დეტალების გადაწყვეტის მხრივ VI საუკუნის ძეგლებს ენათესავება, მაგრამ სიგრძე-სიგანის შეფარდებით (1,5), ზომით, მეტ მსგავსებას VIII-IX საუკუნეების ბაზილიკებთან ამყღვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ ძეგლის საფუძვლიანი კვლევისას არ არის გამორიცხული მისი დათარიღების გადასინჯვა.

ამრიგად, ადრე შუა საუკუნეების ბაზილიკებში ძეგლების რამდენიმე ჯგუფი განირჩევა. საწყის საფეხურს ქმნის ძველი შუამთის და მატანის ბაზილიკები. ყველაზე მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანია ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლები. რიგი თავისებურებებით ხასიათდება დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები. სპეციფიკური ნიშან-თვისებებით გამოირჩევა უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ბაზილიკა. VIII-IX საუკუნეების ბაზილიკებთან ერთგვარად გარდამავალ ძეგლს წარმოადგენს რკონის ბაზილიკა. ადრეული შუა საუკუნეების პერიოდს განეკუთვნება ასევე არეშის, ერუშეთის, აკაურთას, ნიქოზის, ნუნისის, წყაროსთავის, თელავის ღვთაების, ზღუდერის, კურდღელაურის, თიქილისას ბაზილიკები, რომელთა დაცულობის დონე და რიგ შემთხვევაში საფუძვლიანი გადაკეთება სივრცობრივ-მოცულობითი თუ მხატვრულ-არქიტექტურული საკითხების დადგენის საშუალებას ნაკლებად იძლევა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რიგი გუმბათიანი ძეგლების (მაგ.: ატენის სიონი, სამთავრო) არქეოლოგიური კვლევისას გამოვლენილი მასალის მიხედვით სავარაუდოა ადრეული ხანის ბაზილიკების არსებობა.

ადრეული შუა საუკუნეების შემდგომ, VIII საუკუნიდან, სამნავიან ბაზილიკებში ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე გამოვლენილი ცენტრულობისაკენ სწრაფვის ტენდენცია მკვეთრად გამოხატულ ხასიათს იღებს, ხოლო X და XI საუკუნის დასაწყისის ძეგლების გეგმარებასა და არქიტექტურულ-მხატვრულ გადაწყვეტაში აშკარად შეინიშნება გუმბათიანი არქიტექტურის გავლენა.

ლიტერატურა:

1. აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.
2. ბერიძე ვ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.
3. ბოხოჩაძე ა. ნაქალაქარი ძალისა, ჟურ. ძეგლის მეგობარი, №4, თბ., 1977.
4. გაგოშიძე ი. წარმართული სატაძრო კომპლექსის გათხრები დედოფლის მინდორზე, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V, თბ., 1977, გვ. 72-77.
5. გვერდწითელი რ. ბოლნისი (ანგარიში ძეგლის გახსნის სამუშაოების შესახებ), ჟურ. ძეგლის მეგობარი, № 15, 1969.
6. გვერდწითელი რ. „წმ. მარიამის" ეკლესია თბილისში – ანჩისხატი, თბ., 2001, 60-75.
7. ლეჟავა გ. ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, თბ., 1979.
8. ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.
9. სანიკიძე თ. უფლისციხე, თბ., 1987.
10. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.
11. ყიფიანი გ. საქართველოს ანტიკური ხანის არქიტექტურა, კაპიტელები, თბ., 1987.
12. ყიფიანი გ. უფლისციხის კლდოვანი ბაზილიკა (პრეპრინტი), თბ., 1990.
13. ჩუბინაშვილი გ. ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1936.
14. ცინცაძე ვ. მეცნიერული დაცვის ზოგი საკითხი და შენიშვნები თიანეთის სიონის აღდგენა-გამაგრების პროექტთან დაკავშირებით, ჟურ. ძეგლის მეგობარი, № 18, 1969.
15. ციციშვილი ირ. ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1995.
16. ხახუტაიშვილი დ. კლდეში ნაკვეთი ქალაქი, თბ., 1965.
17. ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე - ქალაქი კლდეში, თბ., 1989.
18. ჯანაშია ს. შრომები, I, თბ., 1949.
19. **Гагошидзе Ю.** Дохристианские храмы Грузии, Тб., 1983.
20. **Закарая П.** Базилики западной Грузии, IV международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983.
21. **Лордкипанидзе О. Путуридзе Р. Лежава Г.** Полевые археологические исследования в 1974г. Итоги работ Ванской археологической экспедиции, Тб., 1976.
22. **Чубинашвили Г.** Архитектура Кахетии, Тб., 1959.
23. **Цинцадзе В.** Свети-Цховели во Мцхета, Груз. Искусство, 9, Тб., 1987, с. 15-25.
24. **Химшиашвили К.** Зодчество Уплисцихе античного периода, Автореферат, Тбилиси, 1988.

ლერი ჯიბლაძე, ნანა პაპუაშვილი

კლასიკური ხანის მასალები ანაკლია მეორედან

კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1972-1978 წწ. არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ანაკლია მეორეზე (ექსპედიციის ხელმძღვანელი თ. მიქელაძე, ძეგლის გამთხრელი დ. მუსხელიშვილი). ძეგლი მდებარეობს ზუგდიდის რაიონში, ამავე სახელწოდების სოფლის განაპირა მხარეს, ადგილ ჭითაწყაროში (წითელი წყალი), მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე, ზღვიდან 7 კმ. დაშორებით [6, გვ. 50; 17, გვ. 98]. ამ ხელოვნურად წარმოქმნილი ბორცვის (დიხაგუძუბა) სიმაღლე 5 მ, ხოლო დიამეტრი 90 მ. აღწევდა [17, გვ. 98-99].

ანაკლია მეორე სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალებით, მათ შორის მძლავრი ძელურ ნაგებობათა სისტემის შემცველი შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარით [17, გვ. 17-19]. გათხრების მიმდინარეობისას გაირკვა, რომ შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი თავდაპირველად გამართული ყოფილა შედარებით ვაკე, ოდნავ შემაღლებულ ადგილზე, რომელსაც ცხოვრების განახლების შემდეგ, ალბათ ადრეანტიკურ ხანაში, აზვინავენ 4 მეტრის სისქის ნაყარ მიწას, ქმნიან ხელოვნურ ბორცვს და სახლდებიან. შესაძლოა ამ ფაქტს ერთგვარად ადასტურებდეს (მხედველობაში გვაქვს ადრეანტიკურ ხანაში თიხაზვინულის წარმოქმნა) ბორცვის სხვადასხვა მონაკვეთიდან და მიმდებარე ტერიტორიიდან მომდინარე ძვ.წ. VI-IV სს-ის, დაახლოებით 400 ერთეულამდე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძეგლის გამთხრელები ანაკლია მეორეზე მიუთითებენ ძვ.წ. VI-V საუკუნეების საკმაოდ მძლავრი ნამოსახლარის არსებობას [5, გვ. 8]. ზოგჯერ კი აღნიშნავენ, რომ ამ პერიოდის მასალები 30 სმ-დან 1,75 სმ-მდე ბორცვზე წარმოდგენილი იყო არა დანალექ, ძვ.წ. VI-V სს-ის ფენაში, არამედ ალაგ-ალაგ მოზვინულ, ნაყარ მიწაში. ვარაუდობენ ორნაირი წარმოშობის ხელოვნურ ბორცვებს: ერთი წარმოქმნილია კულტურული ფენების თანდათანობითი დაფენების შედეგად, რომელიც ასახავს ადამიანის ხანგრძლივი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს (ანაკლია I, ნოსირი III, ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, მამულიების დიხაგუძუბა და სხვა [19, გვ. 16-17]. მეორე რიგის ძეგლებიც ხელოვნური წარმოშობისაა, მაგრამ არავითარი კავშირი არა აქვთ იმ ნამოსახლარებთან, რომლებიც მათ ქვეშ არის მოქცეული. სიმაგრესთან ერთად სწორედ ამ ტიპის ძეგლებს აკუთვნებენ ანაკლია მეორეს [19, გვ. 17].

საინტერესოა, რომ აქ ძვ.წ. VI-IV სს-ის მასალების შემცველ ფენას ზემოდან ედო 2-2,5 მ სისქის ნაყარი მიწა, რომელშიც აღმოჩნდა ნაოხვამუს ტიპის კერამიკა. ამგვარად, იქმნება ერთგვარი შეუსაბამობა „უკუღმა სტრატიგრაფია" [1, გვ. 6], როდესაც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მასალები თავზე ადევს უფრო მოგვიანო ძვ.წ. VI–IV სს-ის კულტურული ფენის ნაშთებს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მაგალითები ამავე პერიოდში არაერთხელაა დადასტურებული კოლხეთის დაბლობის სხვა ნამოსახლარებზეც [13, გვ. 53-54; 14, გვ. 37]. ვფიქრობთ, ამ ფაქტს შესაძლოა ამგვარი ახსნა მოეძებნოს: ანაკლია მეორის ბორცვის გამართვისას ძვ.წ. VI-IV სს-ის მოსახლეობა ჭრის იქვე ახლოს მდებარე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკის შემცველ კულტურულ ფენას და იყენებს თიხაზვინულის აღმართვისას. აღნიშნულ პერიოდში ხდება ცხოვრების მრავალგზის განახლება, მიწის დაზვინვა და ნიველირება. შესაძლოა ამის გამო ნაყარ მიწაში სხვადასხვა დონეზე ხდება განსხვავებული ქრონოლოგიის მქონე კერამიკული მასალა.

ანაკლია II არ არის განმხოლოებით მდებარე სამოსახლო ბორცვი. მის მიმდებარე ტერიტორიაზე და ახლომახლო დასტურდება მძლავრ ნამოსახლართა სისტემის კვალი, შეიძლება ითქვას, ერთი მთლიანი სამოსახლო კომპლექსი. ეს განსაკუთრებით უნდა ეხებოდეს წინარეანტიკურ, ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანას, როდესაც იზრდება ნამოსახლართა მასშტაბები და დასახლების ინტენსიურობა. ამ ფაქტს ერთგვარად უნდა ადასტურებდეს ანაკლია II-დან 100 მეტრის დაშორებით სამელიორაციო არხის გაყვანისას ექსკავატორის მიერ ამოყრილი 6 კოლხური ცული, იქვე ახლოს, 50 მეტრის

მანძილზე დაფიქსირებული ბრინჯაოს ზოდები, ხანძრით გადამწვარი ძვ.წ. VI–IV სს-ის ნამოსახლარების ნაშთები. ასევე, ადგილ ნავენახარში და ჩაისუბანში გამოვლენილი ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ნამოსახლართა ნაშთები.

შესაძლოა ამ ნამოსახლართა სისტემაში ანაკლია II-ის გამოყოფა ყველაზე დიდ ბორცვად, როგორც კოლხეთის დაბლობის სხვა სინამდვილეში, მიუთითებდეს გარკვეულ სოციალურსა და პოლიტიკურ დიფერენციაზე, დაწინაურებული გვარის დანარჩენთაგან იზოლაციის ტენდენციაზე [5, გვ. 49-66]. დასაშვებია, რომ აქ, ყველაზე დიდ ბორცვზე ზის გვარის მეთაური, რომელიც ჰეგემონი იყო მთელ ნამოსახლართა სისტემაში. იქნებ მისაღები იყოს ის მოსაზრება, რომ ადრეანტიკური ხანის შემდგომ პერიოდში ანაკლია II კარგავს სამოსახლო ფუნქციას და იგი, როგორც ყველაზე დიდი ბორცვი, წარმოადგენს საკულტო და თავდაცვით თავშეყრის ადგილს. როგორც აღინიშნა, ანაკლია II-ზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გავლებული იქნა თხრილები, სადაც აღმოჩნდა ძვ.წ. VI-IV სს-ის მასალები, ესენია: კოლხური ქვევრების ფრაგმენტები, მოყავისფრო-მოშაო კეცით, თიხა მინარევიანი (კვარცის, ქარსის, პიროქსენის ჩანართებით). კეცის სისქე 1-1,5 სმ შორის მერყეობს. ქვევრები წარმოდგენილია პირგვერდის და ძირგვერდის ფრაგმენტებით. პროფილების მიხედვით ძირითადად არის პირგაშლილი და ბრტყელძირიანი. მათი დიამეტრი 20-32 სმ შორის მერყეობს. კორპუსის პროფილი და ზომები არ იკითხება. სხვადასხვა პირის გვირგვინები გარედან შემკულია რომბისებრი ბადით, რომელიც ზოგჯერ სადა ნაკაწრი ხაზებითაა შესრულებული (ტაბ. II_2), ზოგჯერ კი სავარცხლისკბილისებრი იარაღითაა დატანილი (ტაბ. II_1). გვხვდება აგრეთვე ასიმეტრიული ნაკაწრი ხაზები (ტაბ. II_3) და ღრმა სოლისებური ჭდეები. ყელზე ჰორიზონტალური, რელიეფური სარტყელი (ტაბ. II_{11}) ან ჭდეების მწკრივები შემოუყვება (ტაბ. II_4). კედლის შემორჩენილ ფრაგმენტებზე გვხვდება გრეხილრელიეფური (ტაბ. II_7) და ჭდეული ორნამენტები (ტაბ. II_8), ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულების დანაძერწი ქედები (ტაბ. $II_{5,9}$), სხვადასხვა მიმართულების ნაკაწრი ხაზები (ტაბ. $II_{5\text{-}8,10}$), ნახევარწრიული ქედები (ტაბ. II_8) და სხვა. ქვევრების კედლებზე ზოგჯერ ნახვრეტებიცაა დატანილი (ტაბ. II_6).

ანაკლია II-ზე დერგები და ქოთნები წარმოდგენილია ძირითადად პირგვერდებით, ბრტყელი ძირებით, ყურებით და სხვა. პირის გვირგვინები ძირითადად სადაა (ტაბ. II_{12}), ზოგჯერ გარედან შესქელებული და თანაბრად მომრგვალებული (ტაბ. II_{11}). გრეხილრელიეფური სარტყლებით უფრო დერგის ყელია შემკული (ტაბ. $II_{11, 12}$), ხოლო ტალღისებრი ორნამენტებით ქოთნები (ტაბ. II_{13}). კოლხური ტიპის სასმისები დამზადებულია მინარევიანი თიხისაგან. შეიმჩნევა კვარცის და ქარსის ჩანართები. გამოწვა მორუხო-მონაცრისფროა. ისინი წარმოდგენილია პირგვერდებისა და ძირგვერდების ფრაგმენტებით და მცირე ზომის ყურებით. ძირები ბრტყელია, წელში გამოყვანილი, კორპუსი ცილინდრული, რომელიც ზოგჯერ ჰორიზონტალურადაა გოფრირებული (ტაბ. II_{18}). სასმისების ზედაპირი იშვიათად სადაა (ტაბ. II_{16}), უფრო ხშირად კი ტალღისებური ორნამენტითაა შემკული (ტაბ. $II_{14, 15}$).

კოლხური ამფორები დამზადებულია მინარევიანი თიხისაგან. მასში უხვად შეიმჩნევა კვარცის, ქარსის და პიროქსენის ჩანართები. გამოწვა მონაცრისფრო-მოყავისფროა. ისინი წარმოდგენილია პირყელისა და ძირგვერდის ფრაგმენტებით. ყურები ოვალურგანივკვეთიანია, ყელი ცილინდრული, პირის გვირგვინი ოდნავ გადაშლილია. გარედან შესქელებული და თანაბრად მომრგვალებული ღილისებური ძირები შიგნიდან სპირალურადაა ჩახვეული (ტაბ. III_9). გვხვდება ძაბრისებური ფორმის ძირებიც (ტაბ. III_8).

საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრებიდან გვხვდება იმპორტირებული ქიოსური და დორიული ამფორები. შემორჩენილია პირგვერდების, ძირგვერდების და ყურების ფრაგმენტები. ამფორები დამზადებულია წმინდა, განლექილი თიხისაგან. კეცი ძირითადად მოაგურისფრო-მონაცრისფროა. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ამფორებს ყელი მაღალი და ცილინდრული აქვთ, პირი გადაშლილი, გარედან შესქელებული და თანაბრად მომრგვალებულია, ყურები მრგვალგანივკვეთიანი, ან ოვალურგანივკვეთიანია (ტაბ. III_4). ძირგვერდები ძირითადად ქუსლიანია (ტაბ. $III_{5,6}$), ან ძაბრისებური, წაკვეთილი ბრტყელი ძირით გვხვდება (ტაბ. III_7). ანაკლია II-ზე იმპორტული სუფრის კერამიკა მრავალრიცხოვანი ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. ძირითადად ძირქუსლიანი ეგზემპლარებია შემორჩენილი (ტაბ. III_3). მათ შორის

აღსანიშნავია სკიფოსის ძირგვერდი. იგი ძირშეღრმავებულია მკვეთრად გამოყოფილი ქუსლით, დაფარულია შავი ბრწყინვალე ლაკით. ფსკერი ორნამენტირებულია. ცენტრში მოთავსებულია კონცენტრული წრე. მის ირგვლივ, ოდნავ ასიმეტრიულად განლაგებულია ოთხი ვარდული, რომლებსაც ირგვლივ შემოუყვება ორ პარალელურ ღარს შორის მოქცეული ზერელედ შესრულებული ნახევარწრეების სარტყელი (ტაბ. III_1). აღსანიშნავია, ლუთერიის პირგვერდის ფრაგმენტები სქელი, დიფერენცირებული პირის გვირგვინით. ის შავლაკიანია და გაფორმებულია მოწითალო საღებავის სარტყლებით. იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ღანგრების პირგვერდის ფრაგმენტებიც (ტაბ. III_2).

ანაკლია II-ის მიმდებარე ტერიტორიაზე შემთხვევით არის აღმოჩენილი ყუამილიანი, წელშეზნექილი და ფართო სამუშაოპირიანი რკინის ცული (ტაბ. II_{19}). ცულის სიგრძე 16 სმ, ყუის სიგანე 5 სმ, სისქე 4 სმ, ხოლო სამუშაო პირის სიგანე 12 სმ-ია. ამ ტიპის ცულებს პირველი აღმოჩენის მიხედვით აკუთვნებდენ წებელდურს, რომლის გავრცელების არეალი უკვე თითქმის მთელ კოლხეთს მოიცავს (ჩხარი, ლეჩხუმი, ზუგდიდი, ახკამეთი, ვანი, ვარციხე) [15, გვ. 162-165]. მათ ათარიღებენ ახ.წ. I-IV სს-ით და აკუთვნებენ მეორე სახეობას [15, გვ. 162- 163, ტაბ. $X_{1,3}$].

როგორც დავინახეთ, ანაკლია II-ზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძალზე საყურადღებო ანტიკური პერიოდის მასალა. აქ მიკვლეული თიხის ნაწარმი ახლო პარალელებს პოულობს ყულევის (ანტიკური ხანის ნამოსახლარი), ერგეტის–მამულიების დიხაგუძუბის (I-II კულტურული ფენები), სიმაგრის, მთისძირის, ნამარნუს (III კულტურული ფენა), ნამჭედურის (I-II კულტურული ფენა), ფიჭვნარის, გონიოს და სხვა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სინქრონული პერიოდის ძეგლებზე გამოვლენილ ამ რიგის ნივთებთან [8, გვ. 57-68, ტაბ. XII; 2, გვ. 82-89, ტაბ. XXXI-XXXII; 10, გვ. 40-42; 11, გვ. 107-118; 12, გვ. 15-16, ტაბ. $X_{1,2}$ XV, XVI, XIX, XX; 13; 18, გვ. 9-14, ტაბ. VI-XVI; 20; 21, გვ. 246, სურ. $124_{18, 20, 21}$].

როგორც ზემოთ აღინიშნა, შუაბრინჯაოს ხანის ფენაზე ხელოვნურად გამართული ბორცვის წარმოქმნა უნდა ხდებოდეს ადრეანტიკურ და ალბათ ელინისტურ ხანაში, რის შემდეგ გაურკვეველი მიზეზების გამო დიხაგუძუბაზე ცხოვრება საერთოდ წყდება. აღნიშნული პერიოდების სამოსახლოები უკვე ჩნდება ანაკლია მეორის ბორცვის გარშემო და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საყურადღებოა, რომ ანალოგიური სიტუაცია დასტურდება კოლხეთის დაბლობის არაერთ ზღვისპირა ზოლის ნამოსახლარზე: ფიჩორი, ჩოლოქი, ნამჭედური, ოჩამჩირე და ა.შ.

ზოგიერთი მკვლევარი ელინისტური ხანის შემდეგ ხელოვნურ ბორცვებზე ცხოვრების შეწყვეტას უკავშირებს ახალშავზღვურ ტრანსგრესიას, ზღვის დონის აწევას, რომლის დროსაც, მოსახლეობა წყლის შემოტევის გამო იძულებულია დატოვოს დასახლებული ტერიტორიები და გადაინაცვლოს სამოსახლოდ უფრო სიღრმეში [1, გვ. 4-6].

ვფიქრობთ, ამ მოვლენის ყოველთვის ტრანსგრესიულ პროცესებთან დაკავშირება არ გამოდგება, რადგან კოლხეთის დაბლობზე, ზღვასთან ახლოს გამართულ მთელ რიგ ნამოსახლარებზე შემორჩენილია საკმაოდ მძლავრი ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ფენები (ერგეტა, განმუხური, ყულევი და სხვა) [11; 14, გვ. 120-121]. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მოხსენიებულ პერიოდებში უმრავლეს შესწავლილ სამოსახლო ბორცვებზე ეს ფენები ძალზე მკრთალია, ანდა ცხოვრება საერთოდ წყდება. როგორც აღინიშნა, დაბეჯითებით ამ პროცესის დაკავშირება ყოველთვის ტრანსგრესიულ პროცესებთან ნაკლებად სარწმუნოდ მიგვაჩნია და მას სხვანაირი ახსნა უნდა მოეძებნოს.

ამრიგად, ანაკლია მეორეზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლენილი დასახლებათა სისტემა, მათგან მომდინარე ნივთიერ მასალასთან ერთად წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან მონაპოვარს არა მარტო არქეოლოგიურ, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც. კიდევ ერთხელ გვეძლევა შესაძლებლობა თვალი გავადევნოთ კოლხეთის ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან პერიოდს, როგორიც ადრეანტიკური ხანაა, ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც თვალნათლივ დავინახოთ იმ დროინდელი კოლხი მოსახლეობის მატერიალური ფასეულობა და კონტაქტები გარე სამყაროსთან.

ლიტერატურა:

1. **ბარამიძე მ.** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1998.
2. **გამყრელიძე გ.** ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982.
3. **ვანი V,** თბ., 1985.
4. **ლორთქიფანიძე ოთ.** ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1972
5. **ლორთქიფანიძე ოთ.** არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986.
6. **მიქელაძე თ., ბარამიძე მ., მუსხელიშვილი დ., ხახუტაიშვილი დ., ფხაკაძე გ.** კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე კვლევა-ძიების შედეგები. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1972 წ. თბ., 1973, გვ. 48-57.
7. **მიქელაძე თ., ბარამიძე მ., ლორთქიფანიძე გ., მუსხელიშვილი დ., ხახუტაიშვილი დ., ფხაკაძე გ.** კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1973 წლის კვლევა-ძიების შედეგები, ხელნაწერი.
8. **მიქელაძე თ.** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ., 1978.
9. **პაპუაშვილი რ., წოწორია გ.** გეოლოგიური სტრატიგრაფია და არქეოლოგიური მონაცემები მდ. ხობის შესართავთან (ძვ. წ. VI-III სს-ები). შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის XI საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი 2005 წ, 26-29 სექტემბერი. ძიებანი, დამატება XIII, თბ., 2005, გვ. 40-42, 97-98.
10. **პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ.** ნამარნუს ადრექრისტიანული ხანის ძეგლები. კრებული გურია III, თბ., 2001, გვ. 107-118.
11. **პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ.** კოლხეთის ძველი ნამოსახლარები ერგეტა. თბ., 2005.
12. **ხალვაში მ.** კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან. ბათუმი, 2002.
13. **ჯიბლაძე ლ.** კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია (ფიჩორის ნამოსახლარის ცენტრალური ბორცვის მიხედვით). თბ., 1997.
14. **ჯიბლაძე ლ.** კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 2002.
15. **ძიძიგური ლ.** სამხრეთ კავკასიის მიწათმოქმედების ისტორიისათვის. თბ., 2002.
16. **Гамкрелидзе Г. А.** К археологии долины Фасиса, Тб., 1992.
17. **Микеладзе Т. К. Барамидзе М. В.** О некоторых итогах полевых исследований в Колхидской низменности в зонах новостроек, АИНГС, Тб., 1976, с. 95-102.
18. **Микеладзе Т., Хахутайшвили Д.** Древнеколхидское поселение Намчедури, Тб., 1985.
19. **Микеладзе Т.** К археологии колхиды (эпоха средней и поздней бронзы-раннего железа), Тб., 1990.
20. **Кахидзе А.** Восточное Причерноморье в античную эпоху (колхские могильники), Батуми, 1981.
21. **Лордкипанидзе О.** Наследие древней Грузии, Тб., 1989.

გურამ მირცხულავა იროდიონ სონღულაშვილი

დიღმისთავის წინაქრისტიანული სამლოცველო

(ძველი საქართველოს რელიგიის ისტორიისათვის)

ახალმშენებლობასთან დაკავშირებით დიღმის წმ. გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის გადარჩენითი არქეოლოგიური შესწავლა განხორციელდა. დიღმის წმინდა გიორგის ეკლესია მდ. დიღმურას მარცხენა ნაპირზე არსებულ ქედზე გამავალი გზის მარცხნივ მდებარეობს. ეკლესია XI ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს [9, გვ. 81-103; 24]. ძველ სიგელ-გუჯრებშიც ის დიღმისთავის წმინდა გიორგის სახელით მოიხსენიება; დიღმისთავადვე მოიხსენიება მისი მიმდებარე ტერიტორიაც [იხ. ხელნაწერთა ინსტ. ფონდი Hd, 1501].

ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ გორა რომელზედაც დიღმისთავის წმინდა გიორგის ეკლესიაა აგებული, ძველთაგანვე საკულტო დანიშნულებისა იყო. ამას ადასტურებს ეკლესიის აღმოსავლეთით არქეოლოგიურად გათხრილი ზოროასტრული სამლოცველო და ბომონი (ტაბ. I, II).

სამლოცველო აღმოჩნდა ეკლესიის აღმოსავლეთით, 7 მ-ის დაშორებით, რომლის შიდა ფარგლებში ჩაჭრილი იყო შუასაუკუნეების 2 ორმოსამარხი. სამლოცველო ოთხკუთხა ფორმისაა, ნაგებია დიდი ზომის ფილებით, კედლის ფილები ორ წყებად – ვერტიკალურადაა ჩასმული, რომელთა შორის დაშორება 0.60 მ-ია, ფილებს შორის სიცარიელე ე.წ. ხურდა ქვით ყოფილა ამოვსებული. სამლოცველოს აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის კედლები შედარებით კარგადაა შემორჩენილი, ხოლო სამხრეთისა და დასავლეთის კედლების გარკვეული ნაწილი მორღვეულია. სამლოცველოს სიგრძე – 11.50, სიგანე – 8 მ-ია, ხოლო კედლის სისქე კი – 1.40 მ. აღმოსავლეთ კედლის დიდი ზომის ფილებს შორის ვერტიკალურად ჩასმულია შედარებით ვიწრო, სვეტისებური ქვები, რომელთა ძირში დიდი ზომის დამუშავებული ქვების ოთხკუთხა კოჭებია ჩაშენებული (ტაბ. $I_{1,2}$; $II_{1,2}$), ეს ქვები აღმოსავლეთ კედლის წინ იატაკს 7 ნაწილად ყოფენ (საცეცხლე ნიშები?), რომლებშიც მოჩანს ცეცხლის კვალი. ქვები ცეცხლისაგან გაწითლებულია. აღმოსავლეთის დანაწევრებულ კედელთან, სამხრეთიდან მეოთხე და მეხუთე განყოფილებებში კვადრატული ფილები ელაგა. საფიქრებელია, რომ აღნიშნული ფილები ე.წ. adoscht, საცეცხლე ქვები, საკურთხევლის სადგრები უნდა იყოს, რომლებიც აუცილებელი ატრიბუტი ყოფილა ადრეული ცეცხლის ტაძრებში [20, გვ. 37]. ამავე დანიშნულების ფილა აღმოჩნდა ციხიაგორაზე, ცეცხლის ტაძარში, დარბაზის შუაგულში [20, გვ. 37]. დიღმისთავის სამლოცველოს მეორე განყოფილებაში მრგვალი ფორმის ბოძის საყრდენი ბალიში იყო მოთავსებული. ასეთივე ბალიშები აღმოჩნდა სამლოცველოს ცენტრში და ჩრდილოეთ ნაწილში, ერთმანეთისგან დაახლოებით 3.50 მ-ის დაშორებით (ტაბ. $II_{1,2}$). გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სამლოცველოში გადახურვა დაყრდნობილი უნდა ყოფილიყო 4 სვეტზე, რაც კანონიკურია ირანული ცეცხლის ტაძრებისათვის [28, გვ. 26], მაგრამ ამის გადაწყვეტით თქმა რთულია, ვინაიდან სამლოცველოში შემორჩენილი საყრდენი ბალიშები გადაადგილებულია და მეოთხე ბალიში სამლოცველოს ფარგლებს გარეთ იქნა აღმოჩენილი. დასავლეთის კედლის გარეთ შემორჩენილი იყო ქვის ფილებით მოკირწყლული იატაკის ნაწილი; კედლის ამ ნაწილში სამლოცველოს შესასვლელი უნდა ყოფილიყო მოთავსებული. სამლოცველოში აღმოსავლეთ კედლის წინ აღმოჩნდა ორად გატეხილი სამსხვერპლო „ბომონი“ (ტაბ. I_1) (სამსხვერპლო სრული არ არის, აკლია შუა ნაწილი). ბომონი შემკულია ღაროვანი ჭრილებით, თავზე სამი წრიული ღრმული აქვს ამოჭრილი, ხოლო მათ შორის ამოკვეთილია ნახევარმთვარის სიმბოლური გამოსახულება (ტაბ. II_3). ბომონის სიგრძე – 0.74 მ-ია, სიგანე – 0.17-0.20 მ-ია.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული ეკლესიების დაფუძნება ძველი სალოცავების ადგილზე გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. ერთის მხრივ, უნდა მოგვარებულიყო ახალი სარწმუნოების მიერ ძველი სარწმუნოების ელემენტების შეთვისების პროცესი. მეორე მხრივ, ქრისტიანები აშენებდნენ თავიანთ სალოცავებს იმ ადგილებში, რომელნიც ძველთაგანვე ხალხს წმინდა ადგილად მიაჩნდა. ასეთ ძველ ადგილებს თავისთვის იყენებდა ახალი სარწმუნოება, ხოლო ძველი რწმენა ებმებოდა ახალი რწმენის სისტემაში [25, გვ. 23].

უსაფუძვლო არ იქნება ვიფიქროთ, რომ აღნიშნული დიღმისთავის წმინდა გიორგის ტერიტორია, ადრეანტიკური ხანიდან მოყოლებული საკულტო დანიშნულებისაა; ამას გვაფიქრებინებს ის არქეოლოგიური ფენები, რომლებიც აქ დადასტურდა. სამწუხაროდ, ყოველ მომდევნო პერიოდში, ამ ადგილზე ჩატარებულ სამშენებლო თუ სხვა – მიწის სამუშაოებს წინა ეპოქის ძეგლები ძლიერ დაუზიანებია და ჩვენამდე ვერ მოაღწია პირვანდელი სახით. საფიქრებელია, რომ ქრისტიანობის შემოსვლიდან, აღნიშნულ ტერიტორიაზე უნდა დაფუძნებულიყო ქრისტიანული ნიში ან სამლოცველო, ხოლო უკვე XI საუკუნის I მეოთხედში ძველი სამლოცველოს ადგილზე აშენდა დიღმისთავის წმ. გიორგის ეკლესია [9, გვ. 81-103]

დიღმისთავის სამლოცველო და სამსხვერპლო ბომონი ერთობ საყურადღებო ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლს წარმოადგენს.

რაც შეეხება დამათარიღებელ მასალას, ამ მხრივ ყველაზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის პართიის მეფის, ფრააატ III (70–57 წწ.) ვერცხლის დრაქმა (განსაზღვრა პროფ. გ. დუნდუამ), რომელიც სამლოცველოს აღმოსავლეთის კედელთან, იატაკის დონეზე იქნა აღმოჩენილი (ტაბ. $V_{1,2}$). ამავე პერიოდზე მეტყველებს ძეგლზე მოპოვებული მცირერიცხოვანი კერამიკული მასალაც.

ცნობილია რომ პართიის სამეფოში ძლიერი იყო ელინისტური კულტურის გავლენა. არშაკიანები თავს მზისა და მთვარის შვილების შთამომავლებად მიიჩნევდნენ. ეს - მათ მიერ მოჭრილი მონეტების ზედწერილებშიც აღიბეჭდა [1, გვ. 9].

„პართული მონეტების აღმოჩენის ძირითადი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში მცხეთის, ხოლო დასავლეთში ბორისა და კლდეეთის მიდამოებით ისაზღვრება. საქართველოს სხვა ადგილებში აღმოჩენის შემთხვევები იშვიათია. ამ გარემოებას ხელს უწყობდა სავაჭრო გზა, რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს აკავშირებდა და საქართველოზე გადიოდა. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ მცხეთა მდებარეობდა გზაჯვარედინზე. მცხეთაზე გადიოდა სავაჭრო – სატრანზიტო გზა და იგი წარმოადგენდა სავაჭრო – სახელოსნო ცენტრს....“ [1, გვ. 16–17].

დიღმის მიდამოებში პართული მონეტების აღმოჩენის რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი; მაგ.: 1924 წელს დიდგორწინ, ადგილ „სქელჯვაგებში“, შემთხვევით იქნა აღმოჩენილი აკლდამა, რომელშიც სხვა მრავალ ნივთთა შორის აღმოჩნდა ვერცხლის დრაქმები პართიის მეფის გოტარზის (41–51 წწ.) [13, გვ. 161-188]. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ის, რომ დიღმის ხეობაზეც გადიოდა თრიალეთისაკენ მიმავალი ე.წ. საცხვრე გზა.

როგორც ცნობილია საქართველოში ზოროასტრული ცეცხლის ტაძრების აღმოჩენის რამოდენიმე შემთხვევაა დადასტურებული. ამ მხრივ საყურადღებოა სამადლოს კოშკურა ტაძარი [20, გვ. 33-35, ტაბ. XXXVII_1; 28, გვ. 5-7, ნახ. 1; 31, გვ. 51, 52, ტაბ. VIII]. აღმოჩენილია კონტრფორსებიანი ნაგებობის ფრაგმენტები, სადაც გამოირჩევა ორი სამშენებლო ფენა; პირველი - ძვ. წ. VI-IV სს-ა. როგორც ჩანს, ის დაიწვა ძვ. წ. IV-III სს-თა მიჯნაზე, მაგრამ მალევე აღადგინეს და არსებობდა ძვ. წ. II ს. ბოლომდე [28, გვ. 6]. ი. გაგოშიძე სამადლოს ნაგებობას აქემენიდურ ცეცხლის ტაძრად მიიჩნევს [31, გვ. 52; 20, გვ. 34]. კ. ხიმშიაშვილი სამადლოს კოშკურა ნაგებობის ზოროასტრულ საკულტო ნაგებობად გააზრებისაგან თავს იკავებს და აღნიშნავს, რომ: „დღესდღეისობით კატეგორიული დასკვნებისაგან, როგორც ჩანს თავი უნდა შევიკავოთ, ვინაიდან არ არსებობს რამდენადმე დამაჯერებელი და საყოველთაოდ გაზიარებული თეორია ამ ნაგებობათა დანიშნულების შესახებ...“ [28, გვ. 7].

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი, რომელიც შედგება სატაძრო მეურნეობისათვის საჭირო ნაგებობებისაგან. კერძოდ, გარდა საკუთრივ ტაძრისა, მასში შედის ბეღელი, წისქვილი, მარანი, სახაბაზო და რამდენიმე სხვა ნაგებობა [28, გვ. 8]. ტაძარი შედგება თითქმის კვადრატული

ცელისაგან (7,5X8 მ.), რომელსაც ეკვრის კორიდორისმაგვარი სათავსები. სამხრეთით სათავსების წინ მაღალი კედლით შემოსაზღვრული ეზოა. ეზოს შუაში აღმოჩნდა ფლეთილი ქვით ნაგები მაღალი (2-მ) საკურთხეველი. საკურთხეველზე იდო რკინის დანა და ცხვრის დამწვარი ძვლები. ეზოში, სამხრეთ-აღმოსავლეთით, გამართულია სამსხვერპლო მოედანი (3,5X3 მ.) [28, გვ. 8-9, ნახ. 2]. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარი, მთელი რიგი ნიშნებით უკავშირდება ირანულ ცეცხლის ტაძრებს, ტაძრის წინ, ეზოში, საკურთხეველზე აღმოჩენილი რკინის დანა და ცხვრის დამწვარი ძვლები და ასევე კომპლექსში შემავალ მარანში არსებულ ერთერთ საკურთხეველზე მიკვლეული თხის დამწვარი რქები თითქოს გამორიცხავს ამ ნაგებობის დაკავშირებას ტრადიციულ ზოროასტრულ ტაძართან [28, გვ. 10-11]. როგორც აღნიშნავენ: „...წარმოუდგენელია, რომ ტრადიციული ზოროასტრული (მაზდეანური) რელიგიის მიმდევრებმა მსხვერპლთშეწირვის რიტუალი ჩაატარონ და წმინდა ცეცხლს გააკარონ რაიმე სხეული (ხორცი), რომელიც უწმინდურად ითვლება...“ მაგრამ ფიქრობენ, რომ „...მსხვერპლის არშეწირვა დამახასიათებელია ტრადიციული, ორთოდოქსული ზოროასტრიზმისათვის. საქართველოში კი, შესაძლოა, არსებობდა რაღაც ადგილობრივი ძლიერი ტრადიცია, რომლის მიხედვით გრძელდებოდა მსხვერპლთშეწირვა, სამსხვერპლო ცხვრისა თუ თხის დაწვა“ [28, გვ. 10-11].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ციხიაგორას კომპლექსში შემავალ მარანში აღმოჩენილ იქნა საკურთხეველი. კვადრატული საკურთხეველი მიშენებულია მარნის სამხრეთ კედელზე, რომელიც ნაგებია ალიზისაგან (1,6X1,6 მ). საკურთხევლის ზედაპირზე აღმოჩნდა თიხის დისკო, რომელზედაც დაძერწილი იყო ტოლმკლავა ჯვარი [26, ტაბ. IX, XVIII$_3$], დისკოს ქვეშ გამოვლინდა სუფთა ნაცრის გროვა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შესრულებული რელიგიური რიტუალის შემდეგ დარჩენილი ნაცარი, შეუნახავთ მზის სიმბოლოთი, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ცეცხლისა და მზის ურთიერთკავშირს და მიგვითითებს ამ ტაძრის ზოროასტრულ რელიგიასთან მჭიდრო კავშირზე. მარნის კარის პირდაპირ მოთავსებულია ალიზით ნაგები კიდევ ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული კონსტრუქციის საკურთხეველი [26, გვ. 18, ტაბ. XI]. რაც შეეხება აღწერილი სატაძრო კომპლექსის თარიღს, ის არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე თარიღდებოდა ძვ.წ. IV-III სს. მაგრამ ზ. მახარაძემ და გ. ნარიმანიშვილმა ციხიაგორას აქემენიდური ფენისადმი მიძღვნილ წერილში კიდევ უფრო დააზუსტეს თარიღი და სრულიად საფუძვლიანად შემოგვთავაზეს ძვ. წ. III ს-ის დასაწყისი [28, გვ. 11].

ასევე საყურადღებოა ღართისკარისა და სამადლოს ცეცხლის ტაძრები. ღართისკარის ცეცხლის ტაძარი მცხეთის ჩრდილოეთ გარეუბანში აღმოჩნდა [28, გვ. 12, ნახ. 4]. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია ორი სამშენებლო ჰორიზონტი, როგორც ჩანს ქვედა და ზედა სამშენებლო ჰორიზონტების ნაგებობების გეგმარება იდენტურია. როგორც ზედა, ასევე ქვედა სამშენებლო ჰორიზონტების ტაძრები შედგებოდნენ ცელებისაგან, რომლებსაც ორი მხრიდან ჰქონდა კორიდორის მაგვარი წაგრძელებული სათავსები. ზედა სამშენებლო ჰორიზონტის ცელაში, რომელიც ალიზის წყობითაა ამოყვანილი, შემორჩა ორი საკურთხეველი. ერთი თავისუფლად მდგარი ცელის ცენტრში, მეორე კი დასავლეთ კედელთან. ცენტრალურ საკურთხეველში სადაც ჩადგმული იყო კერამიკული ჭურჭელი, შეიმჩნეოდა ცეცხლის ხანგრძლივი მოქმედების კვალი, აქვე აღმოჩნდა „წმინდა” ნაცრის საკმაოდ სქელი ფენა. ხის სვეტების საყრდენი ბალიშების განლაგებიდან და იატაკზე აღბეჭდილი, ჩამოქცეული კოჭების კვალიდან გამომდინარე ფიქრობენ, რომ გადახურვა ეყრდნობოდა არა ალიზის კედლებს, არამედ ხის სვეტებს კედლის გასწვრივ და აგრეთვე ოთხ თავისუფლად მდგარ სვეტს, რომელნიც ცელის ცენტრში იყვნენ აღმართულნი.

ღართისკარის ქვედა სამშენებლო ჰორიზონტი, მოპოვებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე თარიღდება ძვ. წ. III ს-ის მიწურულითა და ძვ. წ. II ს-ის დასაწყისით. ზედა ჰორიზონტის მასალა ქვედა ჰორიზონტის იდენტურია. ძეგლი ძვ. წ. III ს-ით თარიღდება [28, გვ. 12-13].

რაც შეეხება სამადლოს ცეცხლის ტაძარს, რომელიც მდებარეობს მცხეთიდან დასავლეთით დაახლოებით 15 კმ-ზე, ტაძრისგან შემორჩენილი ყოფილა მხოლოდ ვიწრო ზოლი, უკანა (სამხრეთის) ნაწილისა [28, გვ. 14, ნახ. 5]. როგორც კ. ხიმშიაშვილი აღნიშნავს, ამ ნაგებობის ტაძრად მიჩნევა არ უნდა იწვევდეს ეჭვს, რადგან მასში აღმოჩენილია განსაკუთრებული ფორმის ოთხკუთხაბაკოიანი საკულტო ჭურჭლები, რომელთა მსგავსი ჭურჭლები ცნობილია ქართლის არქეოლოგიურ ძეგლებზე – უფლისციხეში, სამადლოში, ნასტაკისში და სხვ. [28, გვ. 14]. ასეთივე ჭურჭლები (3 ც.) ჩაშენებული იყო ციხიაგორაზე, მარანში არსებულ საკურთხეველში. სამადლოს მიწებზე გათხრილ ტაძარში აღმოჩენილ საკურთხეველზეც სამი ასეთი ჭურჭელი იყო მიდგმული, რომლებზეც ცეცხლის ზემოქმედების კვალი შეიმჩნეოდა. ზემოთმოყვანილ ძეგლებზე აღმოჩენილი ოთხკუთხაბაკოიანი ჭურჭლები ძირითადად ძვ. წ. III-II სს. თარიღდება [28, გვ. 14].

კ. ხიმშიაშვილი ასევე არ გამორიცხავს, რომ უფლისციხის აივნიანი კომპლექსები თავისი ხასიათით უფრო საკულტო ნაგებობებთან იყოს ახლოს, ვიდრე საეროსთან. თუმცა აღნიშნავს, რომ „ჩვენი ცოდნის ამ ეტაპზე ამის მტკიცება ნაადრევი იქნებოდა“ [28, გვ. 34, ნახ.$_{10,11}$]. უფლისციხის აივნიანი კომპლექსი გამოკვეთილია ახალი წელთაღრიცხვის I ს-ის მეორე ნახევარსა და II ს-ის პირველ მესამედში და შესაძლოა გააჩნდეთ საკულტო დანიშნულება [28, გვ. 34, 35].

აქვე უნდა აღინიშნოს ცენტრალური გეგმარების კომპლექსები ნეკრესისა და არმაზისციხის ექვსაფსიდიანი ტაძრები (ახ.წ. III საუკუნის II ნახევარი), რომლებიც ასევე შესაძლოა ცეცხლის ტაძრებს წარმოადგენდნენ [28, გვ. 35-38. ნახ.$_{12,13}$].

ჩვენთვის მეტად საყურადღებო ძეგლებს წარმოადგენენ ირანში აღმოჩენილი დაჰან-ე ყულამანისა (აქემენიდური ხანა, ტაბ. III$_1$) და კუჰ-ე ჰაჯეს (პართული ხანა, ტაბ.III$_2$) ზოროასტრული ტაძრები, რომელთა საცეცხლე ნიშები რამდენადმე წააგავს დიღმისთავის სამლოცველოსას.

ცნობილია, რომ ზოროასტრულ რელიგიას სახელი ეწოდა ზარათუშტრას მიხედვით. ზოროასტრიზმის წმინდა გამოვლინებაა ცეცხლი – როგორც ღვთაებრივი სამართლიანობის განსაჯიერება. ვარაუდობენ, რომ ძველი ქართული ღვთაება არმაზიც ამ რელიგიას უკავშირდება.

ზოროასტრული რელიგია ირანთან კონტაქტში მყოფ ქვეყნებში, სხვადასხვა გზით ვრცელდებოდა, როგორც პირდაპირი, ასევე შემდგომში მითრაიზმის გავლენის მეშვეობით [21, გვ. 21]. მითრა – ძველ ირანელთა მზის, შუქისა და ხელშეკრულების ღმერთია. ქსერქსე I-ის დროიდან კი უაღრესად ცნობილ მზის ღმერთად არის აღიარებული. ირანულ რელიგიაში ყველა რწმენა მზის, ცეცხლისა და სინათლის გარშემო ტრიალებს [7, გვ. 322]. მოგვიანებით მითრა ზოროასტრულ პანთეონში ჩაერთო. მითრას სახელი ჯერ კიდევ ლურსმულ ტექსტებში იხსენიება და გაიგივებულია ბაბილონურ მზის ღვთაებასთან. მითრას კულტს უკავშირებენ საქართველოში არსებულ სინათლის ღვთაება „მირსას“ [14]. ასევე ცნობილია, მითრას კულტის ბერძენ ღმერთებთან (ჰელიოსი, აპოლონი, ზევსი) ერთგვარი მსგავსება, რომში კი – მცირეაზიული შენარევებით პომპეუსის დროიდან დამკვიდრდა.

საფიქრებელია, რომ ზოროასტრიზმი – მითრაიზმი, რომელიც მზისა და ცეცხლის თაყვანისცემას უკავშირდება, თავიდანვე უცხოდ არ მიიღებოდა საქართველოში და კავკასიაში, სადაც მზისა და ცეცხლის კულტი ადრებრინჯაოდან – მტკვარ-არაქსის კულტურიდან საკმაოდ ძლიერია. მზის, ცეცხლისა და შესაბამისად, კერის კულტი მკვლევარებს ეთნოგრაფიულადაც აქვთ დადასტურებული. შესაბამისად ცეცხლთან დაკავშირებული რელიგია, მითუმეტეს თუ კი ის პოლიტიკურ საბურველში იქნებოდა გახვეული, საქართველოში დიდ წინააღმდეგობას ალბათ არ წააწყდებოდა. ახალი ღმერთების შემოყვანას ხალხში არ გამოუწვევია ძველი რელიგიური წარმოდგენების ძირეული შეცვლა. მზის, მთვარის, ვარსკვლავების, ადგილის დედის, მიწათმოქმედების [15, გვ. 100-110] სულიერი ძალებისადმი, თაყვანისცემა ქართველ ხალხს შემორჩა ქრისტიანობის გავრცელების შემდგომაც და მრავალი ძველი რელიგიური ჩვეულება ქრისტიანულ რელიგიას შეუსისხლხორცდა [19, გვ. 78].

ირანულ-ქართული ისტორიულ-კულტურული კონტაქტების ყველაზე ადრეულ ხანად ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებია ცნობილი და მიდიელთა იმპერიას უკავშირებენ. ზოროასტრული რელიგიის ფართოდ გავრცელების ერთერთ ფაქტორად, აქემენიანთა იმპერიის სიძლიერეს თვლიან (ძვ.წ.

559–330 წწ.). ასევე მაზდეანური კულტის დასამკვიდრებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვან ხანად პართულ ეპოქას (ძვ.წ. 250 – ახ.წ. 226 წწ.) მიიჩნევენ და მრავალრიცხოვანი ლინგვისტური, არქეოლოგიური და ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე დაყრდნობით აღნიშნავენ, რომ „სწორედ პართულ პერიოდში, ე.ი. მაშინ როცა საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა ერთიანი სახელმწიფო რელიგია, მაზდეანობა ქართლში ღრმად ფეხმოკიდებული ჩანს“ [21, გვ. 21–22]. ხოლო სასანურ პერიოდში (ახ.წ. 226 – 641 წწ.) მაზდეანობამ, როგორც სასანიანთა ირანის ოფიციალურმა იდეოლოგიურმა დოქტრინამ, აგრესიული ხასიათი მიიღო. საქართველოში, სადაც მაზდეანობას სამეფო კარის სტატუსი ჰქონდა დამკვიდრებული, ქრისტიანობა დაუპირისპირდა. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ვითარების შეცვლა მოჰყვა: ინოვაცია, ქრისტიანობის სახით, დაუპირისპირდა, ერთი მხრივ, ქართულ კულტურასა და ყოფაში უკვე ღრმად ფესვგადგმულ მაზდეანურ რელიგიურ სისტემას, ისე როგორც ე.წ. „ადგილობრივ კულტებს“, მეორე მხრივ კი – „მებრძოლ“ სასანურ მაზდეანობას. აღნიშნულ პროცესში, ბუნებრივია, იცვლებოდა მაზდეანური სამყაროდან ნასესხებ კულტურულ ელემენტთა ისტორიული და ფსიქოლოგიური აღქმის ფონიც [21, გვ. 22].

ქრისტიანობას წინააღმდეგობას III ს-ში მითრაიზმიც უწევდა. ქრისტიანული რელიგია ბევრი რამითაა მისგან „დავალებული“; მითრა დაიბადა „მზის აღორძინების“ დღეს – 25 დეკემბერს. ამ დღეს იშვა იესო ქრისტეც. მითრას მსახურნი ერთად მიირთმევდნენ სერობაზე პურსა და ღვინოს – ქრისტიანული ზიარების პური და ღვინოც სიმბოლოა ღვთისმსახურებისა. მითრას წმინდა ნიშანია სხივოსანი დისკო – რვასხივიანი ჯვარიც ქრისტიანობის სიმბოლოა და ა.შ. [7, გვ. 322].

ირანელ სასულიერო და საერო წარჩინებულთა იდეოლოგიური დასაყრდენი მაზდიანობა იყო. ცეცხლთაყვანისმცემელთა ათეშგაჰი (საგზებელი) ყველა ქალაქსა და სოფელში არსებობდა, წმინდა ცეცხლი ყველა სახლში იყო დანთებული. საგზებელი გამოხატული იყო სასანურ მონეტებზეც (ტაბ. V_3) [5, გვ. 23-30]. სასანური მონეტების ზურგზე, ცენტრში მოცემულია სამსხვერპლო ათაშდანი. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ახალი ხელისუფლის მეფობის დროს სასანურ მონეტებზე არა მხოლოდ მეფის გვირგვინის ფორმა იცვლება, არამედ იცვლება სამსხვერპლოს ფორმაც [37, გვ. 266].

დიღმისთავის სამსხვერპლოს პარალელები ეძებნება საქართველოში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებში. ის ძალიან ახლოს დგას ბორისა და არმაზის ვერცხლის ლანგრებზე გამოსახულ ბომონებთან, რომლებზედაც სამსხვერპლოსთან მდგარი ცხენებია გამოსახული (ტაბ. $IV_{1,2,3}$) [36, გვ. 90-91]. „ბორის თასი“-ს [36] წარმოშობის შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს. ი. სმირნოვს აღნიშნული აქვს, რომ თასი ბერძნულ ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს [35, გვ. 7]; ხოლო ე. პრიდიკი ბორის თასს ათარიღებს ახ.წ. პირველი საუკუნით და რომაელი ოსტატის ნახელავად თვლის [34 გვ. 100, ტაბ. 1, ნახ. 3]. ნ. მარისა [32, გვ. 8] და ი. მეშჩანინოვის [33, გვ. 225] ცნობით ირკვევა, რომ აკად. ი. ორბელს გამოუთქვამს თავის ზეპირ მოხსენებაში მოსაზრება ბორის თასის შესახებ. მას ცხენის გამოსახულება განუმარტავს ქართველთა ერთ-ერთი ტომის ღვთაება-ტოტემის განსახიერებად [2, გვ. 112]. იხილავს რა ბორისა და არმაზის თასებს, შ. ამირანაშვილი ზემოთ მოყვანილი დებულების საფუძველზე აღნიშნავს, რომ: „...სამივე ლანგარზე საკურთხევლის წინაშე კი არ არის გამოსახული შესაწირავი ცხენი, ზვარაკი, არამედ, როგორც ეს სავსებით მართებულად აღნიშნა ი. ორბელმა, ბორის ლანგრის განხილვისას, ცხენი ღვთაებრივი ატრიბუტებით, უფრო ზუსტად რომ ვსთქვათ, თვით ღვთაება ცხენის სახითაა წარმოდგენილი“ [2, გვ. 113]. შ. ამირანაშვილი ბორისა და არმაზის ღვთაებრივი ნიშნების მქონე ცხენებს ღვთაება მითრას გამოსახულებად მიიჩნევს [2, გვ. 115], ხოლო ბომონებს ამსგავსებს სასანურ მონეტებზე გამოსახულ ბომონებს და აღნიშნავს: „ამ სახის ბომონი ცნობილია სასანიანთა ეპოქის, განსაკუთრებით ადრინდელი ხანის მონეტებზე. აქ ვხედავთ სავსებით იგივეობას, ე. ი. სამივე ლანგარზე გამოსახულია ირანული ტიპის ათაშდანი“.

როგორც ცნობილია საქართველოში მითრას კულტის არსებობა ეთნოგრაფიულადაც დადასტურებულია და ამ საკითხს არა ერთმა

მკვლევარმა მიუძღვნა ნაშრომი [10; 13]. რაც შეეხება ი. ორბელის მიერ წამოყენებულ დებულებას, ამას კიდევ უფრო ამტკიცებს და საფუძვლიანს ხდის მომდევნო წლებში აღმოჩენილი ანალოგიური თასები და სხვა არქეოლოგიური მასალა. მაგ. ქარელის რაიონ სოფ. ზღუდერში № 1 და № 2 ხის სარკოფაგში აღმოჩენილი ცხენიანი პინაკები, „რომელთაც ემსგავსება ბერსუმა პიტიახშის სამარხის და ბორის ცხენიანი პინაკები, არა მარტო ძირზე გამოსახული სარწმუნოებრივ-რელიგიური სცენით, არამედ მთელი რიგი საერთო ნიშნებით, ერთ გარკვეულ, ადგილობრივ ტრადიციაზე აღმოცენებულ ჭურჭელთა ჯგუფში ექცევა“ [16, გვ. 49, 50], ამავე № 2 სარკოფაგში აღმოჩნდა პატარა ზომის (17 სმ) ბრინჯაოს საცეცხლური (ბომონი) (ტაბ. V_9), რომელიც მიცვალებულის მარჯვენა მხართან იდგა. ის წარმოადგენს ტაძარს, რომლის გუმბათი ფიჭვის გირჩისნაირია [16, გვ. 47-50] ასევე გირჩის გამოსახულებად მიიჩნევენ ბორისა და არმაზის ლანგრებზე გამოსახულ ბომონებზე მოთავსებულ საგნებს და აღნიშნავენ რომ: საკულტო-სარიტუალო შინაარსის გამოსახულებათა შორის წიწვიანი ხეებისა თუ მათი ნაყოფის (კერძოდ, ფიჭვისა ან ნაძვის გირჩის) გამოსახვა არც შემთხვევითაა და არცთუ იშვიათად გვხვდება. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ფიჭვის ხის მოტივი მიცვალებულის კულტთან და ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ, საწესო გრაფიკულ ხელოვნებაში თუ ორნამენტში. მაშასადამე, ქართველი ხალხის ძველი რელიგიური აზროვნების გადმონაშთებში ფიჭვი ერთ-ერთი ვარიანტი ჩანს სიცოცხლის ხისა, რომელიც ესოდენ ხშირადაა ხოლმე გამოსახული საკულტო სცენებში [3, გვ. 56, სქოლიო №1]. ზღუდერის სამაროვანზე, გარდა ზემო დასახელებული ნივთებისა, შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ნივთი: მთლიანადსხმული ფეხაწეული გრიფონის ფიგურა ზედ მიმოქლონებული ფურცლოვანი ფრთებით და ხარის თავი, რომელსაც კეფაზე სვეტებიან-კამარიანი კარი აბია. ორივე ნივთი ერთი მეორის გვერდით აღმოჩნდა [16, გვ. 50]

გ. ნემსაძე ხარის თავსა და № 2 ხის სარკოფაგის ბომონს, რომლებიც საცეცხლურებს წარმოადგენენ, უკავშირებს სარწმუნოებრივი წარმოდგენების იმ წრეს, რომელიც ასახულია ზემოთ დასახელებულ პინაკებზე [16, გვ. 50]. თიხის მინიატურული საცეცხლური „ბომონი“ იქნა აღმოჩენილი 2004 წელს ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სოფ. კლდეში. ბომონი შემკულია სხვადასხვა სახის ორნამენტებით, რომელთაგან ყურადღებას იქცევს ორნამენტი, რომელიც სიცოცხლის ხის გამოსახულებად მიგვაჩნია და ადამიანის გამოსახულება ადორაციის მომენტში (სავარაუდოდ მითრა – ვარაუდი პირველად გამოთქვა არქეოლოგმა გ. გამყრელიძემ) (ტაბ.$V_{10,11}$). ბომონი ახ.წ. IV საუკუნით თარიღდება [4].

აქვე ყურადღებას იმსახურებს ზაჰესის არხის გაყვანის დროს შემთხვევით აღმოჩენილი აგურის ფილაქვიანი მდიდრული აკლდამის ვერცხლის თასი, რომელზეც გამოსახულია ბომონისა და ათაშდანის აქეთ-იქით მდგარი ცხენები, რომელთაც წინა მარჯვენა ფეხი აწეული აქვთ [17, გვ. 7-8]. გ. ნემსაძეს გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ „აღნიშნული სცენა სიცოცხლის ხის გამომსახველია, სადაც ანტიპოდი ცხოველები ცხენებია, ხოლო „სიცოცხლის ხე“ – ცეცხლოვანი ბომონი.” ამდენად ცეცხლოვანი ბომონი სიცოცხლის ხის ერთ-ერთ შემცველ ვარიანტს წარმოადგენს [17, გვ. 8]. გ. ნემსაძე, ასევე სიცოცხლის ხის ამსახველ სიუჟეტად მიიჩნევს, ფრიზის მეორე სცენას, სადაც ანტიპოდ ცხოველებს გრიფონები წარმოადგენენ, რომლებიც ძნელადსაცნობი საგნის (ბომონის?) წინ არიან წარმოდგენილნი [17, გვ. 8]. ამ მხრივ მეტად საინტერესოა სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში. ამ ტიპის ორნამენტში უმთავრესად მოცემულია ვაზი, ხე, ყვავილი, ლომი, ფრინველი, (მნათობები) და ძველი ტრადიციიდან მომდინარეობს [23, გვ. 303, 304].

ჩვენ აქ მოვიტანთ სიცოცხლის ხის ორ სიუჟეტს, რომლებიც ბუხრის მორთულობაშია მოცემული. პირველ მათგანზე წარმოდგენილია ხე მცენარე, რომლის გვერდებზე კუდდახვეული „ლომები“, ანტიპოდებია გამოკვეთილი. აქვეა სიმეტრიულად გამოყვანილი ორი ექვსქიმიანი ვარსკვლავი (ტაბ. IV_4). მეორეზე წარმოდგენილია აგრეთვე ხე და გვერდებზე ცხოველები, ანტიპოდები, კუთხეებში – კი სიმეტრიულად განლაგებული მთვარე, მზე და ორი ვარსკვლავია გამოკვეთილი (ტაბ. IV_5) [23, გვ. 307]. როგორც გ. ჩიტაია აღნიშნავს ბუხარი ლაზური სახლის

ტიპში საოჯახო კულტის ცენტრს წარმოადგენს. თავისთავად ცხადია, რომ ცეცხლის კულტის ბუხართან დაკავშირება ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ცეცხლის ადგილი კერიდან ბუხარში იქნა გადატანილი [23, გვ. 308]. ცეცხლთან, კერასთან იყო დაკავშირებული მიცვალებულის (წინაპრის) კულტი. ლაზური სიცოცხლის ხეც ამავე კულტს უკავშირდება. რამდენადაც ლაზურ ორნამემტში შემონახული სიცოცხლის ხის მოტივი ცეცხლის, კერის და მიცვალებულის (წინაპრის) კულტებთან ყოფილა დაკავშირებული, ის წარმოადგენდა ამაღორძინებელ, გამანაყოფიერებელ და მაცოცხლებელ ძალას. ამის გამო გასაგებია ისიც, თუ რად ახლავს ლაზურ სიცოცხლის ხის მოტივს ასტრალური ანტურაჟი... [23, გვ. 319].

სიცოცხლის ხის მოტივში ხის შეცვლა თევზით, როგორც ეს ალბანურ–დაღესტნურ ძეგლზეა მოცემული, ამტკიცებს, რომ ამ მოტივში ძირითადად ნაყოფიერების სიმბოლოა გადმოცემული. ქართველებში თევზი, როგორც ნაყოფიერების მომნიჭებელი ძალა მრავალი წესჩვეულებით დასტურდება. სიცოცხლის ხის ნაყოფიერების ფუნქცია, მკვეთრად გამოსახული მის სუმერულ ვარიანტში („ადამ და ევა,“ ტაბ. IV_7), გამართლებას პოულობს ხურულ და ქართულ–კავკასიურ ანალოგიურ სიუჟეტებში [23, გვ. 320]. სიცოცხლის ხის საყურადღებო მოტივს ვხვდებით კარხემიშში აღმოჩენილ ძეგლზე (ტაბ. IV_6) [23, გვ. 316].

ჩვენთვის საინტერესო სიუჟეტია გამოსახული ბიჭვინთაში აღმოჩენილ ტრაპეზუნტის რიგ მონეტებზე, რომლებზედაც გამოსახულია ცხენზე მჯდომი მითრა. ცხენს მარჯვენა ფეხი საკურთხევლის წინ აქვს აწეული, მხედრის უკან კი სიცოცხლის ხეა გამოსახული (ტაბ. V_4) [8]. გ. დუნდუა მითრას გამოსახულებიან მონეტების ევოლუციას რამდენიმე ეტაპად ყოფს; მეორე საუკუნის მონეტებზე გამოსახულია მითრას ბიუსტი, სხივიან ფრიგიულ ქუდში, შემდეგ მას ემატება ცხენის პროტომა. გ. დუნდუა ასევე მითრას კულტს უკავშირებს იმ ფანტასტიკურ გამოსახულებიან მონეტებს, რომლებზეც გამოსახულია სტილისტური მანერით შესრულებული ტახტზე მჯდომარე ცხენის გამოსახულება, რომელიც ტრაპეზუნტის მონეტების განში სამ ეგზემპლარადაა წარმოდგენილი და ლიტერატურაში მისი პარალელი არ მოიპოვება. ხოლო II ს. დასასრულიდან მითრა ცხენზეა ამხედრებული. მხედრის წინ დგას ბომონი, რომლის წინაშეც ცხენს მარჯვენა წინა ტორი აწეული აქვს. შემდეგში მას ემატება სიცოცხლის ხე, რომელზედაც ზოგიერთ შემთხვევაში გველია შემოხვეული. მომდევნო ეტაპზე მითრა–მხედარს წინ და უკან უჩნდება თანამგზავრები. ბომონის გვერდით აღიმართება სვეტი, რომელზედაც დგას ამური, უმეტეს შემთხვევაში კი ზის მტაცებელი ფრინველი – ყვავი, რომლის ზემოთაც მოთავსებულია ვარსკვლავი და ბოლოს ყველაფერ ამას ემატება, ისიც, რომ ხაზს ქვემოთ (ე.ი. მიწის ქვემოთ) გართხმულია გველი“ (ტაბ. V_4), [8, გვ, 334, 335]. როგორც გ. დუნდუას ზემოთმოტანილი ნაშრომიდან ვიგებთ, „...ჯერ კიდევ მითრას მისტერიების ცნობილმა გამომქვეყნებელმა Cumont-მა სრულიად სამართლიანი აზრი გამოთქვა, რომ III ს. ტრაპეზუნტის მონეტებზე გამოსახული მხედარი არ არის მითრა ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, არამედ სინკრეტული ღვთაებაა, რომელმაც გააერთიანა (მზის, სინათლის) და კაპადოკიური მთვარის ქალღმერთის მენის ფუნქციები“ [8, გვ. 335]. მაგრამ ამ მოსაზრებას გარკვეული ავტორები არ იზიარებენ, იმ მოტივით, რომ მენის კულტისათვის დამახასიათებელი ატრიბუტი – ნამგალა მთვარე ტრაპეზუნტის მონეტებზე არ გვხვდება. გ. დუნდუა სხვა ავტორებს არ ეთანხმება და მოყვანილი აქვს მრავალი მაგალითი, სადაც ღვთაება მენს ნამგალა მთვარე არ ახლავს და დასძენს, რომ „...მართალია მენის ატრიბუტი – ნამგალა მთვარე – ტრაპეზუნტის მონეტებზე არ გვხვდება, მაგრამ სამაგიეროდ მათზე გამოსახულია მთვარის სხვა ატრიბუტი – მტაცებელი ფრინველი (ყვავი?)“ [8, გვ. 335, 336]. ამ მხრივ საინტერესოა დიღმისთავის ბომონზე ამოკვეთილი ნახევარმთვარის გამოსახულება და სამი წრიული ღრმული, რომლებიც ჩვენ ასტრალურ სიმბოლოებად მიგვაჩნია.

ამავე ნაშრომში გ. დუნდუა განიხილავს ბორის, არმაზის, ზღუდერის ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ მასალას და პირდაპირ მსგავსებას ხედავს, როგორც ზღუდერის საცეცხლურ ბომონსა და ტრაპეზუნტის მონეტებზე გამოსახულ სამსხვერპლოებს შორის, ასევე ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ბორის თასზე გამოსახული სხივოსან-ფაფრიანი ცხენი ყველა დეტალით დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ტრაპეზუნტის მონეტებთან [8, გვ. 336, 337]. ავტორი აქვე განიხილავს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ სხვადასხვა ინტალიოებსა და გემებს, რომლებზეც გამოსახულია ისეთივე მოტივი, როგორიც ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტებზე [12, გვ. 26], (ტაბ.$V_{5,6}$) და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს ღვთაება ქართველურ ნიადაგზეა წარმოშობილი და მონეტებზე ამოტვიფრულ გამოსახულებებს შინაარსობრივად მჭიდროდ უკავშირებს უძველეს ქართველურ რწმენა-წარმოდგენებს [8, გვ. 337, 338].

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს ადრეანტიკური ხანის საბეჭდავების გამოსახულებები. მაგალითად ყანჩაეთში აღმოჩენილი ორი საბეჭდავი, რომლებსაც ი. გაგოშიძე ადგილობრივ ქართულ ნაწარმად მიიჩნევს და აღნიშნავს რომ ამ საბეჭდავების გამოსახულებებში ადგილობრივი, ქართული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები აისახებოდა [6, გვ. 34]. ყანჩაეთის სამარხის № 7 საბეჭდავის ფარაკზე გამოსახულია ფრინველი, ფანტასტიკური (რქიანი) ცხენი და მის ფეხებს შორის ასტრალური ნიშანი – რვასხივიანი ვარსკვლავი (იხ. ტაბ. V_7). ი. გაგოშიძე მიიჩნევს რომ ამ გამოსახულებათა სახით ზეცის მკვიდრთა გამოსახულებებთან გვაქვს საქმე [6, გვ. 34-35]. ი. გაგოშიძე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი ძეგლების საფუძველზე, რომლებზეც მზის ღვთაება ცხენის სახითაა გამოსახული, ფიქრობს რომ ამ საბეჭდავებზე ფანტასტიკური რქიანი ცხენის სახით მზის ღვთაებაა წარმოდგენილი. მზის ღვთაების გამოსახულებას ხშირად ახლავს ხოლმე ფრინველი. ამ საბეჭდავზეც მზე–ცხენს ზედ აზის ფრინველი. ი. გაგოშიძე აღნიშნავს, რომ: თუ ცხენი მზის ცხოველად ითვლებოდა საქართველოში, ფრინველი მთვარისა უნდა ყოფილიყო [6, გვ. 35, 36]. ავტორის ამ მოსაზრებას არ იზიარებს ი. კიკვიძე და თითქმის მთლიანად პირუკუ აყენებს მას. „შეიძლება ვიდაოთ ი. გაგოშიძესთან, რომ ფრინველი მთვარე კი არ არის არამედ მზეა და პირუკუ, ცხენი მზე ქალღვთაება კი არა, ვაჟ ღვთაებაა და ამისი არაერთი მაგალითი მოვიტანოთ წინააზიის არქეოლოგიიდან. ყველა შემთხვევაში გემის გამოსახულების შინაარსი უცვლელი რჩება, მასზე წმინდა სამეულია გამოსახული“ [11, გვ. 223]. ვერ დავეთანხმებით ი. კიკვიძის მოსაზრებას, ვინაიდან ჩვენი აზრით საკმარისი მასალა მოიპოვება ქართულ არქეოლოგია-ეთნოლოგიაში, რომელიც ამტკიცებს რომ ცხენის კულტი მზის კულტს უკავშირდება მზე კი ქალადაა მიჩნეული, ხოლო მთავარე ფრინველის სახით გამოისახებოდა ხოლმე. [მაგ. იხ. 3, გვ. 57; 18, გვ. 224-241].

რაც შეეხება ყანჩაეთის № 8 საბეჭდავს (ტაბ. V_8), მის ფარაკზე გამოსახულია შუბოსანი მხედარი ფანტასტიკურ რქიან ცხენზე და მხედრის ზურგსუკან რვასხივიანი ვარსკვლავი. ი. გაგოშიძე მიიჩნევს, რომ № 7 საბეჭდავისაგან განსხვავებით, რომელზეც ასახულია უმაღლესი ღვთაება, № 8 საბეჭდავზე უკვე ერთი ღვთაების, მებრძოლი ღვთაების გამოსახულება უნდა გვქონდეს, „ცხენი და ვარსკვლავი დამოუკიდებელი ფიგურები აღარაა, ისინი ამ ღვთაების ატრიბუტებად ქცეულან. ღვთაება რომლის ატრიბუტები მზე – ცხენი და ვარსკვლავია, შეიძლება მხოლოდ ქართული წარმართული პანთეონის უმაღლესი ღვთაება მთვარის ღვთაება იყოს. მართლაც მხედარს ფრინველის (=მთვარის) ადგილი უკავია“ [6, გვ. 39]. ამ აზრის გასამტკიცებლად ი. გაგოშიძეს მოყავს ურსძუარში აღმოჩენილი ბალთა (ტაბ. V_{12}), რომელზედაც მოცემულია ცხენიანი მხედრის გამოსახულება, რომელსაც მკერდის წინ მზის ნიშანი აქვს (კონცენტრული წრეები), ხოლო მხედრის უკან ცხენის გავაზე ფრინველი (მამალი) – მთვარის ნიშანი – ზის [6, გვ. 39].

მეცნიერთა ფართო წრეს აქვს გამახვილებული ყურადღება ბრინჯაოს ჭვირულგამოსახულებიან ბალთების გამოსახულებებზე [2, გვ. 116; 3 გვ. 57]. ამ ბალთების არსებობის პერიოდად მ. ხიდაშელს მოცემული აქვს – ძვ.წ. II – ახ.წ. II-III სს. [27, გვ. 17].

საყურადღებოა ბალთა, რომელიც ონის რის სოფ. ღებშია აღმოჩენილი (ტაბ. V_{13}), მასზე გამოსახულია ფანტასტიური ორთავიანი ირემი, რომელზედაც გამოსახულია ქალღვთაების ფრონტალური ფიგურა, ძაღლი, ირმის თავების წინ მოცემულია გველის გამოსახულება [27, გვ. 110, 101, ბალთა № 86]. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ორთავიანი ცხო-

ველები ზოგჯერ განიხილებიან როგორც ასტრალურ ღვთაებათა ატრიბუტები. ა. როსის აზრით, ორთავიან ცხოველებზე ამხედრებული ქალღმერთი მთვარის ღვთაებას უნდა წარმოადგენდეს [27, გვ. 80].

როგორც ცნობილია ქართულ რელიგიურ წარმოდგენებში მთვარე მამაკაცის სახითაა გააზრებული, რომელიც ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ წმინდა გიორგის კულტშიც აისახება [29, გვ. 43-54]. განსაკუთრებით საყურადღებოა ორთავიანი ირემის ორივე მკერდზე გამოსახული ორნამენტი, კონცენტრული წრეები, რომელიც ცნობილია როგორც მზის სიმბოლო. ამ და რიგი სხვა მონაცემების მიხედვით, საფიქრებელია რომ ჩვენ საქმე გვაქვს მზე – ქალღვთაებასთან, მითუმეტეს რომ ქართულ წარმოდგენებში მზე – ქალადაა მიჩნეული, ხოლო ბალთის დანარჩენი ფიგურები: ძაღლი, გველი, და სხვ. სხვა ასტრალურ ნიშნების მატარებლები უნდა იყვნენ. აღნიშნულ ბალთის სიმბოლიკას მ. ხიდაშელი უკავშირებს ცხოველთა მფარველ ღვთაებას და მასთან დაკავშირებულ ცხოველებს [27, გვ. 61].

მთელი ეს მასალა ამტკიცებს მკვლევართა ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას, რომ ღვთაებები რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი მართლაც ადგილობრივ ნიადაგზეა წარმოშობილი და შინაარსობრივად მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან: სწორედ ამ ბალთებზე და ყანჩაეთის საბეჭდავებზე გამოსახულმა ღვთაებამ, რომლებიც მატარებლები არიან უძველესი ქართული რწმენა-წარმოდგენების შინაარსისა, შეითვისა გარკვეული, სხვა შემოჭრილი თუ ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენები და ჩამოყალიბდა იმ ფორმით, რომელი მოტივითაც გამოსახულია ბორის, არმაზისა და სხვა ლანგრებზე. ასევე საქართველოს სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილ მითრას გამოსახულებიან ინიტალიოებსა და ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტებზე.

როგორც აღნიშნავენ: „გველეშაპისა და ვეშაპთმებრძოლი გმირების არქაული კულტის არსებობამ საქართველოში ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ირანული კულტურის მსგავს იდეათა დამკვიდრებას. ასევე, სწორედ სოლარული კულტების უძველესმა ადგილობრივმა ტრადიციამ შექმნა პირობა იმისა, რომ ირანულ მითრას კულტს ღრმად გაედგა ფესვები საქართველოში... შეიძლება ითქვას, რომ ირანულ სამყაროსთან სიახლოვემ და მითრას კულტის გავრცელების ფაქტმა თავისებურად განაახლა და „გაამაგრა“ კიდეც ვეშაპთმებრძოლეობის მოტივის ქართული ვარიანტი, რამაც შემდგომში ქრისტიანობასთან მისი „თანაარსებობა“ გააადვილა. ცხადია, მითრაიზმმა, როგორც წარმართულ კულტებზე, ასევე ქრისტიანობაზეც, დიდი გავლენა იქონია, ამდენად მზისა და ქრისტიანული წმინდა გიორგის კულტების შერწყმა საქართველოში შედარებით უმტკივნეულოდ უნდა მომხდარიყო...“ [21, გვ. 30, 31]

რაც შეეხება ბორისა და არმაზის თასებზე ცხენების გამოსახულებას, არმაზის მეორე თასი (ტაბ. IV_3), რომელიც მიჩნეულია სამსხვერპლოს წინაშე მდგარი ზვარაკ ცხენად, არ უნდა იყოს სწორი, რადგან, ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით: 1. არ გაჩნია ფაფარზე სამსხვერპლო ზვარაკის ნიშნები. 2. ირკვევა, რომ ზვარაკად მიყავდათ დაუკოდავი საქონელი, ცხენის ზვარაკიც ასეთივე იყო, ავჯილღა უნდა ყოფილიყო, თასზე კი, პირიქით გამოსახულია ფაშატი, ჭაკი ცხენი, რაც მსხვერპლშეწირვისათვის დაუშვებელს წარმოადგენდა. 3. აღნიშნულის საფუძველზე არმაზის ეს ლანგარი ჩვენ მიგვაჩნია ბოძონის წინაშე მდგარი ღვთაება – ცხენის სახით, იგი მზის ღვთაების განსახიერებაა, ამიტომ ოსტატი ეცდებოდა მზის ღვთაება მდედრობითი სქესით წარმოედგინა, რადგან მზე ქალადაა მიჩნეული... ხოლო რაც შეეხება ბორისა და არმაზის თასებს (ტაბ. $IV_{1,2}$), კერძოდ იგულისხმება ბორისა და არმაზის თასები, რომელზედაც გამოსახულია ფაფარსეჭრილი, ავჯილღა ცხენები. რაზედაც ი. ორბელის მიერ გამოთქმულ დებულებას იზიარებენ მკვლევარნი, რომ ლანგარზე „თვით ღვთაება ცხენის სახითაა წარმოდგენილი“ [2, გვ. 112, 113] არ მიგვაჩნია სწორ დებულებად, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს გონებამახვილური მოსაზრება წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან მიღწევას ბორისა და არმაზის ლანგრების შესწავლის საკითხებში, რაც არაერთმა და ორმა მკვლევარმა გაიზიარა, მაგრამ ამჟამად ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მიგვაჩნია რომ ბორისა და არმაზის ლანგრებზე გამოსახული ცხენები არ განასახიერებენ „ღვთაებას“, ისინი მხოლოდ სამსხვერპლოს წინაშე მდგარი შესაწირი ზვარაკი ცხენებია, რასაც ადასტურებს ფაფრის კიბე-კიბე შეჭრა, რომელიც მიჩნეული იყო მკვლევართა მიერ ღვთაებრივ „სხივთა კონად“, რაც ჩვენი აზრით არ არის სწორი. ეს ჩვეულება ეთნოგრაფიულმა ყოფამ ჩვენ დრომდის შემოინახა, კერძოდ, შესაწირ ზვარაკს კისრიდან ბალანს აჭრიდნენ მაკრატლით ან ცელით, ცხენს კი ფაფარს შეაჭრიდნენ და კიბე-კიბე უტოვებდნენ, ამავე დროს სხვადასხვა ფერის ბაფთებით მორთავდნენ, რითაც ზვარაკის მნიშვნელობა ენიჭებოდა [18, გვ. 224-241], ფაფარის ასეთივე შეკრეჭილობას ვხვდებით ყანჩაეთის № 8 საბეჭდავზე გამოსახულ ცხენზე, რომელიც აღარ წარმოადგენს დამოუკიდებელ ღვთაებას და მებრძოლი ღვთაების ატრიბუტადაა ქცეული (ტაბ. V_8).

საფიქრებელია ისიც რომ ლანგარზე გამოსახული ცხენები ავჯილღა ცხენებია, რაც იმას ადასტურებს, რომ ზემოთხსენებული ცხენები ყოველგვარი მოცემული ნიშნებით ასახავდნენ შესაწირ ზვარაკს. როგორც უკვე ავღნიშნეთ, სამსხვერპლოს წინაშე მხოლოდ დაუკოდავი ცხოველების მიყვანა იყო მიღებული [18, გვ. 224-241], რასაც ისტორიული წყაროებიც მოწმობენ.

ლიტერატურა:

1. **აბრამიშვილი თ.** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი, თბ., 1974.
2. **ამირანაშვილი შ.** ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, თბ., 1944.
3. **აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ.** მცხეთა, I, თბ., 1955.
4. **ბარამიძე მ.** ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის 2004 წლის მუშაობის ანგარიში, ხელნაწერი.
5. **გაბაშვილი ვ.** სასანური ირანი III–IV საუკუნეებში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 23–30.
6. **გაგოშიძე ი.** ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.
7. **გელოვანი ა.** მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983.
8. **დუნდუა გ.** სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო–ეკონომიური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით ძვ. წ. II – ახ. წ. IV სს. დიდი პიტიუნტი, I. თბ., 1975, გვ. 280–429.
9. **ზაქარაია ჰ.** დიღომი, XI ს. პირველი მეოთხედის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სსმმ, ტ. XVII–..., თბ., 1953, გვ. 81–103.
10. **ინგოროყვა ჰ.** ძველი ქართული წარმართული კალენდარი, სსმმ, ტ. VI. თბ., 1931.
11. **კიკვიძე ი.** მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976.
12. **ლორთქიფანიძე მ.** ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი. თბ.,1969.
13. **მაკალათია ს.** 1920–1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, სსმმ, თბ., 1928, გვ. 161–188.
14. **მაკალათია ს.** ჯეგე მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938.
15. **მირცხულავა გ.** ნაყოფიერების კულტის ისტორიიდან, ძიებანი № 15-16, თბ., 2005, გვ. 100-110.
16. **ნემსაძე გ.** ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964–1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, თბ., 1969, გვ. 45–56.
17. **ნემსაძე გ.** ავჭალის ვერცხლის თასი, სსმმ, XX, სამეცნიერო სესია, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1972, გვ. 7–8.
18. **სონღულაშვილი ჯ.** მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1964.

19. სურგულაძე ა. ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თბ., 1989.

20. ყიფიანი გ. კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები, თბ., 2000.

21. ქურციკიძე შ. ზოროასტრიზმის გადმონაშთები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ტრადიციულ ყოფასა და კულტურაში, ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1993.

22. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბ., 1979.

23. ჩიტაია გ. სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიმკის მოამბე, ტ. X. თბ., 1941, გვ. 303–322.

24. ჩიტაია გ., ზაქარაია პ., სონღულაშვილი ჯ. დავიცვათ ისტორიული ძეგლები, გაზ. სამგორი, 2 ივნისი №5, 1964.

25. ჩუბინაშვილი გ. ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, ტფ., 1936.

26. ცქიტიშვილი გ. ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი, თბ., 2003.

27. ხიდაშელი მ. ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში, თბ., 1972.

28. ხიმშიაშვილი კ. იბერიის სატაძრო არქიტექტურის შესახებ, არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. I, თბ., 2001, გვ. 1–40.

29. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1928.

30. ჯავახიშვილი ქ. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1972.

31. **Гагошидзе Ю.М.** Самадло (археологические раскопки), Тб., 1979.

32. **Марр Н.Я.** Филистимляне, палестинские пеласги и раены или етрусски. „Еврейская мысль," Л., 1926.

33. **Мещанинов И.И.** Закавказские поясные бляхи, СМОМПК, вып. 45, Махач-Кала, 1926.

34. **Придик Е.М.** Новые кавказские клады, Материалы по археологии России, вып. XXXIV.

35. **Смирнов Я.И.** Восточное серебро, Тб., 1909.

36. **Такаишвили Е.С.** Серебрянная чаша из села Бори, Изв. Кавказского отделения Московского археологического общества, I, Т., 1904.

37. **Тревер К.В.** Художественное значение сасанидских монет, Труды отдела истории культури и искуства Востока. т. I, Л., 1939, с. 255-285.

38. **Gamkrelidze G., Todua T.** Stamps of Roman Military Units from the Eastern Black Sea Littoral (Colchis), Book, Ancient West and East, Brill, Leiden-Boston. vol.5, #2, 2006. pp 224-231. Tab. 1. ISBN, 90 04 13781 5.

მირანდა თურმანიძე

მძივ-საკიდები ფიჭვნარის ელინისტური პერიოდის სამაროვნიდან

კოლხეთის ანტიკური ხანის ძეგლებზე ჩატარებული გათხრების მონაპოვარში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სხვადასხვა მასალისაგან დამზადებულ მძივ-საკიდებს. ისინი ძირითადად სამარხებში გვხდება. სამარხეულ ინვენტარში მათი რაოდენობა სხვადასხვაგვარია; ზოგჯერ ათასობით ცალს აღწევს. ამის შესანიშნავი მაგალითია ვანში 2004 წელს აღმოჩენილი ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევრით დათარიღებული სამარხი № 24, სადაც მძივების რაოდენობამ 17000 გადააჭარბა. მძივების უმრავლესობა ყელის არეში არის ხოლმე ფიქსირებული. ეს იმის მოწმობაა, რომ ისინი ყელსაბამს (თუ ყელსაბამებს) წარმოადგენს. მძივებით მხოლოდ ყელსაბამების ასხმას როდი ქმნიდნენ. მათ, როგორც ირკვევა, პირადი სამკაულის სხვა სახეობების დასამზადებლადაც იყენებდნენ ან მათ გასაწყობად. ასე მაგალითად, ვანსა და ფიჭვნარის სამაროვნებზე რამდენიმე შემთხვევაში დაკრძალულის მაჯის არეში დადასტურებულია ოქროსა და სხვა მასალის (სარდიონი, გიშერი, პასტა, მინა) მძივების გროვა (ინახება ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში) (ტაბ. III, 5). ეს საფუძველს იძლევა, რომ ვივარაუდოთ მძივებისაგან შედგენილი სამაჯურების თავისებური სახეობების არსებობა [13, გვ. 20]. თუმცა, ალბათ, არ გამოირიცხება მძივებით ტანსაცმლის სახელოს ბოლოს შემკობის შესაძლებლობაც. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ლითონის საყურეები მძივებითაა გაწყობილი (მაგ.: ფიჭვნარი და საირხე. [12, გვ. 124, სურ. 199; 17, გვ. 14].

როგორც აღინიშნა, ვანის № 24 სამარხში მძივების დიდი რაოდენობა აღმოჩნდა. მათი დიდი ნაწილი კი მთავარ მიცვალებულს მთლიანად ფარავდა. როგორც ფიქრობენ, ისინი გამოყენებული იყო არა მხოლოდ როგორც პირადი სამკაული, არამედ სამოსის მოსართავადაც და ასევე, სუდარის შესამკობადაც. მძივები აღმოჩნდა იმ ჭურჭელში, რომელიც მიცვალებულის ხელთან იდო; ერთ-ერთ ფიალაზე კი მძივებით შედგენილი გეომეტრიული ორნამენტიც დაფიქსირდა.

ვანის ამავე სამარხში დადასტურებულია მძივების გამოყენების ჩვენთვის აქამდე უცნობი ვარიანტი–ჭურჭლის შემკობა. ვერცხლის ერთერთ ფიალაზე პირის კიდეზე ჩამოკიდებული ძეწკვები ბოლოვდება თვალადი მძივებით (ინფორმაცია მოგვაწოდა მ-ნმა დარეჯან კაჭარავამ).

თითო-ოროლა შემთხვევაა მძივების აღმოჩენისა კულტურულ ფენებში [12, გვ. 104]. ანტიკურ სამყაროში ცნობილია მძივების შეწირვის ფაქტი. ჩვენში ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ვანის ელინისტური ხანის ერთ-ერთი სამლოცველო, რომლის საგანძურში სხვა მასალასთან ერთად მინის „ოქროფენილი" მძივები დადასტურდა [18, გვ. 74].

ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს სხვა სამაროვნების მსგავსად, მძივები ფიჭვნარის ნეკროპოლზეც სამარხეული ინვეტარის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ფიჭვნარი მდებარეობს ქობულეთის ჩრდლოეთით, მდინარე ჩოლოქისა და ოჩხმურის შესართავთან. ფართო მასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ნაქალაქარსა და სამაროვანზე 1960 წლიდან წარმოებს. გამოვლენილია ნაქალაქართან უშუალოდ დაკავშირებული ძვ.წ. V ს. კოლხური სამაროვანი, ძვ.წ. V-IV სს. ბერძნული ნეკროპოლი და ელინიზმის ეპოქის სამაროვანი. ეს უკანასკნელი მდებარეობს ძვ.წ. V ს. კოლხური სამაროვნის სამხრეთ-დასათლეთით და ძვ.წ. V ს. ბერძნული ნეკროპოლის სამხრეთ-აღმოსავლეთით [10, გვ. 5-10; 12, გვ. 113].

ამჯერად ჩვენი კვლევის საგანია ელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი მძივები. ეს სამაროვანი ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება. თარიღი განსაზღვრულია იმპორტული კერამიკის საფუძველზე [12, გვ, 113-123]. გათხრილია 235 სამარხიდან მძივები 30 სამარხში არაა დადასტურებული. აღსანიშნავია რომ დაკრძალულთა სქესის დადგენა ძვლოვანი მასალის მიხედვით ძირითადად ვერ ხერხდება; ხშირ შემთხვევაში სქესის განსაზღვრა ვერც ინვენტარის მიხედვით ხდება. რამდენადაც თითქმის ყველა სამარხშია

მძივები აღმოჩენილი, შეიძლება ითქვას, რომ როგორც ქალი, ასევე მამაკაცი ატარებდა ამ სახის სამკაულს.

მასალის მიხედვით ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე წარმოდგენილი მძივები შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დაიყოს: ქვის, მინისა და მინისებური პასტის.

პირველ ჯგუფში (ქვის მძივები) გიშრისა და სარდიონის მძივებია გაერთიანებული. მათგან უფრო მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის გიშრის მძივ-საკიდები (120 ც.). მათგან წარმოდგენილი ნიმუშების უმრავლესობა ცილინდრული ფორმისაა (60 ც.) (ტაბ. I, 18, 40). მრგვალგანივკვეთიანი, კარგად გაპრიალებული, სიგრძივი ნახვრეტით (დმ 0,2-0,1 სმ), სიგრძე 0,5 სმ და 0,7 სმ შორის მერყეობს. მსგავსი ცალები ცნობილია ვანში ძვ.წ. IV ს. უკანასკნელი მეოთხედით დათარიღებულ ბავშვის სამარხში (№ 10) [2, გვ. 98, ტაბ. 48]. ამ სახის გიშრის მძივ-საკიდები მომდინარეობს ჩრდილოეთ შავიზღვპირეთის თითქმის ყველა კომპლექსიდან, რომელსაც ეკ. ალექსეევა ძვ.წ. III - ახ.წ. III სს. განსაზღვრავს [23, გვ. 19, ტიპი 26].

გიშრის მძივებში რაოდენობრივად მომდევნო ჯგუფს ქმნის ბიკონუსური (27 ც.) ცალები. ისინი გვერდებ დაკუთხულია და კარგად გაპრიალებული. ზოგიერთი დაბზარულია (ტაბ. I, 14, 17). სიმაღლე 0,7-0,4 სმ შორის მერყეობს. საკმაოდ სიმეტრიულია. ამ ნიმუშებს პარალელი ეძებნება ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, გომარეთის სამაროვნიდან მომდინარე მძივებთან, რომლებსაც ც. დავლიანიძე ძვ.წ. IV-III სს. ათარიღებს [4, გვ. 152]. ამავე პერიოდიო თარიღდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ნიმუშებიც (ტიპი 64, 66) [22, გვ. 17, ტაბ. 22, 39, 40].

ბოლო ჯგუფს წარმოადგენს სტილიზებული ცულის ფორმის საკიდები, რომელიც საკმაოდ კოხტადაა დამუშავებული (ტაბ. I, 15-16). ზედაპირგაპრიალებული (სიმ. 1-0,7 სმ). ცულისებური საკიდები აღმოჩნდა პანტიკაპიონში და ძვ.წ. III ს. თარიღდება [22, გვ. 19, ტიპი 107ბ] და დაბლაგომში, რომელიც ამავე პერიოდისაა. ფიჭვნარის 209-ე სამარხში მთელი ყელსაბამი აღმოჩნდა, რომლის შესაქმნელად გამოყენებული იყო ცილიდრული, ბიკონისებური და ცულისებური მძივსაკიდები (სულ 33 ც.). რაც იმაზე მიგვითითებს რომ, ეს ფორმები რაღაც პერიოდში ერთდროულად არსებობდა (ტაბ. III, 2).

გიშერი მერქნული წარმოშობის ნახშირის ერთ-ერთი სახეობაა [19, გვ. 173; 19, გვ. 66]. მისი საბადოები ძველთაგანვე ცნობილია დასავლეთ საქართველოდან. კერძოდ, იგი ზემო იმერეთის ჩრდილოეთ ნაწილში – ოკრიბაში მოიპოვებოდა [33, გვ. 43]. გიშრის სამკაულები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ძვ.წ. I ს. კომპლექსებში (ბორი, ბრილი) [33, გვ. 43]. ფიჭვნარში კლასიკური და ელინისტური ხანის სამაროვნებზე მათი რაოდენობა მცირეა. კოლხეთში და საერთოდ ამიერკავკასიაში ამ პერიოდის ძეგლებზე გიშრის სამკაული საკმაოდ მცირე რაოდენობით გვხდება. ეს მაშინ, როდესაც იმავე პერიოდის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებზე გიშრის ნაწარმი ასეულებით არის წარმოდგენილი [33, გვ. 43; 23, გვ. 6-8] თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ძვ.წ. VIII-VII სს. დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე - მუხურჩაში, ოჩხამურსა და ნოქალაქევში - აღმოჩენილია სახელოსნო, სადაც გიშერსა და სხვა სახის ნახევრად ძვირფასი ქვებისაგან მძივებს ამზადებდნენ [25, გვ. 231-234; 26, გვ. 226-231; 14, გვ. 151-160], მაშინ, გაუგებარი რჩება, რა მიზეზით ქრება ანტიკური პერიოდის კოლხეთში გიშრის სამკაული, მაშინ როდესაც მისი ადრეული ნიმიშები მრავლად არის დამოწმებული ძვ.წ. XV-XIV სს. ძეგლებზე [33, გვ. 43].

სარდიონის მძივი სულ ოთხი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი. ორი სფეროსებრია, კარგად გაპრიალებული, მოყავისფრო-წითელი. შეინიშნება მუქი ფერის ჩანართები. ნახვრეტის დასატანად ჯერ მძივის ერთი ზედაპირი წრიულადაა ამოჭრილი და შემდეგ ცილინდრული ნახვრეტია დატანილი (ტაბ. I, 12-13). მსგავსი მძივები აღმოჩენილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (პანტიკაპეიონი, ქერსონესი, ოლბია, გორგიპია) და ისინი ძვ.წ. IV-III სს. თარიღდება. ეკ. ალექსეევა აღნიშნავს რომ ამ ტიპის მძივები არსებობას ახ.წ. III საუკუნემდე აგრძელებს [23, გვ. 15, ტიპი 2ა]. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მძივები ფიჭვნარის უფრო ადრეულ ნაწილში გვხდება - ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ სამაროვანზე. ისინი ცნობილია ძვ.წ. IV ს. დასასრულის და ძვ.წ. III ს. გომარეთის სამრხებში [4, გვ. 151-153].

სარდიონის მძივებს შორის ორი ცრემლისებური საკიდია, კარგად გაპრიალებული, სიმეტრიული, მოყავისფრო-წითელი. მაღალი ხარისხის (ტაბ. I, 9-10, II, 9). მსგავსი ცალები აღმოჩენილია ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის კოლხურ სამაროვანზე [16, გვ. 58]. ასევე ტანაისში, რომელსაც ეკ. ალექსეევა ძვ.წ. I ს. მიაკუთვნებს [23, გვ. 18, ტიპი 21].

ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი მინის მძივები ორი სახისაა: პოლიქრომიული და მონოქრომიული. საუბარს მონოქრომიული ნიმუშებით დავიწყებთ.

სადა-ერთფერ მძივებში მასალის ფორმისა და შეფერილობის მიხედვით რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა.

მინის გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე მძივები მთელი ანტიკური პერიოდის განმავლობაში მზადდებოდა, მაგრამ განსაკუთრებული მრავალფეროვნება წარმოებაში შეიმჩნევა ელინისტურა პერიოდში. ჩნდება მძივებისა და მძივსაკიდების ახალი ფორმები (როგორებიცაა მსხლისებური, ამფორისკოსისებური, გულისებური, დელფინისებური და სხვა სახის საკიდები). ყველაზე მრავალრიცხოვანია მინის ერთფერი იოტები. ისინი უპირატესად რგოლისებურია (600 ც.), მცირე რაოდენობით გვხდება ცილინდრული (30 ც.) ცალები. ფერით სჭარბობს ლურჯი, თუმცა არის მწვანე, ყავისფერი და ცისფერი ნიმუშებიც. ისინი ნახევრად გამჭვირვალეა და 0,5-0,3 სმ დიამეტრი აქვთ. ასეთი იოტები ფიჭვნარში უკვე წინარე-ელინისტურ ხანაში გვხდება, როგორც კოლხურ ასევე ბერძნულ სამაროვნებზე. პარალელები ძვ.წ. IV-III სს. ძეგლებზეც ეძებნება: დაფნარის ძვ.წ. IV-III სს. სამარხები [28, გვ. 20, ტაბ. 20-3), დაბლაგომის ძვ.წ. III ს. [8, გვ. 16, ტაბ. IX-8] და ზემოფარცხმის ძვ.წ. IV-III სს. ქვევრსამარხები [5, გვ. 63, ტაბ. XX]. ისინი დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. IV-III სს. კომპლექსებისათვის: კიკეთი, ბეშთაშენი, გომარეთი [3, გვ. 151-152]. მინის ანალოგიური იოტები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიში ძვ.წ. VI-II საუკუნეების განმავლობაში გვხდება (ოლბია, პანტიკაპეიონი, ქერსონესი) [22, გვ. 63, ტიპი 1,2].

ერთფერი მინის მძივებში ფორმის მიხედვით რამდენიმე სახეობა გამოიყოფა. მათ შორის ცალკე ჯგუფს ქმნის მცირე ზომის ე.წ. მსხლისებური ფორმის, კონუსურარხიანი მძივები. არხის ბოლოები დიამეტრის მიხედვით განსხვავდება. ისინი საკმაოდ უხეშადაა დამუშავებული. ზედაპირი ასიმეტრიულია. მინის ბირთვის დახვევა ხდებოდა რკინის მილაკზე და სამოდელო მაშების დახმარებით მას აძლევდნენ კონუსურ ფორმას. შეიმჩნევა შეერთების კვალი (ტაბ. I, 36-37). ასეთი ფორმები ელინისტური პერიოდისათვისაა დამახასიათებელი. უმრავლესობა ყვითელი ფერისაა და მცირე რაოდენობით გვხდება ცისფერი და მწვანე ფერის ნიმუშები (ზომები მერყეობს 0,8-0,4 სმ შორის). მსხლისებური მძივების მთელი ასხმა აღმოჩნდა ზემოფარცხმის 35-ე ქვევრსამარხში, რომელიც ძვ.წ. III ს. თარიღდება [5, გვ. 97, ტაბ. XXI]. ვანის № 24 სამარხში ამ სახის მძივები სუდარის გასაფორმებლად გამოუყენებიათ. გვხდება ისინი დაფნარის ძვ.წ. III ს. სამარხებში [28, გვ. 23], ძვ.წ. IV ს. ბოლო მეოთხედით დათარიღებულ ლალილარის სამაროვანზე [20, გვ. 21-22].

მონოქრომიულ მძივებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ბიკონუსური მძივები. შეფერილობით ისინი ლურჯი და ცისფერი ფერისაა, გამჭვირვალე (0,9X0,8; 0,8X0,8; 0,7X0,6 სმ). ნახვრეტის დიამეტრის ზომები განსხვავდება 1 მმ მძივს შუა წელზე შეერთების კვალი ეტყობა, რაც მიგვანიშნებს, რომ ის დახვევის გზით მზადდებოდა (ტაბ. I, 33-34, II, 3). მძივების ეს სახეობა ციხისძირის სამროვანზე ადრეელინისტური ხანის სამაროვნებს უკავშირდება. გავრცელებულია ზემოფარცხმის ძვ.წ. IV-III სს. [5, გვ. 99, ტაბ. XI], დაფნარის ძვ.წ. III ს. სამარხებში [29, გვ. 24, ტაბ. XV]. რაც შეეხება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს, მსგავსი მძივები ქერსონესსა და ოლბიაში ძვ.წ. IV საუკუნიდან ვრცელდება [31, გვ. 54-55].

მონოქრომიული მძივების კიდევ ერთი სახეობა გამოიყოფა მოყვანილობის მიხედვით - რომბული ფორმის იოდისფერი, ლურჯი და თეთრი ფერის ცალები (15 ც.). ნახვრეტის ბოლოები ერთმანეთის პარალელურია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ნახვრეტის ერთი ბოლოს დიამეტრი 1 მმ ნაკლებია მეორეზე (0,2-0,1 სმ).

ზედაპირი კარგადაა გაპრიალებული (ტაბ. I, 33, II, 17). ეს ნიმუშები არც თუ ფართოდაა გავრცელებული კოლხეთში. ციხისძირში აღმოჩენილია – 14 ც., ვანში 1 ც., რომელიც ძვ.წ. III-II სს. არის განსაზღვრული [2, გვ. 103, ტაბ. 48]. ამ სახის მძივები წარმოდგენილია ადრეელინისტური ხანის კომპლექსებში,სხვა ტიპის მძივებთან (პირამიდული საკიდები, მარტივფენიანი თვალადი მძივები), რომლებთანაც გვხდება რომბული ფორმის ცალები უფრო ადრეული იერისა.

181-ე სამარხში აღმოჩნდა 8 ც. მინის მძივი. ისინი ცისფერია, გამჭვირვალე, ცილინდრული და ოთხად დაწახნაგებული, შემდეგ კი თოკისებურად დაგრეხილი (ტაბ. I, 38). მძივი რკინის მილაკზე დახვევის გზითაა დამზადებული, რაზეც მიგვითითებს არხის დიამეტრი (1 მმ). მსგავსი ცალები დადასტურებულია ინკერმანში, რომელიც ძვ.წ. IV ს. პირველი ნახევრის კომპლექსებს უკავშირდება, ხოლო პანტიკაპეონსა და ოლბიაში აღმოჩენილი ცალების თარიღი I-II სს. განსაზღვრული [23, გვ. 72, ტიპი 156, ტაბ. 33,60)

ფიჭვნარის ელინისტური პერიოდის სამაროვანზე აღმოჩენილი ერთფერი მძივების უკანასკნელ ჯგუფს მინისებური პასტის ნიმუშები ქმნიან (ტაბ. I, 39, II, 22). მონოქრომიულ მძივებში ეს სახეობა ყველაზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი (სულ 8 ც.). ისინი ცილინდრული ფორმისაა (სიგრძე-1 სმ), სიგრძივ ნახვრეტით, ბორდოსფერი, გამჭვირვალე. მათთან ერთად წარმოდგენილი იყო გვიანდელი იერის ინვენტარი (გველის სტილიზებურთავიანი ბრინჯაოს სამაჯური, მინის „ოქროფენილი" მძივები, პოლიქრომიული მინის საკიდები და სხვა). სამარხი ძვ.წ. III-II სს. თარიღდება. მსგავსი ცილინდრული მძივები ცნობილია ნერონ-დერესის სამაროვანზე მე-5 და მე-3 სამარხში. მათი ასაკი ძვ.წ. I საუკუნითაა განსაზღვრული [1, გვ. 38-39, ტაბ. IV, VIII-15].

მეტი მრავალფეროვნებით ხასიათდება მონოქრომიული მინის საკიდები. მათ შორის ყველაზე ადრეულია მინისა და ეგვიპტური ფაიანსის პირამიდული საკიდები. მათ წაკვეთილი კონუსის ფორმა და მკვეთრი მოხაზულობა აქვთ. წაკვეთილ წვერში დატანილია წვრილი ნახვრეტი (ტაბ. II, 8). საკიდების ეს სახეობა ძვ.წ. V საუკუნიდან ჩნდება. მსგავსი ცალები საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი ფიჭვნარის ძვ.წ. V ს. კოლხურ და ბერძნულ ნეკროპოლზე. 2005 წელს კი ძვ.წ. IV ს. ბერძნულ სამაროვანზე აღმოჩნდა სამი მინიატურული პირამიდული საკიდი. ორი საკიდი მინისაგან იყო დამზადებული (ლურჯი და შავი ფერის), ერთი კი ოქროსია. სამივეს ოქროს საკიდები ჰქონდა (ტაბ. II, 7). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის მაგიური დანიშნულებით გამოიყენებოდა. მინის პირამიდული საკიდები ცნობილია გვიანი პერიოდის ძეგლებიდანაც, ფარცხანაყანევის, დაბლაგომის ძვ.წ. IV-III სს. ქვევრსამარხებიდან [5, გვ. 54, ტაბ. XVI, 10; 9; ტაბ. VI]. ვანის ძვ.წ. IV-III სს. კულტურული ფენებიდან [1, გვ. 104]. ამ სახის საკიდები, როგორც აღვნიშნეთ, ჩნდება ძვ.წ. V საუკუნიდან და არსებობას აგრძელებს ელინისტურ ხანაშიც. ამავე აზრს ავითარებს ეკ. ალექსეევა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ანალოგიური მასალის განხილვისას [23, გვ. 66, ტიპი 41].

ადრეულ იერს ატარებს კონუსურტანიანი, ზარისებური ფორმის, ცისფერი, გამჭვირვალე მინის მინიატურული საკიდები (5 ც.). ვანში მსგავსი საკიდები ცნობილია როგორც ძვ.წ. IV ს. № 11 სამარხიდან, ასევე ძვ.წ. IV-III სს. კულტურული ფენიდან [2, გვ. 100, კატ. 489]. ანალოგიური საკიდი დადასტურებულია წალკის რაიონოდან, ძვ.წ. III ს. სოფ. კუშჩის სამაროვანზე [20, გვ. 105].

ელინისტურ ხანაში ფართოდ ვრცელდება სხვადასხვა გამოსახულების (ამფორისკოსისებური, გულისებური და დელფინისებური) საკიდები. ამფორისკოსისებური საკიდები ფიჭვნარში რამდენიმე ათეული ცალია აღმოჩენილი. მათში ორი ტიპი გამოიყოფა: პირველი ტიპისათვის დამახასიათებელია ვიწრო გამოყვანილი ქუსლი, ე.ი. ძირწვეტიანია (ტაბ. I, 6-8, II, 6), ხოლო მეორე ტიპი ბრტყელძირიანია (ტაბ. I, 7, II, 5). მათ ქუსლი ოდნავ აქვს გამოყოფილი ტანისაგან. ნ. ვაშაკიძის აზრით, პირველი ტიპის ამფორისკოსები შედარებით ადრეულ მასალებთან გვხდება, ხოლო მეორე ტიპი, ბრტყელძირიანი, წარმოდგენილია მინის „ოქროფენილ" მძივებისა და სხვა შედარებით გვიანდელი (ძვ.წ. III ს.) იერის სამკაულებთან [5, გვ. 102]. ფიჭვნარში 64-ე სამარხში ორივე ტიპის საკიდია აღმოჩენილი, რაც მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ რაღაც პერიოდში ორივე სახის ამფორისკოსები ერთდროულად არსებობდნენ. ვანის ნაქალაქარიდან ამფორისკოსები ძვ.წ. IV-III სს. თარიღდება [2, გვ. 104. კატ. 493]. ასევე გვხდება ამავე პერიოდის დაფნარის, დაბლაგომის, ზემოფარცხმის ქვევრსამარხებში [28, გვ. 55; 8, გვ. 68-78]. პანტიკაპეიონში აღმოჩენილი მსგავსი ცალები ძვ.წ. IV-I საუკუნებისაა [22, გვ. 59-61, ტაბ. 34].

საკმაო რაოდენობითაა (30ც.) მინის სხვადასხვა ფერის (ყავისფერი, თეთრი, მწვანე, ლურჯი) დელფინისებური საკიდები (ტაბ. I, 11, II, 10). სამარხები, რომელიც ამ სახის ნიმუშებს შეიცავს, ძვ.წ. III ს. დასარულით თარიღდება. ამ სამარხებში ჩვეულებრივ ჩნდება მინის „ოქროფენილი" მძივები, თვალადი მძივების გვიანდელი ვარიანტები. დელფინის გამოსახულებიანი მძივები აღმოჩენილი ვანში (1 ც.), ძვ.წ. IV-III სს. თარიღდება [2, გვ. 104. კატ. 498). ჩრდილოეთ შავიზღვიპირეთის მასალების მიხედვით (უსტ-ლაბინსკი) ძვ.წ. III-II სს. მიეკუთვნება [21, გვ. 177; 22, გვ. 73, ტიპი 184). ჩვენი მონაცემები ამ თარიღს ამყარებს.

გულის ფორმის საკიდები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 20 ცალი დადასტურდა. ძირითადად თეთრი და ლურჯი ფერისაა. 4 ც. ყავისფერია (ტაბ. I, 5, II, 11). ყველა გამჭვირვალე ცალებია. მსგავსი საკიდები კოლხეთის ელინისტური ხანის თითქმის ყველა სამაროვანზეა წარმოდგენილი.

სამარხ № 209-ში აღმოჩნდა ყვითელი მინისებური პასტისაგან დამზადებული მამაკაცის სახის გამოსახულებიანი საკიდი. ხუჭუჭა თმა და წვერი ოდნავ რელიეფური ხაზებითაა გადმოცემული. სწორი, თხელი ცხვირი და ღრმად ჩამჯდარი თვალები აქვს. საკიდის მეორე მხარეს მხოლოდ თმებია გადმოცემული, ხოლო სახე ნახვრეტის დატანის გამო აქვს დაზიანებული (ტაბ. I, 3, II, 2). საკიდის კუთხეების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ყალიბშია ჩამოსხმული. თავდაპირველად მას მძივის ფუნქცია არ უნდა ჰქონოდა, რაზეც მიგვითითებს ის ფაქტი, რომ არხი ბოლომდე არაა გახვრეტილი. ის ქინძისთავის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. ასევე არხში შეინიშნება ლითონის ჟანგი (უფრო კი რკინის). მსგავსი გამოსახულებიანი საკიდი, რომელსაც გ.ბელოვი ძვ.წ. IV-III სს. ათარიღებს აღმოჩნდა ქერსონესში [24, გვ. 180-181].

პოლიქრომიული მინის მძივების კლასიფიკაცია ხდება სამი ნიშნით: ბირთვის სტრუქტურის, შესრულების ტექნიკისა და რელიეფურობის მიხედვით.

პოლიქრომიული მინის მძივების ორნამენტული სახეებია: ლაქები, სპირალი, მეანდრი, განივი და გრძივი ზოლების კომბინაციები, თვლები და ა.შ. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია თვალადი ორნამენტი.

თვალადი მძივების ქრონოლოგიურ განმსაზღვრელს წარმოადგენს ბირთვის ფორმა, მასზე თვლების განლაგების სქემა, ამობურცვის ხარისხი და ფერთა მონაცვლეობა.

ტექნოლოგიური თვალსაზრისით თვალების მიღების რამდენიმე წესი არსებობდა: ა)მარტივი ზედნადები თვლები, რომლებითაც ძვ.წ. VI-V სს. მძივებია შემკობილი; ბ)ფენებიანი ზედნადებიფარისებური თვლები. რომლებიც, ოდნავ რელიეფურია; ან ძლიერ ამობურცული; თუმცა ბრტყელი ვარიანტიც გვეხდება [21, გვ. 51]; გ)შედულებულზედნადები ორნამენტი, რომელიც რთული ფარისებური თვლები მიიღებოდა. ამ ტექნიკით მძივების დამზადება ძვ.წ. III ს. ხდებოდა [36, გვ. 6].

ფიჭვნარში შემდეგი სახის თვალადი მძივებია წარმოდგენილი. ორი მოზრდილი ზომისაა, ფართო ნახვრეტით (2X0,9X2სმ). ბირთვი ლურჯი ფერისაა და მასზე 9 ლურჯი თვალია განლაგებული (თვალები მიღებულია თეთრი-ლურჯი მინის დისკოების მონაცვლეობით). სამი წყვილი თვალი არხის ბოლოებშია განლაგებული, ხოლო სამი - ბირთვის მთელს დიამეტრზე (ტაბ. I, 22, II, 13). თვლები არარელიეფურია და მიღების „ბ„ ვარიანტია გამოყენებული. ამ ტექნიკის მძივებს ძვ.წ. V ს. ამზადებდნენ და ფართოდაა გავცელებული ანტიკური პერიოდის ძეგლებზე

ოთხი თვალადი მძივი კასრისებურია და მკვეთრად ასიმეტრიული; მწვანე ფერის. მძივის ზედაპირზე ოდნავ რელიეფური სამი ლურჯი თვალია განლაგებული: (თვალები მიღებულია თეთრი-ლურჯი მინის დისკოების მონაცვლეობით). როგორც ჩანს ჯერ ორნამენტი გაამზადეს და შემდეგ ჩასვეს მძივის გარბილებულ მასაში. რის შედეგადაც ბირთვსა და თვალის ნაწილაკს შორის წარმოიშვა მცირე ბზარი (ტაბ. I, 24, II, 19), ე.ი. თვლების მიღების „გ" ვარიანტია

გამოყენებული. მსგავსი ცალები, აღმოჩენილი პანტიკაპეიონში ძვ.წ. III-II სს. თარიღდება [21, გვ. 61, ტიპი 29).

1 მძივი ყვითელი ფერისაა, მასზე ზიგზაგისებურად განლაგებულია ბორდოსფერი მკვეთრად რელიეფური თვლები (თვლები მიღებულია ლურჯი, ყვითელი, ბორდოსფერი მინის მონაცვლეობით) (ტაბ. I, 23, II, 14). ანალოგიური მძივი პანტიკაპეონში (1 ც.), ძვ.წ. V ს. თარიღდება [21, გვ. 64, ტიპი 64ა].

3 ცალი თვალადი მძივი რგოლისებურია, ცისფერი, ბირთვის ზედაპირზე განლაგებულია სამი ოდნავ რელიეფური ფენებიან-ფარისებური თვლები (თვლები მიღებულია თეთრი-ყავისფერი-ლურჯი მინის დისკოების მონაცვლეობით) (слоисто-щитковые). მძივი რკინის მილაკზეა დახვეული, რაზეც არხის დიამეტრი (0,2 სმ) და კერამიკის კვალის არ არსებობა მიგვანიშნებს (ტაბ. II, 15). ეკ. ალექსეევას მსგავსი ცალები განსაზღვრული აქვს ძვ.წ. I ს. [22, გვ. 61, ტიპი 31, ვარიანტი „გ"]. ფიჭვნარში ამ სახის მძივები აღმოჩენილია ძვ.წ. V ს. მეორე ნახევრის ბერძნულ სამარხებში და ძვ.წ. IV ს. ნეკროპოლზე. ფიჭვნარის მაგალითით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ნიმუშები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ან პონტოსპირეთში) ძვ.წ. V საუკუნიდან ჩნდება და არსებობას ელინისტურ ხანაშიც აგრძელებს.

ლურჯი მინის მსხლისებური ფორმის თვალადი მძივი შემკობილია რთული ტექნიკით შესრულებული თვალადი ორნამენტით. როგორც ჩანს, ჯერ რთული-კომბინირებული „თვალი" დაამზადეს და შემდეგ ჩასვეს მძივის თბილ ზედაპირზე, რის შედეგადაც წარმოიქმნა მცირე ბზარი (ტაბ. I, 25, II, 18). ეს მძივი თავისი ფორმისა და ორნამენტის მიხედვით შეიძლება დავათარიღოთ ძვ.წ. IV ს. დასარულისა და ძვ.წ. III საუკუნით. მსაგვსი ცალები, რომლებიც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩნდა და ეკ. ალექსეევა ამავე პერიოდით ათარიღებს [23, გვ. 55, ტიპი 374ბ].

პოლიქრომიული მინის მძივების მეორე ჯგუფს ქმნის ტალღოვანი და გრძივი ზოლებით შემკული ცალები.

ტალღოვანი ორნამენტის მიღების რამდენიმე ხერხი არსებობდა. ფიჭვნარის ნიმუშზე გამოყენებულია მარტივი წესი, რომელიც ძვ.წ. IV ს. ჩნდება და ფართოდ ვრცელდება ელინისტურ ეპოქაში. ფიჭვნარში ასეთი ორნამენტიით შემკული მძივების მხოლოდ ორი ფორმაა გამოყენებული. ე.წ. შვინდისკურკისებური (7 ც.) (ტაბ. I, 26-27, II, 21) და ოთხკუთხედი (36 ც.). მძივების ამ სახეობის ბირთვის ფერი ლურჯია, რომელსაც ტანზე ირიბად შემოუყვება თეთრი კლაკნილი ზოლები (ტაბ. I, 28-29, II, 4). ასეთი 37 მძივისაგან შემდგარი ყელსაბამი აღმოჩენილია ზემოფარცხმის № 16 ქვერსამარხში [4, გვ. 39, ტაბ. XI]. ანალოგიური ასხმა ნაპოვნია ფარცხანაყენევში [27, გვ. 326, სურ. 8], დაფნარიდან [28, ტაბ. XLIX], ვანის ელინისტური ხანის კულტურულ ფენაში [2, კატ. 464]. მსგავსი მძივები აღმოჩენილია ფანაგორიაში, ქერსონესში, პანტიკაპეიონში. ეკ. ალექსეევას აზრით, ამ ტიპის მძივები დამახასიათებელია ელინისტური პერიოდისათვის და ფართოდ ვრცელდება რომაულ ხანაში. განსაკუთრებით კი, ყირიმის დასავლეთით [22, ტიპი 174, ტაბ. 27, გვ. 42].

გრძივი ზოლებით შემკობილი შემდეგი სახეობა (სულ 10 ც.) ფორმით მსხლისებურია. ბირთვი ლურჯი ფერისა აქვს, ტანზე სიგრძივ, ოდნავ ოვალურად შემოუყვება თეთრი ზოლები (ტაბ. I, 30-31, II, 16). მსგავსი მძივები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებზე (ინკერმანი, გორგიპია, ტანაისი) ძვ.წ. III-II სს. თარიღდება [22, ტიპი 190, ვარიანტი „ბ", გვ. 43].

პოლიქრომიული მძივების შემდეგ სახეობას განეკუთვნება ე.წ. მოზაიკური მინის მძივები. ისინი აღმოჩენილია 65-ე სამარხში. რომელიც ძვ.წ. IIIს-ით თარიღდება [12, გვ. 79-80]. 2 ცალი ბრტყელია, 6 – მრგვალი. გაფორმებულია ყვითელი, ცისფერი, ფირუზიფერი და ყავისფერი მინის ძაფების ტალღისებური, წიწვისებური ორნამენტით (სხვაგვარად ამ ორნამენტს ფესტონისებურსაც უწოდებენ) (ტაბ. I, 19-21, II, 12). მსგავსი ტექნიკით შესრულებული მძივები აღმოჩნდა ვანში ძვ.წ III-I სს. კულტურულ ფენაში. ზუსტი ანალოგი ცნობილია არტიუხოვის ყოღანიდან, რომელიც ძვ.წ. III ს. მიეკუთვნება [30, გვ. 123, სურ. 56]. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ამგვარი მძივები ძვ.წ. IV საუკუნიდან გვხდება [22, გვ. 48, ტიპი 259, ვარიანტი „ბ"].

ფიჭვნარში ეგვიპტური ფაიანსის ჭადრაკისებური ორნამენტით შემკული 1 ოთკუთხა მძივია დადასტურებული. სიბრტყეზე მწვანე და ყვითელი მინის მონაცვლეობით თეთრ ფონზე შესრულებულია ჭადრაკისებური ორნამენტი. ხოლო გვერდები დაფარულია ამავე ფერის ზოლებით (ტაბ. I, 32). მსგავსი ნიმუში ცნობილია ოლბიაში და მას ძვ.წ. III საუკუნით განსაზღვრავს ეკ. ალექსეევა, თუმც იქვე აღნიშნავს, რომ უფრო მასიურად ისინი ძვ.წ. I ს. და ახ.წ. III ს. გვხვდება [21, გვ. 40, ტიპი 438, ტაბ. 49].

ფიჭვნარის ელინისტურ სამაროვანზე აღმოჩენილი მინის საკიდები მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნიან.

მათგან უპირველესად აღვნიშნავთ მძივს ადამიანის სახის გამოსახულებით (სამარხი № 65). სახე და ყურები დამზადებულია მწვანე გაუმჭვირვალე მინისაგან. თვალები გადმოცემულია შავი წვრილი მძივებით. ცალი თვალი დაცულია, მეორე კი ამოვარდნილი. შავი, ცისფერი, ყვითელი, ყავისფერი და ლურჯი მინის თოკისებურად დაგრეხილი ძაფებისაგან შედგენილია ჩალმისებური თავსაბურავი. სახეზე შეინიშნება წინ წამოწეული მოკლედ შეკრეჭილი წვერი (ტაბ. I, 1, II, 1).

135–ე სამარხში დადასტურდა დიდი ზომის მასიური პოლიქრომიული მძივი, ცილინდრული მოყვანილობის, ადამიანის სახის ორმაგი გამოსახულებით - ე.წ. „ნიღბები"[1]. სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთ „ნიღბებს" ეგვიპტური, უფრო ალექსანდრიული სკოლის ნიმუშად მიიჩნევენ. თუმცა მათ, მცირე აზიის სანაპიროზე დიდი რაოდენობით აღმოჩენის გამო, სირიის პოლიქროიული მინის ნაწარმადაც თვლიან [2, გვ. 103; 36, გვ. 14; 30, გვ. 9].

65-ე და 135-ე სამარხებში აღმოჩენილი მძივების მსგავსი ცალები ცნობილია ძვ.წ. IV-III სს. კოპლექსებიდან: ცილინდრული ფორმის, მასიური პოლიქრომიული საკიდი, ორივე მხარეს ადამიანის სახის გამოსახულებით დადასტურებულია. დაბლაგომში ძვ.წ. III ს. დათარიღებულ სამარხში [8, გვ. 68]. მსგავი ფრაგმენტები ნაპოვნია ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. III ს. კულტურულ ფენაში [2, გვ. 103]. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ამგვარ მძივებს ეკ. ალეექსეევა ძვ.წ. III-I საუკუნეებით განსაზღვრავს [23, გვ. 41, ტიპი 459]. მსგავსი საკიდები ცნობილია ცენტრალური ევროპიდან, ხმელთაშუაზღვიპირეთიდან და მათ ძვ.წ. VI-V სს. ათარიღებენ. ასევე აღნიშნავენ, რომ ისინი ელინისტურ პერიოდშიც არსებობენ [39, გვ. 12-13].

ერთი სიტყვით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და საერთოდ კოლხეთში მსგავსი საკიდები ელინისტური ხანიდან ჩნდება.

134–ე სამარხიდან ცნობილია მინის ფრინველის (მტრედის) გამოსახულებიანი სკიდი. თვალები თეთრი მინის რელიეფური მინით არის გადმოცემული. მკერდის არში შემოყვება თეთრი მინის ორი რელიეფური ხაზი (ტაბ. I, 4, II, 3). ელინისტური სამარხებისათვის სპეციფიკურია სხვადასხვა ფიგურული საკიდები (იხვი, ხბო, მაიმუნი და სხვა). ფრინველის გამოსახულებიანი მინის მძივ-საკიდები ცნობილია სვანეთიდან (მძივი დაკარგულია და მხოლოდ საველე დავთრის აღწერილობას ვეყრდნობით) [20, გვ. 21, ტაბ. X, 1-2], დაბლაგომიდან [8, სურ. 86]. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის კომპლექსებიდან ფიჭვნარის ნიმუშის ზუსტ ანალოგს წარმოადგენს ქერსონესში აღმოჩენილი 1 ც. მინის მტრედის გამოსახულებიანი საკიდი [23, გვ. 42, ტიპი 471].

65-ე სამარხიდან მომდინარეობს მინიატურული დოქის ფორმის საკიდი. ზედაპირი შემკულია ცისფერი, ზურმუხტისფერი, ყვითელი ლაქებით (ტაბ. I, 2, II, 4). პარალელი ამ საკიდს ეძებნება დაბლაგომში ძვ.წ. IV ც. დათარიღებულ მდიდრულ სამარხთან [8, გვ. 70-78, სურ. 86], მელიტოპოლის, კუტის, მალაია ლეპეტიხას, შიროკოეს ყორღანებიდან, რომლებიც ძვ.წ. III ს. თარიღდება [34, გვ. 75, სურ. 9].

თავისებურ და მეტად საინტერესო ჯგუფს ქმნიან ე.წ. „ოქროფენილი" მძივები. მათ დასამზადებლად იყენებდნენ, ლითონის ძალზედ თხელ ფირფიტას – ფოლგას, რომელსაც ათავსებდნენ გამჭვირვალე მინის ორ ფენას შორის. მინას ჩვეულებრივ ძალზედ გამჭვირვალე იყო, იშვიათად, ბაცი ყვითელი ფერის [22, გვ. 27].

ფიჭვნარის ელინისტური პერიოდის სამაროვანზე 40 ც. მძივი აღმოჩნდა. ყველა მრგვალი და სიმეტრიული ნიმუშებია. „ოქროფენილი" და მათთან ერთად „ვერცხლფენილი" მძივების მრავალფეროვნებით გამოირჩევა ზემოფარცხმის ქვევსამარხები. წარმოდგენილია ბიკონუსური,

მრგვალი, კოჭისებური, კოპებიანი და სხვა ფორმები [5, გვ. 97-99]. ვანში აღმოჩენილი ცალებიც სფერულია. ისინი დადასტურებულია ბავშვის სამარხში (№ 4), რომელიც ძვ.წ. III ს. თარიღდება და ასევე ძვ.წ. III-I სს. კულტურულ ფენებში [2, გვ. 103, კატ. 475]. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებიდან მომდინარე ცალები ძვ.წ. III ს. განსაზღვრული [23, გვ. 27-33].

„ოქროფენილი" მძივების გავრცელების თარიღად საქართველოში ელინისტური ხანის ბოლო პერიოდს მიიჩნევენ (მ. ივაშენკო) [28, გვ. 28]. უკანასკნელი პერიოდის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ეს თარიღი რამდენადმე დაზუსტდა. „ოქროფენილი" მძივების დასავლეთ საქართველოში გამოჩენის ყველაზე ადრეული შემთხვევა გვაქს ეშერაში; კომპლექსი ძვ.წ. IV ს. დასასრულითა და ძვ.წ. III ს. თარიღდება [29, გვ. 53; 8, გვ. 13]. ამავე ასაკისაა დაბლაგომის მე-10 სამარხი, სადაც აღმოჩნდა როგორც „ოქროფენილი" ასევე „ვერცხლფენილი" ცალები (სულ 46 ც.) [8, გვ. 60]. დაფნარში მსგავსი ნიმუშების შემცველი სამარხები (№ 11, 23) ნ. კიღურაძემ ძვ.წ. III ს. განსაზღვრა [28, გვ. 60-70]. „ოქროფენილი" მძივები არ გვხდება ფარცხანაყანევის კომპლექსებში. მრავლადაა ისინი რეხის ტყის ქვევრსამარხებში, რომლებიც შედარებით გვიანებია და ქრონოლოგიურად ზემოფარცხმის მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის ქვევრსამარხებს უკავშირდება [6, გვ. 60-70]. ამდენად ჩვენი მასალების მიხედვით მსგავსი მძივები ფართოდ ვრცელდება ძვ.წ. III საუკუნიდან. ამ ვარაუდს მხარს უჭერს შემთხვევითი აღმოჩენები ჩოხატაურის რაიონში; ზენობის, დიდვანის ქვევრსამარხებში, რომლებიც ძვ.წ. IV ს. დასასრულითა და ძვ.წ. III ს. პირველი ნახევრით თარიღდება [4, გვ. 82-85]. „ოქროფენილი" მძივები ელინისტური ხანის ბოლოს ვრცელდება აღმოსავეთ საქართველოში (სამთავროს სამაროვანი) [6, გვ. 152]. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ისინი ძვ.წ. II-I სს. კომპლექსებშია წარმოდგენილი (ტანაისი, სკვითური ნეაპოლი, ქერსონესი, ოლბია და სხვა) [35, გვ.79; 32, გვ. 164].

ამგვარად, ფიჭვნარის ელინისტურ სამაროვანზე წარმოდგენილი ქვის მძივებიდან, გიშრის ნიმუშები ძვ.წ. IV ს. ჩნდება, თუმცა მცირე რაოდენობით. პარალელური მასალის მიხედვით ისინი ელინისტური იერის მატარებელია. ხოლო სარდიონის ცალები (4 ც.) კი უფრო ადრეული ნიმუშებია. ამ დასკვნის საშუალებას გვაძლევს, კოლხეთში აღმოჩენილი მსგავსი ცალები.

მინის მონოქრომიულ მძივებს შორის ყველაზე ადრეულები ე.წ. იოტებია (წვრილი მძივები), რომლებიც მთელი ანტიკური პერიოდის განმავლობაში გვხდება და მათი რაოდენობა ყველაზე დიდია. ძვ.წ. IV ს. ჩნდება მინის მსხლისებური ფორმის, ასიმეტრიული, კონუსურარხიანი, გაუმჭვირვალე სხვადასხვა ფერის მძივები. ამ თარიღს ამყარებს პარალელური მასალა ელინისტური ხანის ქვევსამარხებში, ვანიდან და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან.

ძვ.წ. III საუკუნეში ვრცელდება დელფინის, გულის,ამფორისკოსისებური (ორი ტიპის) მინის საკიდები. ამავე საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება პოლიქრომიული მინის მძივსაკიდები: „ნიღბები" ადამიანის სახის გამოსახულებით, მტრედისა და დოქის მინიატურული საკიდები.

ძვ.წ. III საუკუნიდან შემოდის მინის „ოქროფენილი" მძივები. ამ მძივებისდამზადების ტექნიკა ძვ.წ. IV ს. ჩაისახა ეგვიპტეში და შემდეგ მთელს ელინისტურ სამყაროში გავრცელდა. კოლხეთში ამგვარი მძივები ყველაზე მრავლად ზემოფარცხმის სამაროვანზეა წარმოდგენილი. გვიანდელ ძვ.წ. III ს. დასასრულისა და ძვ.წ. II ს. ქვევრსამარხებში შედარებით მცირერიცხოვანია. ასევე მოკრძალებულადაა წარმოდგენილი ფიჭვნარშიც (90 ც.).

„ოქროფენილ" მძივებთან თანაარსებობს გვიანდელი იერის თვალადი მძივები, სხვადასხვა ფორმის (მრგვალი, კასრისებური, ბრტყელი)პოლიქრომიული მინის მოზაიკური მძივები. მათთან ერთად გვხდება ოთკუთხედი და შვინდისკურკისებური ფორმის ცალები, შუაში თეთრი ტალღისებური ზოლებით.

აღსანიშნავია, რომ გვიანდელ ნიმუშებად გამოყოფილი (ძვ.წ. III ს.) მძივები და მძივსაკიდები ერთ სამარხშია წარმოდგენილი. 65-ე სამარხში ერთად გვხდება მინის „ოქროთენილი", თეთრი ტალღოვანი ორნამენტით შემკული შვინდისკურკისებური ფორმის ლურჯი, გვიანდელი თვალადი და მოზაიკური მძივები. ადამიანის სახის გამოსახულებიანი და დოქის პოლიქრომიული მინის საკიდები.

ლიტერატურა:

1. **გაგოშიძე ი.** თრიალეთის სამაროვანი, კატალოგი, თბ., 1982.
2. **გიგოლაშვილი ელ.** მძივსამაული. - ვანი VII, თბ., 1983, გვ. 96-112.
3. **დავლიანიძე ც.** ქვემო ქართლის (თრიალეთი) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, თბ., 1983.
4. **ვაშაკიძე ნ.** შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები მდინარე სუფსის აუზში, სდსძ, III, თბ., 1973, გვ. 68-188.
5. **ვაშაკიძე ნ.** ზემოფარცხმის სამაროვანი, სდსძ, XIII, თბ., 1983, გვ. 23-116.
6. **თოლორდავა ვ.** მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის. - მსკა III, თბ., 1963, გვ. 137-168.
7. **თოლორდავა ვ.** არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970-1971 წწ. - ვანი II, თბ., 1976, გვ. 48-68.
8. **თოლორდავა ვ.** მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან. - ვანი II, თბ., 1976, გვ. 68-79.
9. **თოლორდავა ვ.** დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1963.
10. **კახიძე ა.** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, თბ., 1975.
11. **კახიძე ა., ვაშაკიძე ნ.** არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1976 წ. წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. - სდსძ, თბ., 1979, გვ. 68-83
12. **კახიძე ა., ვიკერსი მ.** ფიჭვნარი I, ბათუმი, 2004.
13. **კაჭარავა დ., მჟავანაძე ზ.** ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში. - ვანი VIII, თბ., 1986, გვ. 5-34.
14. **ლომიტაშვილი დ.** ცენტრალური კოლხეთი ძვ.წ. VIII-ახ.წ. V ს. (ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი), სადოქტ. დისერტაცია. თბ., 2003.
15. **მგელიაშვილი თ.** საქართველოს გეოარქეოლოგია, თბ., 1991.
16. **მიქელაძე თ.** კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბ., 1985.
17. **ნადირაძე ჯ.** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.
18. **ფირცხალავა მ., ყიფიანი გ.** ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-1981 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები. - ვანი VIII, თბ., 1986, გვ. 52-79.
19. **ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,** II, თბ., 1978.
20. **ჩართოლანი შ.** მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, თბ., 1976.
21. **Алексеева Е.М.** Античные бусы Северного Причерноморья, САИ, выпуск Г1 -12, М., 1975.
22. **Алексеева Е.М.** Античные бусы Северного Причерноморья, САИ, выпуск Г1 -12, М., 1978.
23. **Алексеева Е.М.** Античные бусы Северного Причерноморья, САИ, выпуск Г1 -12, М., 1982.
24. **Белов Г.Д.** Елиннитический дом Херсонессе. ТГЭ, т.3, Л., 1962, с.164-166.
25. **Гогадзе Е.М.** Новые Памятники по истории колхидской культуры, МЭПОП, Тб., 1998, с.231-235.
26. **Гогадзе Е.М., Давлианидзе П.О., Панцхава Л.Н.** Поселения - производства - памятники нового типа кохидской культуры, МЭПОП, Тб., 1990, с. 226-233.
27. **Иващенко М.М.** Кувшинний могильник в Западной Грузии, - СА, 13, 1950, с. 321-330.
28. **Кигурадзе Н.** Дапнарский могильник, Тб., 1976.
29. **Куфтин Б.А.** Материалы к археологии Колхиды, т.2., Тб., 1950.
30. **Максимова М.И.** Артюховский курган, Л., 1979.
31. **Онайко Н.А.** Античный импорт в Побужьев IV-II вв. до н.э., М., 1950.
32. **Погребова Н.Н.** Погребения в мавзолее Неаполья Скифского, МИА, 96, 1961.
33. **Рехвиашвили Н.Б.** Добыча и обработка Гагата в Грузии, - мзе, IX, тб., 1957, гв. 43-53.
34. **Спицын А.А.** Раскопки произведенные в 1897 г. близ д. Баштачки, Екатерининского уезда. - ИАК, выпуск 1, 1901.
35. **Щелов Д.Б.** Некрополь Танайса, - МИА 98, М., 1961.
36. **Eisen G.** The characteristics of ege beads from the earliest tims to the present, - AJA, II series, vol. XX, 1916.
37. **Kisa A.** Das Glass in Alertum, I, 1908, Corning Museum a guide to the collections Corning Glass Center, New-York, 1955.
38. **Venclova N.** Prehistoric eye beads in Central Europe, - JGS, vol. 25, 1983, pp. 11-15.

რეცენზია

ნანა მათიაშვილი „ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები". თბ., 2005.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ნანა მათიაშვილის წიგნის - „ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები" - ანოტაციაში ვკითხულობთ: „ნაშრომში ელინისტური ხანის კოლხეთის ძეგლებიდან მომდინარე მასალის შესწავლის საფუძველზე განხილულია წარმოების ცალკეული დარგების განვითარების, გარესამყაროსთან ეკონომიკური და კულტურული კავშირების, ქვეყნის სახელმწიფოებრიობის, შიდაპოლიტიკური ორგანიზაციის, საქალაქო ცხოვრების საკითხები."

წიგნი წარმოადგენს ანოტაციაში ხაზგასმული პრობლემების თანმიმდევრული დალაგებისა და მთელი რიგი საკითხების ორიგინალურად გადაჭრის წარმატებულ ნიმუშს. ნ. მათიაშვილი სამეცნიერო წრეებისათვის მისაწვდომს ხდის ელინისტური ეპოქის კოლხეთის ისტორიისა და კულტურის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობას.

წიგნის პირველი ნაწილი ეძღვნება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ელინისტური ხანის ძეგლების განხილვა-განზოგადებას. ნაშრომში აღნიშნული ძეგლები დაყოფილია სავაჭრო-სახელოსნო, სატაძრო ცენტრებად, სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო დასახლებებად.

სასოფლო-სამეურნეო დასახლებების ძირითადი ნაწილი, ავტორის მიხედვით, შიდა კოლხეთშია გამოვლენილი და უპირატესად ქვევრსამარხებითაა წარმოდგენილი. ავტორის მართებული შენიშვნით, ქვევრსამარხების ძვ.წ. III-II სს. შესაბამისი კერამიკისათვის დამახასიათებელი ჩანს კოლხურ კერამიკულ ფორმებთან ერთად აღმოსავლურ-ქართული ფორმების თანაარსებობა, ხოლო ძვ.წ. II-I სს. ჯგუფები ბერძნული კერამიკის მიბაძვით დამზადებული ნაწარმის გაბატონებით გამოირჩევა.

საყურადღებოა ავტორის დებულება ძველი კოლხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრის – დიოსკურიის სტატუსის შესახებ. ავტორის აზრით, „დიოსკურია შეიძლება განისაზღვროს ადგილობრივი დასახლებების გარემოცვაში არსებულ პოლისური ტიპის დასახლებად." ვფიქრობთ, იგივე აზრი უნდა გავრცელდეს, ასევე ფასისის მიმართაც, რასაც ავტორი რატომღაც გვერდს უვლის.

ნაშრომის ამავე მონაკვეთში დიდი ადგილი ეთმობა სურიუმ-ვანში აღმოჩენილი ძეგლების გაშუქებას. საყურადღებოა ავტორის მოსაზრება ვანის სამარხებში დაფიქსირებული ხატისულლებისა და ლითონის ქანდაკებების ატრიბუციის შესახებ. ნ. მათიაშვილის ვარაუდით, ხატისულლები ქურუმთა შემკულობის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდნენ. ლითონის ითიფალური ფიგურები და მათ დაკრძალვის რიტუალში კი ქურუმთა მსხვერპლშეწირვაა ასახული. ოპტიმალურადაა ასევე გადაჭრილი ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილი სამარხების სტატუსი. ავტორი აღნიშნულ ტერასაზე დადასტურებულ სამარხების ჯგუფს საზოგადოების ზედა ფენას უკავშირებს.

წიგნის მეორე ნაწილი ეხება ელინისტური ხანის კოლხეთის ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობის განზოგადებას. ამ მონაკვეთისა და საერთოდ მონოგრაფიის დიდი ღირსებაა ავტორის გაბედული მსჯელობა გარე სამყაროსთან კოლხეთის ურთიერთობათა შესახებ, რაც ხშირ შემთხვევაში (ზოგიერთ სადავო საკითხს თუ არ მივიღებთ მხედველობაში) სერიოზულ სიახლედ წარმოგვიდგება.

ნ. მათიაშვილი ელინისტური ხანის კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაში ორ პერიოდს გამოყოფს. პირველი პერიოდი ძვ.წ. III-II სს-ის დასაწყისით შემოიფარგლება და ხასიათდება ათენის ეგიდის ქვეშ გაერთიანებული ცენტრების ნაწარმის შემცირებით; სამაგიეროდ ეს პერიოდი მცირე აზიური ცენტრების პროდუქციის მოზღვავებით გამოირჩევა. მეორე პერიოდი კი, რომელიც ძვ.წ. II-I სს. თარიღდება არაერთგვაროვნებით აღინიშნება. მასში რამდენიმე ეტაპის არსებობა დასტურდება: პირველი ეტაპი, რომელიც მითრიდატე ევპატორის აღზევების ხანას უკავშირდება, სავაჭრო ურთიერთობათა აღმავლობით ხასიათდება,

ხოლო მომდევნო ეტაპი, რომელიც „მითრიდატეს ომების" პერიოდს მოიცავს, ავტორის აზრით, სავაჭრო ურთიერთობათა შეფერხებით და კოლხეთში არსებული ეკონომიკური კრიზისით ჩანს განპირობებული.

სადავოდ მიგვაჩნია ავტორის დებულება კოლხეთის ეკონომიკურად დაწინაურების შესახებ მითრიდატე ევპატორის მიერ ქვეყნის პონტოს სამეფოსთან მიერთებამდე. ვფიქრობთ, მითრიდატეს ეპოქამდე, კოლხეთის ეკონომიკაში გარკვეული კრიზისი შეინიშნება; სადავოა, ასევე ავტორის მოსაზრება, თითქოს კოლხეთის ეკონომიკურ განვითარებაში გარკვეული წვლილი ფარნავაზის მიერ აზონის წინააღმდეგ მოწყობილი წარმატებული ლაშქრობის შედეგად მოპოვებულმა ალაფმაც შეიტანა. ვფიქრობთ, ეს მოსაზრება მხოლოდ იბერიაზე შეიძლება გავრცელდეს. აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ წიგნში ზოგჯერ გვხვდება ტერმინოლოგიური ხარვეზებიც. ასე მაგალითად, ფაზისი კი არა, არამედ ფასისი, ავგუსტუსი და არა ავგუსტე, დიადოხები – უნდა იყოს დიადოხოსები.

წიგნის მეორე თავში ავტორი ეხება, აგრეთვე კოლხეთის პოლიტიკურ მდგომარეობასაც. განსაკუთრებით ღირებულად გვეჩვენება ამ მონაკვეთის ის ადგილები, სადაც გაშუქებულია ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის ადრეულ ეტაპზე კოლხეთის პოლიტიკური ვითარების საკითხები. ჩვენ ვიზიარებთ ავტორის მოსაზრებას, რომ ამ დროს კოლხეთს შენარჩუნებული ჰქონდა ერთიანი პოლიტიკური ერთეულის სტატუსი და სრული დამოუკიდებლობა. მართებულია, ასევე ავტორის დებულება, რომ საურმაგის მეფობის დროს და მის შემდგომ ხანაშიც კოლხეთი დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, რადგანაც ძვ.წ. I ს. დასაწყისამდე ქართლში არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია სუფევდა.

ფრიად საყურადღებოა, ასევე ავტორის მოსაზრება კოლხეთის შიდაპოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ, რომელიც ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებათა კონტექსტში განიხილება. ავტორის მოსაზრების მიხედვით, კოლხეთში ერთმანეთისაგან იზოლირებული ხეობების არსებობა, გარკვეულ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ სკეპტუხია მცირე ეთნო-ტერიტორიული ერთეულებისაგან შედგენილ დიდ წინასახელმწიფოებრივ გაერთიანებად წარმოგვიდგება. თუმცა, ვფიქრობთ, სკეპტუხიები ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს უფრო წარმოადგენდნენ. შესაბამისად, იქ, სადაც მართვის იერარქიაა, ქვეყანა წინასახელმწიფოებრივ გაერთიანებად კი არა, არამედ ჩამოყალიბებულ სახელმწიფო ერთეულად უნდა ჩაითვალოს. ასე რომ, კოლხეთი მართვის ადმინისტრაციულ პრინციპზე აგებულ სახელმწიფოებრიობას წარმოადგენდა. ავტორი ნაშრომის ამავე მონაკვეთში, საგანგებოდ ეხება, აგრეთვე კოლხეთში ელინიზაციის პროცესებს, მის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს.

ავტორის დიდი დამსახურებაა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად სკრუპულოზურად განიხილა და განაზოგადა კოლხეთში ელინისტური ხასიათის ძვრების მასშტაბები, ხასიათი, თავისებურებანი. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. მათიაშვილის მოსაზრება კოლხეთში ელინიზმის „რადიაციის" დონის შესახებ. ავტორის აზრით, კოლხეთში გავრცელებული ელინისტური კულტურა, ბერძნულთან ფორმალური სიახლოვის მიუხედავად მნიშვნელოვანი თავისებურებებით გამოირჩეოდა. მართლაც, იმ ეპოქის გლობალიზაციის პირობებში ელინიზაციის პროცესი კოლხეთში ზედაპირული ხასიათისა იყო და კოლხურმა კულტურამ თვითმყოფადობა შეინარჩუნა.

ნ. მათიაშვილის წიგნი მაღალ დონეზეა შესრულებული. ის სერიოზულ დახმარებას გაუწევს ძველი კოლხეთის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს. მიგვაჩნია, რომ წიგნის გამოცემით ქართულ საისტორიო მეცნიერებას საინტერესო ნაშრომი შეემატა.

თსუ-ც ასოცირებული პროფ. **თემურ თოდუა**

ილუსტრაციების ალწერა:

გ. ინანიშვილი

ტაბ. I. 1, 2 - წინარეანტიკური ხანის ბრინჯაოს და რკინის ერთტიპიური ინვენტარი; 3 - ბრინჯაოს სიტულა ვანის ნაქალაქარიდან.
ტაბ. II. 1-4 - ბრინჯაოს ქანდაკების ნიმუშები ვანის ნაქალაქარიდან, 5-6 - ბრინჯაოს ჭვირული ბალთები.
ტაბ. III. 1 - ვერცხლის დიადემა; 2, 3 - ოქროს დიადემის რომბული ფირფიტები.
ტაბ. IV. ანტიკური ხანის ტორევტიკის ნიმუშები: 1-ვერცხლის სურა ცხინვალიდან; 2, 2ა - ვერცხლის ფიალა ბაგინეთიდან; 3 - ვერცხლის სურა არმაზისხევიდან; 4, 4ა - სარეცლის ვერცხლგადაკრული ფეხის ნაწილები.
ტაბ. V. ანტიკური ხანის შავი ლითონის ნაწარმი: რკინა-ფოლადის იარაღი ვანის ნაქალაქარიდან – 1, 2, 3 - შუბისპირები; 4 - ეჩო; 5 - ლურსმნები; 6 - კავები; 7 - ბულატის ფოლადის მიკროსტრუქტურა; 8 - ბულატის იარაღი.

დ. კაჭარავა

1-2. გორგონას გამოსახულებიანი ანტეფიქსები.
3. ორმაგპროტომიანი კაპიტელი.
4. ნაქალაქარის ზედა ტერასა, გეგმა.
5. ზედა ტერასა, ნაკვ. 195-196, 213-214, გეგმა.
6. ნაქალაქარის ზედა ტერასა, სამარხების ჯგუფი, გეგმა, ჭრილები.
7. სამარხი № 22, ოქროს სამკაულები და კოლხური მონეტები დერგში.
8. სამარხი № 22, მონეტების გროვები.
9. სამარხი № 22, საერთო ხედი.
10. სამარხი № 24, ამფორების გროვა.
11. რკინის ითიფალური ფიგურა.
12-13. რკინის ფიგურები.
14-15. 1981 წელს აღმოჩენილი ბრინჯაოს ფიგურები.
16. 2002 წელს აღმოჩენილი ბრინჯაოს ფიგურა.
17. 2005 წელს აღმოჩენილი ბრინჯაოს ფიგურა.
18. იგივე, *in situ*.
19. იგივე, დეტალი: ტერფები.
20 – 1. დერგისებური ჭურჭელი; 2. შედგენილტანიანი სასმისი; 3. დოქი; 4. ჭინჭილა; 5. ჯამი.
21. სამარხი № 24, თავსაბურავი *in situ*.
22. ოქროს სასაფეთქლეები.
23-24. ოქროს ყელსაბამები.
25. სამარხი № 24, მინის ბურთულა-საკიდებისა და მძივებისაგან შედგენილი ყელსაბამი, *in situ*.
26-27. ოქროს შემკრები მძივები.
28. ოქროს ე.წ. „ნესვისებური" მძივი.
29-30. ოქროს მილაკები.
31. ვერცხლის საკისრე რგოლები.
